კვირის პალიტრა

ალბომი

N25 (210) 17/VI.-23/VI.2004. ფასი 60 თ.

1168
2004

თემა: ფული და დამოუკიდებლობა

მარიკა: „მე მხოლოდ ცოლი კი არა, „საფულეც“ ვარ!..“

ჩვენი წერილის შემდეგ უნუცესი პაჭიმარი ქალი გაათავისუფლეს



ყველაზე მორცხვი სასიძო — ...უუჰ! ანუ როგორი ქალები მოსწონს თვით კოტეს



რატომ არ იცილებს ბუბა სვირინგებს და როგორ „დაბომბეს“ თაღლითებმა

ინფორმაცია, ანალიზი, პროგნოზი, რჩევები...

სიტყვა და საქმე
უძრავი ქონება
REAL ESTATE
НЕДВИЖИМОСТЬ
Weekly magazine
ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛ
ყოველკვირეული სარეკლამო ჟურნალი
ფასი: 80 თ.
№8 15.06.2004
კიბე — გზა უმაღლესი დიზაინისკენ
საერთაშორისო სამშენებლო გამოფენა
INTERNATIONAL CONSTRUCTION EXHIBITION
ერიდეთ თაღლითებს
БЕРЕГИТЕСЬ МОШЕННИКОВ
თანამედროვე ქარვასლა
პერსპექტიული ბიზნესი
GEORGIA BUILD
Onduline
Avrasya
ყველაზე მაფიროზური ქოთნის ყვავილი
თბილისის რუკა
Didube
Vagzal square
Medical institute
Marjanishvili
Tetrikuri Un.
Hero square
Svanetisubani
NADZALADEVI
DAVID AGMASHENEBELI AVE.
K.GAMSAKHURDIA AVE.
Saakadze square
Gagarini square
Exhibition
A.Tsereteli Ave.
Shalva eliava st.
Gaiua st.
Shartava st.
Josebidze st.
Mikeladze st.
Mtatsminda st.
Tabidze st.
Saakadze st.
Lubliani st.
Kostava st.
Mazniashvili st.
Chitaishvili st.
Zhordania st.
Jaoshvili st.
Kipshidze st.
Chkheidze st.
Tsereteli st.
Perozi st.
Sanaqo st.
Gorgasali st.
Bukhadze st.
Kazbegi st.
Galdani st.
Mikeladze st.
Kipshidze st.
Kopitnari st.
Gorgasali st.
Tabidze st.
Tbilisi st.
Tsotne Dadiani st.
Mtatsminda st.
Tbilisi st.
Tsotne Dadiani st.
Tbilisi st.
Tsotne Dadiani st.
Tbilisi st.
Tsotne Dadiani

კვირის პალიტრა
№25 (210)
17 - 23 ივნისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
საქართველოს ხელისუფლების ოსური სერენადები ანუ „ლენინის ქუჩაი სტალინის მეგონა მე“... 3
ერთი კითხვა 4
არჩევნები
გოგი ეჭვობს – აჭარის მოსახლეობამ არ იცის, რას ირჩევსო 5
საზოგადოება
სკანდალურმა რეიდმა საკოლმეურნეო ბაზარში ორივე მხარის საბრძოლო განწყობა გააძლიერა 7
სასიძო
„ვარ ძალიან მაგარი ნაშა, შემხვდები?..“ 9
სასიძო
...უუჰ! ანუ როგორი ქალები მოსწონს თვით კოტეს და რატომ უჭვრიტინებდა ანი გიუნტერს 10
კოლეგა
„ვა ბონთ ხორგ“ – რას ამბობს ოსურენოვანი „მოამბის“ წამყვანი?! 12
კრიმინალი
● „კანონიერ ქურდებთან“ ერთად აჭარელი სამართალდამცავებიც ამხილეს 14
● განაჩენის თანახმად, აწ გარდაცვლილმა მსჯავრდებულს სხეული ჩანგლით დაუჩხვლიტა 15
ქალი საჭესთან
20-წლიანი სტაჟის მქონე მძღოლს – ნინო სუხიშვილს „რემენის“ გამოცვლაც კი შესძლებია 18
თემა
ფული და დამოუკიდებლობა ანუ რატომაა მშიშარა უქონელი კაცი? 20
დეტექტორი
გვიად ძიძიგურის აზრით, პოლიტიკოსი უნდა იყოს ფინთი... 23
ფსკერი
სახელმწიფო კანცელარიაში მომუშავე ქალბატონს ჯიბის ქურდი უყვარს 24
გემოვნება
გოია – ფეხზე ამოსვირინგებული უცნობი ქალის სახელი და ვინ „დაბომბა“ თბილისელი არტისტები 26
გზავნილები
„კეხვს“ ვერ სწვდები, ქინი გიჩნდება, მისწვდები და – იმედგაცრუება...“ 29
პირველი პაემანი
„15 წლის ვიყავი და მეგონა, ცხოვრება დამთავრდა...“ 32

ფული და დამოუკიდებლობა

ჩვენს საზოგადოებაში გაჩენილმა ყოფითმა პრობლემებმა ადამიანების პიროვნული თავისუფლება ხომ არ შეიწირა? რომელი ასაკიდან იწევს ფულის ფაქტორი წინა პლანზე და თუ შეიძლება დიდი ფულით თავისუფლების ყიდვა? გვესაუბრებიან რიგითი მოქალაქეები, ფსიქოლოგები და ეკონომიკური ექსპერტები.

20

„15 წლის ვიყავი და მეგონა, ცხოვრება დამთავრდა...“

– ორი მამაკაცისგან მყავს შვილები გაჩენილი და რასაკვირველია, ორივე ძალიან მიყვარდა. მაგრამ ამ ორიდან ვერც ერთს ვერ გამოვყოფ და ვერ ვიტყვი – ის უფრო მეტად მიყვარდა-მეთქი.

32

ზოია – ფეხზე ამოსვირინგებული უცნობი ქალის სახელი და ვინ „დაბომბა“ თბილისელი არტისტები



ეს მოდა ციხიდან წამოვიდა. აღრე ტყუილად არ იხატავდნენ – ყველა სვირინგს აზრი და მიზეზი ჰქონდა. ერთი კაცი იყო, რომელსაც მხარზე ეწერა: я и мой брат хотим мира. სულ გვაინტერესებდა მისი ძმის ნახვა, ლენინივით იყო...

26

გამოსამშვიდობება – ჩვენი წერილის შემდეგ უხუცესი პატიმარი ქალი გაათავისუფლეს

სანამ თქვენს ჟურნალში ჩემ შესახებ არ დაიწერა ალბათ, საბუთები არც უნახავთ. არადა, ირმას გარდაცვალებამდე ერთი კვირით აღრე მაინც რომ გამოვსულიყავი ციხიდან, ისიც დამშვიდებული წავიდოდა იმ ქვეყნად და მეც ტკივილი შემიმსუბუქებოდა.

52

ტაქარი
რატომ ვიწოდებით მართლმადიდებელ ქრისტიანებად? 34
სიმბოლიკა
„ბიბლიის“ წმინდა რიცხვები 35
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 36
„ევრო-2004“
დიდი ფეხბურთი გახურდა 38
სპორტული მოზაიკა 40
ავტო 41
რომანი
რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (დასასრული) 42
ვარსკვლავი
ჯულია რობერტსის 10 საიდუმლო 46
ბომონდი 47
მომღერალი
ნინი ბადურაშვილი იოლად შესაბმელი არაა, მაგრამ ერთი სუსტი წერტილი აქვს... 49
შემოქმედი
„ვერხვის ფოთლისა“ და „ხალხური“ „ცირას“ ავტორი პოპულარობას გამოკიდებულ მომღერლებს უწყრება 50
გამოხმაურება
„თქვენი ჟურნალით ყველამ შეიტყო, რომ 72 წლის ქალი ისევ ცხენში ვიჯექი“ 52
შეუცნობელი
თვითმკვლელი ჩიტის იდუმალი ამბავი 54
პროექტი
რატომ უნდა ვიკითხოთ ჟურნალი „რეიტინგი“ 55
საკითხავი ქალებისათვის 56
ჯანმრთელობა
- უსაფრთხო დასვენება 58
- გამოიყენეთ ფეთი მგზავრობისას 59
- დავლიოთ თუ არა? 59

ჰოროსკოპი
კვირის (21-27 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი მამაკაცებისათვის
ვინ ხართ თქვენ: გენერალი, კაპიტანი თუ რიგითი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნინი ბადურაშვილი იოლად შესაბმელი არაა, მაგრამ ერთი სუსტი წერტილი აქვს...

ბუნებრივია, ხალხს ჰგონია, მისაღებ გამოცდებზე მაღალი ქულები იმიტომ დამიწერეს, რომ იმედა კახიანის შვილიშვილი, ეკა კახიანისა და ერეკლე ბადურაშვილის შვილი ვარ. მაგრამ დამერწმუნეთ იმაში, რომ ნამდვილად მოვინდომე...

49

...ეეჰ! ანუ როგორი ქალები მოსწონს თვით კოტეს და რატომ შეჭვრიტინებდა ანი გეშენტერს

დღეს ჩვენი „სასიძო“ თვით კოტე გახლავთ. წინასწარ გეტყვით, რომ ასეთი სიტყვაძვირი და მორცხვი „სასიძო“ ჯერ არ გვყოლია.

გოგონებო, ჯერ მისი ინტერვიუ წაიკითხეთ და შემდეგ – თქვენი აქტიურობის იმედი გვაქვს, თორემ, დაგვრჩება ეს კაცი უცოლოდ...

10

ჯულია რობერტსის 10 საიდუმლო



ჩვენს მახსოვრობაში მსახიობი სამუდამოდ იმ ლამაზმანად დარჩა, რომლის შთამბეჭდავი სახეც ამავე სახელწოდების ფილმში შექმნა. შესაძლოა, ეს ყოველივე განაპირობა იმან, რომ მან ამ ფილმში განასახიერა საკუთარი თავი – გოგონა, რომელმაც ოცნება აისდინა...

46

თავისუფალი თემა

საბოლოოდ გაოგნებულმა გვანცამ უკან დაიხია და ნახატი ახლა შორიდან შეათვალიერა. შემდეგ ისევ ახლოს მივიდა და ის იყო, ნახატზე საოცარი სიზუსტით გადატანილ პატარა ლუკას ჯიუტ ქოჩორს ხელითაც უნდა შეხებოდა, რომ ზურგს უკან ჯერ ვიღაცის გახშირებული სუნთქვა იგრძნო...

42



საქართველოს ხელისუფლების ოსური სერენადები ანუ „ლენინის ქუჩაი სტალინის მეგონა მე"...

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, — სწორედ რომ ცხინვალის რეგიონზე ყოფილა ნათქვამი: 10 წელიწადზე „ოდნავ" მეტია, რაც თავის ნებაზე მივუშვით და კონტრაბანდის ბუდედ არ აქციეს იქაურობა?!

წაგვლეკა, ბატონო, ამ იაფფასიანმა საქონელმა: მაგათი აღარც პლანი „იბრუება" და აღარც წამალს აქვს ძველებური „პრიხოდი", შამპუნს თმა არ ამოჰყავს და მათეთრებელს — ცხიმის ლაქა.

როდემდე შეიძლებოდა, გვეთმინა? გასაგებია, რომ ერთადერთი, ერგნეთის ბაზრობით უდგათ სული და ჩვენც ვუსაღებდით რაღაცებს, მაგრამ ჩვენ თუ დავიწამლეთ, მერე ვინღა გაუსაღებს?! ამიტომ მკაცრი ხელი გახდა საჭირო. ჰოდა, ეგ ეშლება ჩვენს „ვარდბულბულიან" მთავრობას? მით უმეტეს, რომ სახელ „ედუარდზე" დიდი ნემსითაა აცრილი. მიადგა საზღვარს და გულის მოსაგებად ედუარდ კოკოითს სერენადებიც უმღერა ოსურ მოტივებზე: ლენინის ქუჩაი სტალინის მეგონა მეო...



ბატონმა ნაკოკოევარმა კოკოითმა მთლად კარგად ვერ გაიგო ქართული ტექსტი, სულ სხვა რაღაც ეგონა და შეიცხადა: — რაიო?! ლენინი მომკვდარა და სტალინი მოვიდა სათავეშიო?! — და ერთ საათში მოსკოვში ამოყო თავი. როგორც ჩანს, ის როკის გვირაბი გაცილებით გრძელია და პირდაპირ კრემლის ეზოში ამოდის, თორემ, ზებგერითი თვითმფრინავები მაგათ არა აქვთ და კოსმოსური ხომალდები. რომ გაიგო მოსკოვში ჩასულმა, სტალინიც აღარაა ცოცხალი და მის მაგივრად, ვინმე პუტინიაო, უსაზღვროდ გაიხარა თვითაღიარებულმა პრეზიდენტმა და მუხლებში ჩაუვარდა — მიშვილეო!..

მოკლედ, ახლა „კავკასიურ ცარცის წრეში" სამხრეთ ოსეთი ჩადგა და აქეთ დედა ექაჩება, იქით — დედინაცვალი; დედა ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნის, დედინაცვალი — იარაღს. გამოაგზავნეთ, ჰო, გამოაგზავნეთ, გაიფიქრა ჩვენმა მამა-მარჩენალმა — აჭარაშიც ეგრე აგზავნიდით იარაღს და მერე ჩემს ჯარს გამოადგა სუყველაო... — და გაჯიუტებულ „ტინეიჯერ შვილს", რომელმაც დამოუკიდებლად ცხოვრება მოითხოვა, დახმარებებით შეუტია:

ჯერ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩაზიდა სასუქი. ბევრი იძახა „ოსეთის მთავრობამ" — არ გვინდა თქვენი სასუქი, ნაკელში ვიხრჩვებით ისედაცო, — მაგრამ გლეხმა უკეთ იცის, რაც უნდა. ქართული სასუქით განოყიერებულ შიდა ქართლის მიწაზე ამოსული სიმინდი ქარიან ამინდში სულ საქართველოსკენ იხრება.

სასუქის შეტანას ექიმების შეტევა მოჰყვა — უფასოდ ვუმკურნალებთ თქვენს მოსახლეობასო, — და ქირურგებიან-უროლოგებიან-სტომატოლოგებიანად მიადგნენ ცხინვალს, მაგრამ „ედუარდ II"-მ ისეთი უარი განაცხადა, რომ ცხადი გახდა — უროლოგზე მეტად, ფსიქიატრის დახმარება ესაჭიროება.

მერე განათლების მინისტრმა სცადა ბედი, დაავლო ხელი იმ კომპიუტერს, კაბინეტში რომ ედგა და ხანდახან „სუპერმარიოთი" ერთობოდა და ცხინვალის გზას გაუყენა — ეს კომპიუტერია და მასში უამრავი ბიბლიოთეკა ინახებაო... ისევ უარი გვითხრეს — წიგნს და ბიბლიოთეკას ვისთვის დაუყრია ხეირი, ჩვენ რომ დაგვაყაროსო?! — და კარი მოგვიხურეს.

კულტურისა და სპორტის მინისტრმა დესანტის სახით „ბასტიბუბუს" ბავშვები გადასხა, მაგრამ საფრთხე უმალვე იყნოსეს და მოსახლეობა გააფრთხილეს — შვილებს თვალებსა და ყურებზე ხელები აეფარეთ, რომ ვერ მოუსმინონ და ვერ შეხედონ ქართველ ბავშვებს, რომელთა სიმღერები, ტერორიზმის პროპაგანდააო...

ვერც ჩვენმა სპორტსმენებმა მოახერხეს შეღწევა, რადგან ძველმა მოჭიდავემ — ედუარდ კოკოევმა ქართველი ფალავნების მიერ არაერთხელ დაჟეჟილი გვერდები გაიხსენა: — რაც მე თქვენგან ტკივილი მახსოვს, ფეხს როგორ დაგადგმევინებთ ჩემს ეზო-ყურეშიო?!.

დაიწყო შეტევის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი — რკინიგზის აღდგენა, რომელსაც ოსური მხარისთვის დიდი სარგებელი უნდა მოეტანა და „წინდახედულმა" „მთავრობამ" მაქსიმალურად გამოიყენა ქართველების საჩუქარი: რელსები „სვარკით" დაჭრეს, ჯართში ჩააბარეს და სარგებელიც ნახეს. ბუნებრივიცაა: რად უნდა რკინიგზა სამხრეთ ოსეთს, რომელსაც ყველა სოფელში საერთაშორისო აეროპორტი აქვს გახსნილი და საზღვაო პორტები სამოქალაქო თუ სამხედრო ფლოტის გემებით და ლაინერებით აქვს სავსე?!.

რაღა დაგიმალოთ და ოსური „მთავრობის" ლოზუნგი — რუსეთს დავემონებით და „დამოუკიდებლობას" მაინც მივაღწევთო, — ერთ ვულგარულ სიბრძნეს მაგონებს: „გლახას რად უნდა ბოსტანი?!."

პროვოკატორი

„სამშვიდობოების“ გაწვევის საკითხი უნდა დაისვას“

— თქვენი ინფორმაციით, არის თუ არა დაბანაკებული ჯავასთან კაზაკების შეიარაღებული ჯგუფი და რა რეაქციას უნდა ველოდოთ ოფიციალური მოსკოვისგან, გენერალ ნაბდზოროვის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებთან დაკავშირებით?

გივი თარგამაძე, *პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— კაზაკებთან დაკავშირებით გადამოწმებული ინფორმაცია ჯერჯერობით არ მიგვიღია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია პრაქტიკულად გამორიცხულია. რადგან ოსებს, ჩრდილოკავკასიელ ხალხებში ისეთი მყარი პოზიციები არა აქვთ, რომ მათგან სამხედრო ან სხვა ტიპის მხარდაჭერა მიიღონ, მაგრამ თუ კაზაკები მაინც გამოჩნდებიან, ჩვენი ქვეყნისათვის გადაულახავ ბარიერს ვერც ეს შექმნის. ბოევიკების ჩამოსვლა უარესი იქნება მათთვის, ვისი მოწვევითაც ისინი ცხინვალის რეგიონში შემოვლენ. დღეს ჩვენ საკმარისი ძალა გვაქვს საიმისოდ, რომ ნებისმიერი უკანონო ქმედება აღვკვეთოთ. რაც შეეხება რუს გენერალს — მისი თავნებობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან მისი გაწვევა. უნდა გაირკვეს, უნდათ თუ არა „სამშვიდობოებს“ სიტუაციის სტაბილიზაციისთვის ხელშეწყობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათაც უნდა დატოვონ ცხინვალის რეგიონი და ამ ტერიტორიას ქართული მხარე გააკონტროლებს. საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იარაღით შესვლას ვაპირებთ. ხელისუფლებამ კონფლიქტის დასარეგულირებლად ჰუმანიტარული გზა აირჩია, რასაც ადგილობრივი მოსახლეობაც მხარს უჭერს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილი ერთი მუჭა ადამიანების ჯგუფს პროვოკაციების მოწყობა აღარ გამოუვა. საქართველოს შესწევს იმის უნარი, რომ აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა და დაიცვას საკუთარი მოქალაქეები. ■

„ციხე-კოლონიებში სხვა ინციდენტებიც იგეგმება“

— რამდენად უკავშირდება გეგუთისა და სხვა ციხე-კოლონიებში სიტუაციის გამწვავება „კანონიერი ქურდების“ დაპატიმრებებს და რა ბერკეტები აქვს იუსტიციის სამინისტროს ამის აღსაკვეთად?

გიორგი პაპუაშვილი, *იუსტიციის მინისტრი:*

— ბოლო პერიოდის განმავლობაში არაერთი პრობლემა გაჩნდა ციხე-კოლონიებთან დაკავშირებით. იყო გაქცევის მცდელობა, რომელიც ჩვენი თანამშრომლების თავგანწირვის შედეგად იქნა აღკვეთილი. აღმოვაჩინეთ ორი გვირაბი. ამოღებულია საეჭვო ნივთები. ჩხრეკის პროცესი დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. სამართალდამცავების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა ვთქვა — არ გამოვრიცხავთ, რომ იგეგმებოდეს სხვა ინციდენტებიც. რაც გეგუთის კოლონიაში მოხდა, ნაწილობრივ, სისტემაში მომუშავე მოღალატეების „დამსახურებაა“. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა სამსახურებრივ გულგრილობას, ამიტომ რამდენიმე საეჭვო თანამშრომელი დაპატიმრებულია, გეგუთის კოლონიის ხელმძღვანელობა კი, თანამდებობიდან გავათავისუფლეთ. ზოგადად, სიტუაციის დაძაბვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა. სამართალდამცავები რეალურად დაუპირისპირდნენ დამნაშავეთა სამყაროს, კრიმინალურ ავტორიტეტებს, რომლებთან შეხებასაც წინა წლებში ვერავინ ბედავდა. დღეს 30-მდე ე.წ. „ავტორიტეტია“ დაპატიმრებული. ასეთი რაოდენობა აქამდე არასოდეს ყოფილა დაპატიმრებული. ბუნებრივია, სიტუაციის აფეთქება ამ გარემოებამაც გამოიწვია. ამიტომ ვამბობთ, რომ ამ ეტაპზე მთავარი, უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაა. უნდა ჩატარდეს რეფორმა, რომ თანამშრომლებს ნორმალური სამუშაო პირობები შეეუქმნათ, სასჯელაღსრულების დაწესებულებები კი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ციხეებად უნდა გადაიქცეს, სადაც პატიმართა უფლებებზეც იზრუნებენ და მათი გაქცევისა და თავნებობის საშიშროებაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ■

„დაზარალებული სულ მეწარმე იქნება“

— ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში სოციალური გადასახადები 20%-მდე, საშემოსავლო გადასახადები — 12%-მდეა შემცირებული, შეცვლილია სხვა განაკვეთებიც. დაუჭერს თუ არა მხარს თქვენი ფრაქცია ამ კანონ-პროექტს?

ზურაბ ტყემალაძე, *„მემარჯვენე ოპოზიცია“.*

— სოციალური და საშემოსავლო გადასახადების პროცენტული განაკვეთების შემცირება კარგია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საგადასახადო კოდექსის სრულყოფისათვის. პირველ რიგში, დაცული უნდა იყოს მეწარმესა და სახელმწიფოს შორის თანასწორუფლებიანობა. დღეს, თუ მეწარმე გადასახადის გადახდას იგვიანებს, მას საურავი ერიცხება, მაგრამ თუ სახელმწიფო მეწარმეს უგვიანებს მისი კუთვნილი თანხის დაბრუნებას, ის პასუხისმგებლობისგან თავისუფალია, რაც თანასწორუფლებიანობის პრინციპს ძირეულად ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, აღნიშნულ კანონპროექტში მტკიცების ტვირთი მეწარმეს აწევს — ანუ ყველა შემთხვევაში, მან უნდა ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა... წესით, თუ მეწარმე ედავება სახელმწიფოს, მტკიცების ტვირთი მეწარმემ უნდა ატაროს, ხოლო თუ სახელმწიფო — მეწარმეს, მაშინ გადამხდელის ბრალეულობა სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს. ჩვენს შემთხვევაში, დაზარალებული სულ მეწარმე იქნება. გარდა ამისა, არ უქმდება სათამაშო ბიზნესის გადასახადი, ასევე — მიწის გადასახადი, რაც „ნაციონალების“ წინასაარჩევნო დაპირებად დარჩა. სამაგიეროდ, გააუქმეს რამდენიმე გადასახადი, კერძოდ — საკურორტო, ეკოლოგიის, რეკლამისა და ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის. საინტერესოა, რომ ეს გადასახადები ისედაც გაუქმებული იყო და ნოღაიდელის მეორედ გამინისტრების დროს აღდგა. როგორც ჩანს, ბატონმა ზურაბმა მხოლოდ იმიტომ აღადგინა, რომ რამდენიმე თვეში ისევ გაეუქმებინა და ამით საზოგადოების თვალში ქულები დაეწერა... ასეთი პოლიტიკით ხელისუფლება შორს ვერ გაფრინდება. ■

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, რომელიც 20 ივნისისთვის არის დანიშნული, 9 პარტია და პოლიტიკური ბლოკი მონაწილეობს. როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურ პარტიათა წევრების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილია — აჭარის უმაღლესი საბჭო ერთპარტიული იქნება, გამარჯვებას კი „ნაციონალები“ იზეიმებენ... მიუხედავად, ამისა, არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტები წარმატების იმედს არ კარგავენ. განსაკუთრებით აქტიურობენ „რესპუბლიკელები“, რომლებიც ასლან აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ წლების განმავლობაში იბრძოდნენ და ამიტომ მოსახლეობაშიც მაღალი რეიტინგი აქვთ.

ზოგიერთნი – აჭარის მოსახლეობამ არ იცის, რას ირჩევსო

ხათუნა მაღრაძე

როგორი იქნება 20 ივნისის არჩევნები? დაუზუსტებელი სიების, საკონსტიტუციო ვაკუუმისა და იმ ეიფორიის ფონზე, რომელიც აჭარის რეგიონში ჯერ კიდევ არ დამცხრალა, „ნაციონალების“ ერთ-ერთი ლიდერი ***აკაკი ბოგოლიუბოვი*** *მიიჩნევს, რომ არჩევნები გამჭვირვალედ ჩატარდება, უმაღლეს საბჭოში კი აბსოლუტური უმრავლესობით „საკაშვილი – გამარჯვებული აჭარა“ იქნება წარმოდგენილი.*

– არჩევნებისათვის მზადება საკმაოდ კორექტულად მიმდინარეობს. ხელისუფლებამ აიღო ვალდებულებები, რომ აჭარაში გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. ჩვენ ამ

პირობას აუცილებლად შევასრულებთ. რაც შეეხება შედეგებს, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გაერთიანება გაიმარჯვებს. დღეს მიხეილ საკაშვილი არის ერთპიროვნული ლიდერი და ფავორიტი არა მარტო აჭარის ტერიტორიაზე, არამედ მთელ საქართველოში. პირადად მე, მოვინახულე ხულოსა და შუახევის მთიანი სოფლები და დავრწმუნდი, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც ყველაზე მეტად უჭერდნენ მხარს ასლან აბაშიძეს, არის სურვილი დანაშაულის გამოსყიდვისა. ისინი მზად არიან, დღევანდელ ხელისუფლებას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დაუმტკიცონ თავიანთი ერთგულება.

— ის პარტიები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ, ირწმუნებიან, რომ ხელისუფლება „მკლავის გადაგრეხის“ პრინციპით მოქმედებს...

– ვერ ვხვდები, რა შეიძლება იყოს ასეთი განცხადებების საფუძველი. პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლებს ამომრჩევლებთან შეხვედრის პრობლემა არა აქვთ. ის, რომ სახელისუფლებო ბლოკს უფრო მეტი საშუალება აქვს აქტიურობის გამოსავლენად, ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენ ძლიერი და მობილიზებული გაერთიანება ვართ. აჭარაში მიდის აღმშენებლობის პროცესი, ხელისუფლება ცდილობს, ადგილობრივ მოსახლეობას დაანახვოს, რომ ცენტრს აბაშიძეზე უკეთესად შეუძლია მართოს აჭარის რეგიონი. ეს არჩევნების გამო არ კეთდება. ოპოზიციას რომ ლაპარაკის საბაბი არ მივცეთ, ამის გამო ხომ არ შევწყვეტთ საქმიანობას?

— იმედია, ეს ზრუნვა არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება...

– რა თქმა უნდა. საკაშვილი, ხალხის ნდობით, წინასწარ დივიდენდებს იღებს. მაგრამ თუ აღმშენებლობის პროცესი არ გაგრძელდა, არც მომავალ არჩევნებამდეა დიდი დრო და მოსახლეობა მაშინ უკვე კონკრეტული შედეგების მიხედვით იფიქრებს იმაზე, თუ ვის უნდა გამოუცხადოს ნდობა.

— საარჩევნო ადმინისტრაცია თითქმის მთლიანად შეიცვალა. კომისიების წევრებს შორის ყოფილი „ამღორძინებლებიც“ არიან, თავმჯდომარეების კეთილსინდისიერებას კი, არჩევნებში მონაწილე პარტიები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ.

– „აღორძინების“ აქტივისტებთან დაკავშირებით ოპოზიციის ეჭვი ალბათ გაყალბების საკითხს უკავშირდება. ისინი თვლიან, რომ „აღორძინებაში“ ცნობილი გამყალბებლები იყვნენ. არადა, მათ არჩევნების გაყალბების ინჩიბინჩი არ გაეგე-

თუ ღირსეული, მებრძოლი დამკვირვებლები იმუშავებენ, გაყალბების საშიშროება ნულამდე იქნება დაყვანილი

ბათ. აჭარაში არჩევნების მოსაგებად ბრძოლა საჭირო არ იყო – იქ ყოველგვარი სირთულის გარეშე აფორმებდნენ ისეთ შედეგებს, როგორიც ასლან აბაშიძეს აძლევდა ხელს. დღეს სხვა სიტუაციაა. თუ ღირსეული, მებრძოლი დამკვირვებლები იმუშავებენ, გაყალბების საშიშროება ნულამდე იქნება დაყვანილი. გარდა ამისა, ძალიან ძნელია, უბიწო წარსულის ადამიანები მოძებნო. აჭარა პატარა რეგიონია, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა, სხვადასხვა დროს აბაშიძის მხარდამჭერი და „აღორძინების“ წევრი იყო. ხელის ერთი მოსმით ამ ადამიანებს ვერ შევცვლით და მათ ადგილზე სხვა ხალხს ვერ მოვიყვანთ.

— რაც შეეხება სიებს: არსებული ინფორმაციით, ამომრჩევლების ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა.

– მე ვფიქრობ, რომ ამ სფეროში გარკვეული პრობლემები მართლაც იქნება, რადგან ცაიტნოტის პირობებში მოგვიხდა მუშაობა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ „ნაციონალების“ გადასაწყვეტი. არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს, ვინც ერთიანი საბჭოს წარმომადგენლები ვიყავით, ერთობლივად უნდა გვეზრუნა სიების დასაზუსტებლად. თუმცა, ობიექტურად, აბაშიძის გაქცევის შემდეგ, იმდენად ცოტა დრო გავიდა, რომ ამ პერიოდში ყველაფრის მოსწრება შეუძლებელი იყო.

— სამაგიეროდ, შეიძლებოდა არჩევნების ვადის გადაწევა...

– აჭარას, რაც შეიძლება მალე, ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა ჰყავდეს. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს მხოლოდ სიების გამო ხომ ვერ გადავდებდით?!

— სიების გარდა, ვერ მოესწრო საკონსტიტუციო კანონის მიღება, რომელიც უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას განსაზღვრავს, უამისოდ კი მოსახლეობამ არ იცის, თუ რას ირჩევს.

– კარგად იციან, რასაც ირჩევენ – ეს არის საკანონმდებლო ორგანო. რა ფუნქციები ექნება და როგორი იქნება მისი კომპეტენციის ფარგლები – ამას უახლოეს ხანში, საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს. მოდით, საკითხი ასე დავსვათ: ვთქვათ, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს მივანიჭეთ გარკვეული კომპეტენცია; შემდგომ ხომ გვაქვს უფლება, შევზღუდოთ ან გავზარდოთ იგი? – ანუ მისი უფლებამოსილების საკითხში ყოველთვის შეიძლება დარჩეს ისეთი კომპეტენცია, რომელიც არჩევნების ჩატარების დროს განსაზღვრული არ იყო. მაშ, რა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? ხელახალი არჩევნები დავნიშნოთ?.. ამიტომ პრობლემა არ არის, რომ კონსტიტუციური კანონი ჯერ არ მიგვიღია. პარლამენტი მას მანამდე დაამტკიცებს, სანამ უმაღლესი საბჭო მუშაობას შეუდგება, რათა ამ ორგანოს წევრებმა იცოდნენ, თუ რისი უფლება აქვთ კანონით მინიჭებული და რისი – არა.

— აჭარის საკანონმდებლო ორგანოში 30 მანდატიდან რამდენი ადგილის მიღების იმედი გაქვთ?

– არ გამიკვირდება, 30-ვე ჩვენ რომ ავიღოთ, რადგან აჭარაში ააკაშვილის რეიტინგმა არაკონკურენტუნარიანი გარემო შექმნა. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ „რესპუბლიკელებმა“ 7%-იანი ბარიერი გადალახონ, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მათ ელექტორატს წარმოადგენს.

— მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ აჭარაში ყველა პარტია მისი სახელით გამოდის. როგორ უნდა გავიგოთ ეს?

– ეს რეალურად ასეა, რადგან ყველა პოლიტიკური ძალა ლოიალობას აცხადებს სააკაშვილის მიმართ. მათ უნდათ, ამომრჩეველი დაარწმუნონ, რომ აჭარის მართვას უკეთესად შეძლებენ. მაგრამ როგორც კი საკითხი რეგიონის ფარგლებს სცილდება, თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელი ერთსულოვნებას იჩენს იმაში, რომ სააკაშვილი და მისი მთავრობა სწორ გზას ადგანან და მზად არიან მათთან სათანამშრომლოდ.

სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლისგან განსხვავებით, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერს, ***ფიქრია ჩიხრაძეს*** *უკვირს, თუ რატომ მონაწილეობენ პარტიები ისეთ არჩევნებში, რომლის ბედიც წინასწარაა გადაწყვეტილი. მისი თქმით, პოლიტიკურ გაერთიანებებს თავიანთი მონაწილეობით არ უნდა შეექმნათ ისეთი ფონი, რომელიც ფიქტიურ არჩევნებს დემოკრატიულის ელფერს შესძენდა.*

– ისეთი სახით ტარდება არჩევნები, ნამდვილად დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ „ნაციონალების“ გარდა, ვერც ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ საჭიო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხოს და აჭარის უმაღლესი საბჭო ერთპარტიული იყოს. წლების განმავლობაში, უზენაეს საბჭოში მოსახვედრად 4%-იანი ბარიერის გადალახვაც საკმარისი იყო, მაგრამ ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ეს ნორმა 7%-მდე გაიზარდა. ეს უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ „ნაციონალებს“ უნდათ, ყველა პოლიტიკური ძალა ჩაძირონ – და ერთპარტიულ რეჟიმში დაიკმაყოფილონ საკუთარი ამბიციები. გარდა ამისა, არსებობს მეორე პრობლემაც, რაც არჩევნების უკანონოდ დანიშვნას უკავშირდება: კონსტიტუციური კანონი პარლამენტს ჯერ არ მიუღია, უამისოდ არჩევნების ჩატარება კი, კანონიერების ფარგლებს სცილდება. ეს ხელისუფლებას არ ანაღვლებს.

— მისი განცხადებით, აჭარაში რაც შეიძლება მალე უნდა ამოქმედდეს ლეგიტიმური ხელისუფლება და პროცესის დაჩქარებაც სწორედ ამას უკავშირდება.

– ხელისუფლება მხოლოდ იმიტომ ჩქარობს, რომ სურს, მოსახლეობის რევოლუციური განწყობა გამოიყენოს და სანამ „წყალი დაიწმინდება“, უმაღლეს საბჭოში საკუთარი შემადგენლობის გაყვანა მოასწროს. სწორედ ამიტომ ჩაიყვანეს საოლქო კომისიების თავმჯდომარეები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. არჩევანი იმ ადამიანებზე

მე ის მიკვირს, „რესპუბლიკელები“ რომ დათანხმდნენ ამ ფარსში მონაწილეობაზე. მათ 7%-იან ბარიერს არავინ გადაალახვინებს

გაკეთდა, რომლებმაც 28 მარტს გამოიჩინეს თავი – „ეფექტურად“ იმუშავეს და მაქსიმალური სარგებელი მოუტანეს „ნაციონალურ მოძრაობას“.

— თქვენი აზრით, როგორი იქნება ამომრჩეველთა აქტიურობა 20 ივნისს?

– ივნისი არის ის პერიოდი, როცა ხულოს, შუახევისა და სხვა მთიანი რაიონების სოფლებიდან მოსახლეობა ალპურ ზონაში გადადის – მთელი ოჯახით საშოვრებზე მიდიან. როგორღა უნდა მიიღონ მათ არჩევნებში მონაწილეობა, ჩემთვის გაუგებარია. როგორც ჩანს, მათთვის დამატებით ყუთებს გამოყოფენ. მაგრამ ამომრჩევლებს მთებში ძებნას არავინ დაუწყებს და მათ ნაცვლად, თავადვე გააკეთებენ „არჩევანს“. დამატებით ყუთებში რა მოხვდება, კაცმა არ იცის...

— თუ ყველაფერი წინასწარ არის დაგეგმილი, მაშინ რატომ გადაწყვიტეს „მრეწველებმა“ არჩევნებში მონაწილეობა?

– ჩვენს პარტნიორებს ვთხოვდით, რომ ამაზე უარი ეთქვათ. „მრეწველთა“ პარტია რამდენიმე წელია, რაც აჭარაში არსებობს, ისინი ავტონომიის ორი მოწვევის პარლამენტის წევრები იყვნენ. ამიტომ ჩათვალეს, რომ ამომრჩევლის წინაშე ვალდებული იყვნენ, არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა. მე ის მიკვირს, „რესპუბლიკელები“ რომ დათანხმდნენ ამ ფარსში მონაწილეობაზე. მათ 7%-იან ბარიერს არავინ გადაალახვინებს. ეს იქნება ამ არჩევნების ყველაზე დიდი კურიოზი, რადგან „რესპუბლიკელები“ აბაშიძის რეჟიმის ყველაზე სტაჟიანი ოპოზიციონერები არიან და თუკი ვინმეს ჰყავს აჭარაში ელექტორატი, ეს დავით ბერძენიშვილი და მისი გუნდია. რევოლუციის პერიოდში საკაშვილს მოსწონდა, მის გვერდით სხვა პარტიების წარმომადგენლებიც რომ იდგნენ, მაგრამ ახლა ნადავლის გაყოფის დრო დადგა და განაწილების პროცესში პარტნიორები აღარაფერში სჭირდება...

— ეი. თქვენი აზრით, აჭარაშიც ისეთივე მართვადი საკანონმდებლო ორგანო ჩამოყალიბდება, როგორიც საქართველოს პარლამენტია?

– იქ ბევრად უარესი უმრავლესობა იქნება, თუ თავად არ იზრუნეს იმაზე, რომ ერთი-ორი ადამიანი სხვა პარტიიდანაც შეიყვანონ, თუნდაც იმისთვის, რომ თვეში ერთხელ მაინც, განსხვავებული აზრი გაჟღერდეს. ■

სპანდალურმა რეიდმა საკოლმეურნეო ბაზარში ორივე მხარის საბრძოლო განწყობა გააძლიერა

ზაფხულის დადგომასთან ერთად, თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა, ქალაქის ბაზრებსა და ბაზრობებში გამაფრთხილებელი რეიდების სერია მოაწყო. პრობლემა, ისევე, როგორც ყოველწელიწადს ერთია: სანიტარული ნორმების დაცვა და მალფუჭებადი პროდუქტების სათანადო პირობებში — დახლმაცივრებში შენახვა. ერთი შეხედვით, მსგავს რეიდებში განსაკუთრებული არაფერია, რადგან ზაფხულობით ხშირად ფიქსირდება თევზითა თუ სხვა პროდუქტებით ადამიანების მოწამვლის ფაქტები. მაგრამ ქალაქის ახალი „მთავარი სანიტრის“ ერთ-ერთმა „ვოიაჟმა“ კოლმეურნეობის ბაზარზე დიდი ხმაურით, გაწევა-გამოწევითა და კოლორიტული მოვაჭრე ქალბატონის სახით დაამახსოვრა თავი ტელემაყურებელსა და მთელ საზოგადოებას. ჩვენც სწორედ ამ კონფლიქტის მთავარ მოქმედ პირებს — მზია ცუცქირიძესა და სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსს დავით მესხიშვილს ვთხოვეთ მომხდარის კომენტარი.

ემა ტუხიაშვილი

მზია ცუცქირიძე:

– უკვე 7 თვეა, სტრესულ მდგომარეობაში ვიმყოფებით: ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ ერთი რამ გვესმის – ბაზრის პირველი სართული უნდა დაიკეტოს და მის ადგილას ისეთივე, ევროპული სტანდარტების ბიზნესცენტრი უნდა მოეწყოს, როგორიც მეორე სართულზეა. როდესაც ქვეყანა აირია და ლუკმაპურის საშოვნელად თბილისში ჩამოვედი, სწორედ ამ ბაზარს მოვაშურე და 1992 წლიდან აქ ვაჭრობით ვირჩენ თავს. მაშინ ჩვენ ვიცოდით, რომ ბაზარი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. 5-6 წლის წინ კი, ხმა გავრცელდა, რომ ის ვიღაცამ მიზერულ ფასში შეისყიდა და ამ ვიღაცის ვინაობა ჩვენთვის დღემდე უცნობია. ბაზრის ფაქტობრივი მმართველი, ადმინისტრაცია გახდა და სავაჭრო ადგილები თავიდან გაიყიდა. თუ გინდოდა კარგ ადგილას გევაჭრა, შესაბამისად ბევრი ფული უნდა გადაგეხადა და ა.შ. ამ წლების მანძილზე, ერთი სავაჭრო ადგილი 4-5-ჯერ იყიდებოდა. როდესაც ბაზრის მეორე სართულზე სარემონტო სამუშაოები დაიწყეს, პირველმა სართულმა მხოლოდ იქ მოვაჭრეთა მესამედი დაიტია, დანარჩენი კი, ფაქტობრივად ქუჩაში აღმოჩნდა. იცით, ამის გამო, რამდენი თანამშრომელი დავკარგეთ? ზოგს ნერვიულობისგან გულმა უმტყუნა, ზოგს კი – ნერვებმა... ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გვჯეროდა, რომ ჩვენი პრობლემა რაღაც ფორმით მაინც მოგვარდებოდა. ყველას ახსოვს, რას ჰპირდებოდა საკაშვილი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს. საუბარი კი, ე.წ. თანამედროვე ბაზრის მშენებლობის შესახებ, კვლავ გრძელდება. ერთი მითხარით – ვინ შემოუშვებს მერე იმ კომფორტულ ბაზარში მემწვანილეს ან ათასი წვრილმანის გამყიდველს? ბიზნესცენტრის მხრიდან ჩვენთვის კარის ამოქოლვასაც კი აპირებდნენ – იქ მიმავალი ხალხი აქ რომ არ შემოვიდესო!.. მიმაჩნია, რომ ეს ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე სუფთა და მოწესრიგებული ბაზარია და ვინ რას დაინახავს აქ ისეთს?.. უამრავი ელჩი და მაღალი რანგის წარმომადგენელი სტუმრობს ყოველდღიურად ამ ბაზარს, პრეზიდენტის მეუღლეც ჩვენი ხშირი სტუმარია. აქ 200-მდე მოვაჭრეა და თითოეული ჩვენგანის უკან ოჯახი დგას. გარწმუნებთ, რომ სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენი სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად!.. ისიც კი გავიგეთ, რომ სპეცრაზმით აპირებენ ჩვენს გაყვანას. პრეზიდენტს ვთხოვთ, რომ მოგვისმინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა.

— მესხიშვილი რატომ გამოაგდეთ ბაზრის ტერიტორიიდან?

– ცოტა ხნის წინ, ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელთან გვქონდა მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ 3 წლის განმავლობაში აქ ვაჭრობის უფლებას მოგვცემდნენ, ამ ხნის მანძილზე კი, თავად მოძებნიდნენ ჩვენთვის ტერიტორიას. უნდა გითხრათ, რომ შევთანხმდით და 3 წლით ხელშეუხებლობის გარანტიაც კი მივიღეთ, მაგრამ ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ

დავით მესხიშვილი გვეწვია უსაფუძვლო პრეტენზიებით. ამიტომ მივიჩნიეთ, რომ მისი რეიდი პროვოცირებული იყო და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ დაგვარბიონ. დახლმაცივართან იდგა და მის დანიშნულებაზე გველაპარაკებოდა.

არ მოვერიდებით იმ ბაზრების დახურვას, რომლებიც ჩვენს პირობებს არ შეასრულებენ

ჩვენ მრავალი წელია, აქ ვმუშაობთ და მშვენივრად ვიცით ყველაფერი, მაგ თანამდებობისთვის შეუფერებელმა ბიჭმა რომ არ გვასწავლოს... უამრავი ადამიანის თანხლებით მოვიდა. თავიდან ვფიქრობდი, არ ჩავრეულიყავი ამ აურზაურში, დედაშვილურად ვთხოვე, გამომყოლოდა და პირადად შემოვატარე მთელი ბაზარი. მაგრამ ტელევიზიით მხოლოდ ჩხუბი აჩვენეს!.. მხოლოდ ბრმა ვერ შეამჩნევს, რომ სხვა ბაზრებთან შედარებით, ჩვენ გაცილებით უკეთესი პირობები გვაქვს. ეს მესხიშვილი კი, მაინც იმას გაიძახოდა — ყველაფერი აიღეთ და გადაყარეთო... მერე თავი ვეღარ შევიკავე, ხელი მოვკიდე და... აღარც მახსოვს, რა გავაკეთე. მხოლოდ ის მახსოვს, ბაზრის კართან რომ მივიყვანე. მინდოდა, ხელში ამეყვანა და მანქანასთან გადამეგდო, მაგრამ ხელიდან გამომგლიჯეს. მერე კი, ჩემი თავი ტელევიზორში რომ ვნახე, ძალიან შემრცხვა.

დავით მესხიშვილი:

— ჩვენ მიერ განხორციელებულმა რამდენიმე რეიდმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ თბილისში პრაქტიკულად არ არსებობს ბაზარი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებსა და წესებს. ჩვენი მიზანია, რომ იმ მალფუჭებადი პროდუქციის რეალიზაცია, რომელიც დახლებზე, მზის გულზე აწყვია, დახლმაცივრებიდან ხდებოდეს. ჩვენ არ ვებრძვით მხოლოდ რეალიზატორებს და მკაცრად ვაყენებთ ბაზრების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხს. ისინი ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ რეალიზატორები შესაბამისი პირობებით. ხშირია შემთხვევა, როდესაც აქვთ დახლმაცივარი, მაგრამ არ ამუშავებენ, იმ მიზეზით, თითქოსდა ჯერ არ ცხელაო.

— იქნებ, მიზეზი ის არის, რომ დენის ტარიფია საკმაოდ მაღალი და დამატებით ხარჯებს ერიდებიან?

— თუ ასე ვიმსჯელებთ, ჩვენ გაცილებით სერიოზული მიზეზების დასახელება შეგვიძლია. მარტო ის რად ღირს, რომ მოქალაქეები ყოველდღე იწამლებიან.

— რა სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართავთ?

— პირველადი დაჯარიმება 100 ლარს ითვალისწინებს, მეორადი — 500-ს, მესამედი კი — 1.500 ლარს. თუმცა, თუ მდგომარეობას კატასტროფულად ვაფასებთ, შეგვიძლია, მივმართოთ სასამართლოს და ბაზრისთვის რეალიზაციის უფლების შეწყვეტის საკითხიც დავსვათ.

— რას გვეტყვით იმ კონფლიქტის თაობაზე, რომელიც თქვენსა და მოვაჭრეებს შორის მოხდა?

— რეალიზატორების მხრიდან წამოსული აგრესიის მიზეზი იყო გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ბაზრის დასაკეტად ვიყავი მისული. ამ ადამიანებმა მაშინ ფაქტობრივად, საკუთარი თავის გადასარჩენად იბრძოლეს.

— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამ ბაზრის შესახებ?

— როგორც ჩემთვის არის ცნობილი, თავად ბაზრის დირექციაა დაინტერესებული, რომ ისევე, როგორც მეორე სართულზე, ქვემოთაც კომფორტული ბიზნესცენტრი გაკეთდეს. ბაზრის დირექციას საკუთარი დახმარება შევთავაზე — შემიძლია, სანიტარული ნორმებისა და წესების დაცვის თვალსაზრისით რჩევები მივცე. მოვაჭრეებს კი ბაზრის ტერიტორიის დატოვება არ სურთ, რადგან იმედი არა აქვთ, რომ მათ შესაბამისი ტერიტორიებით დააკმაყოფილებენ.

— როგორ აპირებთ, საკოლმეურნეო ბაზრის გაკონტროლებას? აგრესია ხომ ჯერ არ განელებულა?..

— მქონდა საუბარი ბაზრის დირექტორთან და მან ითხოვა გარკვეული ვადა შესაკეთებელი სამუშაოების ჩასატარებლად. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მან თხოვნით მიმართა ქალაქის მთავრობას — დაეხმაროს რეალიზატორთათვის სხვა ადგილის გამოყოფით. ჩვენ კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მდგომარეობის გამოსწორებამდე სისტემატურად ვაჯარიმოთ ბაზრის ადმინისტრაცია.

— კიდევ სად გეგმავთ რეიდებს და ხომ არ აპირებთ რომელიმე კონკრეტული ბაზრის დახურვას?

— გარწმუნებთ, რომ არ მოვერიდებით იმ ბაზრების დახურვას, რომლებიც ჩვენს პირობებს არ შეასრულებენ. უახლოეს მომავალში გამოგვაქვს დადგენილება კვების რამდენიმე ობიექტთან დაკავშირებით, რომლებშიც დარღვეულია სარეალიზაციო პირობები და ურიცხვი მომხმარებელი ჰყავს. მოსალოდნელ რეიდებს კი, წინასწარ ვერ გავამჟღავნებთ, ვინაიდან რამდენჯერაც გაიპარა ინფორმაცია, ობიექტზე მისულებს, ცარიელ დახლებთან მდგომი მოვაჭრეები დაგვხვდნენ. როდესაც უსაქმოდ დგომის მიზეზს ვეკითხებოდით, ამბობდნენ: ადგილს ვინარჩუნებთო...

■

ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ ერთი რამ გვესმის — ბაზრის პირველი სართული უნდა დაიკეტოს და მის ადგილას ისეთივე, ევროპული სტანდარტების ბიზნესცენტრი უნდა მოეწყოს, როგორიც მეორე სართულზეა

ყმაწვილმა მომღერალმა „სასიძომ“ ჯაბა ძარსელაძემ უამრავი გამოხმაურება მიიღო და მისი გულისთვის შეყვარებულებმა ლამის ერთმანეთს „დასცხეს“ კიდეც. აი, როგორი „მესიჯი“ მივიღე საბერ-ძნეთიდან: „ჯაბა, ძალზე საყვარელი ტიპი ხარ. მიყვარხარ, როგორც მომღერალი. გისურვებ წარმატებებს... მარი, იცი, გუშინ რა დამემართა? მე და ჩემი შეყვარებული „გზის“ საყიდლად წავედით. გზაში ვუთხარი — „სასიძო“ უნდა ვნახო, მაინტერესებს-მეთქი. როგორც კი ჟურნალი ვიყიდე, მაშინვე „სასიძოს“ დავუწყე ძებნა. ჩემს შეყვარებულს კი გული გაუსკდა, თუმცა, რომ მიხვდა, რომელ „სასიძოზეც“ ვამბობდი, მერე გულიანად იცინა... აბა, კარგად! ძალიან მინდა, რომ „გზა“ ხუთშაბა-თობით ვიყიდო ხოლმე, მაგრამ აქ პრესა მხოლოდ კვირაობით ჩამო-დის. მიყვარხართ. ნათია. საბერძნეთი“.

ახლა კი, დანარჩენ გამოხმაურებებს გადავხედოთ.

„ეს ძალიან მაგარი ნაშა, მაგრამ...“

მარი ჯაფარიძე

„ჟურნალით გაცნობილი გოგონა შენი საცოლე რომ გახდება, ეს ხომ ზღაპარია? მინდა, რომ ამ ზღაპრის ფერია მე გავხდე. სალი“.

„ჯაბა, ვარ შენი უბნელი. არ მიყვარხარ, მაგრამ რომ შეგხვდები, გაგიცნობ და იქნებ, რაიმე გამოგვივიდეს! თავს არ ვიფასებ, ყველა შენს მოთხოვნას ვაკმაყოფილებ. არ დამკარგო. თიკუნა“.

„ჯაბა, ძალიან მომწონხარ. მეუბნებიან, რომ ვარ ულამაზესი გოგონა. დარწმუნებული ვარ, მოგეწონები და იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ ერთმანეთს კარგად გავუგებთ“.

„იცი, ჯაბა, მართლა არ მეგონა, ასეთი ჯიგარი თუ იყავი. გამოხმაურებას არ გთხოვ, უბრალოდ, გისურვებ შენი სიცოცხლის ისე გატარებას, რომ უსიყვარულოდ არც იფიქრო, ვინმეს აკოცო. მგონი, შემიყვა... ხატია“.

„არ მითხრა, ნახვამდისო, არ მინდა, წახვიდე, მე ხომ სიყვარული შენგან გავიგე. ნუ მეტყვი, მომბეზრდიო, ამას ვერ ავიტან, თვალებს დაგიკოცნი და გულში ჩაგიკრავ“. ჯაბას გორელი თეოსაგან“.

„ჯაბა, ვერ გეტყვი, შენი „გიჟი“ ფანი ვარ და თუ არ მნახავ ან არ დამირეკავ, თავს მოვიკლავ-მეთქი. მე მხოლოდ მეგობრობა შემიძლია. შენი ინტერვიუ წავიკითხე, ძალიან მომეწონა და თუ როკერ გოგოსთან მეგობრობას მოინდომებ, დამეკონტაქტე. ზაფხულში ბათუმში თუ ჩამოხვალ, კარგ როკმუსიკასაც მოგასმენინებ“.

„მინდა გითხრათ, რომ იმ ქუთაისელ გოგონას ნამდვილად კარგი „სასიძო“ შეურჩევია. დიდი ხანია, ჯაბა ძალიან მიყვარს. ყოველთვის ვესწრები იმ კონცერტებს, რომლებშიც ჯაბა მონაწილეობს, მაგრამ მისი გაცნობა ვერასდროს მოვახერხე. ჯაბა, ძალიან კარგი და საყვარელი ხარ. სწავლა მეც მიყვარს. მეც შენსავით ხუთოსანი ვარ. მიყვარხარ“.

„მარი, მიშველე, რა?! თქვენი „სასიძო“ ძალიან... და თანაც უიმედოდ მიყვარს“.

„ჯაბა, გეთანხმები — ჩვეულებრივი ბიჭი ხარ. არ ვეცემით და არ ვგიჟდებით შენზე, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ძალზე საყვარელი ლოყები გაქვს. ბუბუ, ჯიმშო და ნატუკა“.

„შენ ახლა ჩემგან სადღაც შორსა ხარ, ფიქრობ და შენთვის ვარსკვლავებს ითვლი, ძილისფერია ირგვლივ ყოველი“. ჯაბა, მიყვარხარ.“

„ჯაბა, ჩემო ოცნებავ, უფრო მეტ წარმატებას ვისურვებდი შენთვის. როგორ დაგივიწყო, როგორ არ მიყვარდე, როცა სიყვარული შენით შემიგრძნია?“

„ჯაბა, მინდა გითხრა, რომ მე არ მივეკუთვნები იმ გოგონათა რიგს, რომლებიც შენზე გიჟდებიან, რადგან ვიცი, რომ ამას აზრი არ ექნება. უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ დიდ პატივს გცემ“.

„ჯაბა, ძალიან მინდა შენი გაცნობა... ვარ ძალიან მაგარი ნაშა, მაღალი, ლამაზი და მომხიბლავი. შემხვდები?“

„შენ რომ დაიბადე, წვიმდა. ეს უბრალო წვიმა არ იყო — მთვარე ტიროდა, რადგან დაკარგა საუკეთესო ვარსკვლავი, რომელიც მე ვიპოვე. ზიზუ“.

„არასოდეს დაგავიწყდეს, რომ შენც პატარა დაიბადე. არ შეიცვალო...“

„ჯაბა, ძალიან მომწონხარ და მინდა, გაგიცნო, თუნდაც, ტელეფონით. იმედია, დამირეკავ 17 ივნისს, რადგან დაბადების დღე მაქვს. თუ არა და, არც თავს მოვიკლავ და არც წყალში გადავხტები“.

„სიყვარული მომაჯადოებელი ყვავილია, მაგრამ საჭიროა დიდი გამბედაობა, რომ მიხვიდე და მოწყვიტო იგი, უფსკრულის პირზე... სალო“.

„ვიცი, მიყვარხარ და ეს მაწამებს, ჩემს ფარულ მზერას განა ვერა გრძნობ? შენ გესმის ჩემი გულის ჩურჩული, გესმის და მაინც ვერ მითანაგრძნობ!“ ჯაბას დეასაგან“.

„აუ, ჯაბა, შენ რა ლამაზი, ჭკვიანი და „სექსი“ ხარ! მეტი რა უნდა გინდოდეს ადამიანს?! მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ ახლა შენთვის არ მცალია, თორემ, ხელიდან არ გაგიშვებდი. გისურვებ ოცნებების ასრულებას“.

„ჯაბა, ძალზე მომწონხარ. ვაფასებ იმ უდიდეს ნიჭს, რომელიც შენ გაქვს. ჩვენ ერთ კორპუსში ვსწავლობთ და ხშირად გხედავ ხოლმე. დამირეკე და ვიმეგობროთ. ნანიკო“.

„პრივეტ!“ აუ, ჯაბას ჰკითხეთ, პანკი გოგოს გაცნობა არ უნდა? არ უნდა, ცხოვრებაში მაგარი ცვლილება მოახდინოს?“

„ჯაბა, ვაფრენ შენზე! უზომოდ მიყვარხარ. ვარ 17 წლის. მარი, გთხოვ და გევედრები, გამომიქვეყნე ეს „მესიჯი“.

„ოჰ, ჩემო ჯაბა, ენით აღუწერლად მიყვარხარ. შენ კი არ მიცნობ და ალბათ, ვერც ვერასოდეს გამიცნობ. აი, მხოლოდ ამაზე მტკივა გული“.

„ჯაბა, ჩემს დაქალს ძალზე მოსწონხარ. მართლაც, ლამაზი, ერთგული და განათლებული გოგოა. მომავალში მომღერლობას აპირებს. იმედია, გაგიცნობ. თათა.“

„რატომ ყველა ლამაზ თვალებს დაეძებს? რატომ ყველა ლამაზ ტუჩებს ეხება? ულამაზომ ნეტავ, რა დააშავა, სიყვარული ნუთუ მას არ ერგება?!.“ ჩემო კარგო, შენ რომ ამბობ, გოგო აუცილებლად ლამაზი უნდა იყოსო, ეს ასე არ არის. ხომ შეიძლება, ხორცით კი არა, სულით იყოს ლამაზი?! რა, არ მეთანხმები?“

„ჩემი თავის რა მოგახსენო, მაგრამ ჩემს დაქალს ისე უყვარხარ, რომ ტელევიზორში რომ გხედავს, ეკრანთან ჯდება და თითებით გეფერება. ცხოვრებაში რომ გხვდება, უკან დაგყვება სულ“.

■



დღეს ჩვენი „სასიძო“ თვით კოტე გახლავთ. წინასწარ გეტყვით, რომ ასეთი სიტყვაძვირი და მორცხვი „სასიძო“ ჯერ არ გვყოლია. როდესაც სიტყვა ქალებზე ჩამოვუგდე, დაიმორცხვა და მხოლოდ ორიოდე სიტყვით აღწერა, როგორი ქალები მოსწონს. ბოლოს, იძულებული გავხდი, ქართველი თუ უცხოელი ვარსკვლავების ფოტოები მეჩვენებინა და სასურველი ქალის ტიპაჟის ჩვენება მეთხოვა. კოტემ თითი ნიკოლ კიდმანის ფოტოს დაადო. შემდეგ, ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სხვა შიშველი ლამაზმანის სურათიც (რომლის ფოტოც ჩვენი ჟურნალის გარეკანზეა) უჩვენა. თვით მორცხვმა „სასიძომაც“ თავი ვერ შეიკავა და — ...უუჰ-ო! — ამოიოხრა...

გოგონებო, ჯერ მისი ინტერვიუ წაიკითხეთ და შემდეგ — თქვენი აქტიურობის იმედი გვაქვს, თორემ, დაგვრჩება ეს კაცი უცოლოდ...

...უუჰ! ალუ ო

ტოორ ქალდეტი ბოსწოოს თვით ქოუტეს

და ისტომ უქვიტინებდა ანი გიუნტერს

მარი ჯაფარიძე

— **კოტე, თავდაპირველად შენი ოჯახი გაგვაცანი.**

— ვცხოვრობ დედასთან და მამასთან ერთად. დედისერთა ვარ. ჩემი მშობლები ამჟამად უმუშევრები არიან და ოჯახს მე ვინახავ...

— **დაგვიხასიათე შენი თავი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხრიდან.**

— ჩემს თავზე ლაპარაკი მიჭირს. საქმის ბოლომდე მიყვანა რომ მიყვარს, ეს კარგია. თუ ამის შესაძლებლობა მაქვს, არავითარ შემთხვევაში წამოწყებულ საქმეს შუა გზაში არ მივატოვებ. ვარ კეთილი და ესეც კარგია. ცუდი ის მაქვს, რომ ძალზე ფიცხი ვარ და იოლად მომდის გული. მართალია, ხშირად არ ვბრაზდები, მაგრამ თუ გავბრაზდი, მერე ოო-ო!..

— **წყენას იოლად ივიწყებ?**

— კი, ძალიან იოლად. გულში ბოღმას არასოდეს ვიტოვებ.

— **ბუზღუნა ხარ?**

— იშვიათად ვბუზღუნებ.

— **მამაკაცების უმეტესობა ასეთია — თუ შია, ცუდი განწყობა აქვს...**

— თუ ძალიან მშია, მეც ცუდ ხასიათზე ვდგები. თუ ცოტა მშია, მაშინ — არა.

— **გაბრაზებას როგორ გამოხატავ? გინება თუ გჩვევია?**

— ბავშვობაში, მუშტი-კრივიც გამიმართავს. ახლა უკვე — აღარ. ვინც გამაბრაზებს, მხოლოდ მასზე ვიყრი ჯავრს. სხვაზე ბოღმის გადმონთხევა არ მჩვევია. უბრალოდ, შეიძლება, თვითონ შენიშნონ, რომ ხასიათზე ვერ ვარ.

— **რამდენი წლის ხარ?**

— 26-ის.

— **ტელეკომპანია „202“-ში მუშაობ. ხელფასით კმაყოფილი ხარ?**

— კი. 100 დოლარი მაქვს ჯამაგირი.

— **ვინ არის ის ადამიანი, რომლის აზრსაც შენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?**

— ყველას მოვუსმენ, მაგრამ თუ ჩემთვის მათი აზრი მისაღები არ არის, მაინც ისე მოვიქცევი, როგორც მე მსურს. ბრმად არავის აზრს არ ვენდობი.

— **ჯიუტი ხარ?**

— კი. თუ რაიმე მოვიწადინე, აუცილებლად მივაღწევ. ვერავინ მაიძულებს ის საქმე გამაკეთებინოს, რაც არ მინდა. სიტუაციას გააჩნია: თუ შემიძლია, რომ ჩემი აზრი ბოლომდე გავიტანო, აუცილებლად გავიტან.

— **ოჯახში ყველაზე ხშირად რის გამო გსაყვედურობენ?**

— რა ვიცი... სხვადასხვა რამის გამო. თუ ხასიათზე არ ვარ, შესაძლოა, ჩემი ტანისამოსი მივყარ-მოვყარო და ამის გამო მივიღო საყვედური. თუ არა და, ყველაფერს თვითონ ვაწესრიგებ.

— **ტელევიზიაში მუშაობამ მეტისმეტად პოპულარული გაგხადა. როგორ ეგუები ვარსკვლავობას?**

— მომწონს, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს: ხანდახან მსიამოვნებს, როცა მცნობენ, ხან კი, ყურადღების ცენტრში ყოფნა სულაც არ მინდა. ვფიქრობ ხოლმე — ნეტავ, ცოტა დამასვენა-მეთქი...

— **უცხო ადამიანები ქუჩაში გაჩერებენ?**

— კი, მაჩერებენ ხოლმე და ავტოგრაფს მთხოვენ. ზოგს ჩემი გაცნობა უნდა, ზოგს გამოლაპარაკების სურვილი აქვს, ზოგიერთი კი ჩემს თანამშრომლებზე გამომკითხავს ხოლმე ამბებს.

— **ოჯახის წევრები ცოლის მოყვანას არ გაძალებენ?**

— კი. ხშირად მეუბნებიან — დროა, ცოლი მოიყვანოო, — მაგრამ მე არ ვჩქარობ. თუმცა მიმაჩნია, რომ მართლაც დროა, დავოჯახდე...

— **როგორი ქალები მოგწონს?**

— ძალიან მომწონს ლამაზი და მიმზიდველი ქალბატონები, მაგრამ მათ სულიერ მხარესაც დიდ ყურადღებას ვაქცევ. მომწონს ისეთი გოგონები, რომლებთან ურთიერთობაც თავისუფლადაა შესაძლებელი. არც ძალზე წყნარი გოგონები მომწონს და არც „ნაგლი“ — საშუალო, უკომპლექსო და უშუალო. რაც მთავარია, ქალი ანჩხლი და ავი არ უნდა იყოს. არც ძალზე დამთმობი გოგონები მხიბლავს, ცხვარივით რომ გაგყვებიან ყველგან.

— **ცოლს მუშაობის უფლებას თუ მისცემ?**

ბავშვებთან ერთად, ავტოგრაფის მიცემისას

— კი, რატომაც არა? მე თვითონ შევუწყობ ხელს, რომ იმუშაოს.

— ამას წინათ, „მუსკულების“ გადაღებაზე ვიყავი და შევესწარი მომენტს, როცა ანი გიუნტერი ოთახში ტანისამოსს იცვლიდა, შენ კი მეორე ოთახიდან ჩუმად უჭვრიტინებდი. ანიმ იგრძნო და იქიდან კინწისკვრით გამოგაგდო... ხშირად იქცევი ასე?

— არა, ეს პირველი შემთხვევა იყო და შონზომ მიბიძგა ასეთი საქციელისკენ, შემაგულიანა და მეც ვუჭვრიტინებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერი დავინახე. ეს ხუმრობა იყო: გვაინტერესებდა, რა რეაქცია ექნებოდა ანის.

— ანსნაირი გოგონები თუ მოგწონს?

— კი, ანი ლამაზი გოგოა და ძალიან მომწონს.

— „მუსკულების“ რამდენიმე სერიაში შენც მონაწილეობდი, ხომ?

— კი, ორ სერიაში გადამიღეს: ერთში ანის საქმროს ვთამაშობდი და ანის ვიწუნებდი, მეორეში კი — მუნჯის როლს ვასრულებდი... ეს ზამთარში ხდებოდა. გარეთ ციოდა, მე კი სკამზე ვიჯექი და სკილის *(გასანათებელი მოწყობილობა. — ავტ.)* შუქზე ვთბებოდი. ისე მოვითენთე, რომ ძილი მომერია, თვალები დამეხუჭა და „წამაკიმარა“. ოპერატორმა დააფიქსირა და მერე ამაზე ყველამ ბევრი იცინა.

— ქეიფი თუ გიყვარს და ბევრს თუ სვამ?

— ქეიფი მიყვარს, მაგრამ ბევრს ვერ ვსვამ. ცოტას რომ დავლევ, მერე სულ ვცეკვავ და ვმღერი.

— მოდი, ბავშვობაში განცდილი გრძნობის შესახებ გვიამბე...

— პატარა რომ ვიყავი, ერთი ლამაზი გოგო შემიყვარდა. ჩემი თანაკლასელი იყო, მაგრამ გრძნობა ვერასოდეს გავუმხილე... მერე აღმოჩნდა, რომ ძალზე ბევრ ბიჭს ჰყვარებია. მე ხელმოცარული დავრჩი, მაგრამ მარტო მე არა — ჩემთან ერთად ბევრი მისი თაყვანისმცემელი დარჩა პირში ჩალაგამოვლებული.

— „202“-ში როგორ მოხვდი?

— თავდაპირველად, ტექნიკურ სამსახურში ამიყვანეს, სადაც ახლაც ვმუშაობ. მაგრამ თან, სხვადასხვა გადაცემაშიც ვმონაწილეობ.

— პროფესიით ვინ ხარ?

— დავამთავრე პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. პროფესიით ტელერადიოკომუნიკაციის ინჟინერი ვარ.

— სხვა ტელევიზიამ რომ შემოგთავაზოს თანამშრომლობა, დათანხმდები?

— ასეთი შემოთავაზება ორი სატელევიზიო არხიდან მქონდა, მაგრამ მე „202“-ის ერთგული დავრჩი. მეორე სამსახურიც მაქვს: სატელევიზიო ანძაზე ვმუშაობ, ტექნიკურ ხარვეზებს ვასწორებ.

— ტელევიზიაში ბევრი ცნობილი ადამიანი მოდის. მათთან თუ ურთიერთობ?

— „მუსკულებში“ ხშირად იწვევენ ხოლმე მსახიობს ან შოუბიზნესის ვარსკვლავს. მათთან არ ვკონტაქობ, მაგრამ „დებატებში“ ბევრი პოლიტიკოსი ღებულობს მონაწილეობას და მათ ყოველთვის ვესაუბრები ხოლმე.

— საინტერესო თავგადასავალიც გექნება, რომელიც მოსაყოლად ღირს...

— ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელიც სტუდენტობის დროს მოხდა. სამხედრო სწავლებას გავდიოდით და ლექტორმა ოცეულებად დაგვანაწილა. ჩვენი ოცეული მწყობრად სიარულს სწავლობდა, მაგრამ ფეხარეულად მივაბიჯებდით, თანაც — უხალისოდ. ამ დროს, ლამაზმა, მოკლეკაბიანმა გოგონამ გამოიარა და მთელი ოცეული უკან გავყევით გამართული, სამწყობრო ნაბიჯით. ლექტორმა კი დაგვიცაცხანა: აკი, არ შეგეძლოთ, წესიერად გაგვევლოთ?! ახლა ხომ კარგად შეძელითო!..

— რას ვერ აპატიებ საყვარელ ქალბატონს?

— ღალატს.

— შენ თუ ხარ ერთგული კავალერი?

— კი, ძალზე ერთგული ვარ.

— ტყუილის თქმა გიყვარს?

— არა, მაგრამ ხანდახან ტყუილიც საჭიროა. როცა მჭირდება, ვიტყუები კიდეც.

— რატომ ხარ ასეთი სიტყვაძუნწი?

— ხომ გაგიგონიათ — „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“?! ამიტომ ჯობს, ცოტა ვილაპარაკო...

— უკაცრიელ კუნძულზე ორი კვირით რომ წახვიდე, თან რომელ ქალს წაიყვანდი?

— *(დაფიქრდა)* არ ვიცი, ვერ ამოვარჩევ. ალბათ, რამდენიმე ქალს წავიყვანდი, ერთი ცოტაა... თუმცა, არც ერთზე არ დავქორწინდებოდი. ცოლად უფრო წყნარ და კდემამოსილ გოგოს მოვიყვან.

— შენი ნება რომ იყოს, რომელ თანამდებობას აირჩევდი? ვთქვათ, კავშირგაბმულობის დეპარტამენტის უფროსობაზე დათანხმდებოდი?

— არა, არც ერთ თანამდებობაზე არ დავთანხმდებოდი, რადგან ეს ძალზე შრომატევადი სამსახურია და საპასუხისმგებლოც. ვფიქრობ, მე ვერ გავუძღვები. ამიტომ არც მინდა.

— გარიგებით ქორწინებაზე რა აზრის ხარ?

— გაჩნია, რა შემთხვევაში. თუ გოგოს და ბიჭს ერთმანეთს გააცნობენ და მერე თვითონ გადაწყვეტენ, ერთად იქნებიან თუ არა, მაშინ მისაღებია. თუ იმ მიზნით გააცნობენ, რომ იმ დღესვე ცოლად უნდა მოიყვანოს, ეს უკვე მიუღებელია. მე

პირველი შემთხვევა იყო და შონზომ მიბიძგა ასეთი საქციელისკენ, შემაგულიანა და მეც ვუჭვრიტინებდი, მაგრამ...

ცოლს ქართული, ტრადიციული წესით მოვიყვან: გოგონას მშობლებთან მივალ და მის ხელს ვთხოვ. ჩემი ქორწილი კი, თეთრკაბიან პატარძალთან ერთად, დიდი ზეიმის თანხლებით წარმომიდგენია. პატარძლის წამოსაყვანად ლიმუზინით მივალ, თუ ზაფხული იქნება — ფაეტონით.

— ბედისწერის თუ გჯერა?

— მჯერა იმის, რომ ადამიანი უნდა „წაეხმაროს“ თავის ბედს. ხომ იცით — კაცი რომ იხრჩობოდა და ღმერთს შესთხოვდა, მიშველეო, ღმერთმა კი უთხრა: ხელი გაანძრიე და გეშველებაო... ასეა ყოველთვის: ბედისწერას ცოტა უნდა „მიეხმარო“ და ყველაფერი კარგად იქნება.

— შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გაეცნობი?

— კი, აუცილებლად გავეცნობი. მაინტერესებს, ვინ გამომეხმაურება.

ისღა დამრჩენია, რომ შეგახსენოთ: ვისაც კოტე გეგუჩაძესთან დაკონტაქტება გსურთ, შეგიძლიათ, დამირეკოთ ან „დამიმესიჯოთ“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61.

■

ნათია თენიეშვილი

„ვა ბონთა ხორზ“ („დღე მშვიდობისა“) — ასე მიესალმა პირველ ივნისს დღის 2 საათზე საქართველოს ოს მოსახლეობას 18 წლის ბელა მაღლაფერიძე. ერთი წლის წინ, როცა იგი უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აბარებდა, ვერც კი წარმოედგინა, რომ კარიერას პირდაპირ „მოამბის“ წამყვანობით დაიწყებდა.

„ვა ბონთა ხორზ“

- ჩას ამბობს ოსეტიანოვანი „მოამბის“ წამყვანი?!

იმ დღეს, როცა საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა — ხვალიდან საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ოსური „მოამბე“ გავა ეთერშიო — „მთავარი რადიოს“ გენერალური დირექტორი — დოდო შონავა დაუკავშირდა „კავკასიური სახლის“ ოსური სექტორის გამგეს, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს — ნარა ბეპიევას და სთხოვა, სასწრაფოდ ჩამოეყალიბებინა ჯგუფი „მოამბის“ ოსური ვარიანტის მოსამზადებლად. შემოქმედებითი კოლექტივი იმავე ღამეს დაკომპლექტდა იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ქალბატონი ნარა „კავკასიის სახლში“ გამართული შეხვედრებიდან იცნობდა და ვისი შემოქმედებითი შესაძლებლობებიც კარგად მოეხსენებოდა. ბელას მან ღამის პირველ საათზე დაურეკა და სთხოვა, ტელევიზიაში მისულიყო...

— დავიბადე თბილისში, შერეულ ოჯახში: დედა ოსი მყავს, მამა — ქართველი, ბებია კი — უკრაინელი. ასე რომ, ჩემს ოჯახში ძალიან საინტერესოა ცხოვრება. როდესაც ტელევიზიით მოვისმინეთ, რომ მეორე დღიდან „მოამბე“ ოსურ ენაზეც უნდა გასულიყო ეთერში, ოჯახს ძალიან გაგვიხარდა, თუმცა ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ პროგრამის წაყვანა მე მომიხდებოდა. როცა ქალბატონმა ნაირამ დამირეკა, მე და დედა სასწრაფოდ წავედით ტელევიზიაში, სადაც ქალბატონი დოდო შონავა და ბატონი ზაზა შენგელია დაგვხვდნენ. შეამოწმეს, რამდენად ტელეგენური ვიყავი, მაჩვენეს სტუდია, კამერა, „სუფლიორი“, ყველაფერი ამიხსნეს და მითხრეს — ხვალ მოხვალო. არ ვიცოდი, გადაცემას პირდაპირ ეთერში თუ წავიყვანდი. ორს რომ ათი წუთი აკლდა, ჯერ კიდევ ვფიქრობდი — ალბათ, ვიდეოზე ჩაწერენ-მეთქი. უცებ მითხრეს — ხუთ წუთში ეთერში ხარო!.. — არ არსებობს-მეთქი! — თუმცა, მაინც დავჯექი. ძალიან ვღელავდი, მაგრამ გამახსენდა, რომ 5 მილიონი ადამიანი მიყურებდა და შევეცადე, ნერვიულობა არ დამტყობოდა... გადაცემა რომ დამთავრდა, საერთოდ არ მახსოვდა მისი შინაარსი. ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ ამავე დროს — გახარებული. მისალმების ტექსტში ვთქვი კიდეც: ძალიან მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა პატივი, წამეყვანა პირველი ოსური „მოამბე“-მეთქი.

— ოჯახში ოსურად თუ ლაპარაკობთ?

— ოსური ოჯახში ვისწავლე. პატარა რომ ვიყავი, დედა და ბებია ერთმანეთში ოსურად ლაპარაკობდნენ, როცა არ უნდოდათ, რომ გამეგო მათი საუბრის შინაარსი. იმდენად მაინტერესებდა, რომ სიტყვებს ფურცელზე ვიწერდი და მერე ჩემს ოს ნათესავებს ვეკითხებოდი — რას ნიშნავს-მეთქი?.. ახლა მე თვითონაც ველაპარაკები ხოლმე ბებიას ოსურად, როცა არ მინდა, რომ ჩემმა ხუთი წლის დამ გაიგოს, რაზე ვლაპარაკობთ. სამხრეთ ოსეთში რომ ჩავდიოდი, იქაც მიწევდა ოსურად ლაპარაკი. წიგნებსაც ვკითხულობდი ოსურ ენაზე. არსებობს ოსური ენის ორი დიალექტი — „კუდაირაგი“ და „ჩისაინაგი“. ეს ენა რაკი ოჯახში ვისწავლე, ამიტომ კუდაირაგით ვლაპარაკობ. სატელევიზიო ეთერში, რა თქმა უნდა, სალიტერატურო ოსურით საუბარია საჭირო. ეს თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ არ შემეძლო, უარი მეთქვა „მოამბის“ წამყვანობაზე, რადგან იმ მომენტში სხვა კანდიდატურა არ იყო, „მოამბე“ კი — მეორე დღეს აუცილებლად უნდა გასულიყო ეთერში. ეს ჩემი მხრიდან არასწორი ნაბიჯი იქნებოდა. დავთანხმდი იმ პირობით, რომ იმ დღიდანვე დაიწყებდნენ ისეთი წამყვანის ძებნას, რომელიც ლიტერატურული ოსურით ილაპარაკებდა.

— პრეზიდენტმა იმავე დღეს შეაფასა გადაცემა და ისიც აღნიშნა — წამყვანი ძალიან ლამაზი გოგონაა. შენ რა რეაქცია გქონდა?

— მე არ მომისმენია, მაგრამ სიტყვასიტყვით გადმომცეს: უთქვამს, ძალიან სასიხარულო ფაქტია ამ გადაცემის დაბადება და დიქტორიც სასიამოვნო გოგონაა. ძალიან გამიხარდა. ბებუაჩემს, მამაჩემის მამას გადაცემა არ ჰქონდა ნანახი და არ იცოდა, მე თუ მიმყავდა. საკაშვილის შეფასება მოუსმენია და მერე ამბობდა — რა ვიცოდი, ჩემს შვილიშვილზე თუ ლაპარაკობდაო?!

— მამამ თუ იცის ოსური?

— არა, რამდენიმე სიტყვა იცის და შეიძლება, გაჭირვებით გაიგოს წინადადების აზრი. ისე, სულ მეუბნებოდა — ისწავლე, შვილო, ისწავლე — გამოგადგებაო.

— ცხინვალის რეგიონში ხშირად ჩადიხარ ხოლმე ნათესავებთან?

— საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მაქვს მათთან, თვეში ორჯერ მაინც ჩავდივარ. როცა ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო, მაშინ წელიწადში სამ-ოთხჯერ ვახერხებდით ხოლმე. მე ომის პერიოდი არ მახსოვს, მაშინ პატარა ვიყავი. რომ მახსოვდეს, ალბათ ვეცდებოდი, მეხსიერებიდან ამომეშალა. ახლა რკინიგზის გახსნაზეა ლაპარაკი, რაც ძალიან სასიამოვნოა. აქამდე, მანქანით დავდიოდით მე და დედა. ამ ზაფხულს ვფიქრობ, მატარებლით ჩავალ ცხინვალში.

— იქაურმა ნათესავებმა როგორ შეაფასეს გადაცემა?

— ნახეს და ძალიან მოეწონათ. ზოგიერთმა თურმე თავიდან ვერ მიცნო — უი, რა კარგი გოგოაო! — უთქვამთ. მერე, როცა მიხვდნენ, რომ მე ვიყავი, თქვეს — მთლად კარგი გოგო ყოფილაო! გახარე-

ბელა მაღლაფერიძე თანაკურსელებთან და ლექტორთან თამაზ ჯოლოგუასთან ერთად

ბულები არიან. საერთოდ, წინასწარ არავისთვის მითქვამს, მეგობრებმაც არ იცოდნენ, რომ „მოამბეს“ წავიყვანდი. გადაცემა რომ დამთავრდა, ჩემმა მეგობარმა დამირეკა – ტელევიზიის ეზოში ვარ და ჩამოდიო. ნეტავ, რა უნდა-მეთქი? – ვიფიქრე. ის მოცეკვავეა. ეზოში რომ გავედი, ოსური „ფარფლები“ მაჩუქა, რითაც ძალიან გამახარა. საჩუქარი შინ, კედელზე დავკიდე.

— ტელევიზიასთან შეხება არ გქონია და უცებ პირდაპირ ეთერში აღმოჩნდი. რაიმე კურიოზი ხომ არ გადაგხდენია?

– რამდენად კურიოზულია, არ ვიცი: ერთხელ, „სუფლიორი“ გაითიშა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, არ დავიბენი: გადავშალე ფურცლები, მოვძებნე ტექსტი და გავაგრძელე. როგორც მითხრეს, ეს მაყურებლისთვის შეუჩნეველი დარჩა. კიდევ ასეთი შემთხვევა მქონდა: გადაცემის დაწყებამდე ორი წუთით ადრე, „სუფლიორში“ ყველა „ა“-ასოს მაგივრად „შ“ აღმოჩნდა. დრო აღარ იყო, შესწორება ვერ მოხერხდებოდა. არ დავჯდები ეთერში-მეთქი, – ვთქვი, მაგრამ მეტი რა გზა იყო? – უნდა დავმჯდარიყავი და წამეკითხა. ძალიან კი გამიძნელდა – უნდა გამომერჩია, რომელი „შ“ წამეკითხა „ა“-დ და რომელი – „შ“-დ. როგორღაც მოვახერხე და არ შემშლია.

— ახლა უნივერსიტეტში სესიის პერიოდია. მუშაობა სწავლაში არ გიშლის ხელს?

– ტელევიზიაში ჩემი მუშაობის ფაქტს უნივერსიტეტში ყველა დადებითად შეხვდა. ხელშეწყობას დამპირდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვიარო. ახლა საკმაოდ სერიოზული 3 გამოცდა მაქვს. მოსამზადებლად ბევრი დრო მჭირდება. საერთოდ ვფიქრობ, რომ პირველ რიგში, სწავლას უნდა მივხედო. ახლა ჩემს შემცვლელს ეძებენ, როგორც კი იპოვიან, მე დროებით თავს დავანებებ ტელევიზიას და სწავლაზე გადავერთვები. ოსურის გაკვეთილებზეც დავდივარ, რომ ენა დავხვეწო. მერე არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ ტელევიზიაში აუცილებლად დავბრუნდები. ის, რომ მე ახლა „მოამბე“ მიმყავს და რაღაც პერიოდის განმავლობაში წავიყვან, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი კარიერა ფაქტობრივად, უკვე დაიწყო. თანაც ჩემს ბიოგრაფიაში ხომ ჩაიწერება, რომ პირველი ოსური გადაცემა მე მიმყავდა!

საუბრის ბოლოს, ოსური „მოამბის“ რედაქტორს, ქალბატონ ნაირა ბეპიევას ვკითხე – თუ იცის რაიმე იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა ოსი მოსახლეობა ამ ფაქტს.

– გამოხმაურება, რა თქმა უნდა, არის. ბევრი მირეკავს, მათ შორის უმეტესობა ჩემი ნაცნობი და ნათესავია. ამბობენ, რომ მოსწონთ გადაცემა. ზოგი ალბათ უარყოფითადაც შეხვდა ამ ფაქტს. მინდა დავარწმუნო ოსი მოსახლეობა, რომ ამ გადაცემას აბსოლუტურად მშვიდობიანი მისია აქვს. ეს არის ქართული „მოამბის“ ოსური ვარიანტი, თუმცა, რაღაცებს ჩვენი შეხედულებისამებრ ვცვლით. ვიცი, რომ ტერმინი – „სამაჩაბლო“ და „ცხინვალის რეგიონი“ ცუდ განწყობას ქმნის ოს მოსახლეობაში. ამიტომ ეს ტერმინი იცვლება ტერმინით „სამხრეთ ოსეთი“. მიგვაჩნია, რომ ეს ასეც არის. სამაჩაბლო უფრო მცირე ტერიტორიაა, ვიდრე სამხრეთ ოსეთი და მასში არ შედის ჯავისა და ყორნისის რაიონები. აგრეთვე მიმაჩნია, რომ ოსური „მოამბე“ პოზიტიურ როლს შეასრულებს ქართულ-ოსური ურთიერთობის მშვიდობიანად მოწესრიგების საქმეში. ■

„კანონიერ ქურდებთან“ ერთად ნარკომანიაში აჭარელი სამართალდამცავებიც ამხილეს

7 ივნისს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიების შედეგად, სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში ადგილობრივი მცხოვრები, 1960 წელს დაბადებული მერაბ კალისტრატეს ძე ქუჩულორია დააკავეს. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ქუჩულორიას საკარმიდამო ნაკვეთში მათ სპეციალურად მოშენებული 27 ძირი კანაფი (15,4 გრამი) აღმოაჩინეს. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის სენაკის განყოფილება.

იმავე დღეს, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, საგზაო პოლიციის რუსთავის სტაციონარული საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი სამი ახალგაზრდა აიყვანეს – თბილისელი, ვაზისუბნის მე-3 მიკრორაიონში მცხოვრები, 28 წლის გიორგი უშანგის ძე ზერთელაშვილი; მის მეზობლად მცხოვრები, 27 წლის გოდერძი თემურის ძე მღებრიშვილი და ასევე თბილისელი, დიღმის მასივში მცხოვრები, 32 წლის ლევან მერსის ძე ლორთქიფანიძე. შს სამინისტროს ინფორმაციით, გარდა იმისა, რომ ზემოთ ხსენებული პირები ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, თან ჰქონდათ სარეალიზაციოდ გამზადებული, დაფასებული ჰეროინიც. სამართალდამცავებმა 15 „ბაშად“ დაფასებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 31,8 გრამი ჰეროინი პირადი ჩხრეკისას გიორგი ზერთელაშვილისგან ამოიღეს.

ოპერატიული ღონისძიებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც ჩატარდა. 19 და 20 მაისს, საქართველოს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის, აჭარის შს სამინისტროს შესაბამისი სამსახურისა და სააქციო საზოგადოება „ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ თანამშრომლებმა ერთობლივად ჩაატარეს შემოწმება სამართალდამცავებს შორის ნარკომანების გამოვლენის მიზნით. შემოწმების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერების მიღების ფაქტი ათამდე სამართალდამცავს დაუდგინდა. მათ შორის არიან:

აჭარის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს, რკინიგზის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი ა. დევაძე; პორტის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი, პოლიციის კაპიტანი შ. ნათელაშვილი; ხელვაჩაურის შს განყოფილების მახინჯაურის პოლიციის ქვეგანყოფილების საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ჯგუფის ინსპექტორი, პოლიციის მაიორი – დ. ბერიძე; ამავე განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ჯგუფის ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბ. ქორიძე; აჭარის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს ძებნის განყოფილების ინსპექტორი, პოლიციის ზემდეგი მ. დავითაძე; ბათუმის შს სამმართველოს ეკოლოგიური პოლიციის განყოფილების ინსპექტორი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი თ. აბესლამიძე.

ორი დღის შემდეგ – 22 მაისს, ამავე მიზნით შემოწმება ჩატარდა აჭარის შპს „ნარკოლოგიურ ცენტრში“. იქ კი, ნარკოტიკული ნივთიერების მიღების ფაქტი აჭარის შს სამინისტროს საგზაო პოლიციის სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის განყოფილების უფროს ინსპექტორს, პოლიციის უფროს ლეიტენანტს ნ. ქორიძეს დაუდგინდა.

ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკების მიღებისთვის აჭარის შს სამინისტროს 14 ივნისის ბრძანებით, შს ორგანოებიდან სამი თანამშრომელი დაითხოვეს. ესენი არიან: პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ქათამაძე, პოლიციის მაიორი დ. ბერიძე და პოლიციის ზემდეგი მ. დავითაძე. რაც შეეხება მაიორ ა. დევაძისა და პოლიციის კაპიტან შ. ნათელაშვილის თანამდებობებიდან გათავისუფლებას, მათ მიმართ შესაბამისი რეაგირების გასატარებლად მასალები ქვემდებარეობის მიხედვით, საქართველოს შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეგზავნა. პოლიციის უფროს ლეიტენანტ ბ. ქორიძისა და პოლიციის უმცროს ლეიტენანტ თ. აბესლამიძის სამსახურიდან დათხოვნის საკითხზე, საქართველოს შს სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია იმსჯელებს.

აჭარელი სამართალდამცავების გარდა, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურისა და აჭარის უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა, ნარკოტიკების მოხმარებისა და რეალიზაციისთვის, ადგილობრივი მოქალაქეებიც დააკავეს. 15 ივნისს მათ ავთანდილ შოთას ძე ბერიძისგან 6 „ჩეკად“ დაფასებული 0,705 გრამი ჰეროინი, ხოლო სოფელ ურეხში მცხოვრები ასლან ზურაბის ძე სურმანიძისგან 0,26 გრამი ჰეროინი ამოიღეს. სურმანიძის დაკავებაში ხელვაჩაურის შს განყოფილების კინოლოგიის სამსახურის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. ზემოთ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიებას აჭარის შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს.

ამავე ბრალდებით კრიმინალური სამყაროს ორი ავტორიტეტიც დააკავეს. 14 ივნისს, თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში მცხოვრები, ე.წ. „კანონიერი ქურდი“, მრავალჯერ ნასამართლევი, 1970 წელს დაბადებული მამუკა შოთას ძე ირემაშვილი, მეტსახელად სიო აიყვანეს. სამართალდამცავებმა მისგან 0,04 გრამი ჰეროინი ამოიღეს. 15 ივნისს კი, ნარკოტიკების მოხმარებისთვის გორის მკვიდრი, შს სამინისტროს ცნობით, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ზურაბ ბენოს ძე კარელიძე დააკავეს. ამ ფაქტს საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის შს სამხარეო სამსახური იკვლევს. ■

შ.პ.ს. «დელტა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები
მის: მ.ლალიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

„უდანაშაულო შვილი სამი წლის წინ დანგრეული ოჯახის გამო მომიკლეს“

განაჩენის თანახმად, აწ გარდაცვლილმა მსჯავრდებულს სხეული ჩანგლით დაუჩხვლიტა

2002 წლის 10 დეკემბერს, ღამის 2 საათზე, ქარელის №2 საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, 26 წლის დემურ (დემიანე) ბუზიაშვილი მოკლეს. გამოძიებით დადგინდა, რომ იგი სასიკვდილოდ დაჭრეს „ჩერჩილის“ ფირმის, „პომპის“ სისტემის სანადირო თოფიდან გასროლით. როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა განაცხადეს, გარდაცვლილს სხეულზე, კერძოდ ბეჭის ქვეშ და წელის მიდამოში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავალი ჭრილობა აღენიშნებოდა. ბუზიაშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

საქმის მასალების თანახმად, მძიმედ დაჭრილი ექიმებთან თავად მკვლელობაში ბრალდებულმა მიიყვანა, თუმცა ამის შემდეგ საავადმყოფო დატოვა და მიიმალა. ბრალდებული მოკლულის ბავშვობის დროინდელი მეგობარი და მისი ყოფილი ცოლის ბიძაშვილი, ქარელის მკვიდრი, 1976 წელს დაბადებული დავით მსხალაძე გახლავთ.

პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობიდან ორ დღეში მსხალაძე თავისი ფეხით მივიდა პოლიციის განყოფილებაში და სამართალდამცავებს ჩაჰბარდა, თუმცა ბუზიაშვილის განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო. მკვლელობა დაბადების დღის წვეულების შემდეგ მოხდა. ქარელის რაიონული სასამართლოს განაჩენის თანახმად, აწ გარდაცვლილმა მსხალაძეს სხეული სუფრიდან სპეციალურად წაღებული ჩანგლით დაუჩხვლიტა და ისიც იძულებული გახდა, თავი დაეცვა. სასამართლომ განსასჯელს ჩადენილი დანაშაულისთვის ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დღეს პროკურატურა და დაზარალებული მხარე აღნიშნულ განაჩენს აპროტესტებენ, კატეგორიულად უარყოფენ მსხალაძის სიტყვებს, სასამართლოს კი მიკერძოებაში ადანაშაულებენ. დაზარალებულის მტკიცებით, მსჯავრდებულმა მკვლელობა წინასწარი განზრახვით, შურისძიების მოტივით ჩაიდინა. დავით მსხალაძე მოწინააღმდეგე მხარის საპასუხოდ პოზიციას ამჟამად არ აფიქსირებს, თუმცა, ჩვენთვის ცნობილია პირველი ინსტანციის სასამართლოში მის მიერ მიცემული ჩვენების შესახებ, სადაც იგი აწ გარდაცვლილის მხრიდან თავდასხმაზე საუბრობს. როგორც მოკლულის მამა აცხადებს, დანაშაული, წლების წინ მის შვილსა და ყოფილ რძალს შორის წარმოშობილი კონფლიქტის გამო მოხდა.

„*მაშინ ჩემს შვილს ოჯახი დაენგრა. ცოლმა უღალატა და ეს თვითონაც აღიარა. რძლის არც ერთ ნათესავს, მათ შორის, დავით მსხალაძეს მაშინ დემურისთვის საყვედური არ უთქვამს, რადგან ყველამ იცოდა, რომ ის მართალი იყო. ბუნებრივია, შედეგით უკმაყოფილონი დარჩნენ, მაგრამ ამას ჩემი შვილის წინაშე არ გამოხატავდნენ. უკმაყოფილების მიზეზი ჩემს ყოფილ რძალში უნდა ეძიათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მაინც დემურიზე იბოღმებოდნენ... იმ დღეს მსხალაძე დათვრა და უმიზეზოდ აუშარდა დემურს, ურთიერთშელაპარაკებისას მასში სამი წლის მანძილზე დაგროვილმა ბოღმამ იფეთქა და შური იძია. სიცოცხლით სავსე, სრულიად უდანაშაულო შვილი მომიკლა...“* — აცხადებს **ნოშრევან ბუზიაშვილი** — მოკლულის მამა.

მოკლული დემურ (დემიანე) ბუზიაშვილი

ქარელის რაიონულ სასამართლოში აღნიშნული მკვლელობის საქმის განხილვისას, დაზარალებულმა მსხალაძის მკაცრად დასჯა მოითხოვა. პროკურატურამ განასჯელი 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლის შესაბამისად დაადანაშაულა და სასამართლოს მიმართა წინადადებით, მისთვის 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მოსამართლე გიორგი გურასპაშვილმა არც დაზარალებულის და არც პროკურატურის პოზიცია არ გაიზიარა, სამაგიეროდ, სარწმუნოდ მიიჩნია განსასჯელის ჩვენება და განაცხადა, რომ საქმეში არსებული გარემოებები მისი მხრიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაზე მიუთითებს და არა დანაშაულის წინასწარ განზრახვით ჩადენაზე.

ჟორა ლილუაშვილი, დაზარალებული მხარის ადვოკატი:

„*განაჩენი უკანონო და სრულიად უსაფუძვლოა. სასამართლო პროცესზე მოწმეებმა სხვა რამ თქვეს, განაჩენში კი მათივე ნათქვამი სხვაგვარადაა გადმოცემული, საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორადაა წარმოდგენილი. საქმის მასალებიდან გამომდინარე, მსხალაძესა და ბუზიაშვილს კარგა ხანია დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა მანამდე არ უჩხუბიათ. როგორც მოწმეების ჩვენებით ირკვევა, აბესაძეების ოჯახში, ვლადიმერ აბესაძის დაბადების დღის წვეულებაზე დემურ ბუზიაშვილი მეგობრებთან — ალეკო კიწმარიაშვილსა და ოთარ როინიშვილთან ერთად მივიდა. იქ მათ მსხალაძე, ვაჟა სანდოძე, ზვიად სულეიმანაშვილი, გიორგი ჭიპაშვილი და კიდევ სხვები დახვდნენ. ბუზიაშვილი და მისი თანმხლები პირები ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ სუფრის წევრებს. ბუზიაშვილს მხოლოდ მსხალაძისთვის არ ჩამოურთმევია ხელი, რის გამოც ამ*

უკანასკნელმა უსაყვედურა – მე რა დავაშავეო? უკვე დამჯდარი ბუზიაშვილი ადგა, მივიდა მასთან, ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა კიდეც. თუმცა, ეს მისალმება ნაძალადევი იყო. მისი მისვლა მსხალაძეს წლების წინ მომხდარი კონფლიქტის გამო არ ესიამოვნა, მიუსალმებლობამ კი უფრო გააძლიერა მისი წყენა და გააღიზიანა იგი. სწორედ ამ მომენტიდან ჩაესახა მას ანგარიშსწორების სურვილი.

მსხალაძე ქეიფის მსვლელობისას ბუზიაშვილის გამოწვევას ცდილობდა, ჩხუბის საბაბს ეძებდა და უმნიშვნელო მიზეზით უშარდებოდა, თუმცა თანამესუფრეთა აქტიური ჩარევით საქმე ჩხუბამდე არ მისულა. შეკამათების შემდეგ ქეიფი დიდხანს არ გაგრძელებულა".

საქმის მასალების მიხედვით, 2002 წლის 9 დეკემბერს, დავით მსხალაძე, ზვიად სულეიმანაშვილი და ვაჟა სანდოძე ქარელში, რესტორან „ზუკოში" იმყოფებოდნენ. რესტორანი საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის დატოვეს და მსხალაძის ავტომანქანით აბესაძეების სახლისკენ გაემართნენ. მსხალაძეს თან ჰქონდა მასზე ოფიციალურად რეგისტრირებული სანადირო თოფი, ვაზნებიანად, რომელიც აბესაძეებთან მისვლისთანავე ოჯახის დიასახლისს ჩააბარა.

ქარელის რაიონის სასამართლოს განაჩენის თანახმად, ბუზიაშვილთან კონფლიქტის შემდეგ, ცოტა ხანში მსხალაძემ სუფრა მიატოვა, დიასახლისს ჩაბარებული თოფი გამოართვა და სულეიმანაშვილსა და სანდოძესთან ერთად საკუთარი ავტომანქანით სანდოძის სახლისკენ გასწია. გზაში სულეიმანაშვილი სთხოვდა – წვეულებაზე მივბრუნდეთ, მასპინძელს არ დავშვიდობებივართ და უხერხულიაო. სანდოძე შინ დარჩა. უთხრეს, რომ მალე გაუვლიდნენ და სოფელ ბებნისში წავიდოდნენ. მანამდე სანდოძე მსხალაძეს დაჰპირდა – თბილისში წასაღებად საკუთარ აუზში თევზს დაგიჭერო.

აბესაძეების ოჯახში მიბრუნებულ მსხალაძესა და სულეიმანაშვილს, როგორც განაჩენში წერია, დემურ ბუზიაშვილმა საქმის გასარჩევად შეხვედრა დაუნიშნა და ქარელის №2 საშუალო სკოლასთან დაიბარა ისინი. უთხრა მათ, რომ ერთმანეთს ნახევარ საათში შეხვდებოდნენ. მსხალაძემ შეხვედრაზე უარი განაცხადა, მაგრამ ზუსტად შეთანხმებულ დროს, ზემოთ აღნიშნულ ადგილზე იგი მეგობრებთან ერთად მაინც აღმოჩნდა. განაჩენის თანახმად, ეს იმიტომ მოხდა, რომ მსხალაძემ და სულეიმანაშვილმა სანდოძეს სოფელ ბებნისში წასაყვანად მიაკითხეს, უმოკლესი გზა №2 საშუალო სკოლასთან გადიოდა, მსხალაძეც იმ გზით წავიდა, სკოლასთან კი მათ დემურ ბუზიაშვილი თავის ძმასთან – კობა ბუზიაშვილსა და მეგობართან – გიორგი ჭიპაშვილთან ერთად დახვდა.

სასამართლო პროცესზე დასმულ კითხვაზე – თევზის დასაჭერად შუაღამეს რატომ მიდიოდნენ? – სანდოძემ უპასუხა: *„თევზის დაჭერა აუზში ღამით უფრო მოსახერხებელია, რადგან ფარნის შუქზე ისინი ინაბებიან, დღე კი აუზში თევზის დაჭერა ძნელია".*

დაზარალებულის მხარე, ისევე, როგორც პროკურატურა, უარყოფს განაჩენში მოყვანილ ფაქტებს. *„სინამდვილეში, საქმის გასარჩევად დემური თავად დავით მსხალაძემ დაიბარა. უთხრა, რომ 15 წუთში მეორე სკოლასთან დაელოდებოდა მათ"*, – აღნიშნავს მოკლულის მამა. ამ სიტყვებს გიორგი ჭიპაშვილისა და კობა ბუზიაშვილის ჩვენებებიც ადასტურებს.

გიორგი ჭიპაშვილი:

„...აბესაძეების სახლის ეზოში ვიდექი და გავიგონე, რომ მსხალაძემ ბუზიაშვილს უთხრა – მეორე სკოლასთან შევხვდეთო... ამის შემდეგ, შემხვედრი სატვირთო მანქანით წავედით მე და დემური მის ძმასთან – კობასთან".

კობა ბუზიაშვილი, *მოკლულის ძმა:*

„ჩემმა ძმამ გვიან ღამით მომაკითხა. აღელვებული იყო. მითხრა, რომ მსხალაძემ სკოლასთან დაიბარა საქმის გასარჩევად და მთხოვა, გავყოლოდი... წინ გარბოდა, მე უკან მივდევდი. ვცადე, შემეჩერებინა და გამერკვია, რა ხდებოდა, მაგრამ არ მემორჩილებოდა. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მსხალაძის მანქანა ჩემთან გაჩერდა. დემური იმ დროს 10-15 მეტრის მოშორებით იყო. მსხალაძე გადმოვიდა და ვკითხე – რაშია საქმე-მეთქი? ამ მომენტში მოვიდა დემურიც, მსხალაძეს ზურგის მხრიდან თავში ჩაარტყა ხელი. მსხალაძემაც დააპირა, მისთვის დაერტყა, მაგრამ მე არ მივეცი ამის საშუალება და წავაქციე. მსხალაძემ მანქანიდან სანადირო თოფი გადმოიღო და გაისროლა..."

„საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსხალაძე და დემურ ბუზიაშვილი პირისპირ დადგნენ, მათ შუაში ჩაუდგა კობა ბუზიაშვილი. მსხალაძემ ორივე ხელი ასწია დასარტყმელად, მაგრამ კობამ მოახერხა და შეაკავა, რის შემდეგაც ძირს დააგდო იგი. ამ დროს მანქანიდან გადავიდა სულეიმანაშვილი, მივარდა ბუზიაშვილს, ყინულზე გაახოხა და ისე გააშორა ის მსხალაძეს. სწორედ ამ მომენტით ისარგებლა მსხალაძემ, მივიდა თავის მანქანასთან და კარსა და სავარძელს შორის ჩადებულ თოფს სწვდა, აღება დააპირა და პირველი გასროლაც მაშინ, მანქანაშივე მოხდა. კობა დაუსხლტა სულეიმანაშვილს და მაშინვე მსხალაძეს მივარდა, რათა თოფით არ დაეხოცა ისინი, ამიტომაც ზურგის მხრიდან დაუჭირა მკლავები და სკოლის ღობის კედელზე გადააწვინა. მსხალაძემ მაინც მოახერხა, თოფი ხელახლა გადაეტენა..." – აღნიშნავს დაზარალებულის ადვოკატი.

კობა ბუზიაშვილის ჩვენებიდან:

„...მაშინ თოფის ლულა მე მომიშვირა. ჩემთვის ან ჩემი ძმისთვის რომ არ ესროლა, დემურს დავუახე – გაიქეცი, ხომ ხედავ, თოფს გესვრის-მეთქი, თან ხელი ვკარი მსხალაძეს, თავად კი მანქანას ამოვეფარე. სწორედ ამ დროს დავინახე, როგორ დაუმიზნა თოფი ჩემს ძმას, რომელიც გარბოდა და ესროლა. ამის შემდეგ ჩემკენ ისროლა, მაშინვე გადავხტი სკოლის ეზოში, შემოვურბინე სკოლას და როცა უკან დავბრუნდი, დავინახე, რომ დემური ძირს ეგდო. გადავწყვიტე, საავადმყოფოში წამეყვანა, ამიტომაც მანქანის მოსაძებნად წავედი, მაგრამ როცა შემთხვევის ადგილზე დავბრუნდი, აღარავინ დამხვდა".

სასამართლოს განაჩენის თანახმად, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა: როცა მსხალაძემ მანქანით სკოლის ტერიტორიაზე გაიარა და ბუზიაშვილი და მისი თანმხლები პირები შენიშნა, მანქანა გააჩერა, თუმცა იქიდან გადასვლაც ვერ მოასწრო, ისე დაუწყეს ცემა. მსხალაძემ თოფიდან ჯერ ჰაერში, გაფრთხილების მიზნით ისროლა. მეორე გასროლა მაშინ მოხდა, როცა იგი თოფიანად წაქცეული იყო და თავდასხმას ელოდა.

საქმეში არსებობს მეორე დაზარალებული – გიორგი ჭიპაშვილიც. ბუზიაშვილის დაჭრის შემდეგ. მსხალაძემ

მას სახეში იარაღის კონდახი ჩაარტყა. მოსამართლის აზრით, მსხალაძე ასე ჭიპაშვილის საშიში მუქარის განხორციელების აღსაკვეთად მოიქცა.

„კობას გაქცევის შემდეგ, მსხალაძე ისევ დაჭრილ დემურს მიუბრუნდა. იმ დროს მიწაზე მწოლიარე, მომაკვდავ დემურს გიორგი ჭიპაშვილი ადგა თავს. მსხალაძემ როცა შენიშნა, რომ დაჭრილი რაღაცას ლუღლუღებდა, ჭიპაშვილს მიმართა – ამას „კონტროლკა“ ხომ არ უნდაო?! ამ სიტყვებზე ჭიპაშვილმა ხელი აუკრა თოფზე, ამაზე გაბრაზებულმა და გაცოფებულმა მსხალაძემ კი კონდახი ჩაარტყა მას სახის არეში. ჭიპაშვილს ზედა ყბიდან ხუთი კბილი თავის ფესვებიანად ჩამოუვარდა ძირს“... – აღნიშნავს დაზარალებული **ნოშრევან ბუზიაშვილი**. მის სიტყვებს **ჭიპაშვილი** ადასტურებს: *„დაჭრილთან მივედი. მსხალაძე მოგვიახლოვდა, ხელში თოფი ეჭირა და თქვა – „კონტროლკა“ ხომ არ გავაკეთოო? მივხვდი, რომ ისევ აპირებდა, დემურისთვის ესროლა, ამიტომაც გადავეფარე დაჭრილს. სწორედ მაშინ ვიგრძენი სახეში ძლიერი დარტყმა. გონს რომ მოვედი, მსხალაძე იქ აღარ იყო... საავადმყოფოში შევიტყვე, რომ კბილები აღარ მქონდა“.*

თავად **დავით მსხალაძემ** კი სასამართლოში მომხდარი ფაქტი ასე აღწერა:

„მეორე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაურკვეველი მიზეზით მცემეს დემურ და კობა ბუზიაშვილებმა და გიორგი ჭიპაშვილმა. დემური მეტალის ბასრ საგანს მირტყამდა. მაგინებდნენ და მოკვლით მემუქრებოდნენ. ნაცემი გადამაგდეს სკოლის ღობის შიგნით. მერე იქაც განაგრძეს ჩემი ცემა. როგორღაც მოვახერხე ღობეზე გადასვლა და ჩემს მანქანამდე მისვლა, ვცდილობდი, გავქცეოდი თავდამსხმელებს. მანქანაში ჩაჯდომა და წასვლა მინდოდა, მაგრამ ამის საშუალებას არ მაძლევდნენ. მანქანიდან გარეთ მიმათრევდნენ. მაშინ მოვახერხე მძღოლის სავარძელთან დადებული ჩემივე სანადირო თოფის აღება. თოფი დატენილი იყო. ერთხელ გავისროლე. კობა ბუზიაშვილი შეეცადა იარაღის წართმევას, მაგრამ მასთან ჭიდილის დროს მაინც მოვახერხე თოფის მეორედ გადატენა. კობამ ხელი მკრა, მე სკოლის ღობეს მივეჯახე. თოვლი იდო და ფეხი დამიცურდა, წავიქეცი და სწორედ მაშინ, ჩემდა უნებურად, გავარდა ტყვია. იმავე წუთს გავიგონე ვიღაცის ხმა – ვკვდებიო. შევნიშნე, რომ მანქანას ვიღაც ამოეფარა. ვიფიქრე, ისევ არ დამესხან თავს-მეთქი და ჰაერში, გაფრთხილების მიზნით გავისროლე. მანქანას ამოფარებული პიროვნება სკოლის ეზოში გადახტა და გაიქცა. იმ ადგილთან მივედი, საიდანაც – ვკვდებიო – გავიგონე. იქ დემურ ბუზიაშვილი დავინახე. გზაზე იწვა. იქვე იყო გიორგი ჭიპაშვილი, რომელმაც დამიყვირა – თოფი გადააგდე, თორემ ყელს გამოგჭრიო. ჭიპაშვილს ჩემთვის რაღაცის ჩარტყმა უნდოდა, მაგრამ რა ეჭირა ხელში, სიბნელის გამო, ვერ გავარჩიე. მოსაგერიებლად თოფის სახელური მოვუქნიე და სახის არეში გავარტყი. ჭიპაშვილი წაიქცა“...

როგორც მოსამართლე აღნიშნავს განაჩენში, მსხალაძემ დაჭრილის წაყვანა საავადმყოფოში მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რადგან იცოდა, რომ მისი განძრევა სახიფათო იქნებოდა, ამიტომაც გადაწყვიტა, ექიმები მიეყვანა შემთხვევის ადგილზე. მსხალაძემ ორი ექიმი მართლაც მიიყვანა დაჭრილთან, რის შემდეგაც იგი, ისევ მისი საკუთარი მანქანით, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ განსასჯელს ჩვენებაში ბუზიაშვილის ცოლთან უთანხმოება ან ამ ფაქტისა და მომხდარი დანაშაულის კავშირის შესახებ რაიმე არ უხსენებია. ასევე არაფერი უთქვამს ჩანგლის თაობაზე, რომლითაც, განაჩენის მიხედვით, აწ გარდაცვლილმა მას სხეული დაუჩხვლიტა.

ჟორა ლილუაშვილი:

„სასამართლო ოქმებით ჩანს, რომ პროცესზე დაკითხულმა, ქარელის საავადმყოფოს ექიმებმა შემთხვევის დღეს მსხალაძის სხეულზე ჭრილობების არსებობა უარყვეს. მათი თქმით, მსხალაძეს მხოლოდ შუბლზე ჰქონდა სიწითლე, სხვა დაზიანება კი მისთვის არ შეუნიშნავთ. ნივთმტკიცების სახით პროცესზე წარმოადგინეს მსხალაძის ჯინსის შარვალი, რომელიც ორ ადგილზე იყო დაზიანებული, თუმცა ის ხელოვნურად ამოგლეჯილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩანგლის წვერებისთვის დამახასიათებელ, ოთხ წვრილ ნაჩხვლეტს. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ამ ჩანგლის შესახებ მხოლოდ განაჩენში ვკითხულობთ, არც მოწმეები, არც თავად განსასჯელი ჩვენებებში ამას არ აფიქსირებს.

ჩანგალი საქმეზე მტკიცებულების სახითაა დართული, მაშინ, როცა ოქმის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან, თანაც მკვლელობიდან მესამე დღეს, ამოიღეს პოლიციელებმა. მოწმეების მიერ ჩანგლის ამოცნობა გამოძიების პერიოდში არ მომხდარა. არც თითის ანაბეჭდებია ამოღებული, რაც დაადასტურებდა, ჩანგალი ნამდვილად ეჭირა თუ არა აწ გარდაცვლილს ხელში. თუმცა, არც მოკლულისგან აუღია თითის ანაბეჭდები ვინმეს“.

ნოშრევან ბუზიაშვილი:

„პროცესზე მოსამართლემ ნივთმტკიცებების წარდგენის დროს ჩანგალი აიღო და ცხვირწინ დაგვიტრიალა. მაშინ წამოვდექი და აღვნიშნე – ამ ჩანგალზე ექსპერტიზა არ ჩატარებულა და გამოკვლევა აუცილებელია-მეთქი. ამაზე მოსამართლემ მომიგო – ჩანგალზე ახლა ჩემი თითების ანაბეჭდებიაო. როცა გამოვთქვი პრეტენზია – მერე რატომ გიჭირავთ ხელში-მეთქი? – პასუხი არ მიმიღია... გამოძიება თავიდანვე დარღვევებით მიმდინარეობდა, სასამართლოზე კი მტკიცებულებების გაყალბება გრძელდებოდა“.

დაზარალებული მხარის სააპელაციო საჩივარს ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლო განიხილავს. როგორც შევიტყვეთ, საქმის განხილვა მოწმეების გამოუცხადებლობის გამო ჭიანურდება. სასამართლოში მსჯავრდებულის მხარის წარმომადგენლები არ ცხადდებიან.

მოკლულის მამა მსჯავრდებულისთვის მუხლის გადაკვალიფიცირებას და მისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს. „დემურ ბუზიაშვილს მაშინ ესროლეს, როცა შემთხვევის ადგილიდან გარბოდა – ეს კი სავსებით გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას და მკვლელობის განზრახვას ადასტურებს“, – აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

მამაკაცებისგან ხშირად გაიგონებთ: ფრთხილად, ქალია საჭესთანო! თუმცა, მგონი, ბორბლებთან ერთად ჯერ არც ერთი მამაკაცი არ დაბადებულა, ამგვარი დამოკიდებულება კი უფრო მეტად აბნევს მძღოლ ქალბატონებს. მიუხედავად ამისა, საჭესთან მჯდომი ქალების რიცხვი თბილისში დღითი დღე იზრდება. ქალისა და მანქანის ურთიერთობაზე სასაუბროდ „სტაჟიან“ მძღოლს — ნინო სუხიშვილს ვესტუმრე, თუმცა ჩვენი საუბრისას მხოლოდ ამ თემით არ შემოვიფარგლეთ და „სუხიშვილების“ განვლილ და მომავალ საგასტროლო მოგზაურობებსაც შევეხეთ.

20-წლიანი სტაჟის მქონე მძღოლს – ნინო სუხიშვილს „რემენის“ გამოცვლაც კი შესძლებია

ემა ტუხიაშვილი

— ნინო, მძღოლი მამაკაცებისგან ხშირად მსმენია, მძღოლი ქალბატონების მისამართით ნათქვამი საყვედური. როგორ ფიქრობთ — ქალი მართლა ვერასდროს ისწავლის მანქანის ისე მართვას, როგორც მამაკაცი?

— თუ იმ კუთხით ვიმსჯელებთ, რომ მამაკაცი ყოველთვის ყველაფერს ქალზე უკეთ აკეთებს, ალბათ მანქანის მართვაც უკეთ შეუძლია. მაგრამ ქალბატონებს შორისაც ხომ არსებობენ გამონაკლისები. ბოლო პერიოდში, თბილისში მართლაც გაიზარდა მძღოლი ქალბატონების რიცხვი. შესაძლოა, სწორედ ამის გამო ეშლებათ მამაკაცებს ნერვები... მანქანების რაოდენობაც კატასტროფულად გაიზარდა, რამაც საგრძნობლად გაართულა თავისუფლად გადაადგილება, რაც გაღიზიანების კიდევ ერთ საბაბს აძლევს მძღოლებს. უკვე 20 წელია, რაც მანქანის საჭეს ვუზივარ. მახსოვს, როდესაც პირველად გავედი მანქანით ქუჩაში, ქალი საჭესთან ისეთი იშვიათობა იყო, რომ ინსპექტორებიც კი არ გაჩერებდნენ. ახლა კი, იმდენი ქალი არღვევს მოძრაობის წესებს, შეუძლებელია, არ გააჩერონ.

— ბავშვობიდანვე გიყვარდათ ე.წ. ბორბლებიანი ტრანსპორტი?

— როგორც ყველა ბავშვს, ველოსიპედით „კატაობა“ მეც ძალიან მიყვარდა, თუმცა, მაინც თოჯინებით თამაშს ვანიჭებდი უპირატესობას.

— მანქანის მართვა ვინ გასწავლათ?

— რა თქმა უნდა, გავიარე სპეციალური კურსები, თეორიულ მეცადინეობებს ვესწრებოდი და მართვის მოწმობაც ოფიციალურად მქონდა აღებული, მაგრამ პრაქტიკულ დონეზე მანქანის მართვა თვითონ ვისწავლე. გვერდით არც ინსტრუქტორი მყოლია და არც მასწავლებელი. ერთადერთი ის მითხრეს, უმჯობესია, მართვა ძველ მანქანაზე ისწავლოო, ამიტომ მეც არჩევანი ბაბუაჩემის ნაქონ, ნარინჯისფერ „ვაზ-011“-ზე შევაჩერე და სასწავლებლად წყნეთი-თბილისის გზაზე დავდიოდი. ძალიან ცუდად ვმართავდი მანქანას, კარგა ხანს, უკუსვლით ვერ ვმოძრაობდი... აღმართში მანქანის გაჩერება და დაძვრა ხომ, ყველაზე დიდი პრობლემა იყო ჩემთვის. მახსოვს, ვარაზის ხევში შუქნიშანზე თუ გავჩერდებოდი, ვეღარც წინ მივდიოდი და ვეღარც უკან. მესმოდა გაბმული საყვირების ხმა, ყვირილი, მაგრამ თუ ასეთი კურიოზები არ შეგემთხვა და თავად არ დააღწიე თავი ამგვარ სიტუაციას, მანქანის მართვას ვერ ისწავლი.

— თქვენს ოჯახში ქალები მართავდნენ მანქანას?

— არა, ბებიას ყოველთვის მძღოლი ემსახურებოდა და თვითონ არასდროს მჯდარა საჭესთან. მანქანის მართვა არც დედაჩემმა იცის.

— თქვენი პირველი მგზავრი ვინ იყო? ვინ გამოიჩინა გამბედაობა?

— ჩემი მეგობრები. მაშინ 18-19 წლისანი ვიყავით და უსაფრთხოება ნაკლებად გვაღელვებდა. ყველას ერთნაირად გვიხაროდა, მე რომ მანქანა მყავდა და სიმართლე გითხრა, არასდროს დამზარებია, დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს, მათი სახლებში დარიგება.

— მანქანა რომ გაგიფუჭდეთ, შეაკეთებთ?

— სხვათა შორის, მანქანის აგებულება საკმაოდ კარგად შევისწავლე და შემიძლია, ელემენტარული დაზიანება, თავად გამოვასწორო. ძალიან სწრაფად და უპრობლემოდ ვცვლი ბორბალს მანქანაზე. მართალია, როდესაც ასეთი რამ ხალხმრავალ ადგილას მემართება, ერთდროულად სამი მანქანა მიჩერებს, რომ საკუთარი დახმარება შემომთავაზოს. თუმცა, ხშირია შემთხვევა, როდესაც მანქანამ შეიძლება უკაცრიელ ადგილას გიმტყუნოს. ძველ მანქანაზე ხშირად მიწყდებოდა ხოლმე „რემენი“, ამიტომ მასაც პროფესიონალურად ვცვლი... ისე, რაც თავი მახსოვს, სულ ძველი მანქანები მყავდა, ამიტომ ხშირად მიფუჭდებოდა და ხან სად ვჩერდებოდი და ხან — სად. 20 წლის განმავლობაში ოთხი მანქანა გამოვიცვალე და მათ შორის, მხოლოდ ერთი იყო ახალი. ახალი თეთრი „08“ ჩემი სახსრებით შევიძინე და ამით ძალიან ვამაყობდი. ახლაც მახსოვს — 8.200 მანეთი დამიჯდა. ახლა მამაჩემის ნაქონი მანქანა, ძველი მოდელის „მერსედესი“ მყავს და ისიც ხშირად მიფუჭდება.

ძალიან სწრაფად და უპრობლემოდ ვცვლი ბორბალს მანქანაზე

— ავტოსაგზაო შემთხვევები თუ გქონიათ?

— სერიოზული არაფერი მომსვლია, მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებებით გადავრჩენილვარ. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც თავად დამირტყამს სხვა მანქანისთვის. 5 წლის

წინ კი, ავსტრალიაში მანქანით კენგურუ გავიტანე. ცხოველები ძალიან მიყვარს, ამიტომ სერიოზულად ვინერვიულე ამის გამო. იქაურები მამშვიდებდნენ. ავსტრალიაში ასეთი რამ ხშირად ხდება, იქ იმდენი კენგურუა, რომ ტრასაზე ხშირად შეხვდებით. ღამით კი მანქანის შუქი აბნევთ და ბორბლებს უვარდებიან...

— ინსპექტორებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ? ხშირად გაჩერებენ?

— წლების წინ, უფრო ხშირად მაჩერებდნენ, ვიდრე ახლა. თუმცა, ახლაც ხდება, რომ უმიზეზოდ მაჩერებენ, მაგრამ არც ფული მიმიცია ოდესმე და არც ჯარიმა გადამიხდია. მანქანის მართვის საკმაოდ დიდი პრაქტიკა მაქვს, ამიტომ ჩემს სიმართლეში ყოველთვის დარწმუნებული ვარ. სისწრაფე არ მიყვარს და თვითონ ვლიზიანდები, როდესაც სხვა მძღოლი უხეშად არღვევს წესებს. ხდება ისეც, როდესაც ინსპექტორები მცნობენ, მაგრამ უფრო ხშირად, ხმით მცნობენ და უპრობლემოდ მატარებენ ხოლმე. ბევრი კი მანამდე ვერ ხვდება, ვინ ვარ, სანამ მართვის მოწმობაში ჩემს სახელსა და გვარს არ ამოიკითხავს.

— გზებზე ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?

— საშინელი გზები გვაქვს, აქ რა მანქანამ უნდა გაგიძლოს?! მაგრამ ყველაზე მეტად, მაინც ორმოებს გადავყავარ ჭკუიდან. როდესაც დამწყები მძღოლი ვიყავი, თითქოს განგებ ეძებდა ჩემი მანქანა ორმოებს. ჩემს მანქანებს ძირი ფაქტობრივად სულ გავარდნილი ჰქონდათ. ერთხელ კი, მანქანა ისეთ ღრმა თხრილში ჩამივარდა, რომ ვერტიკალურად დადგა. რის ვაი-ვაგლახით გამოვძვერი მანქანიდან და საშველად პირველსავე გამვლელს (მახსოვს, „ნივა“ იყო) ვუხმე. ორი ბიჭი იჯდა და მათ ამოიყვანეს ჩემი მანქანა, დღესაც არ ვიცი, ვინ იყვნენ.

— თქვენთვის საოცნებო მანქანა რომელია?

— კონკრეტულ მარკას ვერ დავასახელებ, მაგრამ მიყვარს დიდი, ტანკივით მანქანები. მაგალითად, ჩემი „მერსედესი“ საკმაოდ დიდია მოცულობით და მასში კომფორტულად ვგრძნობ თავს.

— მძღოლებს სალონში თილისმა ან რაიმე ნივთი აქვთ ხოლმე. თქვენ თუ გაქვთ მსგავსი რამ?

— მანქანაში პატარა ხატი მაქვს და ვიცი, რომ მისი წყალობით, სულ დაცული ვარ. ისე კი, სალონში ყოველთვის მიდევს „სუხიშვილების“ რაიმე ნივთი — ბუკლეტი იქნება ეს, პლაკატი, დისკი თუ სხვა რამ. არ მიყვარს საჭესთან მუსიკის მოსმენა, რადიო შეიძლება, მხოლოდ საინფორმაციო გამოშვების დროს ჩავრთო.

— ბევრი, მანქანას თვალისჩინივით უფრთხილდება, თქვენ არა?

— არ მიყვარს, როდესაც გადამეტებით უვლიან და აპრიალებენ მანქანას. მანქანას კი არ უნდა ემსახურო — ის უნდა გემსახუროს! ჩემი ავტომობილებით შემოვლილი მაქვს საქართველოს რეგიონები. ისეთ ადგილებშიც კი ვარ ნამყოფი, სადაც ადამიანებს ფეხით უჭირთ გადაადგილება. გადამზიდავს დიდი ტვირთიც! კოსტიუმები, მუსიკალური ინსტრუმენტები... წლების წინ, კერამიკაში ვმუშაობდი და ჩემი მანქანის საბარგულით უამრავი თიხა მიტარებია. დიდი გერმანული

ცოგა ხანში, ისევ დამირეკეს, მომიბოდიშეს და მანქანა უკან დააბრუნეს

ნაგაზი მყავს და მასაც სულ მანქანით დავატარებ. საკუთარი მანქანის სახურავზეც მიცეკვია მეგობრებთან ერთად.

— ბევრი მძღოლის მსგავსად, ბილწსიტყვაობა თუ გჩვევიათ?

— არ მიყვარს, როდესაც გოგონები საჭესთან იგინებიან. მართალია, ცხოვრებაში სულაც არ ვარ მშვიდი, მაგრამ ის, რომ მანქანის ფანჯრიდან ხელები გადავყო და ვიღაცას შევაგინო, აღმაშფოთებლად მიმაჩნია. მანქანის მართვისას, როდესაც ავღელვებულვარ, ნერვიულად გადამირთავს სიჩქარე, ჩემთვის რაღაც ჩამილაპარაკებია, მაგრამ ყვირილით არასდროს გამომიხატავს.

— თქვენ მანქანა თუ გაუძარცვავთ?

— ამ ბოლო დროს, უფრო ხშირად მიძარცვავენ. კვირა არ გავა ისე, რომ რაღაც არ მოაგლიჯონ, ან არ მოხსნან, ამიტომ „გვერდები“ არასდროს არა აქვს. უკვე დავიღალე და აღარც ვაკეთებ, მხოლოდ მექანიზმს ვუვლი და ზეთსა და საწვავს ვასხამ... ერთხელ, ეს ჩემი ძველი „მერსედესი“ საკუთარი სახლის ეზოდან მომპარეს. მოგვიანებით, ქურდები ტელეფონით დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ მანქანას გარკვეული თანხის საფასურად დამიბრუნებდნენ, რაზეც ვუპასუხე: რომ მოვინდომო, ამ ფასად შეიძლება, ვერც გავყიდო, ამიტომ შეგიძლიათ, თქვენთვის დაიტოვოთ-მეთქი. ცოტა ხანში, ისევ დამირეკეს, მომიბოდიშეს და მანქანა უკან დააბრუნეს.

— ნინო, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და იმ გასტროლების შესახებ გკითხოთ, საიდანაც სულ ახლახან ჩამობრძანდით.

— 3 თვის განმავლობაში ჩვენი ანსამბლი საგასტროლოდ ავსტრალიაში იმყოფებოდა. ეს იყო ჩვენი მეექვსე მოგზაურობა ავსტრალიის კონტინენტზე. თითქმის ყველა ქალაქში 33 კონცერტი გავმართეთ და მინდა გითხრათ, რომ ინტერესი ქართული ეროვნული ბალეტის მიმართ არ დამცხრალა. ჩვენმა ორკესტრმა ორჯერ დაუკრა მელბურნის ორ წამყვან კლუბში, ავსტრალიელ მუსიკოსებთან ერთად. იქაურები გააოცა ავსტრალიური წარმოშობის ინსტრუმენტმა, რომელსაც საკლუბო პროექტებში ვიყენებთ ხოლმე. ეს ინსტრუმენტი ძალიან ჰგავს ქართულ ბუკს, ხის მილივით არის და დაბალი ჟღერადობა აქვს.

— ახალი ცეკვით ხომ არ გაგიმდიდრებიათ პროგრამა?

— ავსტრალიაში წასვლის წინ, ილიკომ დადგა ახალი ცეკვა, რომლისთვისაც ჯერ სახელიც კი არ შეგვირჩევია. ეს გახლავთ ცეკვა „ხანჯლურის“ ახალი ვერსია, რომელიც ჯერ თბილისის მაყურებელსაც კი არ უნახავს.

— როგორც ვიცი, ამ თვის ბოლოს ისევ მიემგზავრებით და ფაქტობრივად, მთელი ზაფხული არ იქნებით თბილისში...

— რამდენიმე დღეში ამერიკაში მივემგზავრებით. ნიუ-იორკში ბალანჩინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი იმართება და ჩვენ დავხურავთ ამ კონცერტს. ნიუ-იორკში ერთი კვირის განმავლობაში გავმართავთ წარმოდგენებს, შემდეგ კი იტალიაში გავემგზავრებით.

— კიდევ ერთხელ მინდა გადავუხვიო თემას და გკითხოთ: რესპუბლიკის მოედანზე გამართული „ასა-ფართის“ დროს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელში რომ აგიყვანათ, ეს წინასწარ იყო ჩაფიქრებული, თუ თქვენთვისაც მოულოდნელობა გახლდათ?

— იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ თავიდან ვერც კი გავაცნობიერე, თუ რა ხდებოდა. საერთოდ, სცენაზე არ გამოვდივარ. მაგრამ „ასას“ დროს, სრული თავისუფლება გეძლევა, შეგიძლია, გამოხვიდე, რაღაც შეასწორო. ამიტომ მაშინ, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი სცენაზე. მაგრამ შემდეგ, სხვა კონცერტებზე მოვლენები ისე განვითარდა *(გულისხმობს მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებს. — ავტ.)*, რომ ჩემი ამბავი აღარ მიკვირს... ■

ფული და დამოუკიდებლობა

ანუ რატომაა მშიშარა უქონელი კაცი?

როდის ხდება ადამიანი დამოუკიდებელი? რა კავშირშია ერთმანეთთან ფული და დამოუკიდებლობა? ჩვენს საზოგადოებაში გაჩენილმა ყოფითმა პრობლემებმა, მატერიალურმა გაჭირვებამ ადამიანების შინაგანი დამოუკიდებლობა და პიროვნული თავისუფლება ხომ არ შეიწირა? რომელი ასაკიდან იწევს ფულის ფაქტორი წინა პლანზე და თუ შეიძლება დიდი ფულით თავისუფლების ყიდვა? გვესაუბრებიან რიგითი მოქალაქეები, ფსიქოლოგები და ეკონომიკური ექსპერტები.

ლელა ჭანკოტაძე

მარიკა, 32 წლის:

— მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, რომ გავთხოვდი. ჩემს რჩეულს კარგი სამსახური ჰქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ მატერიალური პრობლემები არ გვექნებოდა. მშობლებმა არჩევანი არ მომიწონეს, არც პერსპექტიული სტუდენტის გათხოვების იდეით მოიხიბლნენ. მამამ ჩემზე თქვა — მირჩევნია, ოჯახი მალე დაენგრეს, ვიდრე სწავლაში ხელი შეეშალოსო. არც დედამთილი დამიდგა გვერდით. თავისი შვილისთვის ცოლად სხვა გოგონა უნდოდა, ამიტომ მატერიალური დახმარება ჩვენთვის არ გაუწევია.

— შენი მეუღლე ფინანსურად დამოუკიდებელი არ იყო?

— ქორწინების მეხუთე თვეს ის სამსახურიდან გაათავისუფლეს. ეს მისთვის იმხელა დარტყმა აღმოჩნდა, რომ დეპრესიაში ჩავარდა, სახლიდან აღარ გადიოდა. ცხადია, ძალიან შეეშინდი. იმის ფულიც აღარ მქონდა, რომ უნივერსიტეტში ლექციებზე წავსულიყავი. მახსოვს, როგორ ვცდილობდი, ორი კარტოფილით და ერთი კვერცხით სადილიც მომემზადებინა და ვახშამიც... სწორედ ამ პერიოდში მითხრა დედამთილმა: თუ ოჯახი ისე შექმენი, რომ ჩემი აზრი არ გაინტერესებდა, ახლა ჩემგან დახმარებას რატომ ითხოვო?. მთელი ღამე არ მიძინია, ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა. მოახლოებული გამოცდები რომ არა, სადმე მიმტანად მუშაობას დავიწყებდი. დილით ჩემი მეგობარი მოვიდა და სასხვათაშორისოდ თქვა — ერთ ჟურნალში რომანისტი სჭირდებათ, ნეტავ, რომანების წერა შეძლოსო... მისი ნათქვამი გონებაში ჩამრჩა და მოსვენება დამეკარგა. არც კი ვიცი, რა მეშველებოდა, ეს ამბავი რომ არ ამკვიატებოდა. შიმშილმა რომ შემაწუხა, კალამი და ფურცლები ავიღე და ჩემთვის მანამდე სრულიად უცხო საქმის კეთება დავიწყე... ორ კვირაში დამფრთხალი მივედი გამომცემლობაში და მინირომანი აკანკალებული ხელით მივიტანე. რედაქტორის პასუხზე იყო დამოკიდებული მთელი ჩემი მომავალი. მითხრეს — ორ დღეში დაგირეკავთო.

— დაგირეკეს?

— დიახ. ჩემი რომანი მოეწონათ და ახლის შეკვეთა მომცეს. იმ წუთიდან ჩემს საძინებელში რომანების „სამჭედლო“ გაიხსნა. დღე და ღამეს ვასწორებდი, ისე ვმუშაობდი. პირველი ჰონორარი რომ ავიღე, ქმარს ტელეფონით დავურეკე და ვუთხარი: გადავრჩით, იქნებ, ეს ბედნიერი წუთი აღვნიშნოთ-მეთქი?!. ვერ მიხვდა, რა ვუთხარი. ვერ გაცნობიერა, რომ მხოლოდ ფულს შეეძლო ჩვენი სიყვარულის გადარჩენა. აწი, აღარც მე მივიდოდი ჩემს მშობლებთან დახმარების სათხოვნელად და არც ნიკას მოუწევდა დედამისთან თავდახრილი მისვლა... იქნებ, შემეკამათოთ — სწორს არ ამბობო, — მაგრამ ნიკა დეპრესიიდან სწორედ ფულმა გამოიყვანა. ხელფასი ისეთი მაღალი მქონდა, რომ მისი საფიქრალი არ იყო, რა გვეჭამა და გადასახადები როგორ გადაგვეხადა... მთელი წლის მანძილზე ვწერდი რომანებს, მერე სტატიების წერაც დავიწყე და არცთუ ისე ურიგოდ გამომივიდა. ერთ რამეზე კი ნამდვილად მწყდება გული: სწავლის მიტოვება მომიხდა. დღემდე ვერ შევძელი უნივერსიტეტის დამთავრება. მაგრამ კარგი ქმარი მყავს და ერთმანეთი დღემდე ძალიან გვიყვარს. ახლა ორივენი ვმუშაობთ. ნიკა სახელმწიფო სამსახურშია. დიდი ხელფასი არა აქვს, მაგრამ მაინც შეუძლია, საკუთარი ყოფითი სურვილები ჩემგან დამოუკიდებლად დაიკმაყოფილოს.

— ახლა რას საქმიანობ?

— უკვე ორი წელია, რაც საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მოვახდინე. ერთ-ერთ საინფორმაციო სამსახურს ვხელმძღვანელობ. ისეთი მაღალი ანაზღაურება მაქვს, რომ დედამთილსაც ვეხმარები და ჩემს მშობლებსაც. ჩიტივით თავისუფალი ვარ. არც ჩემს ქმარზე ვარ დამოკიდებული. ისე ვცხოვრობ, როგორც საჭიროდ ვთვლი, იმას ვაკეთებ, რაც მინდა. ვეღარავინ მისაყვედურებს: შინ გვიან რატომ მოხვედი ან იატაკი კარგად რატომ არ მოაპრიალეო?! იციან, რომ ვმუშაობ და ჩემთვის სამსახური უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მომაბეზრებელი და დამქანცველი საოჯახო საქმეები.

— ეი. მას შემდეგ, რაც მატერიალურად დამოუკიდებელი გახდი, შენ მიმართ დამოკიდებულებებიც შეიცვალა?

— რა თქმა უნდა. ახლა დედამთილი ყოველდღე მირეკავს და მეკითხება: მარიკა, გინდა, მოვიდე და საოჯახო საქმეები მოგიგვაროო? ჩემს ჯანმრთელობაზეც ზრუნავს. მეუბნება ხოლმე: რად გინდა ფული, თუ ჯანმრთელი არ იქნები? შენი ფერი არ მომწონსო... მატერიალურად მასზე დამოკიდებული რომ ვიყო, ყოველ წუთს წამომაძახებდა: ჩემი ანგელოზი შვილისთვის სხვა ცოლი მინდოდა, მაგრამ ვინ დამიჯერაო?!. უკვე 12 წლის გათხოვილი ვარ. შვილი არ მიჩნდება, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ოდესმე ღმერთი ჩემთვის ამ მოწყალებასაც მოიღებს. საყვედური ერთხელაც არ უთქვამთ არც ქმარს და არც დედამთილს. ხშირად მიფიქრია: ნუთუ, ქმარი იმიტომ არ მსაყვედურობს, რომ ურთიერთობის გაფუჭების ეშინია-მეთქი?!.

— რას გულისხმობ?

— მე ხომ მისთვის მხოლოდ ცოლი, საყვარელი და მეგობარი კი არა, „საფულეც“ ვარ!.. ჩემთან ერთად, უზრუნველ ცხოვრებასაც დაკარგავს. განა იოლია, უარი თქვა „მერსედესზე“ და სამსახურში ოცთეთრიანი ავტობუსით იარო?!. ფულმა ეჭვიანი გამხადა. ერთხელ ვთქვი: ფული თუ არა გაქვს, სიყვარულს ვერ გამოხატავ-მეთქი. ჩემს მეგობრებსაც კი ძვირად ღირებულ საჩუქრებს ვუძღვნი, მათ-

დამი ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება რომ გამოვხატო. ამას წინათ, ნათლული წავიყვანე მაღაზიაში. მინდოდა, გამეხარებინა და დამემტკიცებინა, როგორ მიყვარს. იმდენი ტანსაცმელი ვუყიდე, გაოცებული დარჩა, არადა, ზოგი ადამიანი თავის სიყვარულს, ლოყაზე გრძნობით სავსე ერთი კოცნით გამოხატავს. მშურს ასეთი ადამიანების. იმაზეც მიფიქრია: რა იქნება, ფული რომ აღარ მექნება? შაბათ-კვირას მეგობრებს რესტორანში რომ ვერ დავპატიჟებ, ჩვენი მეგობრობა ხომ არ გახუნდება-მეთქი?.. უკვე ადამიანთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელიც გრძნობების ყიდვას ახერხებს. ერთ რამეში უნდა გამოგიტყდეთ, რადგან ამას ვერავის ვეტყვი, ამ საკითხზე ჯერ ვერავისთან გავბედე საუბარი: ბიზნესის წამოწყება განვიზრახე. არ მინდოდა, საქმე ჩემი სახელით დამეწყო. ალბათ, არჩევანი ქმარზე უნდა შემეჩერებინა, მაგრამ მე მეგობარს დავუკავშირდი, აწყობილი საქმე მას ჩავაბარე და ახლა ისიც საკმაოდ კარგად ცხოვრობს. ქმარი ბიზნესში არ გავრიე...

— **რატომ?**

— ვამჯობინე, რომ მატერიალურად ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული... მას ყველაფერი აქვს. რასაც მოისურვებს, მაშინვე ვუსრულებ, მაგრამ შემეშინდა, ყველა სურვილის დამოუკიდებლად ასრულების საშუალება რომ მისცემოდა. ხომ გითხარით — ფულმა მშიშარა გამხადა! ასეთია მდიდრების ფსიქოლოგია. არ ვიცი, როგორი ვიქნებოდი შვილთან დამოკიდებულებაში, ნუთუ მისი სიყვარულის მოპოვებასაც საჩუქრებით შევეცდებოდი?! არადა, შვილი ძალიან მინდა, რომ მყავდეს. დედამთილი მეუბნება: ბავშვი იშვილე, მე გაგიზრდი, ძიძაც დაიქირავე; პატარა შენს ცხოვრებას უფრო ლამაზს გახდის, მერე კი იქნებ, საკუთარი შვილიც გაგიჩნდესო... არადა, სანამ მუშაობას დავიწყებდი, მისგან ბევრჯერ გამიგონია: მიკვირს იმ ხალხის, უშვილო ქალს ოჯახში რომ აჩერებენო...

— **ეი. ფული შენთვის უპირველესად, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ნიშნავს. ასევე ფიქრობენ ის მდიდარი ადამიანებიც, რომლებთანაც ურთიერთობა გაქვს?**

— ერთმა ჩემმა ბიზნესპარტნიორმა დაბადების დღე ალასკაზე გადაიხადა. თბილისიდან ოცი ადამიანი ვიყავით წასულები. ჩვენთან ერთად იყო ორი სტუდენტი გოგო; ისინი მამისტოლა მამაკაცებს უმშვენებდნენ გვერდს... ერთ-ერთმა მათგანმა ჩემთან საუბრისას თქვა: ფული კოკაინს ჰგავს — გაიკეთებ და მთელი სამყარო შენს ფერხთით არისო... ის გოგო ძალიან მომეწონა, ლამაზიც იყო და ნიჭიერიც, ოთხ ენაზე ლაპარაკობდა. ისე იცეკვა, ყველანი გადაგვრია. უკან რომ ვბრუნდებოდით, გვერდით მივუჯექი და გავესაუბრე. მითხრა — მერე რა, რომ 60 წლის კაცია?!. — მას აქვს ის, რაც მე მჭირდება და პირიქითო... ჩავეძიე და მიპასუხა: მას ფული აქვს, მე — სინორჩე; ჩვენი ურთიერთობა, საქმიანი გარიგებაა: ჩემი სინორჩის წყალობით მას თავი ახალგაზრდა ჰგონია, სიბერეს წლებს ჰპარავს, მე კი მისი ფულით თავისუფლებას ვყიდულობ; მხოლოდ ამ ერთ კაცზე ვარ დამოკიდებული, სამაგიეროდ, მთელი ქვეყნისგან დამოუკიდებელი ვარო... მთვრალი იყო და იფილოსოფოსა. მაგრამ მისი სიტყვები ჩემთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ყველა ხომ იმ საფასურს იხდის დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის, რომლის გაღებაც შეუძლია...

აუცილებელია თუ არა ფული, დამოუკიდებლობის მისაღწევად? არიან თუ არა მდიდარი ადამიანები დამოუკიდებლები? რატომ აქვთ თანამედროვე ახალგაზრდებს ფულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება? გვესაუბრება ფსიქოლოგი ***სოფო ვერულაშვილი:***

— ჩვენს ქვეყანაში გამეფებულმა სოციალურმა ვითარებამ მოიტანა ის, რომ ადამიანებს ფულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გაუჩნდათ. ბავშვებიც კი ავლენენ ფულისადმი ლტოლვას. ცნება „ფული" ბავშვის ფსიქიკაში გაცილებით ადრე შემოიჭრა, ვიდრე ეს უწინ ხდებოდა. ის შემოსავალი, რომელიც თანამედროვე ოჯახების უმეტესობას აქვს, საკმარისი არ არის ოჯახის სარჩენად, სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. მშობელი იძულებულია, შვილს უარი უთხრას ნაყინის ყიდვაზეც კი. როცა ბავშვს სკოლაში გარკვეული თანხის მიტანას ავალებენ და ამაზე მშობელი უარს ეუბნება, სურს თუ არა, ფული მისთვის იმ აუცილებლობად იქცევა, რაც მნიშვნელოვანია მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და საერთოდ, თვითდასამკვიდრებლად.

— **ეი. ბავშვი ფულზე დამოკიდებული ხდება?**

— არის ასეთი ფსიქოლოგი — აბრაჰამ მასლოუ, რომელმაც შეიმუშავა ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთსაფეხურიანი პირამიდა: ამ პირამიდაში ყველაზე დაბალი საფეხური მან ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს მიაკუთვნა; მეორე საფეხურზეა უსაფრთხოების მოთხოვნილებები, მესამეზე — სიყვარულის, მეოთხეზე — თვითშეფასების, მეხუთეზე კი თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება. მასლოუს აზრით, თუ ადამიანს ფიზიოლოგიური მოთხოვნილება არა აქვს დაკმაყოფილებული, მას არ გაუჩნდება უსაფრთხოების მოთხოვნილება; თუ ეს ორი საფეხური არა აქვს მოგვარებული, სიყვარულის მოთხოვნილება არ ექნება; წინა სამი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მას თვითშეფასების უნარი არ ექნება და შესაბამისად, თუ ადამიანს მაღალი თვითშეფასება არა აქვს, აქტუალიზებული პიროვნება ვერ გახდება... ახლა ჩვენში ადამიანი მხოლოდ ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებების დონეზე რჩება, რადგან ვერ იკმაყოფილებს მათ. ამიტომ არის დღეს აქტუალური ფული. თუ ადამიანს ცარიელი კუჭი აქვს, ნაკლებად იფიქრებს მაღალ მატერიებზე.

— **ეი. ფული აუცილებელია პიროვნული დამოუკიდებლობისთვის?**

— ფული საჭიროა დამოუკიდებლობის მისაღწევად, მაგრამ ფულზე ნაკლებად არის დამოკიდებული თვით დამოუკიდებლობის შეგრძნება: შეიძლება, ადამიანს ბევრი ფული ჰქონდეს, მაგრამ თავისი ოჯახის, მეგობრების ან რომელიმე პიროვნების გავლენის ქვეშ იყოს მოქცეული. შეიძლება აგრეთვე, ხელმოკლე ადამიანი შეძლებულს იყენებდეს, თავის ნება-სურვილზე ატარებდეს. პიროვნული დამოუკიდებლობა დაფუძნებულია აღზრდაზე, გარემოზე, რომელშიც ადამიანი აღიზარდა და მის გარშემომყოფებზე — მათზე, ვინც მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა. დამოუკიდებელია ადამიანი, როცა დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს, საკუთარ თავს აკონტროლებს — ეი. არის თავისუფალი. თავისუფალი ადამიანი დამოუკიდებელია, მიუხედავად იმისა, აქვს ფული თუ არა.

— **როგორ უნდა აღვზარდოთ ბავშვი, რომ ის ფულის მონად არ იქცეს?**

— ბავშვი, რომელიც ფულის გადამეტებული სიყვარულით გამოირჩევა, პიროვნებად ყალიბდება ისეთ ოჯახში, სადაც მეშჩანური გემოვნება და შეხედულებებია გაბატონებული, სადაც მხოლოდ ისეთ ადამიანს აფასებენ, ვისაც ბევრი ფული და კარგი სახლი აქვს. დიდი ალბათობაა, რომ თავადაც ასეთი შეხედულებების მქონე პიროვნებად ჩამოყალიბდეს. ფულისადმი ასეთი დამოკიდებულება შეიძლება, ხელმოკლე ოჯახში აღზრდილ ბავშვსაც გაუჩნდეს, სადაც უფულობასთან ერთად, აღნიშნული ღირებულებებით საზრდოობენ. ასე რომ, მთავარი აღზრდა და ფსიქოლოგიური ატმოსფეროა. ბავშვს დროდადრო უნდა მივცეთ ფული კონკრეტული ნივთის საყიდლად. ეს მასზე დადებითად იმოქმედებს. ამით ბავშვს საკუთარი თავის რწმენასაც ვუნერგავთ — მან ხომ დავალებას სხვის დაუხმარებლად გაართვა თავი. ბავშვის ხელში ფული დანიშნულების გარეშე არ უნდა მოხვდეს. ეს დათვური სამსახური იქნება.

ვანო, 56 წლის:

— რაც სკოლა დავამთავრე, წუთითაც არ ვყოფილვარ უმუშევარი. ჯერ საავიაციო

ქარხანაში ვმუშაობდი, შემდეგ — შოკოლადის ქარხანაში. საკმაოდ სოლიდური თანამდებობა მეკავა. ფულიც მქონდა და ცხოვრებაც იოლი იყო. ოჯახს ვუძღვებოდი, ზოგჯერ მეგობრებსაც ვეხმარებოდი. ზაფხულობით აგარაკზეც დავდიოდი და გაუთვალისწინებელ ხარჯებსაც არ ვერიდებოდი. მაგრამ ერთ დღეს, უზრუნველი ცხოვრება ტკბილი სიზმარივით დასრულდა — უმუშევარი დავრჩი, დანაზოგი მქონდა, მაგრამ დიდხანს რას მეყოფოდა?.. ბოლოს, დადგა ის დღე, როცა შეშფოთებულმა რძალმა იკითხა: პური რით ვიყიდოთო? ჩემს ოჯახში ფული გამოილია... დაიწყო გაჭირვება, წუწუნი და შიმშილი.

— სამსახურის დაკარგვასთან ერთად დამოუკიდებლობაც დაკარგეთ?

— ფულის დაკარგვასთან ერთად დავკარგე დამოუკიდებლობა. ფული რომ „გაფუჭდა“ *(რუსული რუბლის დევალვაცია რომ მოხდა. — ავტ.)* და შემნახველ ბანკებში ანგარიშები რომ გაიყინა, მაშინ მივხვდი — ხელფეხშეკრული და ღირსებაწართმეული დავრჩი. მშიერ კაცს ღირსება სადა აქვს?! ჩვენ ისე გაგვზარდეს, რომ ვაჭარი ღირსეულ ადამიანად არ მიგვაჩნდა,მაგრამ საკუთარ პრინციპებს ვუღალატე, ბაზარში დავდექი და საოჯახო ნივთების გაყიდვა დავიწყე. ვაზა და ყანწი რომ გამომელია, ნემსი და ძაფი გავყიდე. მერე ბაზრობაზე მე და ჩემი მეგობარი, ქალის საცვლებს ვყიდდით. კაცი, რომელსაც ღირსება აქვს, ქალის საცვლებით არ ვაჭრობს... უღირს კაცს დამოუკიდებლობაზე ოცნებაც არ შეუძლია, საკუთარ კუჭზეა დამოკიდებული და თავისუფლება მისთვის ერთი ციდა ხდება. ზოგს თავისუფლება, ვაჭრობის უფლებას რომ არ ართმევს კაცს სახელმწიფო, ის ჰგონია. არადა, თავისუფლება ოკეანესავით მოლივლივე, ლაჟვარდოვანი და უკიდეგანოა.

— ე.ი. უფულო კაცი არ შეიძლება დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს?

— უფულო კაცი მაშინ არის დამოუკიდებელი, თუ ფულიანს მისი ფულით ცდუნება არ შეუძლია. ხომ გინახავთ ამერიკული ფილმი — „უხამსი წინადადება“? მოსიყვარულე ცოლ-ქმარს მილიონერმა თავზარი დასცა, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და ღირსება წაართვა. არადა, თითქოს ამ თავხედური წინადადებისთვის — 1 მილიონს მოგცემ თქვენს ცოლთან გატარებულ ერთ ღამეშიო — მისთვის ორივეს თავ-პირი უნდა დაელეწა, მაგრამ არა — მოსვენება დაკარგეს და ბოლოს, ღირსებაზეც აიღეს ხელი... ყოველ დილით შიშით ვიღვიძებდი — სამზარეულოს კართან ჩემი ორი შვილიშვილის თვალებს არ გადავყროდი. მშიერი ბავშვების ბაბუა რომ ხარ, შეშლილიც რომ იყო, ველარ იტყვი — სამაგიეროდ, თავისუფალი ვარო... ახლა ჩემს შვილიშვილებს საჭმელიც აქვთ და სასმელიც. მეც ვვაჭრობ, ჩემი შვილიც და რძალიც. სამივემ ერთად ოჯახის ფეხზე დაყენება შევძელით. ახლა უკვე ფულიც მიდევს ჯიბეში და შინ თავაწეულსაც შემიძლია შესვლა. უფულო კაცი ხომ მხრებში მოხრილი დადის, დაცხავებული შარვალი და აქეთ-იქით გადაბრეცილი ფეხსაცმელი აცვია, იაფფასიანი ნიკოტინისა და არყის სუნი ასდის და იღლიაში „სიტყვა და საქმე“ აქვს ამოჩრილი — სამსახურს ეძებს და იმიტომ.

— თქვენ თქვით — ჯიბეში ფული ისევ გამიჩნდაო. დამოუკიდებლობა თუ დაიბრუნეთ?

— არა: ახლა ფულზე ვარ დამოკიდებული. მთელი ჩემი ოჯახი ბაზრობის დახლზე ვართ დამოკიდებულები. ერთ დღეს რომ მივიდე და დახლი აღებული დამხვდეს, ისევ სიდუხჭირეში აღმოჩნდება ჩემი ოჯახი. დამოუკიდებლობის დაკარგვაა იოლი, თორემ, მისი დაბრუნება მყარი მატერიალური ბაზის გარეშე წარმოუდგენელია.

— ე.ი. თავისუფალია მხოლოდ ის, ვისაც ბევრი ფული აქვს?

— ცხადია, ვისაც შეუძლია, არ იფიქროს იმაზე, რა აჭამოს ცოლ-შვილს, რით შეაკეთოს სახურავი, წყალმა სიმწრით გაკეთებული კოსმეტიკური რემონტი რომ არ გაუფუჭოს ან ვინმემ აივნიდან გაჭირვებით ნაყიდი, გასაშრობად გაფენილი ტანსაცმელი არ მოჰპაროს. დამოუკიდებლობის მაღლი მხოლოდ მდიდარი ადამიანებისთვის არსებობს...

რას ფიქრობენ ის ადამიანები, რომლებიც ქვეყნის საფინანსო პოლიტიკაში აქტიურად მონაწილეობენ და კარგად იციან, რომ მიზერული ხელფასით ადამიანი დამოუკიდებელი ვერ გახდება? სხვაზე დამოკიდებული ადამიანები კი, ვერც პოლიტიკოსებისთვის სანდო და მყარ ელექტორატს წარმოადგენენ და ვერც ახალი აღმოჩენებით გაუთქვამენ სახელს ქვეყანას.

სოსო სიმონიშვილი, ექსპერტი:

— ფული არის თავისუფლების მთავარი ფაქტორი. რაც უფრო მეტი გაქვს ფული, მით უფრო დამოუკიდებელი ხარ. მაგრამ აუცილებელია გავარკვიოთ, თუ ვისგან ან რისგან დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ. თავისუფალი — ე.ი. დამოუკიდებელი ადამიანი მაშინ არის, როცა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს. რაც უფრო მეტი ფული აქვს, მით უფრო იოლად შეუძლია სარისკო გადაწყვეტილების მიღება. ვისაც ბევრი ფული აქვს, ის თამამად მოქმედებს, იოლად დებს გარიგებებს, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში, საკუთარი ქონების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს დაკარგავს. უფულო კაცი მშიშარაა, მას გარისკვა წარმოუდგენლად მიაჩნია, რადგან შეიძლება, ყველაფერი დაკარგოს. ასე რომ, ფული დიდი თავისუფლების მომტანია. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანები ხშირად და იოლად ხდებიან ფულზე დამოკიდებულები.

— თუ შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მაშინ ხდება რეალურად დამოუკიდებელი, როცა ის დამოუკიდებლად იწყებს ფულის შოვნას?

— როცა მოზარდზე ვსაუბრობთ, ეს უკვე სოციალური დამოუკიდებლობაა. ახალგაზრდამ თავისი მშობლებისა და ნათესავებისგან დამოუკიდებლად უნდა შეძლოს ცხოვრება — მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას. მხოლოდ სოციალურად დამოუკიდებელი ახალგაზრდა ხდება სულიერად, შინაგანად თავისუფალი. ეს ჩვენი ყოფის დაუწერელი კანონია.

იური ჩიხრაძე, ექსპერტი:

— ადამიანი მით უფრო თავისუფალია, რაც უფრო მეტი, კანონიერი გზით მოპოვებული ფული აქვს, თორემ, უკანონოდ ნაშოვნი ფული ყოველთვის შინაგანი დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგია... ადამიანების ერთ ნაწილს იმდენი ფული აქვს, რომ მისი მოხმარების სიამოვნებას არის მოკლებული. როცა ფული არ გახლავთ ადამიანის შრომის შედეგი, ეს ადამიანი ფულის მონა ხდება. ჩვენს ქვეყანაში შინაგანად დამოუკიდებელ ადამიანს დიდი ფული ვერ ექნება, რადგან პატიოსანი ბიზნესი მხოლოდ იმ ქვეყნებშია, სადაც მოქალაქეს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი — ბიზნესმენს, სახელმწიფო იცავს. ასე რომ, ჩვენს ქვეყანაში დიდი ფულის შოვნას თან ერთვის ყველაზე მთავარი ფასეულობის დაკარგვა — ეს გახლავთ პიროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ■



ზვიად ძიძიგურის აზრით, პოლიტიკოსი უნდა იყოს ფინთი...

მაშინ ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მე კი – სტუდენტი...

პარლამენტარი ზვიად ძიძიგური საკმაოდ პირდაპირი ადამიანია და ამიტომ, საინტერესო რესპონდენტია. არასოდეს არიდებს თავს, უხერხულ თუ არაორდინარულ კითხვებს და არც ჰიპოთეზურ სიტუაციებში საკუთარი ქცევის წარმოდგენა უჭირს.

ეკა მინდაძე

— ბატონო ზვიად, ორიოდე სიტყვით თქვენი ბავშვობის შესახებ გვითხარით.

— ბავშვობა სამტრედიაში გავატარე და მეამაყება, რომ სამტრედიელი ვარ. იქ თითქმის ყველა ხე და ბუჩქი ჩემია... დავამთავრე სამტრედიის 24-ე რკინიგზის სკოლა. ვიყავი ძალიან ბეჯითი, მაგრამ ამავე დროს, ცელქი და მოუსვენარი ბავშვი.

— ბევრი ბიჭის მსგავსად თქვენც ხომ არ გიოცნებიათ კოსმონავტობაზე?

— დიახ. ბავშვობაში კოსმონავტობა მინდოდა. ხოლო როცა ცოტა წამოვიზარდე, ხან მამის პროფესია – დურგლობა მსურდა და ხან დედის – მასწავლებლობა. სერიოზული გადაწყვეტილება – მშენებელი გავმხდარიყავი, მე-11 კლასში მივიღე და სკოლის დამთავრებისთანავე გე-პე-ი-ში, სამშენებლო ფაკულტეტზე ჩავბარე მისაღები გამოცდები.

— ჩვენვა, რომელიც ბავშვობიდან გამოგყვათ...

— სიჯიუტე. თუ რამეს ამოვიჩემებ, ვერავინ გადამათქმევინებს იმიტომ, რომ ჩემი თავი მუდამ მართალი მგონია.

— პოლიტიკური ბიოგრაფიის მანძილზე, რამდენი პარტია გამოიცვალეთ?

— ვერ გეტყვით, რომ ბევრი პარტია გამოვიცვალე. პირველად „ილია მართლის საზოგადოების“ წევრი ვიყავი, რომელიც 1988 წელს ჩამოყალიბდა. მერე ეს ორგანიზაცია ფაქტობრივად დაიშალა. თანამოაზრეებმა ეროვნულ-კონსერვატიული პარტია შევქმენით, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ეროვნულ ძალთა გაერთიანება და დღეს მისი თავმჯდომარე გახლავართ. ამრიგად, „პარტიული მისვლა-მოსვლა“ ჩემთვის მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. უფრო მეტიც – მე საკმაოდ ერთგული ვარ იმ მიმართულების და ორგანიზაციის, რომელშიც ვიმყოფები. ეს ორგანიზაცია კი, პირველ რიგში, ეროვნული ინტერესების დამცველია.

— როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი?

— ფინთი *(იცინის)*...

— პარლამენტარი?

— პარლამენტარი უნდა იყოს პრინციპული. მას უნდა ახსოვდეს, რომ მთავარია სახელმწიფოს ინტერესები და არა ის კონიუნქტურა, რომელიც ყველა ხელისუფლების დროს, ყველა სიტუაციაში არსებობს. თუ პოლიტიკოსი კონიუნქტურის მიხედვით მოქმედებს, ე.ი. ტიპურ მედროვესთან გვაქვს საქმე. მედროვეების დრო კი დამთავრდა.

— სიმღერა, რომელიც თქვენს პოლიტიკურ მიმდინარეობას შეეფერება?

— „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“

— დაასახელეთ თანამდებობა, რომელიც თქვენი აზრით, ყველაზე მეტად შეგეფერებათ.

— რა ვიცი. მე მაინც ისეთი პოლიტიკოსის როლში ყოფნა მირჩევნია, რომელსაც არავითარი შეზღუდვა არ გააჩნია და მუდამ შეუძლია, ილაპარაკოს სიმართლე. აქედან გამომდინარე, პარლამენტარობა ჩემთვის ყველაზე შესაფერისია.

— რობინზონ კრუზოს მდგომარეობაში რომ აღმოჩნდეთ, პოლიტიკოსი ქალბატონებიდან ვის ისურვებდით მშვენიერ პარასკევად?

— არავის. ვინაიდან პარლამენტში შავგვრემანი ქალბატონები არ არიან...

— რომ მოხდეს სასწაული და რომეოს თამაში შემოგთავაზონ, პარლამენტარი ქალბატონებიდან ჯულიეტად ვის აირჩევდით?

— ვერც ერთს. რას ერჩი ამ პარლამენტარ ქალბატონებს? – არც მე ვაპირებ თავის მოწამვლას და არც მათ ვუსურვებ იმავეს.

— პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტად ვისი გეშინიათ?

— არავისი. მამალი მგლის არ მეშინია და პოლიტიკოსების რატომ უნდა მეშინოდეს?!

— წარმოიდგინეთ, რომ იწვის შენობა, რომელშიც მთელი პოლიტიკური ელიტა იმყოფება, თქვენ კი მხოლოდ ერთი ადამიანის გადარჩენა შეგიძლიათ. ვის გამოიყვანდით?

— ასეთ არჩევანს ვერ გავაკეთებ. ამ დროს, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ რომელი პარტიის წარმომადგენელია.

პარლამენტარ ბეჟან ხურციძესთან ერთად

— **მილიონი დოლარი რომ იპოვოთ, რას იზამთ?**

— ვერ გეტყვით. საქმე ის არის, რომ ცხოვრებაში დიდი ფული არასდროს მქონია და არც მომავალში ველოდები გამდიდრებას. მით უმეტეს, რომ ბიზნესში წასვლასაც არ ვაპირებ. ჩემი აზრით, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პარლამენტარმა მილიონებზე არ უნდა იფიქროს და თუ სასწაული მაინც მოხდება და მილიონი დოლარის პატრონი გავხდები, ჯერ არ ვიცი, ამხელა თანხას რაში გამოვიყენებ. თუ მოფიქრების დროს მომცემთ, წავალ, ჩემს მეუღლესაც დავეკითხები და ერთობლივად ჩამოვწერთ, თუ რაში დავხარჯავთ მილიონ დოლარს...

— **თქვენ თვალწინ კაცი რომ გაქურდონ, როგორ მოიქცევით?**

— აუცილებლად მივეხმარები.

— **თუ ყაჩაღი შეიარაღებულია?**

— მე იარაღის არ მეშინია.

— **ხშირად ჩარეულხართ ჩხუბში?**

— რა თქმა უნდა, არაერთხელ. ჩხუბში მეც ბევრჯერ გავლახულვარ და გამილახავს კიდეც, განსაკუთრებით — პატიმრობის პერიოდში.

— **ქეიფი და დროს ტარება თუ გიყვართ?**

— დიახ. ძალიან მიყვარს ქეიფი და მოლხენა მეგობრების ვიწრო წრეში. სუფრასთან გიტარაზე დაკვრაც მიყვარს. სამწუხაროდ, ამჟამად დროის უქონლობის გამო იშვიათად მიწევს სუფრაზე ყოფნა.

— **როგორი სმთვრალე გაქვთ?**

— კარგი. ამ დროს, ძალიან მოსიყვარულე, ყურადღებიანი და თავაზიანი ვხდები. აქედან გამომდინარე, ჩემს მეუღლეს უხარია, როცა შინ ნასვამი ვბრუნდები.

— **თქვენი ცოლ-შვილის შესახებაც გვიამბეთ.**

— ჩემს მეუღლეს დაახლოებით 20 წელია, ვიცნობ. ის ჩემი მეგობრის დაა და ბუნებრივია, პირველად, ჩემი მეგობრის ოჯახში ვნახე. მაშინ ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მე კი — სტუდენტი... ოჯახი შევქმენი ციხიდან გამოსვლის შემდეგ. ამჟამად ორი შვილი გვყავს და მესამეს ველოდებით. უფროსი 2 წლის არის, უმცროსი კი — ერთის.

— **დაბოლოს: ვინ არის ზვიად ძიძიგური?**

— ერთი ქართველი კაცია, რომელსაც ქვეყნის საკეთილდღეოდ რაღაცის კეთება სურს... ■

სახელმწიფო კანცელარიაში მომუშავე ქალბატონს ჯიბის ქურდი უყვარს

ხსნიდა თუ არა ჯიბის ქურდის „ქურდი“?

ლიკა ქაჯაია

ალბათ, ხშირად გაგიგონიათ ფრაზები: ქარის მოტანილს, ქარი წაიღებსო — ან კიდევ — ქურდის ქურდი ცხონდაო. ეს სიტყვები იმ ამბისთვის, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, სწორედაც რომ შესაფერისია. ჯიბის ქურდებს, მოპარულ ფულს ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულება „ჰპარავს“...

ალეკო და დათო ძირითადად მეტროში „მუშაობენ“. ეს ზორბა ბიჭები, ჯიბის ქურდების ფონზე, საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებიან, მაგრამ მათ ეს ნაკლებად ანაღვლებთ. პიჯაკსა და ჰალსტუხში გამოწყობილები, გაზეთით ხელში, სერიოზული ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ალბათ ამიტომაც უადვილდებათ ხალხის „გაცურება“. მათ საქმიანობას დიდი ხანია, ვაკვირდები (რა თქმა უნდა — ფარულად, თანაც ხშირად მიწევს ამ ტრანსპორტით გადაადგილება). ამას წინათ კი, ტოტალიზატორში შესულმა ნაცნობი სახეები დავაფიქსირე და ინტერვიუც შედგა.

— **თქვენი პროფესია?**

ალეკო:

— ჯიბის ქურდი.

— **წარმოშობით საიდან ხართ?**

დათო:

— თბილისელები ვართ, ტო... რას იცინი? არ გვეტყობა?

— **რატომ იპარავთ მაინცდამაინც მეტროში, სადაც უმეტესად ღარიბი ადამიანები არიან?**

— აბა, მდიდრები რას მოგვცემენ *(იცინის)*?..

— **ღარიბებს რომ პურის ფულს ართმევთ, არ გეცოდებათ?**

— ...

— **დაოჯახებულები თუ ხართ?**

ალეკო:

— მე — კი, დათო — არა. ალბათ, გაინტერესებს, იცის თუ არა ჩემმა მეუღლემ ჩემი საქმიანობის შესახებ? არ იცის!

— **ნუთუ, არ გეკითხება საიდან მიგაქვს ფული?**

— ბევრი არ მიმაქვს — ტოტალიზატორი „მპარავს“. ჩემს ცოლს ჰგონია, რომ სპეცრაზმელი თუ საიდუმლო აგენტი ვარ. მეც მკაცრად გავაფრთხილე: არავის უთხრა-მეთქი!.. იცით, სჯერა! ჩემით ამაყობს კიდეც.

დათო:

— ჩემი შეყვარებული სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობს. იცის, რასაც ვსაქმიანობ. მემუქრება: თავი დაანებე მაგ საქმიანობას, თორემ, მიგატოვებო. მაგრამ ამას ვერ შეძლებს — ვუყვარვარ.

— **ბევრ ფულს შოულობთ?**

— ისე, რა... განა, რამდენი უნდა მოჰპარო ამ ღარიბ ადამიანებს?!.

— **რატომ ლაპარაკობ მათზე ირონიით?**

— ე.წ. ღარიბებს იმაზე მეტი აქვთ ხოლმე, ვიდრე გგონია. ზოგიერთი მათგანი, მაგარი „ჟმოტია“: მათხოვარივით აცვია, ჯიბეში კი ბლომად ფული აქვს...

— **ტოტალიზატორის ხშირი სტუმრები ხართ?**

ალეკო:

— ჯიბეში 1 ლარიც რომ გვედოს, აქეთ გამოვრბივართ. ხან ვაგებთ, ხან ვიგებთ. ერთხელ 50 დოლარი წავაგეთ, მეორე დღეს, 15 ლარი მოვიგეთ, მაგრამ ვერ ვეშვებით — ნარკოტიკივითაა.

— **ნარკოტიკულ საშუალებებს თუ იყენებთ?**

დათო:

— არა. ეს ერთადერთი დადებითი თვისებაა, რომელიც გვაქვს. ყოფილა შემთხვევები, როცა მოპარული ფული ან ნივთი დაგვიბრუნებია პატრონისთვის. არა იმიტომ, რომ შეგვამჩნია ან რაიმე მაგდაგვარი — უბრალოდ, შეგვცოდებია.

— **რაიმე „სხვა“ სპეციალობა თუ გაქვთ?**

ალეკო:

— ექიმი კაცი ვარ, ეგრე კი ნუ მიყურებ, მაგრამ ვარ უმუშევარი და დროებით ჯიბის ქურდი...

დათო:

— მე ეკონომიკურზე ვსწავლობდი, მაგრამ მივატოვე და ჩემნაირი თითების პატრონისთვის შესაფერისი სამუშაო ვიპოვე...

— **არასოდეს გიფიქრიათ საქმიანობის შეცვლაზე?**

ალეკო:

— სიამოვნებით ვიმუშავებდი ჩემი

პროფესიით, მაგრამ ქვეყნად იმდენი ექიმია, ვის რაში ვჭირდები?!

დათო:

– არა. ეს ჩემი საქმიანობაა და მგონი, მოწოდებაც, თუ შეიძლება ასე ეწოდოს. სიზმარშიც კი რაღაცას ვიპარავ...

ბიჭებთან საუბრის შემდეგ, დათოს მეგობარ – ნანას, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობს, ტელეფონით დავუკავშირდი და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– რა გნებავთ?

— დათოზე მინდა გელაპარაკოთ.

– ვინ არის დათო?

— თქვენი მეგობარი.

– რომელი ორგანოს წარმომადგენელი ხარ?

— ჟურნალი „გზა“.

– ჰო, ვიცი, შენზე მელაპარაკა... რა გაინტერესებს?

— პირველ რიგში მითხარით, სად მუშაობთ?

– სახელმწიფო კანცელარიაში...

— რა თანამდებობა გიკავიათ?

– ზუსტ პასუხს ვერ გეტყვი, მაგრამ არც დამლაგებელი ვარ და არც პირველი ან მეორე პირი...

— რამდენი ხანია, რაც იქ მუშაობთ?

– დაახლოებით 5 წელია. 2 წლის წინ გავიცანი დათო... თუ გაინტერესებთ, ის არაჩვეულებრივი პიროვნებაა. კიდევ რა გითხრათ?

— ამბობთ — დათო არაჩვეულებრივიაო, — მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მისი საქმიანობის შესახებ...

– ვიცი, რასაც გულისხმობ, მაგრამ რას იზამ, ეს ცხოვრებამ მოიტანა. იმედი მაქვს, იმედი კი არა – დარწმუნებული ვარ, ის მალე სწორ გზას დაადგება...

— სად გაიცანით?

– მეგობართან. ერთი ნახვით შეგვიყვარდა ერთმანეთი.

— პირველ პაემანს თუ გაიხსენებდით?

– პირველ პაემანს თავისი ხიბლი ჰქონდა. შარვალ-პიჯაკში გამოწყობილი დათო, რომელსაც ხელში უზარმაზარი თაიგული ეკავა, ოპერის წინ მელოდებოდა. ცოტა გავისეირნეთ, მერე კი კაფეში ფინჯან ყავაზე დამპატიჟა...

— როგორ შეიტყვეთ მისი საქმიანობის შესახებ?

– ჩემმა ახლობელმა იცნო: ამან ჩანთა გამიხსნაო... როცა ვუთხარი: ეტყობა, სხვაში გეშლება, ეს ჩემი მეგობარია და ამას ვერ გააკეთებდა-მეთქი, – ბოდიში მომიხადა. მაგრამ მერე ყველაფერი გავარკვიე... თვითონ აღიარა... ბოლომდე ვერაფერს დამალავ.

— როგორი რეაქცია გქონდათ?

– მძაფრი. კინაღამ გული გამისკდა. მეგონა, მოვკვდებოდი ან მის არსებობას დავივიწყებდი, მაგრამ ეს ძნელი აღმოჩნდა. მან დამარწმუნა, რომ ამ საქმეს შეეშვება. როდის, არ ვიცი და მისი საქმიანობის შეცვლის მოლოდინში, გაუთხოვარი ვრჩები. მეც ვეხმარები, ვცდილობ, სამსახური ვუშოვო, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, დათო საოცრად ამბიციურია: რისი შოვნაც შევძელი, ხელები გაასავსავა: მე იქ ვერ ვიმუშავებო...

— რაზე უფრო გწყდებათ გული — გასათხოვარი რომ ხართ თუ იმაზე, რომ თქვენი შეყვარებული ჯიბის ქურდია?

– უფრო – მეორეზე...

— როცა ქუჩაში ერთად მიდიხართ, დათო აპარებს თუ არა თვალს სხვისი ჩანთებისკენ?

– შეიძლება, მაგრამ მე ეს არ შემიმჩნევია...

— რომ შეამჩნიოთ, რას ეტყვით?

– ალბათ, თვალს ავარიდებ...

— თქვენთვისაც ხომ არ მოუპარავს რაიმე?

– არასოდეს...

— წარმოიდგინეთ: აიღეთ ხელფასი, მიდიხართ შინ და უცებ ხედავთ: მხარზე გაჭრილი ჩანა გკიდიათ ან აღმოაჩინეთ, რომ ფული მოგპარეს. როგორი რეაქცია გექნებათ?

– გავგიჟდები. ძნელია, როცა რაღაცას კარგავ და მთელი თვის ნამუშევარი რომ მომპარონ, ამას გადავყვები.

— ახლა წარმოიდგინეთ: მეტროში ხართ, წინ ხნიერი ქალი დგას, მის ზურგს უკან კი ახალგაზრდა კაცი ატუზულა და ჩანთას უხსნის. როგორ მოიქცევით?

ქურდებს ჭკუის სწავლება დავუწყე და ამ დროს, პატარა ჯიბგირმა კინაღამ გამქურდა!..

– ქალს ვანიშნებ, რომ მას რაღაცას ჰპარავენ. შეიძლება, ქურდს შეურაცხყოფაც მივაყენო...

— ... ქურდმა მოიხედა და თქვენი მეგობარი შეგრჩათ... ამჯერად როგორ მოიქცევით?

– რა კითხვებს მისვამ?! ვერაფერს გეტყვი... ალბათ, ადგილზე მოვკვდები...

— როგორია ურთიერთობაში, შეყვარებული ჯიბის ქურდი?

– მისი საქმიანობა საძაგლობაა, მაგრამ თვითონ არაჩვეულებრივი, სასიამოვნო პიროვნებაა. რაც მთავარია, მე ის მიყვარს!

P.S. ტოტალიზატორიდან გამოვედი, ჩანთა უკან მოვიგდე, მეგობარს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდი. ვიგრძენი, ვიღაც ჩანთაზე მექაჩებოდა. ვიფიქრე – ეტყობა, ალეკო და დათო მეხუმრებიანმეთქი. უკან არც მიმიხედავს, ისე მოვქაჩე ჩანთა, მაგრამ არ დამემორჩილა. შემოვბრუნდი და ინსტინქტურად მოვიქნიე ხელი. „ტყლაშ“ – გაისმა ცივი ხმა. ჩემ წინ, ასე, 12-13 წლის თავგადახოტრილი ბიჭი იდგა. დამემუქრა – ამას არ გაპატიებ, აგჩეხავო... გავუცინე: აქედან დამეკარგე, თორემ, ჩემი მეგობარი დაგიჭერს-მეთქი!.. აგვხედ-დაგვხედა, გამომეტყველებაზე მივხვდი – არ სჯეროდა. ჩემი დედაო... – წამოიძახა. ჩანთის გახსნა დავიწყე, მინდოდა „დიქტოფონი“ ამომეღო. არ ვიცი, რა იფიქრა, მაგრამ აშკარად შეშინდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ამას ჰქვია ბედის ირონია: ქურდებს ჭკუის სწავლება დავუწყე და ამ დროს, პატარა ჯიბგირმა კინაღამ გამქურდა!..

■

ამ ნახატის ფასი
3.000 დოლარი ყოფილა

ბუბა კიკაბიძის სახლში შესვლისთანავე, ყურადღებას იპყრობს კედლებზე გაკრული აფიშები, დიპლომები, ორდენები. მათ შორის ერთ-ერთი ორდენი — „დედამიწაზე სიკეთის გამრავლებისთვის“ — ქართველ მსახიობს დედა ტერეზასთან ერთად მიუღია... იქვე კიდია კარელიაში მცხოვრები პრიმიტივისტი მხატვრის ბადრი თოფურიას მიერ შესრულებული, ბატონი ბუბას პორტრეტი. ეს პორტრეტი მას კარელიაში მხატვრის გამოფენა-გაყიდვაზე უნახავს. მსახიობს საექსპოზიციო დარბაზში შესვლისთანავე მიუქცევია მისთვის ყურადღება. ნახატის ფასი 3.000 დოლარი ყოფილა. საღამოს, კონცერტის დროს, ბატონ ბუბასთან ახალგაზრდა რუსი მამაკაცი მისულა და ეს პორტრეტი მიურთმევია, თან უთქვამს — დავინახე, როგორ ათვალიერებდით და მივხვდი, რომ მოგეწონათო.

ზოია – ფეხზე ამოსვირინგებული ყურნოში ქალის სახელი და ვინ „დაბომბა“ თბილისი ომისფერში

ხათუნა ჯავახიშვილი

ამ პორტრეტის გარდა, კიკაბიძეების სახლში სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული კიდევ უამრავი, შეძენილი თუ ნაჩუქარი ნახატია. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მსახიობის წინაპრების ფოტოპორტრეტები, რომლებიც ბატონი ბუბას თქმით, მისთვის ძალზე ძვირფასია.

სახლის მოწყობაში (აქ ოჯახი უკვე მეორე წელია, ცხოვრობს) მეუღლესთან ერთად, ბატონ ბუბასაც აქტიური მონაწილეობა მიუღია. მას თურმე, თანამედროვე ავეჯი არ უყვარს, ამიტომაც სახლში თითქმის ყველაფერი ძველებურია. „ეს ძველი კარადა ბებიაჩემის ნაქონია. შევაკეთეთ და აქ დავდგით. ჩემთვის ცოცხალი არსებასავითაა. მისგან სითბოს ვგრძნობ“, — მითხრა მან.

— ბატონო ბუბა, როგორ ფიქრობთ — გემოვნება თანდაყოლილი თვისებაა თუ მისი ჩამოყალიბება იმ გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც ადამიანი იზრდება?

— ვფიქრობ, გარემოზეა დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად იზრდება ადამიანი. გემოვნების კრიტერიუმები არ არსებობს. მთავარია, სწორი გემოვნება გქონდეს და არავის აწუხებდე შენი უგემოვნობით... მე ომის პერიოდის თაობას მივეკუთვნები. დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდით. ისეთი დრო იყო, ჩვენთვის არავის ეცალა. პრინციპში, უპატრონოდ ვიზრდებოდით. მაგრამ ჩემ ირგვლივ ვხედავდი ძალიან ლამაზ ადამიანებს, რომლებიც შემდეგ, გადაასახლეს, ზოგი დახვრიტეს... ძირითადად, სულ ბაგრატიონებთან ვიყავი (ნათესავები დედაჩემის მხრიდან), სადაც იკრიბებოდნენ მწერლები, მხატვრები, მომღერლები. როცა ასეთ ხალხთან გაქვს ურთიერთობა, რასაკვირველია, ავტომატურად გემოვნებაც გიყალიბდება.

— თქვენი ლიტერატურული გემოვნება როგორ ყალიბდებოდა? თუ გახსოვთ, პირველად რომელი წიგნი წაიკითხეთ?

— სხვათა შორის, წიგნის კითხვა ძალიან ადრეულ ასაკში დავიწყე. მაშინ ძერჟინსკის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩვენს ეზოში ებრაელი ქალი — რაია დეიდა ცხოვრობდა. ქმარი დაუხვრიტეს და ძალიან უჭირდა. ერთ პატარა ოთახში ედგა ერთი სკამი, მაგიდა და ლოგინი — დანარჩენი სივრცე სულ წიგნებით იყო დაფარული. იმან მიმაჩვია კითხვას. დღისით სულ ქუჩაში ვიყავით, ღამით ვკითხულობდი ჭრაქის შუქზე. დედაჩემი მეჩხუბებოდა ხოლმე — დაიძინე, ნუ კითხულობო. თუ არ ვცდები, პირველად ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“ წავიკითხე. მას მერე, თხუთმეტჯერ მაქვს წაკითხული. სულ ვამბობ: რუს პოლიტიკოსებს ეს წიგნი რომ ჰქონოდათ წაკითხული, შეიძლება, ჩეჩნეთში არც შესულიყვნენ-მეთქი...

— ახლა თუ კითხულობთ?

— ბავშვობაში ძალიან მიყვარდა კითხვა. სწავლაში არ ვიყავი კარგი ბიჭი, მაგრამ სხვა გასართობი არ იყო (თეატრებში და კონცერტებზე ვერ დავდიოდით) და წიგნი იყო ერთადერთი, რასაც სხვა სამყაროში გადავყავდით. მერე ქუჩაში ბიჭები ვარჩევდით ხოლმე წაკითხულს. ახლა იშვიათად ვკითხულობ. შარშან ქობულეთში ძალიან საინტერესო წიგნი მომიტანეს — გერმანელი ჟურნალისტის მიერ დაწერილი „პარფიუმერი“, რომელმაც მთელი მსოფლიო ააფორიაქა.

— რა მუსიკას უსმენდით ახალგაზრდობაში და როგორ შეაფასებდით დღევანდელ ქართულ ესტრადას?

— მე ჯაზურ მუსიკასა და როკზე ვარ გაზრდილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კლასიკური მუსიკა არ მომწონდა. ბავშვობაშივე მასწავლეს, რომ ეს აუცილებელია. რაც შეეხება დღევანდელ ქართულ ესტრადას — ეს ყვე-

ბუბა მეუღლესთან, ირინა ქებაძესთან ერთად



ლაფერია, ქართულის გარდა... მე თუ ამერიკული მუსიკის მოსმენა მინდა, სტივ უანდერს მოვუსმენ. როგორც ის ვერ იმღერებს „კრიმანჭულს“, ისე ვერ იმღერებს ქართველი იმას, რასაც უანდერი მღერის. ნებისმიერ საკითხში მთავარი, პროფესიონალიზმია. დღეს ვისაც არ ეზარება, ყველა მღერის. მერე ჩვენ ვზივართ და ვარჩევთ, რა საიდანაა მოპარული. ტექსტები კი, ისეთი სასაცილოა, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს... შარშან თბილისში ორფირფიტიანი ალბომი ჩავწერე. 23 სიმღერის ჩასაწერად სულ სამსაათ-ნახევარი დამჭირდა. მხოლოდ ერთხელ გავჩერდი, ისიც იმიტომ, რომ დავახველე... ვინც იწერდა, იმ ბიჭს თვალები შუბლზე ჰქონდა ასული: ზოგი, ერთი სიმღერის ჩაწერას ერთ თვეს ანდომებს, მერე მე ვზივარ და კომპიუტერზე ვასწორებო... რაც დღეს ხდება ქართულ ესტრადაზე, ეს არ არის ქართული მუსიკა. იმას კი არ ვამბობ, ყველამ ხალხური უნდა იმღეროს-მეთქი. თუმცა, ღმერთმა ისეთი ფოლკლორი მოგვცა, რომ მასზე უნდა ვილოცოთ. ჩვენნაირი ცეკვა და სიმღერა მსოფლიოში არავის აქვს. აქ იმასაც ვერ ხვდებიან, რომ თუ ბიზნესის გაკეთება უნდათ, სწორედ ამ სფეროში უნდა ჩადონ ფული. ფრანგები მიხვდნენ, წაიყვანეს „ერისიონი“ და სადაც გამოდიან, ყველგან ინგრევა დარბაზი ოვაციებისგან... დავიჯერო, გოგი ცაბაძე ბოლო იყო და მეტი ქართველი კომპოზიტორი აღარ დაიბადა?! მაგრამ ამ კომპოზიტორის დაწერილ მუსიკაზე ეს მომღერლები ვერც იმღერებენ. ჩვენ ამერიკისგან პირდაპირ ვიღებთ ყველაფერს. არადა, ხომ შეიძლება, ავიღოთ მხოლოდ ის, რაც კარგი აქვთ?!. შეიძლება, ღვინის, სუფრის, სადღეგრძელოს ქვეყანაში ნარკოტიკმა წალეკოს ახალგაზრდობა?..

— თქვენს ახალგაზრდობაში, როცა ქუჩაში იდექით, არასდროს დამდგარხართ ამ საფრთხის წინაშე?

— არა, მაშინ შიმშილის პრობლემის საფრთხის წინაშე ვიდექით... წამალი — არა, მაგრამ სიგარეტს 9 წლიდან ვეწევი. ბიჭებს ჯიბეში ნიორი გვედო და შინ მისვლამდე ვღეჭავდით, რომ სიგარეტის სუნი არ გვქონოდა.

— ხელზე სვირინგი გაქვთ. როდის გაიკეთეთ და რას ნიშნავს?

— ბევრი სვირინგი მაქვს. ყველა ბავშვობაში გავიკეთე. ეს სვირინგი ხელზე ასო „კ“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ გამოვიდა. ეს მოდა ციხიდან წამოვიდა და ახალგაზრდობამ „ძველბიჭობანას“ თამაში დაიწყო. ადრე ტყუილად არ იხატავდნენ — ყველა სვირინგს აზრი და მიზეზი ჰქონდა. ერთი კაცი იყო, რომელსაც მხარზე ეწერა: я и мой брат хотим мира. სულ გვაინტერესებდა მისი ძმის ნახვა, ლენინივით იყო *(იცინის)*... კიდევ ერთი იყო, ქურთი: ზურგზე სიონის ეკლესია ეხატა. გვშურდა, რომ ვხედავდით. ვინმე რომ შეეკითხებოდა — როგორ ხარო? — ზურგს მოატრიალებდა, მოიხრებოდა და უპასუხებდა: ეჰ, ფუნდამენტი ცოტა მოძველდაო...

— როგორც ვიცი, ფეხზე ამოტვიფრული გაქვთ იმ ქალის სახელი, რომელიც არასდროს გინახავთ...

— 10 წლის ვიყავი, როცა ჩემი ხელით ამოვისვირინგე ფეხზე ქალის სახელი — ზოია. უბანში ბიჭები დიდი ხნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ — ზოია ძალიან მაგარი გოგოაო. მე ნანახიც არ მყავდა და ერთ დღეს ვთქვი — ზოია ჩემი ნაშაა-მეთქი. ბიჭებმა მითხრეს — დაგვიმტკიცეო. ღამით სახლის სახურავზე ავედი და ეს სახელი ამოვისვირინგე. მაშინ ეს დიდი ამბავი იყო. ბიჭებს რომ ვუჩვენე, რა თქმა უნდა, ყველამ დამიჯერა. არც მერე მინახავს ის ქალი, მისი სახელი კი — დღესაც მაწერია... რამდენიმე წლის წინ მითხრეს — უპრობლემოდ შეიძლება მისი მოცილებაო და ვიფიქრე, ამოვიშლი-მეთქი, მაგრამ ეს ყველაფერი რომ გამახსენდა, თავი დავანებე: რომ მომეცილებინა, თითქოს ბავშვობის ნაწილს მოვიგლეჯდი. მეტსაც გეტყვით: ახლახან, მოსკოვში ჩემი ახალი დისკი გამოვიდა და ზოიაზე დაწერილი სიმღერაც შევიტანე. „მალჩიშკური“ სიმღერაა, როკია; რომ ვმღერი, ინგრევა დარბაზი. ტექსტი ჩემი დაწერილია ასე იწყება:

Было мне тогда лет десять,
Все мальчишки целый месяц
Называли твоё имя
Под усмешки детворы.
И соврал я не краснея,
На то права не имея,
Что вчера с тобою в школе
Объяснился я в любви.

— როგორი უნდა იყოს ქალი, რომ მოგეწონოთ?

— ქალი არ უნდა იყოს სულელი. მარტო ლოგინი ხომ არ არის?!. ქალი თუ საინტერესო არ არის, როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს, არ მომეწონება. ჯულიეტა მაზინა არ იყო ლამაზი, მაგრამ როგორც კი თამაშს დაიწყებდა, მის გარეგნობას არ აქცევდი ყურადღებას.

— ალბათ ბევრ ქალს მოსწონდით, არა?

— არ ვიცი...

— არ გაწუხებდნენ?

— *(იცინის)* მაწუხებდნენ, მაგრამ ეს სასიამოვნო შეწუხება იყო. ქალები მე იმიტომ მცემდნენ პატივს, რომ არ მოვაღებდი პირს და არასდროს არავისზე ვყვებოდი არაფერს...

— ბატონო ბუბა, თქვენ ყოველთვის გემოვნებით გაცვიათ. უფროსი თაობისგან გამიგონია — ადრე, საბჭოთა რესპუბლიკებში ყველაზე გემოვნებით თბილისში, კიევსა და ოდესაში იცვამდნენო. როგორ ფიქრობთ — დღესაც გემოვნებით იცვამენ თბილისში?

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მსახიობის წინაპრების ფოტოპორტრეტები, რომლებიც, ბატონ ბუბას თქმით, მისთვის ძალზე ძვირფასია

— თბილისელები მართლა გამოირჩეოდნენ გემოვნებით, ყოველთვის კარგად ეცვათ და ლამაზებიც იყვნენ. ოდესა საპორტო ქალაქი იყო. ახალგაზრდები გემებზე ყიდულობდნენ ტანსაცმელს და იმიტომ ეცვათ კარგად. კიევში არ მახსოვს, როგორ იყო... დღეს თბილისში რატომღაც ყველას შავები აცვია. თუმცა, მეც მიყვარს ეს ფერი და ხშირად ვატარებ შავ ტანისამოსს.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ? დასასვენებლად სად დადიხართ?

— დასვენება მიჭირს — ერთ ადგილას ვერ ვჩერდები. შარშან ძალით წამიყვანეს ლიკანში 10 დღით. ვიჯექი ჩემთვის და ვწერდი. თუ საშუალება მაქვს, სათევზაოდ დავდივარ ხოლმე — ჩემთვის ყველაზე კარგი დასვენება ეს არის. რამდენიმე დღის წინაც ვიყავით მე და ჩემი მეგობარი ჯანდარაში სათევზაოდ.

— ნადირობა არ გიყვართ?

— არა.

— აზარტული თამაშები?

— არა. იცით, რატომ? ძალიან აზარტული ვარ და ვიცი, როგორ შეიძლება დამთავრდეს ეს ყველაფერი... ისე, კარგად ვთამაშობ.

— ახლა ფიქრობთ ამაზე, მაგრამ ახალგაზრდობაშიც ითვალისწინებდით ამას?..

— ახალგაზრდობაში ვთამაშობდი კარტს და რაღაცებს, მაგრამ ყოველთვის მქონდა გაცნობიერებული, რომ მოთამაშე კაცი მოგებული არასდროს რჩება.

— როგორც ვიცი, ავტობიოგრაფიულ წიგნს წერთ. როდის დაასრულებთ?

— ახლა რატომღაც გავჩერდი. ერთი თვეა, ხელი არ მომიკიდია. ერთი მესამედი უკვე დაწერილი მაქვს. ვნახოთ, ალბათ მალე მოვრჩები. მოსკოვში ერთმა ჟურნალისტმა მკითხა — რაზე იქნება წიგნიო? პასუხად, ერთი ეპიზოდი ვუამბე: ჩვენი სახალხო არტისტი, მოცეკვავე ომარ მხეიძე, ცოლი რომ მოიყვანა, პატარა, ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა. ახალგაზრდები იყვნენ, რესტორნის ფული არ ჰქონდათ და ქორწილს ვერ იხდიდნენ. კარის მეზობლებმა კედელი მოანგრიეს, ოროთახიანი ბინა ხუთოთახიანად იქცა და იქ გადაიხადეს ქორწილი. მერე, ძალიან დიდი ხანი აშენებდნენ იმ კედელს... ეს რომ მოვყევი, ვხედავ, ამ ჟურნალისტს ფერი წაუვიდა. ვეკითხები — მიხვდი, რაზე ვლაპარაკობ-მეთქი? — როგორ ვერ მივხვდიო?! — მიპასუხა... ეს ამბავი ქართველისთვის გასაკვირი არ არის, რუსების მენტალიტეტში კი, არ ჯდება. ახლა ერთი სცენარი მაქვს დაწერილი, რომელიც 7 ნოველისგან შედგება. რუსებს უნდოდათ გადაღება. ვუთხარი: თუ გინდათ, „გადავარუსულებ"-მეთქი. — არა, მაგას ჩვენ ვინ დაგვიჯერებს? ეგ მარტო თქვენთან შეიძლება მოხდესო... მართალია, და სწორედ ეს არ უნდა დავკარგოთ. არადა, რაღაცნაირად შეიცვალა თბილისი. ადრე ქუჩაში კარგი გოგო რომ გაივლიდა, ბიჭები ტრიალდებოდნენ და უყურებდნენ. ახლა ასე აღარ ხდება. სხვა რაღაცაზე ფიქრობენ. ჩამქრალი თვალები აქვთ. იმაზე ფიქრობენ, თუ სად რა იშოვონ, რომ საჭმელი იყიდონ...

ქალები მე იმიგომ მცემდნენ პაგივს, რომ...

ბატონ ბუბას კონცერტებზე ბავშვები თურმე, ხშირად უძღვნიან სათამაშოს: მაიმუნებს, დათვებს, ზღარბებს, რომლებსაც მისი მეუღლე, ქალბატონი ირინა ინახავს. თავად მსახიობსაც უყვარს საჩუქრების მიძღვნა. კაცს ეს როგორ უნდა გიყვარდესო?! — ამბობს.

როცა მის მიერ მირთმეული ყველაზე ორიგინალური საჩუქრის გახსენება ვთხოვეთ, მისთვის ჩვეულად გაიღიმა და ერთი ამბავი მოგვიყვა:

— მაშინ ხილიანზე ვცხოვრობდი. იმ პერიოდში კინოსტუდიაში ჯამაგირს დროულად იძლეოდნენ ხოლმე, მაგრამ ერთხელ რატომღაც დაგვიგვიანეს და 5 დღე, დილა-საღამოს მაკარონს ვჭამდი. ცუდ ხასიათზე ვიყავი. როგორც იქნა, მოგვცეს ხელფასი. შინ მოვედი და მეუღლემ მითხრა: ვიღაც ორმა კაცმა გიკითხა, ნერვიულობდნენ, რაღაც არ მომეწონა, შენზე ვუთხარი — შვიდი საათის მერე იქნება-მეთქი შინო. ვზივარ, ვჭამ და კარზე ზარი დაირეკა. გავაღე — დაახლოებით 40 წლის ორი კაცი დგას. მომესალმნენ, მივესალმე. — ერთი წუთით გამოდითო, — მითხრეს. ვუპასუხე — კარი ღიაა, შემოდით, გარეთ რატომ უნდა ვილაპარაკოთ-მეთქი?!. მითხრეს: ჩვენი მეგობარი როსტოვის მხარეში ზონაში ზის; ობოლია, გამზრდელი დეიდა გარდაეცვალა და ზონის უფროსმა ჩუმად გამოგვიშვა მის დაკრძალვაზე; სამ დღეში ადგილზე რომ არ ჩავიდეთ, 5-5 წელს დაგვიმატებენ და დავიღუპებით; ძალიან უჭირდათ თქმა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მითხრეს — 8 თუმანი გვჭირდება მატარებლის ბილეთებისთვისო. ვკითხე — ჩემთან რატომ მოხვედით-მეთქი? მიპასუხეს — თბილისში სხვასთან ვისთან უნდა მივსულიყავით, თუ არა თქვენთანო?!. გამიხარდა. ვკითხე — იქნებ, მეტი გჭირდებათ-მეთქი? — არაო, — მეტი არაფრით არ აიღეს. რომ გადიოდნენ, ვუთხარი: მთა მთას არ შეხვდება და ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს-მეთქი... მეორე დღეს, ნანი ბრეგვაძე მირეკავს და მეუბნება: ბუბა, ისეთი ამბავი მოხდა, შენ რომ მოგწონს; ჩემთან ორი კაცი მოვიდაო... ეს რომ თქვა, გამაცია. ეს ტიპები ნანისთანაც მისულან და იგივე ტექსტი უთქვამთ — ქალბატონო, თბილისში სხვასთან ვისთან უნდა მივსულიყავითო?!. „დაუბომბავთ" ნახევარი თბილისის მსახიობები და ყველა სიამოვნებით ეხმარებოდა. იმიტომ, რომ როცა მსახიობს ეუბნები — შენისთანა მსახიობი მეორე არ არსებობსო! — ის უკვე დამდნარია... თუმცა, ხანდახან ხვდები, რომ გატყუებენ, მაგრამ მაინც აძლევ ფულს — იმიტომ, რომ შენი თავის გრცხვენია... მე მგონი, ქართველ კაცს ყაჩაღობა უფრო შეეძლო, ვიდრე მათხოვრობა — არ ჰქონდა ეს თვისება, მაგრამ ესეც ალბათ, გაჭირვებამ მოიტანა...

■

კაცა ვერ შესწვდა ქეხვსაო...

ადამიანის ბუნება ასეთია: სწორედ იმისკენ მიილტვის, რაც მიუწვდომელია. ზოგიერთი მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძვის დასახული მიზნის მისაღწევად და რომ მიაღწევს, მერე თითქოს იმედგაცრუებას განიცდის. ალბათ დამეთანხმებით — ძნელი წარმოსადგენია, რომ კაცი ათწლეულების მანძილზე ოცნებობდეს ერთ ქალზე და ამ წლებს მხოლოდ ერთმა შეხვედრამ გადაუსვას ხაზი. მაგრამ სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს პირველ რესპონდენტს.

მარი ჯაფარიძე

„ქეხვს“ ვერ სწვდები, ჟინი გიჩნდება, მისწვდები და – იმედგაცრუება“...

„ფოცხვერივით დავახტი ზემოდან...“

„დაუჯერებელი ამბავი უნდა მოგიყვეთ, რომელსაც საფუძველი 40 წლის წინ ჩაეყარა. იქნებ, გაგეცინოთ კიდეც, თუ გეტყვით, რომ მაშინ სულ 6 წლის ვიყავი და ჩემზე ერთი წლით უფროსი გოგონა შემიყვარდა. ჩემი კარის მეზობელი გახლდათ. ის და დედამისი ჩვენთან ხშირად შემოდიოდნენ ხოლმე, ჩვენ ვთამაშობდით, ქალები – ჭორაობდნენ. ერთხელ, ეს გოგო „ზალაში“ შევიყვანე და შევთავაზე – მაგიდის ქვეშ შტაბი მოვაწყოთ-მეთქი. მაგიდაზე გრძელი გადასაფარებელი იყო, იმხელა, რომ მისი ბოლოები იატაკს სწვდებოდა. ორივენი შევძვერით, გარეთ კი ჩემი სათამაშო ტანკები და მანქანები დავაწყვეთ. მერე გადავწყვიტე, ამ გოგოსთვის სწორედ ისე მეკოცნა ტუჩებში, როგორც ფილმებში მქონდა ნანახი. საკოცნელად რომ გავიწიე და მანაც ტუჩები გამომიშვირა, სწორედ ამ დროს დაუძახა დედამისმა და შინ წაიყვანა. ამის მერე დაიწყო ჯოჯოხეთი. მიუხედავად იმისა, რომ სულ მთლად ბავშვი ვიყავი, მისი კოცნის ჟინი მკლავდა, მაგრამ ვეღარ დავიმარტოხელე... გადიოდა წლები. მე ნუცა თავდავიწყებით მიყვარდა, მას კი სულაც არ ვაინტერესებდი. ერთ დღეს მეგობრები მეწვივნენ (მაშინ 18 წლის ვიყავი) და ნუცაც დავპატიჟე. შემდეგ მეგობრები შინ გავაცილეთ და მე და ნუცა ფეხით დავბრუნდით შინ. მაშინ გავუბედე და ის ამბავი შევახსენე. თან გულიანად ვიცინოდით. შუაღამე იყო და ისეთი რომანტიკული ატმოსფერო, რომ გადაწყვიტე, მეკოცნა. ვუთხარი: – მაშინ ხელი შეგვიშალეს, მოდი, ვითომ ისევ პატარები ვართ, ტუჩები მომიშვირე და გაკოცებ-მეთქი. გაჩერდა, ტუჩები მოპრუწა, თვალები დახუჭა და გაინაბა, მაგრამ შეხებაც ვერ მოვასწარი, რომ ხმამაღლა გადაიხარხარა და გამექცა. მეორედაც გავუშვი შანსი ხელიდან. შემდეგ დავუწყე შეწუხება, აშკარად ვავიწროებდი და შეხვედრას ვთხოვდი, მაგრამ ვერ ვითანხმებდი. ნუცა მოულოდნელად გათხოვდა... მე მაინც არ ვანებებდი თავს. მისი ქმარი მის ოჯახში ცხოვრობდა და ჩვენ ისევ კარის მეზობლები ვიყავით. 23 წლის ვიყავი, როცა ერთხელ შინ მარტო გახლდით და ნუცამ კარზე მოაკაკუნა – შემოდი-მეთქი, – გავძახე. შემოვიდა და პირდაპირ სამზარეულოსკენ წავიდა: ეგონა, დედაჩემი იქ დახვდებოდა. მე კი შემოსასვლელი კარი ჩავკეტე და უკან მივყევი. სამზარეულოს კუთხეში მივიმწყვდიე და – სანამ არ მაკოცებ, არ გაგიშვებ-მეთქი, – ვუთხარი. შემეწინააღმდეგა. ხან მეხვეწა, ხან მეჯავჯგურა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ბოლოს დამთანხმდა. გაგეცინებათ, თუ გეტყვით, რომ ისევ ვერ მოვასწარი მისი შეხება, რადგან დედაჩემმა კარის საკეტში გასაღები ააჩხაკუნა... ამჯერადაც კოვზი ნაცარში ჩამივარდა. დღე და ღამე, მელანდებოდა, ფიქრსა თუ სიზმარში მას ვეალერსებოდი... შემდეგ ნუცა ქმარს გაეყარა. შემეცოდა. ცოტა ხნით თავი დავანებე, აღარ ვაწუხებდი. მერე შევნიშე, რომ მის ცხოვრებაში სხვა მამაკაცი გამოჩნდა და ისევ გავაქტიურდი. მაინც უარს ვღებულობდი... მოკლედ, ნუცამ ასე 10-15 კაცი გამოიცვალა, მეზობლებშიც რეპუტაცია შეელახა, მაგრამ მე ერთი კოცნაც ვერ გამოვტყუე. თუ სადმე დავპატიჟებდი, მომყვებოდა, მაგრამ ხელკავის გამოდების უფლებასაც არ მაძლევდა. მიუხედავად მისი ცხოვრების წესისა, ანგელოზად მიმაჩნდა და არც მაინტერესებდა, ვის ხვდებოდა, სად მიდიოდა და ღამით შინ რატომ არ ბრუნდებოდა. მეც უცოლოდ დავბერდი მის მოლოდინში. 40 წლის რომ გავხდი, ხელი ჩავიქნიე ყველაფერზე და გადავწყვიტე, მხოლოდ ერთხელღა მეცადა ბედი. ჩემი აივნიდან მის აივანზე გადავძვერი, როცა ნუცა შინ არ იყო და მისი საწოლის ქვეშ დავიმალე (რამდენიმე წლით ადრე, დედამისი გარდაიცვალა, და მარტო ცხოვრობდა). დასაძინებლად რომ დაწვა, საწოლის ქვეშიდან გამოვძვერი და ფოცხვერივით დავახტი ზემოდან. კარგა ხანს მებრძოლა, ბოლოს დაიღალა და გაჩერდა. როგორც იქნა, ვაკოცე. ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი სხეულში, მეგონა, გავფრინდებოდი. მერე თვითონ აღარ მომეშვა და... მოკლედ, მის გვერდით, ბედნიერი სახით დავიძინე. დილით მე უფრო ადრე გამეღვიძა. ნუცას გადავხედე. ჩემკენ ზურგშექცევით, დედიშობილას ეძინა. ერობაშად წარმოვიდგინე, რამდენ კაცთან იწვა ჩემამდე და იმავეს აკეთებდა, რასაც ჩემთან და გულის რევის შეგრძნება დამეუფლა, რადგან ქალის მაგივრად, ხორცის ნაჭერი წარმომიდგა თვალწინ. იქვე დამთავრდა ჩემი ლტოლვა მის მიმართ, ჩუმად გამოვიპარე და მისკენ აღარც გამიხედავს. ალბათ, ასე ხდება: როდესაც „ქეხვს“ ვერ სწვდები, ჟინი გიჩნდება, მისწვდები და – იმედგაცრუება...“

ნათქვამია – სხვა სხვის ომში ბრძენაო... ხშირად ხდება, რომ გვეიოლება სხვათა გაკილვა ან რჩევა-დარიგების მიცემა, მაგრამ მსგავს სიტუაციაში რომ აღმოვჩნდებით, შესაძლოა, ისეთი რამ ჩავიდინოთ, რის გამოც სხვას შენიშვნას ვაძლევთ...

არასოდეს თქვა „არასოდეს“...

„30 წლის ქალი ვარ. ბავშვობის მეგობარი მყავს, თეა ჰქვია. ის ყოველთვის თამამი და აქტიური გოგო იყო, მე – დინჯი და მოკრძალებული. თეა რომ ბიჭს თვალს დაადგამდა, ყველა ღონეს იხმარდა, რომ „დაეთრია“. შეეძლო ემსახიობა, უზომოდ შეყვარებული ადამიანის ან უბედური ქალის როლი ეთამაშა და დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევდა კიდეც. მერე იმ კაცს ამა თუ იმ საქმეში გამოიყენებდა და მიატოვებდა. ზოგს სამსახური აშოვნინა, ზოგს – საზღვარგარეთ დასასვენებლად წააყვანინა თავი, ფული ხომ სულ ჰქონდა. ერთმა ბიჭმა იმის გამო დაიწუნა, რომ 75 კილოს იწონიდა. იმდენი ქნა, ორ-სამ კვირაში 15 კილო დაიკლო და ის ბიჭიც შეაბა. სულ ვეჩხუბებოდი ხოლმე – ასე ნუ იქცევი-მეთქი! – მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. ხანდახან ვებუტებოდი კიდეც, როცა ძალზე ზედმეტი მოსდიოდა. ერთხელ, იცით, რა გააკეთა? მისმა მორიგმა შეყვარებულმა რესტორნაში დაგვპატიჟა. იქვე, გვერდით მაგიდასთან სამი მამაკაცი ვახშმობდა. თეამ ერთს თვალი დაადგა და იმდენი მოახერხა, თავისი ტელეფონის ნომერი დაუტოვა. შინ რომ მივედით (იმ ღამით თეა ჩემთან რჩებოდა), ჩხუბი მოგვივიდა. მე ვამტყუნებდი: – როგორ შეიძლება, ერთმა კაცმა დაგპატიჟოს, შენ კი მის თვალწინ სხვა შეაბა-მეთქი?! – ის კი, ჯერ იცინოდა, ხუმრობდა, მერე შემომიბღვირა და ბოლოს, ერთმანეთს დავცხეთ. შუაღამისას გაიქცა ჩემგან და ერთმანეთს კარგა ხანს არ ველაპარაკებოდით. სწორედ იმ პერიოდში გავიცანი ერთი ახალგაზრდა მამაკაცი და გულში ჩამივარდა. თეამური ყურადღებას არ მაქცევდა, მე კი ფეხდაფეხ დავდევდი და მოსვენებას არ ვაძლევდი. თანდათან ვატყობდი, რომ თეას მეთოდების გამოყენება დავიწყე. მეც კარგად შემძლებია მსახიობობა! ჩემი თავის მიკვირდა და თეას ქცევას უკვე ისეთი თვალით აღარ ვუყურებდი. ბოლოს, მისი გამართლებაც დავიწყე. მაგრამ თემურზე მაინცდამაინც არ ჭრიდა ჩემი მეთოდები. ის კვლავინდებურად ყინულის ლოდად იყო ქცეული. მე ჯიუტად განვაგრძობდი მის მოხიბვლას. ავდექი და თეას დავურეკე. შევრიგდით. რამდენიმე საათის განმავლობაში ვუყვებოდი ჩემს ამბავს. თეამ ჭკუა დამარიგა და შემდგომი მოქმედების სტრატეგიული გეგმაც დამასახვინა, თან 100 დოლარიც მოაყოლა... დავიწყე გეგმის მიხედვით მოქმედება: მეორე დღეს თემური მოვატყუე – დაბადების დღე მაქვს და გულს ნუ დამწყვეტ, შენთან ერთად მინდა გავატარო-მეთქი. დავითანხმე და რესტორანში წავედით. ფული მქონდა და საუცხოო კერძები შევუკვეთე, სასმელიც გეახელით და რომ შევთვერით, თემურმა ხან ხელი გადამხვია, ხან კოცნა დამიპირა. ცეკვის დროს ხომ მთელი ტანით ზედ მეკვროდა. გავლაღდი, მაგრამ მერე გავბრაზდი: ამ კაცმა ასე ჭკუა როგორ დამაკარგვინა-მეთქი?! – და მის ჯიბრზე იქვე, მეორე მაგიდასთან მჯდომ მამაკაცს დავუწყე ფარცქვალი. ბოლოს, თემური საერთოდ მივატოვე და იმ მამაკაცს გავყევი. ჩემი უმანკოება უცხო კაცს, სასტუმროში შევწირე და დილით შინ დავბრუნდი. ის კაცი იმის მერე თვალითაც არ მინახავს და თემურსაც აღარ შევხმიანებივარ. გავაკეთე იმაზე უარესი, რასაც ჩემი მეგობარი აკეთებდა. თეამ კინაღამ მომკლა ჩემი საქციელისთვის, მაგრამ რაღა დროს?! მოკლედ, „ძეხვს“ ვერ შევწვდი და რძეც სანატრელი გამიხდა. „გზის“ მკითხველს კი შეუძლია, გამკიცხოს. ასე არ არის? ელგა“.

მართლაც, იოლია სხვისი გაკიცხვა, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და თქვენც, ჩემო ელგა, და „გზის“ მკითხველსაც ბალზაკის სიტყვებს შევახსენებ: „ჯერ არც ერთი ისეთი ცოდვა არ შეეხვედრია, რომ შესაფერ გარემოში მეც არ ჩავიდინო“. ახლა კი, 27 წლის ვიოლას ამბავს გავეცნოთ.

„ბოლოს და ბოლოს, კაცია თუ არა?“

„ეჰ, მე „ძეხვს“ კი შევწვდი, მაგრამ რად გინდა? – უვარგისი აღმოჩნდა!.. თუმცა, დავიწყებ თავიდან. 20 წლის ასაკში ერთი ბიჭი შემიყვარდა. მე ახტაჯანა გოგო ვიყავი, ის კი – ძალზე წყნარი და მორიდებული ბიჭი. ამიტომ თავიდანვე მე ვაქტიურობდი. პაემანსაც მე ვუნიშნავდი, კაფეშიც მე ვეპატიჟებოდი და ხარჯსაც მე ვწვევდი. საათობით ველაპარაკებოდი, ის კი მომჩერებოდა თავისი შავი თვალებით და ხმასაც არ იღებდა. ისიც კი არ ვიცოდი, ესმოდა თუ არა ჩემი ნათქვამი. – გიყვარვარ? – ვკითხავდი. ის მხრებს აიჩეჩდა. – ხომ გიყვარვარ? – ასე რომ შევეკითხებოდი, მაშინ თავს დამიქნევდა თანხმობის ნიშნად. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ჩემი ეშინოდა. სხვა ბიჭები აქეთ მაწუხებდნენ და შეხვედრას მთხოვდნენ, ეს კი – თუ არ „ვუჯიკებდი“, ნაბიჯსაც არ გადადგამდა. ასე „ვათრიე“ ორი წელი. ბოლოს, ეს ყველაფერი მომბეზრდა და ვუთხარი: – ხვალ ცოლად უნდა წამიყვანო-მეთქი. – თავი დამიქნია. ჩემი მეგობრის მანქანით მივაკითხე, ჩავსვით და ჰაიდა... – სად წავიდეთ-მეთქი? – რომ ვკითხე, ისევ მხრები აიჩეჩა. კინაღამ გავგიჟდი. მერე მისი სოფლისკენ ავიღეთ გეზი. ჩემი მეგობარი (ვინც საჭესთან იჯდა) ბიჭი მთელი გზა გვაშაყირებდა. დათოს ეკითხებოდა – პირველი ღამის ხომ არ გეშინია? თუ გინდა, შენს მშობლებს შევატყობინებ და თუ დარჩენაზე უარს იტყვი, უკან დაგაბრუნებენო... ის ხმას მაინც არ იღებდა. მის ბებია-ბაბუას მივადექით. მოხუცებმა ძალზე კარგად მიგვიღეს. დათო უკვე 26 წლის იყო, მე – 22-ის, ამიტომ სულაც არ შეუცხადებიათ ჩვენი დაქორწინების ამბავი... ახლა უკვე 5 წელია, ცოლ-ქმარი ვართ. დათო არ შეცვლილა, ისევ ჩემი სათრევია და რომ ვუთხრა, ოთახის ამ კუთხეში უნდა იდგე ხვალ დილამდე-მეთქი, – არც კი გააპროტესტებს, ისე მორჩილად დადგება. მთელი კვირა შინ რომ არ მივიდე, არც მკითხავს, სად ვიყავი. ვის დავაბრალო?! – მე თვითონ მოვინდომე. ისე, დათოსნაირ ქმარზე ბევრი ქალი ოცნებობს, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემი ქმარი ხან მეჩხუბებოდეს, ხან მეფერებოდეს, ეჭვიანობდეს და მაგიდაზე მუშტს ურტყამდეს... ბოლოს და ბოლოს, კაცია თუ არა?“

...ფრთები პინგვინსაც აქვს, მაგრამ როდი დაფრინავს?! მართლაც, ვერავის დააბრალებ – არჩევანი თვითონ გაგიკეთებიათ...

ახლა კი, იმ ქალბატონსაც მოვუსმინოთ, რომელმაც თვითმკვლელობა გადაწყვიტა, მერე სიყვარული იპოვა, მაგრამ „ძეხვს“ მაინც ვერ შესწვდა.

„მე ის ჯერ არ მინახავს და... მიყვარს“

„გზავნილების“ მუდმივი მკითხველი გახლავართ. ჩემი ამბავი ასე დაიწყო: უსიყვარულოდ გავთხოვდი. მყავს 5 წლის არაჩვეულებრივი ქალიშვილი, რის გამოც ვცდილობ, წარსული დავივიწყო. ოჯახში დამბულმა ურთიერთობამ თვითმკვლელობამდე მიმიყვანა. ორი ფირფიტა ნიტროგლიცერინი ვიყიდე და სიტუაციას დაველოდე... დღეს რომ მკითხოთ, ამის გაკეთება რამ გამბედვინა, ვერ გიპასუხებთ. ძალზე კარგად მესმის, რომ ეს უმძიმესი ცოდვაა და დღეს ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებ. პირჯვარი გადავიწერე (ალბათ, ჯერ არჩადენილი ცოდვის შესამსუბუქებლად)... შიში თავისას შვრებოდა, მაგრამ მკაც-

რად მქონდა გადაწყვეტილი, რომ წამლები უნდა დამელია. ზუსტად მაშინ, როცა მიზანთან ახლოს ვიყავი, ჩემმა მობილურმა დარეკა. ნომერი შეეშალათ. მალე მეორედ დარეკა. იმავე ნომრიდან ახლა სხვა სახელი იკითხეს. ხმას ავუწიე და გამოვლანძღე შემწუხებელი, რადგან მეგონა, შაყირობდა. ის კი ჩუმად მისმენდა... მას შემდეგ, რაც ლანძღვა დავამთავრე, ტელეფონი გავთიშე და წამოწყებულ საქმეს მივუბრუნდი. აბები პირში უნდა ჩამეყარა, როცა „მესიჯი" მოვიდა. ისევ იმ ნომრიდან, ვინმე გიო პატიებას მთხოვდა და ჩემი გაცნობის სურვილს გამოთქვამდა. რა თქმა უნდა, პასუხი არ დავუბრუნე. „მესიჯები" ნახევარი საათის მანძილზე, შეუჩერებლივ მოდიოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ გადავწყვიტე, მეპასუხა. ამის შემდეგ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. ფაქტობრივად, გიომ თვითმკვლელობისგან მიხსნა. მას თავიდანვე ვუამბე ყველაფერი... ბევრს აღარ გავაგრძელებ და გეტყვით, რომ მე და გიოს ერთმანეთი ტელეფონით შეგვიყვარდა. მე ის ჯერ არ მინახავს. ერთმანეთის აღწერილობა იმდენად კარგად ვიცით, რომ ქუჩაში რომ შევხვდე, ვიცნობ, თუმცა, გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან როგორც ნოდარ დუმბაძეს აქვს ნათქვამი, ადამიანი ფრესკა არ არის, რომ სიბრტყეში უმზირო – მას ქანდაკებასავით უნდა შემოუარო და კარგი კუთხით უყურო... მეც გიო უკვე ყველაზე კარგი კუთხით დავინახე და მინდა გითხრათ, რომ ასეთი შეყვარებული არასოდეს ვყოფილვარ. რაც შეეხება თქვენ მიერ შემოთავაზებულ თემას – ვფიქრობ, ჩემი ამბავი სწორედ რომ შესაფერისია, რადგან ბოლომდე ვერ მივწვდი სიყვარულის ცოდვა-მადლს. მე ვერ მივწვდი გიოს თუ პირიქით, ეს მკითხველმა განსაჯოს, თუ ამ „მესიჯს" დამიბეჭდავთ... ანი, 25 წლის"

ახლა კი იმ ქალბატონს მოვუსმინოთ, რომელსაც სიყვარული საკმაოდ გვიან სწვევია, მაგრამ მიუხედავად მცდელობისა, არ გაუმართლა.

შურისმაძიებელი „ბებია"

„მესიჯს" 42 წლის „ბებია" გწერთ. ძალზე ბედნიერი ოჯახი მქონდა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ მოხდა ისე, რომ ჩემი შვილის მასწავლებელი შემიყვარდა. კარგა ხანს ვებრძოლე თავს, ბოლოს კი გადავწყვიტე, მისთვის გამემხილა ჩემი უცნაური სიყვარულის შესახებ. მან კი იცით, რა ქნა? როგორც მეძავს, ისე დამიწყო ლაპარაკი... ძალიან გავბრაზდი, უფრო მეტად კი – საკუთარ თავზე. გადავწყვიტე – რადაც არ უნდა დამიჯდეს, სამაგიერო უნდა გადავუხადო-მეთქი. ამისათვის ნებისმიერ გზას დავადგები. ჩემს შეურაცხყოფას არ ვაპატიებ. ახლა მის მიმართ სიყვარულს კი არა, სიძულვილს ვგრძნობ. სწორედ რომ ჩემზეა ნათქვამი – კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო..."

თურმე ნუ იტყვით და... „ძეხვი" შესაძლოა, მეგობარი გოგონას ფულიანი მამიკოს ჯიბეც კი აღმოჩნდეს. თუმცა, თუ ამ მამიკოს ჭკვიანი შვილი ჰყავს, მართლაც, ვერ შესწვდებით.

„მე მათ აღარ შევურიგდები..."

„რაც მოვინდომე, თითქმის ყველანაირ „ძეხვს" შევწვდი, მაგრამ ჩემს დაქალს რა ეშველება? ვცხოვრობდი საბურთალოზე, ჩვეულებრივ ოჯახში. არც არავის შურდა ჩემი და არც მე მშურდა სხვისი. ამ 6 წლის წინ გადავედი საცხოვრებლად კერძო სახლში. აი, სწორედ მაშინ დაიწყო ჯოჯოხეთი: ჯერ მეგობრებთან გამიფუჭდა ურთიერთობა, ყველას მილიარდერის შვილი ვეგონე და სულს მიმწარებდნენ. მერე ვითომ გამოვასწორე ურთიერთობა. ჯერ ერთს გადავუხადე სკოლაში ფონდის ფული, მერე – მეორეს და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ყველა ჩემს ხარჯზე იყო. ერთ გოგოს დავუმეგობრდი, რომელიც სხვებთან შედარებით უკეთ მექცეოდა. შინ მოვიყვანე, ათასგვარი გასართობი მოვუძებნე, მერე წავიყვანე და ნაყინზე დავპატიჟე. მოკლედ, ყველანაირ სურვილს ვუსრულებდი. თავიდან მორიდებულად იყო, მაგრამ მერე შევნიშნე, რომ გათამამდა და თანდათან მეტი მომთხოვა. ერთხელ მასთან და მის ერთ მეგობარ გოგონასთან ერთად ვსეირნობდი. ყველას გვქონდა ფული, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, აღმოჩნდა, რომ მათ ფულის დახარჯვა არ უნდოდათ და მე მომთხოვეს, რაიმე მეყიდა. უარი რომ ვუთხარი, გაბრაზდნენ – ძუნწი ხარო, – მითხრეს. ჰოდა, იარონ ახლა პირში ჩალაგამოვლებულებმა. მე ხომ მათ აღარ შევურიგდები! ისინი კი მიხვდებიან, რა „მეწველი ძროხა" დაკარგეს. მომინდომეს, ფულის გამოძალვა? – ვერ მივართვი! აი, სწორედ მაგათზეა ნათქვამი– კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო. პირობითად ქეთი".

ახლა კი მოკლე „მესიჯებს" გადავხედოთ:

„ძეხვამდე" ყოველთვის 1 სმ მაკლდება..."

„სამი წელია, ჩემი ჯგუფელი მიყვარს. ის კი ან ვერ ხვდება, ან არ უნდა, რომ მიხვდეს. ვაჟა, შენ ჩემი სიცოცხლე და ლამაზი სიყვარული ხარ. ცირა".

„ჩემთვის მიუწვდომელი ჩემი პირველი სიყვარული, ლაშა გახლავთ. რვა წელია, „ვფორთხიალობ" და ვერ ვწვდები".

„43 წლის კაცი ვარ. პირველად გიგზავნით „მესიჯს". მყავს ცოლი და ორი ბიჭი, რომლებიც უზომოდ მიყვარს. შემიყვარდა გოგონა, რომელიც ბავშვობაში მომწონდა. მინდა, სჯეროდეს ჩემი. მიყვარხარ! დავრწმუნდი, რომ სიყვარული არსებობს! „პაჩი".

„3 თვის წინ ერთ ადამიანს „დავუმესიჯე". მასთან საუბარი მომწონს. ის მეძებს, მე კი მისი მეშინია. მინდა ვუთხრა: არ მომძებნო! „ვამპირო".

„ჩემთვის მიუღწეველი გახდა ალექსი ა-ნის სიყვარულის მოპოვება. ბედი არ მაქვს..."

„ადამიანი, რომელიც მიყვარს, ჩემთვის ვერ იცლის. მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. მინდა, იცოდეს, რომ მის მეტი არავინ მინდა. თუ მე მას „მივწვდი", ბედნიერი ვიქნები. ლექსოს „კუსუნასგან".

„მეექვსე სკოლაში ერთი „ბაბნიკი" სწავლობს. სიყვარული ამიხსნა და ჩემს პასუხს არ დაელოდა, მეორე, ძალიან ლამაზ გოგოსაც ისე აუხსნა სიყვარული. მგონი, ის გოგო ატყუებს და ეს ჩვენი „ბაბნიკი" გაება. ჭკუა ეკეტება ამ გოგოზე. აი, მაგაზეა ეგ გამოთქმა – კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო... დარწმუნებული ვარ, ვერ შესწვდება".

„ეჰ, მარი, „ძეხვამდე" ყოველთვის 1 სმ მაკლდება. გუშინაც თითქმის შევწვდი, ბოლოს კი მაინც დამაკლდა ცოტა. მაგრამ არ ვდარდობ, – ამ „ძეხვს" მაინც არ მოვეშვები".

„არ ვიცი, რა გამიხდა ერთი გოიმი რეხელი ბიჭი... მართლა ვერ შევწვდი მის ცოლობას. არადა, რომ იცოდეთ, როგორ ჰგავს ძეხვს, მე კი – კატას!.. ზურა, მიყვარხარ. ფისო. გორი".

„ლაშა, 100 წელი რომ გავიდეს, მაინც მოგწვდები. რუსთავი, მარი".

„კახა, მართალია, ჩემთვის მიუწვდომელი ხარ, მაგრამ მაინც მოგწვდები და გემრიელი ძეხვივით შეგახრამუნებ. შენი მაიკო".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ: ჩიხში მოქცეულს უცებ გონება გამეხსნა... გამოგზავნეთ „მესიჯები" ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ თქვენი საინტერესო და ორიგინალური ამბავი... დამატებით კითხვად კი გთავაზობთ: მე რომ პრეზიდენტი ვიყო... გეშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

დღეს შევეცადეთ, მსახიობ ეკა ნიშარაძის სასიყვარულო თავგადასავლები შეგვეტყო. ეკას პირველი მეუღლე მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური იყო. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ნიკოს მისთვის რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი. თუმცა, ეკას ზეპირად არც ერთი მათგანი არ ახსოვს... მას არ მოსწონს, როცა ეუბნებიან — სპექტაკლში რა კარგად გამოიყურებოდიო! მისთვის ის უფრო მნიშვნელოვანი კომპლიმენტია, როცა ეუბნებიან — რა კარგად ითამაშე ან რა კარგი დედა ხარო...

„15 წლის ვიყავი და მეგონა, ცხოვრება დამთავრდა...“

მერი კობიაშვილი

ჩემი პირველი სიყვარული თავში წათაქებით დამთავრდა

— ეკა, როგორც ყველა ჩემს რესპონდენტს, ალბათ შენც საბავშვო ბაღში შეგიყვარდა პირველად, არა?

— სამწუხაროდ, საბავშვო ბაღში არ მივლია. მიუხედავად იმისა, რომ ბაღი ჩვენს სახლთან ახლოს იყო, დედამ მე და ჩემი ძმა არ გვატარა. მიაჩნდა, რომ თვითონ უკეთ მოგვივლიდა. დაახლოებით 7-8 წლის ვიქნებოდი, როცა ჩემი მეზობელი ბიჭი შემიყვარდა, ის ბევრ სხვა გოგოსაც უყვარდა. იმ ბიჭთან ჩემი მეგობარი მივიდა და უთხრა, რომ მიყვარდა. ჩვენი სახლის უკან სტადიონი იყო. ერთხელ ვისხედით იმ ბიჭზე შეყვარებული გოგონები და ვუყურებდით, როგორ თამაშობდა ფეხბურთს. ჩემთან მოვიდა და მკითხა — შენ გიყვარვარო? — კიმეთქი, — ვუპასუხე. თავში წამომარტყა. ჩემზე ორი-სამი წლით უფროსი იყო. ეტყობა, ძმაკაცებთან გაიმარიაჟა და იმიტომ მოიქცა ასე... ასე რომ, ჩემი პირველი სიყვარული თავში წათაქებით დამთავრდა (იცინის)... უფრო გაზრდილად 13 წლის ასაკში შემიყვარდა. ჩვენი სიყვარულის შესახებ მშობლებმაც იცოდნენ. ჩემი სულელური საქციელის გამო დავშორდით ერთმანეთს. უფრო სწორად — გულწრფელად მოვიქეცი: რაღაც პერიოდი რომ გავიდა, მივხვდი, რომ ის ჩემთვის საუკეთესო მეგობარი იყო და არა შეყვარებული. ეს მასაც ვუთხარი. გაბრაზდა და მითხრა: თუ ფიქრობ, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, ჩვენი ერთად გადაღებული ფოტოები დახიეო. მეც დავხიე, ოღონდ — მისი ეგზემპლარები. ჩემი, დღემდე შენახული მაქვს... რა თქმა უნდა, ასე სულელურად დღეს აღარ მოვიქცევი. პაემანზე პირველად ამ ბიჭთან წავედი...

— პაემანზე პირველად რომ მიდიოდი, სარკის წინ დიდხანს ტრიალებდი?

— არა, იმიტომ, რომ იმ ბიჭს მანამდეც ვიცნობდი. მთელი ზაფხული ურეკში ერთად ვისვენებდით (ქორეოგრაფიულ სკოლაში ვსწავლობდით და იქიდან წაგვიყვანეს). ამიტომ პაემანზე ეფექტის მოსახდენად დიდად გაპრანჭვა არ დამჭირვებია. ისედაც არ მიყვარს მაკიაჟის გაკეთება. ყოველთვის ვფიქრობ — უმჯობესია, გამოიყურებოდე ბუნებრივად, ვიდრე შენი სილამაზე მაკიაჟით იყოს შექმნილი.

— სიყვარულს დეპრესიაში თუ ჩაუგდიხარ?

— 15 წლის ასაკში ძალიან შეყვარებული ვიყავი. იმ ბიჭს ორი წელი ვხვდებოდი. სკოლაში მაკითხავდა, ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა. მაგრამ მისმა ოჯახმა გადაწყვიტა, რომ მისი შესაფერისი არ ვიყავი. მანაც არ ვიცი, რატომ, მაგრამ დაუჯერა მშობლებს (შეიძლება იმიტომ, რომ მათ ზეწოლას ვერ გაუძლო) და დავშორდით ერთმანეთს. მაშინ მეგონა, რომ ამით ჩემი ცხოვრება დამთავრდა. ვამბობდი — ახლა რაღა ვქნა? რა მეშველებამეთქი?!. მოგვიანებით, როცა თავი ხე-

დიდი ბუზი	ვარსკვლავის წვეტი	სტივენ სიგალის კინოგმირი	მინაური პირუტყვი	სამზარეულო ხელოვნება	დამის ფრინველი	დაჭრილ და პომ
ბუ ჩ ა ვ ე ზ ა ქ ო მ ი ნ ა ს ლ ო ხ ი ა ს ო ლ ი ნ ა ა ჩ ა ა ზ ე ლ ა ე						
„შენ ... ვენახი“	ალადინის მაიმუნი	კამეჩის შვილი	მოკლე ქვედა ბოლო	მალარიის გადამტანი მწერი	მოაჯირის ფიგურებიანი სვეტი	ეკლიანი ბალახი	სასაქმებელი ზეთ

სხვებსაც იმავეს ვურჩევდი: ოთახის დალაგებამაც კი შეიძლება, დარდი გაგიქარვოს. ვაი-ვაის ძახილი საქმეს ვერ შველის

ლში ავიყვანე და მივხვდი, რომ ცხოვრებაში კიდევ ბევრი კარგი რამ მელოდა, იმ ბიჭმა ძველი ურთიერთობის აღდგენა მოისურვა, მაგრამ მე ამის სურვილი აღარ მქონდა.

— შეყვარებული დეპრესიას როგორ უმკლავდებოდი?

— გონზე მოსასვლელად წამლები არ მჭირდება ხოლმე. თუმცაღა, ძალიან ემოციური ვარ და ძნელად ვიტან მსგავს დაშორებას. დეპრესიიდან თავის დაღწევაში ძირითადად, საქმე მეხმარება. სხვებსაც იმავეს ვურჩევდი: ოთახის დალაგებამაც კი შეიძლება, დარდი გაგიქარვოს. ვაი-ვაის ძახილი საქმეს ვერ შველის. თუმცა, კარგად მესმის, რომ ძნელია ემოციების მოთოკვა.

— ბიჭები სხვადასხვანაირად გამოხატავენ ხოლმე სიყვარულს, შენ თუ გყოლია ორიგინალური თაყვანისმცემელი?

— ბავშვობაში კოჯორში ვისვენებდი ოჯახთან ერთად. იქ ერთ ბიჭს მოვწონდი, მთელი დღეები, ჩვენი სახლის ღობეზე იჯდა და ჩემს ყველა მოძრაობას აკვირდებოდა. თან ხმას არ იღებდა. ამ უსიტყვო თვალთვალს წონასწორობიდან გამოყავდი. იმ ბიჭთან სულ ჩხუბი მომდიოდა ხოლმე.

— შენი და ნიკოს ურთიერთობა როგორ დაიწყო?

— მინდა გითხრა, რომ ჩვენ პაემანი არც გვქონია. სანამ ურთიერთობას გავარკვევდით, ერთმანეთს თეატრალური ინსტიტუტის ბუფეტში ვხვდებოდით. იმ ბუფეტს დიდი სარკეები ჰქონდა და იქიდან ვესროდით ხოლმე ერთმანეთს მზერას...

— ნიკოსთან ერთად „ტელემისტერიაში" თამაში არ გაგიჭირდა?

— მე ჩემი ცხოვრება მაქვს, ნიკოს — თავისი. მაგრამ მტრული დამოკიდებულება არ გვაქვს. კულისებში ერთმანეთს ნამდვილად არ ვჭამთ.

— სანამ მეორედ გათხოვებას გადაწყვეტდი, მომავალმა მეუღლემ შენი მოხიბვლა როგორ მოახერხა?

— ჩვენი გაცნობიდან რამდენიმე დღეში, შინ დამხვდა აურაცხელი ჰოლანდიური ყვავილი და პალმა. ეს ყველაფერი ყუთებში იყო დაფასოებული. დედაჩემი შეშლილი სახით იჯდა ოთახში. დავიწყე ამ ყვავილების მეგობრებისთვის დარიგება იმიტომ, რომ შინ მათ ვერაფრით დავატევდი... სხვათა შორის, იმ ყვავილებმა საკმაოდ დიდხანს გაძლო. თითოეული მათგანი რაღაც კოლბაში იყო ჩადებული, რომელშიც სპეციალური სითხე ესხა. აი, პალმა კი, მოგვიანებით გახმა.

— ასეთი რომანტიკა ცოლქმრული ცხოვრების დროსაც გაგრძელდა?

— არა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სამწუხაროდ, რომანტიკა, როგორც წესი, ოჯახის შექმნის შემდეგ უმალვე ქრება ხოლმე...

— წარსულ ცხოვრებას რომ გადაავლო თვალი, შენი ყველაზე დიდი სიყვარული რომელი იყო?

ორი მამაკაცისგან მყავს შვილები გაჩენილი და რასაკვირველია, ორივე ძალიან მიყვარდა

— ორი მამაკაცისგან მყავს შვილები გაჩენილი და რასაკვირველია, ორივე ძალიან მიყვარდა. მაგრამ ამ ორიდან ვერც ერთს ვერ გამოვყოფ და ვერ ვიტყვი — ის უფრო მეტად მიყვარდა-მეთქი.

— შენი აზრით, ოჯახის შესანარჩუნებლად რა არის საჭირო?

— ვფიქრობ, სიყვარული ჩვენაში არ უნდა გადაიზარდოს. შენს მეორე ნახევარზე შეყვარებული უნდა იყო — არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი წლის ცოლქმარი ხართ. თქვენ შორის, სულ ფლირტი უნდა იყოს...

— იმ გოგონებს რა რჩევას მისცემდი, რომლებიც პირველად აპირებენ პაემანზე წასვლას?

— ნუ ითამაშებენ — იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან. ეს ძალზე მნიშვნელოვანია: მამაკაცს უნდა უყვარდე ისეთი, როგორიც ხარ.

კიტრი ...ორი	ფრინველის რქოვანი პირი	მსახიობი ჯენიფერ ...	მიმართვა გასათხოვარი ქალისადმი ინგლისში	ტყავის ღვინის ჭურჭელი	ბოსტნეული	ბულგარეთის დედაქალაქი
						
..., იგივე, ... ზეთი	...-ფანჯარა	ფერწერული ნახატი, იგივეა რაც	ადამიანი, რომელსაც მომავლის რწმენა არა აქვს	კეთილთვისებიანი სიმსივნე	საბუნებისმეტყველო მეცნიერება	

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან დაკავშირებით. გვესაუბრება წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ქვლივიძე.

რატომ ვიწოდებით მართლმადიდებელ ქრისტიანებად?

მორენა მერკვილაძე

— არსებობს თუ არა ხილული ნიშნები, რომლებიც მოწმობს მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას?

— იმ მსოფლიო სასწაულთა შორის, რომლებიც მოწმობს მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას და იულიუსის კალენდრის (ძველი სტილის) მართებულობას, უპირველესად უნდა აღინიშნოს მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე, რომელიც ყოველწლიურად აღესრულება მართლმადიდებლური აღდგომის დღესასწაულის წინადღეს, დიდ შაბათს. ღვთაებრივი ცეცხლი მხოლოდ მაშინ გარდამოხდება, როდესაც კუვუკლიაში (უფლის საფლავზე აღმართული სამლოცველო) მართლმადიდებელი პატრიარქი შედის. კუვუკლიაში შესვლამდე იერუსალიმის პატრიარქს საგანგებოდ ამოწმებენ, რათა დარწმუნდნენ, რომ მას თან არ შეაქვს ასანთი თუ სხვა ისეთი ნივთი, რომლითაც ცეცხლის ანთებაა შესაძლებელი. სამლოცველოში შესული იერუსალიმის პატრიარქი მხურვალე ლოცვა-ვედრებას აღავლენს. დაახლოებით დღის პირველიდან ორ საათამდე, ზეციდან მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის, რომელიც ნელ-ნელა ეკიდება მაცხოვრის საფლავზე დაფენილ ბამბის თხელ ფთილებს, შემდეგ კი იერუსალიმის პატრიარქის ხელში სასწაულებრივად ანთებს სანთლებს. მართლმორწმუნე პატრიარქი ანთებული სანთლებით გამოდის მორწმუნეებთან. ცეცხლი მომენტალურად გადაეცემა ყველა სანთელს ისე, რომ არ არის საჭირო სანთლების ერთმანეთთან შეხება... მღვდელ-მონაზონი იპოლიტე თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ მადლმოსილი ცეცხლი მხოლოდ მართლმადიდებელთა კანდელზე გადმოდის, მაშინ, როდესაც გვერდით სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა კანდელებიც დგას: კათოლიკეთა, მონოფიზიტთა და სხვათა.

მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას ასევე მოწმობს, თაბორის მთაზე გამოჩენილი ღრუბელი — ეს საოცარი მოვლენა ყოველწლიურად მეორდება: იმ დღეს, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია უფლის ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს, თაბორის მთაზე, სრულიად მოწმენდილ ცაზეც კი, აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე ღრუბელი და დღესასწაულის მანძილზე ადგას თაბორის მთას. როგორც ცნობილია, უფლის ფერისცვალების დროს, როდესაც მაცხოვარი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა, მას ღრუბელი დაადგა თავზე, რადგან საღმრთო ნათელმა „თვალნი დაუბრმავა“ მოციქულებს — პეტრეს, იაკობსა და იოანეს; ასევე ყოველწლიურად აღესრულება სასწაული მდინარე იორდანეზე — უფლის ნათლისღების დღესასწაულის დღეს — 19 იანვარს: იერუსალიმის პატრიარქი მდინარე იორდანეს აკურთხებს და მასში სამგზის შთაფლავს ჯვარს; ჯვრის მესამედ შთაფვლისას, მდინარე იორდანე ჩერდება და რამდენიმე წუთის განმავლობაში, წყალი საპირისპირო მიმართულებით მიედინება. მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას ადასტურებს, მართლმადიდებელ ღვთისმსახურთა მიერ ნაკურთხი წყლის უხრწნელობაც, რომელსაც ყველა ადამიანი თვალნათლივ ხედავს.

— როგორი დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მართლმორწმუნე ქრისტიანს სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებთან?

— მართლმორწმუნე ქრისტიანმა, სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებთან არ უნდა იქონიოს ლოცვითი ურთიერთობა — ე.ი. არ შეიძლება, მართლმადიდებელმა ილოცოს არამართლმადიდებელთან ერთად, რადგან ლოცვითი ერთობა ნიშნავს სარწმუნოებრივ ერთობას, რაც მართლმადიდებლებს და არამართლმადიდებლებს შორის არ არსებობს. გარდა ამისა, მართლმადიდებელმა არ შეიძლება შექმნას ოჯახი სხვა რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელთან, თუკი მომავალი მეუღლე არ მოინათლება მართლმადიდებლური წესით. ამასთანავე დაუშვებელია, ნათლიად შევარჩიოთ არამართლმორწმუნე ადამიანი. სხვა რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებთან, მართლმორწმუნე ქრისტიანმა არ უნდა იქონიოს რელიგიური კონტაქტები, მაგრამ სხვა ყოფითი თუ მეზობლური ურთიერთობები დასაშვებია. გარდა ამისა, მართლმადიდებელ ქრისტიანებს ევალებათ, ილოცონ ჭეშმარიტი სარწმუნოებისგან განდგომილთათვის, რათა ღმერთმა გაუნათლოს მათ გონება და დაუბრუნდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას — მართლმადიდებლობას.

— შეიძლება თუ არა, მართლმადიდებელი შევიდეს არამართლმადიდებელთა სამლოცველოებში?

— არის შემთხვევები, როდესაც არამართლმადიდებლებს მითვისებული აქვთ მართლმადიდებელ წმინდანთა საფლავები. ასეთი რამ ხდებოდა იმის გამო, რომ დედა ეკლესიასთან ჩამოშორებამდე, დღეს უკვე არამართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევრები, მართლმადიდებლურ რწმენას მისდევდნენ და იმ მართლმადიდებელ წმინდანთა საფლავები, რომლებიც მათ ქვეყნებში მოღვაწეობდნენ და მართლმადიდებლებად აღესრულნენ, იმავე ქვეყანაში დარჩა. მაგალითად, რომში წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების საფლავი, კათოლიკეებს აქვთ მითვისებული. ამიტომ, თუკი რომელიმე არამართლმადიდებლურ ტაძარში იმყოფება მართლმადიდებელ წმინდანთა წმინდა ნაწილები, მართლმორწმუნე ქრისტიანს შეუძლია, შევიდეს იქ და მიეახლოს ამ სიწმინდეებს. თუკი მართლმორწმუნე ქრისტიანს სურვილი აქვს, მოინახულოს არამართლმადიდებელთა

სამლოცველოები, შეუძლია, შევიდეს და დაათვალიეროს, როგორც მუზეუმი, მაგრამ როგორც ღვთის სახლი არ უნდა აღიქვას ანუ არ შეიძლება, მათ ტაძრებში შევიდეთ რელიგიური მიზნით – მათ ღვთისმსახურებაზე დასასწრებად, სანთლის დასანთებად თუ სხვა ჭეშმარიტი ქრისტიანული ქმედებების აღსასრულებლად.

— „თუკი ვინმე ცხონდება, მხოლოდ მართლმადიდებელ სარწმუნოებაში მცხოვრები“ — განმარტავს ღირსი თეოდოსი პეჩორელი. რატომ ვერ ცხონდებიან არამართლმადიდებლები?

– ყველა არამართლმადიდებლური მოძღვრება ეწინააღმდეგება „წმინდა წერილს“, რომელიც სულიწმიდის კარნახითაა დაწერილი. ის ადამიანები, რომლებიც „წმინდა წერილს“ არასწორად განმარტავენ და ადამიანებს მას არასწორად ასწავლიან, ეწინააღმდეგებიან და გმობენ სულიწმიდას. „სახარებაში“ კი წერია: ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება, სულიწმიდის გმობა კი არ მიეტევება, არც აქ და არც მომავალ სოფელში (იგულისხმება ამ მძიმე ცოდვით ამა სოფლიდან წასულები. თუკი ვინმე სულიწმიდის გმობას ამა სოფელში მოინანიებს, ე.ი. ჭეშმარიტ რჯულზე მოექცევა, მას ყოვლადმოწყალე უფალი მიუტევებს). ამიტომ ცხონებისთვის ანუ მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვებისთვის აუცილებელ პირობას სწორი სარწმუნოების პყრობა-აღმსარებლობა წარმოადგენს, სულიწმიდის გმობის გამო კი, არამართლმადიდებლები ვერ დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს, სწორედ სულიწმიდის გმობაა უპირველესი მიზეზი მათი ვერცხონებისა. ამასთანავე მაცხოვარი ბრძანებს: „მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხორებაი“ (იოანე 14; 5); აქედან ჩანს, რომ ჭეშმარიტება ქრისტეს გზით სიარულია, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ცათა სასუფევლამდე.

— თუკი არამართლმადიდებლები ვერ ცხონდებიან, გამოდის, რომ ამქვეყნად მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობა ჯოჯოხეთისთვისაა განწირული... როგორ ხსნის მართლმადიდებელი ეკლესია ამ საკითხს?

– უნდა ვიცოდეთ, რომ რეალობა არ განსაზღვრავს ჭეშმარიტებას. წარღვნის დროს, მთელი დედამიწის მცხოვრებნი დაიხოცნენ, მხოლოდ ნოე და მისი ოჯახი გადარჩა. აქედან გამომდინარე, გადარჩებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ღმერთს მართლად, სწორად ადიდებენ და უფლის მცნებებს აღასრულებენ. ■

"biblis" wminda ricxvebi

მთელ რიგ ციფრებსა და რიცხვებს „წმინდა წერილში“ მათემატიკური მნიშვნელობის გარდა, სიმბოლური დატვირთვაც აქვს ანუ ხშირ შემთხვევაში მათი მნიშვნელობა ძალზე ღრმა, ტევადი და მრავლისმეტყველია. სწორედ ისე, როგორც ჩვენს სინამდვილეში მტრედი მშვიდობის სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო მუხა — ძლიერებისას.

უპირველეს ყოვლისა, მსგავსი სიმბოლიკით თვით „ბიბლიაა“ სავსე: ზღვა მასში ზღვა ხალხს აღნიშნავს; წყალი – მრავალ უბედურებას; აბობოქრებული წყალი – დიდ უბედურებას; რქა – ძლიერების სიმბოლოა; კუნძულები – წარმართი ხალხების; კვერთხი – ძალაუფლების; სული – სიცოცხლის; სიბნელე – სტიქიური უბედურების; ღამე – სტიქიური უბედურების დროს აღნიშნავს; ცხენი სამხედრო ძლიერების სიმბოლოა; წვიმის ღრუბლები – წყალობისა და ქველმოქმედების; მთები და გორაკები – ან ამა თუ იმ ხალხის წარჩინებული წარმომადგენლების, რომელთაც ქვედა ფენების დამორჩილება ძალუძთ, ან შეურყევლობის, უდრეკობის სიმბოლოა; სელი – სიწმინდისა და უბიწოების; თეთრი სამოსი – სათნოების.

„ძველი აღთქმისა“ თუ „სახარების“ შინაარსის თუნდაც ზედაპირული წვდომა, წარმოუდგენელია ყოველივე ზემოთ ხსენებულის ცოდნის გარეშე...

ციფრებსა და რიცხვებსაც „ბიბლიის“ ენაზე მსგავსი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ოღონდ, ნუმეროლოგიისაგან განსხვავებით, „წმინდა წერილში“ მოყვანილი ყველა ციფრი როდი გვევლინება სიმბოლოდ. ვინაიდან, წმინდა სამების სწავლება მთელი ქრისტიანობის საფუძველს წარმოადგენს, სიმბოლიკაც სწორედ ციფრი სამით იწყება.

3. ჯერ კიდევ ძველ იუდეველთათვის სამიანი ღვთაების სიმბოლოს წარმოადგენდა. ღვთის მიერ ებრაელი ხალხის მამამთავრისათვის – პატრიარქ აბრაამისათვის მიცემული აღთქმა სამი სახის ცხოველის – სამი წლის ხბოს, სამი წლის თხისა და სამი წლის ცხვრის მსხვერპლშეწირვით განმტკიცდა. ბაბილონიდან იერუსალიმში უფლის ბრძანებით ჩასული ეზრა, სამი დღის მანძილზე ცხოვრობდა იქ, ვიდრე ქალაქისა და ტაძრის აღდგენას შეუდგებოდა. მესამე დღეს აღდგა უფალი იესო ქრისტე, ხოლო ამაღლების შემდეგ საკუთარ მოწაფეებს დაუბარა, რომ ყველა ხალხი მამის, ძისა და სულიწმიდის – ანუ სამსახოვანი ღმერთის სახელით მოენათლათ.

4. ოთხიანი „წმინდა წერილში“ სამყაროსა და კაცობრიობის სიმბოლოა. წინასწარმეტყველ ეზეკიელს ჰქონდა ხილვა: მას გამოეცხადა ოთხი ცხოველი, რომელთაც ადამიანის სახე ჰქონდათ; თითოეულს ოთხ-ოთხი ფრთა ჰქონდა, ცხოველთა გვერდით მიწაზე კი ოთხსავე მხარეს თითო ბორბალი იყო და ეს ყოველივე სამყაროსა და კაცობრიობას განასახიერებდა. ოთხიანი – ეს არის სიმბოლო სივრცითი სისავსისა, ვინაიდან სამყარო მთელ ქვეყნიერებას მოიცავს.

როცა საუბარი იყო სამყაროსა და კაცობრიობის ისტორიული ბედის შესახებ, წინასწარმეტყველმა დანიელმა ასევე ოთხი ცხოველი იხილა, რომელთა გამოჩენასაც წინ უძღოდა ოთხი ქარის ბრძოლა. წინასწარმეტყველ ეზეკიელის თქმით, როცა უფალს რომელიმე ერის განადგურება უნდა, ის ამ ხალხს ოთხ წყლულს მოუვლენს...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხიანი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეალის
უბის წიგნაკიდან:

1. ხიზილალას ნავთობისგანაც ამზადებენ.
2. გრაფი დრაკულა ეროვნებით რუმინელი იყო.
3. ბუვიე, ჟაკლინ კენედის ქალიშვილობის გვარია.
4. ფრანგ ჟანდარმებს მეტსახელად პინგვინებს ეძახიან.
5. პირველი საუბარი ფიჭური ტელეფონით 1973 წლის 3 აპრილს შედგა.
6. ყრმა ზევსი თხამ გამოკვება რძით, რომულუსი და რემი – ძუ მგელმა, ბუდა – ძროხამ.
7. უდაბნოს ეფა ყველაზე სწრაფი გველია მსოფლიოში. ნახტომს იგი წამის მესამედში აკეთებს.
8. პენტაგონს 34000 სატელეფონო ხაზი ემსახურება. ეს დაწესებულება დღეში ერთ მილიონ ზარს იღებს.
9. „ემპაირ სტეიტ ბილდინგის“ ასმეორე სართულამდე ასასვლელი კიბე 1860 საფეხურისგან შედგება.
10. ბალეტების – „სპარტაკისა“ და „გაიანეს“ ავტორი, კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი 1903 წელს კოჯორში დაიბადა.
11. ლონდონელმა მაწანწალამ მოწყალებით მიღებული თანხით ნოუთბუქი იყიდა და შექმნა საიტი – „მშივრები და უსახლკაროები“, სადაც საქმიან რჩევებს აძლევს ღატაკებს.

12. ტურნირს, რომელზეც ჰაკერები ასპარეზობენ საიტებისა და კომპიუტერული სისტემის დაცვის გატეხაში, Openhack ეწოდება.
13. დადგენილება საბჭოთა ჯარში ჯარისკაცებისთვის 100-100 გრამი არყის დარიგების შესახებ 1941 წლის სექტემბერს გამოვიდა.
14. დიდი დათვის თანავარსკვლავედის ორმაგ ვარსკვლავ მიცარს ინდიელები სკკოს – ზურგს ამოფარებულ ბავშვს ეძახდნენ და მისი დახმარებით მხედველობას ამოწმებდნენ.
15. პირველ სერიალებში ძირითადად, საპნისა და სარეცხი საშუალებების რეკლამა გადიოდა, რის გამოც მათ „საპნის ოპერა“ შეარქვეს.
16. „დავეხმაროთ რუსეთს, როცა გერმანია იმარჯვებს, და დავეხმაროთ გერ-

სივრცეთ სისავსეს აღნიშნავს და ის ასევე დასრულებულობის, დამთავრებულობის და ამომწურავობის სიმბოლოდ გვევლინება.

5. ხუთიანი „წმინდა წერილში“ მრავლობითობის, სიმრავლის, მეტობის სიმბოლოა. წინასწარმეტყველი იესაია ამბობს: „იმ დღეს ხუთი ქალაქი იქნება ეგვიპტეში, ქანაანურად (ებრაულად) მოლაპარაკე და ცაბაოთ უფლის დამფასებელი“ (ესაია წინ. 19; 18), ე.ი. იგულისხმება გარკვეული რიცხვი (მრავლობითი რიცხვი) ქალაქებისა.

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, უფლის ბრძანებისამებრ მოსემ ისრაელიანთა მამრობითი სქესის თითოეული პირმშო აღრიცხა. მერე კი, საბაოთ უფალმა ბრძანა: „აიღე ხუთ-ხუთი შეკელი კაცზე, საწმიდარის შეკელით აიღე (ოცი გერაა შეკელში) და ჩააბარე ვერცხლი აარონს და მის შვილებს ზედმეტის გამოსასყიდად“ (რიცხ. 3; 47-48).

როცა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა იოსებთან ერთად ორმოცი დღის იესო ტაძარში მიიყვანა, ჩვეულებისამებრ, ყრმის გამოსასყიდად დადგენილი 5 წმინდა შეკელიც გადაიხადა, რაც გულისხმობდა იმას, რომ მომავალში ჯვარცმის დროს მიყენებული ხუთი ჭრილობით, მაცხოვარი მთელ ქვეყნიერებას გამოისყიდდა.

6. ექვსიანი არის უმაღლესი სულიერი ნიჭიერების, ძალისა და ღვთაებრივი ძლიერების სიმბოლო. ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო. ღვთაებრივი ძლევამოსილების, ცეცხლისა და სიყვარულის მატარებელ სერაფიმებსაც ექვსი ფრთა აქვთ.

7. შვიდიანი არის სისავსის, სრულყოფილების, დასრულებულობისა და მარადიულობის სიმბოლო. იუდეველები შვიდიანს ძველთაგანვე წმინდა რიცხვად მიიჩნევდნენ. საერთოდ, „წმინდა წერილში“ მას ძალზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია და განიხილება ორგვარად: ან როგორც „6+1“, ან როგორც „4+3“.

ღმერთმა 6 დღეში შექმნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი, დაისვენა. ასევე ჩვენც, ღვთის ქმნილებებმა, იმისთვის, რომ სიმშვიდე და ღვთის კურთხევა მოვიპოვოთ, ექვსი დღე შრომას უნდა მივუძღვნათ, მეშვიდე კი, უფლის ტაძარში გავატაროთ.

მეორე მხრივ, ვინაიდან ოთხიანი სამყაროს სიმბოლოდ გვევლინება, ხოლო სამიანი – წმინდა სამების, მათი შეერთება შვიდიანში სამყაროს ღმერთთან – მისსავე შემოქმედთან – ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. ასე რომ, შვიდიანი იდუმალი ციფრია, რომელიც ჰარმონიას, ერთიანობას, სრულყოფილებას და სიმშვიდეს განასახიერებს.

ისო ნავეს წიგნში აღწერილია იუდეველთა მიერ ქალაქ იერიხონის აღება. 7 მღვდელი, ვერძის რქის 7 ბუკს ქალაქის ირგვლივ სიარულისას 7 დღის განმავლობაში აყვირებდა. იერიხონი მეშვიდე დღეს დაეცა.

ღვთის ეკლესია, „წმინდა წერილის“ გადმოცემით, შვიდ ბურჯზეა დაფუძნებული. რეალურ ცხოვრებაში ეს სულიწმიდის 7 ნიჭია ანუ ეკლესიის 7 საიდუმლო.

განსაკუთრებულად იდუმალი დატვირთვა შვიდიანს აპოკალიფსში აქვს. სადაც წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ლაპარაკობს შვიდ სულზე, რომელიც უფლის ტახტის წინაა დავანებული. გარდა ამისა, აპოკალიფსში ფიგურირებს 7 მღვდელი, 7 ვარსკვლავი, 7 სასანთლე, 7 რქა, კრავის 7 თვალი, 7 ბეჭედი (როცა ყველა ბეჭედი აიხსნება, ეს მიწიერი სამყაროს აღსასრულს და მის გადასხვაფერებას მოასწავებს), 7 ბუკი, 7 იდუმალი ქუხილი, უფლის მრისხანების 7 ფიალა. დაბოლოს, აპოკალიფსში განუწყვეტლივ ლაპარაკია 7 ეკლესიაზე, რომელიც მთელ სამყაროს, სამყაროსეულ ეკლესიას განასახიერებს.

როცა შვიდიანის ათოცარ საიდუმლოს ვეხებით, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ მისი სიმბოლური ასახვა მატერიალურ სამყაროში: ხმის 7 ტონი მუსიკაში სრულ ჰარმონიას იძლევა. ცისარტყელა, რომელიც ღვთისა და კაცობრიობის წინაშე „ახალი აღთქმის“ სიმბოლოს წარმოადგენს, ასევე ვიზუალურად აღქმული 7 ფერისგან შედგება.

8. რვიანი აღორძინების, განახლებისა და აღდგომის სიმბოლოდ გვევლინება. „წმინდა წერილში“ რიცხვი რვის გამოყენება, მჭიდროდ უკავშირდება რიცხვ შვიდს და შეადგენს იმას, რასაც მუსიკაში ოქტავა ეწოდება – სპირალის ხვეულზე პირველთან დაბრუნება, სადაც პირველი მეორდება და ახალი წრის დასაწყისად იქცევა. ისევე, როგორც დღე, რომელიც შემოქმედის მიერ სამყაროს შექმნის შვიდეულში არ შედის და ის ახალ ცხოვრებას, აღორძინებასა და აღდგომას აღნიშნავს. „სიბილას წიგნების წინასწარმეტყველურ თავებში, რომლებსაც ქრისტიანი მწერლებიც დიდ ყურადღებას უთმობდნენ, არის მინიშნება იესოს სახელზე: წინასწარმეტყველების მიხედვით, ბერძნულად მისი დაწერილობა უნდა შედგებოდეს ოთხი ხმოვნისაგან და ორი თანხმოვნისაგან, მთელი სახელის რიცხობრივი მნიშვნელობა კი, 8 ერთეულის, 8 ათეულის და 8 ასეულის ტოლია – ანუ „888“, სამი სრულყოფილი რვიანი.

ვინაიდან „წმინდა წერილში“ რიცხვი შვიდი ამქვეყნიური ცხოვრების სისავსეს აღნიშნავს, მისი ხანგრძლივობის გამოსახატავად გამოიყენება გამოთქმა – „შვიდი დღე“: ძველებრაულ ენაში „დღე“ არა მარტო დღე-ღამის ნათელ მონაკვეთს, არამედ რაღაც გარკვეულ დასრულებულ პერი-

ოდსაც აღნიშნავს. მერვე დღე უკვე ღვთის მიერ გარდაქმნილ, გარდასახულ მომავალ ცხოვრებას გამოხატავს.

9. ცხრიანი გახლავთ „ანგელოზთა რიცხვი“ – ვინაიდან მთავარანგელოზთა რაოდენობა სწორედ ცხრას შეადგენს; ამ ციფრის სხვაგვარი ახსნა ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან „წმინდა წერილში“ სხვა მნიშვნელობით უბრალოდ არ გვხვდება.

10. ათიანი ადამიანის პიროვნული განვითარების დასრულებულობის სიმბოლოს წარმოადგენს. არა მარტო „წმინდა წერილში“, არამედ სხვა რელიგიების აღმსარებელ ხალხებშიც შემონახულია ხსოვნა წარღვნამდელი პატრიარქების – კაცობრიობის წინაპრების შესახებ, უპირველეს ყოვლისა კი, მათ რაოდენობაზე. ცნობილია, რომ მათი რიცხვი ადამიდან ნომდე (ნოეს ჩათვლით) ათს შეადგენდა: ადამი, შეთი, ენოში, კაინანი, მაჰალალეელი, იარედი, ენოქი, მათუსალა, ლამექი, ნოე.

„წმინდა წერილში“ ისრაელი ათგზის იხსენიება (ღვთის) საპატარძლოდ; უფალმა იუდეველთ ათი მცნება დაუდო. რიცხვი 1000 (10X10X10), რომელშიც სიმბოლური ციფრი ათიანი სამგზის მეორდება და სამჯერ მრავლდება, უსასრულო ცხოვრების სრულყოფილებას აღნიშნავს.

12. „წმინდა წერილის“ შემდეგ სიმბოლური რიცხვია – დუჟინი, რომელიც ღმერთსა და კაცობრიობას შორის უწყვეტ კავშირს აღნიშნავს.

ეგვიპტური ტყვეობის შემდეგ, საკუთარი წინაპრების მიწაზე დაბრუნებულმა ებრაელთა თორმეტი ტომის შთამომავლებმა უფალს მთელი ისრაელის სახელით, 12 ხბო და 12 თხა შესწირეს.

იესო ქრისტეს მიერ 12 მოციქულის არჩევაც, ჯერ კიდევ „ძველ აღთქმაში“ იყო წინასწარ განსაზღვრული: ამ წიგნებში მოიხსენიებოდა ებრაელთა 12 ტომი, იაკობის 12 ძე, ისრაელიანთა შტოების 12 თავკაცი, ელიმის 12 წყაროსთვალი (რიცხვ. 1; 16. გამ. 15; 27), 12 ქვა, რომელიც აიღეს და იორდანეში ჩადეს, 12 მსაჯული, რომელიც „მსაჯულთა წიგნში“ იხსენიება.

აპოკალიფსში იგივე სიმბოლიკა უფრო გავრცობილია: მასში ფიგურირებს უფლის რჩეულთა რიცხვი – 144 ათასი. ამ რიცხვის ფუძე კი, თორმეტია და გამოხატავს იმ სისავსეს, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას სამყაროს აღსასრულისთვის...

როგორც ცნობილია, აპოკალიფსი არის სწავლება სამყაროს აღსასრულის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის „წმინდა წერილის“ ყველაზე საიდუმლოებით მოცული წიგნი, რომლის წინასწარმეტყველებებიც ჩვენთვის დღემდე მიუწვდომელია (ყოველ შემთხვევაში, მათი უდიდესი ნაწილი).

30. ოცდაათი „ბიბლიაში“ საკმაოდ მნიშვნელოვანი რიცხვია. ის, რომ იუდა ისკარიოტელმა 30 ვერცხლად გაყიდა მაცხოვარი, ყველასათვის ცნობილია. მაგრამ ეს რიცხვი „წმინდა წერილში“ უფრო ადრე, ჯერ კიდევ „ძველ აღთქმაში“ ფიგურირებს: ხარის მიერ მონის მოკვლის შემთხვევაში, ძველთაგანვე სწორედ ეს თანხა იყო გადასახდელი. ზაქარის წინასწარმეტყველებაში 30 ვერცხლი იმ უბადრუკ და უმნიშვნელო თანხადაა მოხსენიებული, რომლითაც იუდეველი უმადური შვილები იეღოვას მზრუნველობას აფასებდნენ. ოსიას წინასწარმეტყველებაში ეს თანხა ზნედაცემული ქალის, ხოლო რაბინებთან – ნებისმიერი მონის საფასურია.

სინედრიონმა ამ თანხის დაწესებით, ქრისტესადმი, როგორც ადამიანისადმი თავისი უპატივცემულობა გამოხატა – მან იგი მონაზე დაბლა მდგომად მიიჩნია. საბოლოოდ კი, 30 ვერცხლი ადამიანის სხეულში სატანის შესვლის სიმბოლოს წარმოადგენს, გადაცდენის სიმბოლოს, რომელიც სწორედ ამ სახით ისჯება. თუკი მათე მახარებელი აღნიშნავს, რომ იუდა 30 ვერცხლს დახარბდა და ამის გამო გასცა მაცხოვარი, ლუკა და იოანე პირდაპირ ამბობენ, რომ როგორც კი 30 ვერცხლი იუდას ხელთ აღმოჩნდა, მასში სატანა შევიდა.

40. „ბიბლიაში“ ორმოცი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რიცხვია და ის არაერთი მნიშვნელობით გამოიყენება. აი, რას ამბობს უფალი წარღვნის შესახებ: „რადგან შვიდი დღის შემდეგ ორმოც დღესა და ორმოც ღამეს ვაწვიმებ ქვეყანაზე და წარვხოცავ მიწის პირისაგან ყოველ არსებას, რაც კი შემიქმნია“ (დაბ. 7; 4).

სწორედ ეს ვადა დაუდო უფალმა წინასწარმეტყველ იონას, რათა ნინევიის მცხოვრებთათვის ექადაგა და თუკი ისინი ამ პერიოდში თავიანთ ცოდვებს არ მოინანიებდნენ, ქალაქს სოდომისა და გომორის ბედი არ ასცდებოდა. ამდენივე ხანს დაყო მოსემ სინას მთაზე: „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იყო მოსე მთაზე“ (გამ. 24; 18). მაცხოვარი უდაბნოში 40 დღის მანძილზე მარხულობდა; აღდგომიდან ზეცად ამაღლებამდეც უფალმა იესო ქრისტემ 40 დღე დაყო თავის მოწაფეებთან მიწაზე. პრაქტიკულად, არ არსებობს „ძველი აღთქმის“ არც ერთი წინასწარმეტყველი, რომელსაც 40 დღე არ უმარხულია. გარდა ამისა, აღთქმულ მიწაზე დაბრუნებამდე, ებრაელი ხალხი 40 წლის მანძილზე დაეხეტებოდა უდაბნოში. დაბოლოს, „წმინდა წერილსა“ და რელიგიური კანონების თანახმად, ყოველი გარდაცვლილი ადამიანის სული, უფლის სამსჯავროზე მეორმოცე დღეს წარდგება.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

17. ელიზაბეტ ტეილორმა სულ რვაჯერ იქორწინა, მათ შორის ორჯერ – მსახიობ რიჩარდ ბარტონზე.

18. ტელეწამყვანებს ლურჯი ფერის ტანისამოსის ჩაცმა ეკრძალებათ, რადგან ეს ფერი ეკრანზე თვალს ჭრის და სიშიშვლის ეფექტს ახდენს.

19. „რუსთაველის“ მეტროს მიმდებარე ტერიტორიას ზემელს ეძახიან. აქ ძველად, ძალზე პოპულარული აფთიაქი იყო, რომლის მეპატრონე გვარად ზემელი გახლდათ.

20. კლდე რაშმორი, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტების – თეოდორ რუზველტის, ჯორჯ ვაშინგტონის, ტომას ჯეფერსონის და აბრაამ ლინკოლნის სახეებია ამოკვეთილი, ამერიკის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

21. ინკუბატორში მოთავსებული ახალშობილი სტივ უანდერი ზედმეტი ჟანგბადის მიწოდების შედეგად დაბრმავდა.

22. „მე მამაჩემ ფილიპეს უნდა ვუმადლოდე იმას, რომ ამქვეყნად ვცხოვრობ, ხოლო ჩემს მასწავლებელ არისტოტელეს უნდა ვუმადლოდე იმას, რომ კარგად ვცხოვრობ“, – ამბობდა ალექსანდრე მაკედონელი.

23. SCV 1 – ასეთი ნომრები აქვს რომის პაპის ავტომობილს. ეს ასოები შემდეგნაირად იშიფრება: Statto della Citta Vatikano (ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი), თუმცა, ბევრი იტალიელი მას ასე შიფრავს: Se Cristo Vadesse („ქრისტეს რომ ეს ენახა!“)

24. ლონდონში პოპულარობით სარგებლობს პატარა რესტორანი, რომლის მეპატრონეც აბსოლუტურად მელოტია. მელოტია მისი ყველა ხელქვეითიც. „ჩვენს კერძებში თმას ვერასოდეს იპოვით“ – წერია რესტორნის სარეკლამო ფირნიშზე.

25. „გამარჯვებას ათასი მამა ჰყავს, დამარცხება კი ობოლია“, – ამბობდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი.

■

ბებერი კონტინენტი საფეხბურთო ციებ-ცხელებამ მოიცვა. მთელი პორტუგალია „ევრო-2004“-ით სუნთქავს და საზრდოობს. ამ პატარა სამხრეთდასავლეთევროპულ ქვეყანაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობთ უჩვეულო საზეიმო განწყობილებას.

ტურნირის ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველა პირობა შექმნეს შეჯიბრების უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად. ადგილობრივ მოსახლეობაში ყველაზე დიდი პოპულარობით ეროვნული დროშის ფერები სარგებლობს, თუმცა ყველგან შეხვდებით ჩემპიონატში მონაწილე სხვა ქვეყნების სიმბოლიკასაც. ბუნებრივია, დიდი აქტიურობით გამოირჩევიან მათი ქომაგებიც, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში თავად გუნდები და ფეხბურთელები არიან მოქცეული, მათთვის ხომ დიდი ბრძოლა უკვე გაჩაღდა.

დიდი ფეხბურთი გახურდა

„ევრო-2004“-ის მასპინძელ ქვეყანაში მართლაც, საფეხბურთო ბუმია. ჩემპიონთა ლიგაში „პორტუს“ ტრიუმფალური სვლის შემდეგ პორტუგალიელები ანალოგიურ გამარჯვებას მოელოდნენ გერმანიაში გამართულ, 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატშიც, მაგრამ ახალგაზრდა პირენეელებმა მხოლოდ საპატიო მესამე ადგილზე გასვლა მოახერხეს და ათენის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვეს. ახლა ჯერი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებზეა.

ცხადია, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ყველაზე მეტად მასმედიაში იგრძნობა. თანაც პორტუგალიაში მხოლოდ ადგილობრივ გამოცემებს როდი შეხვდებით. ქვეყნის ქალაქების საგაზეთო ჯიხურები სავსეა ესპანური, ფრანგული, ინგლისური თუ რუსული ჟურნალ-გაზეთებით, რომელთა პირველივე გვერდებზე მოღიმარი რაული, ზიდანი, ბექჰემი, ფიგუ და სხვა ევროპელი ვარსკვლავები არიან გამოსახული.

ტურნირის მასპინძელ ქვეყანაში უპრეცედენტო ზომებია მიღებული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუმცა სამართალდამცავები და სპეცსამსახურების წარმომადგენლები ნამდვილად არავის უქმნიან დისკომფორტს. ამასთან ევროპის ჩემპიონატის უსაფრთხოების კომიტეტის თავკაცი, ლეონიდ კარვალიო მაინც არ გამორიცხავს ტურნირის მსვლელობისას გაუთვალისწინებელ შემთხვევებს: „იმას სულაც არ ვამტკიცებთ, რომ არაფერი მოხდება. საფრთხის შექმნის შემთხვევაში, მის თავიდან აცილებასა და პრობლემის სწრაფად გადაჭრას მოვახერხებთ“.

ქომაგებს, რომლებიც „ევრო-2004“-ის მატჩებზე დანებისა და სხვა აკრძალული ნივთების შეტანას შეეცდებიან, სტადიონის ადმინისტრაცია ამ საგნებს ჩამოართმევს, ხოლო შემდეგ, პორტუგალიის ფოსტა ჩამორთმეულ ნივთებს მფლობელებს შინ ან სასტუმროს ნომერში მიუტანს.

რა თქმა უნდა, პირველობის მსვლელობისას ყველაზე მეტად ბრიტანელ ფანებს გააკონტროლებენ. ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე უეფა მოითხოვდა, რომ ალბიონელი ქომაგების მოსალოდნელ უკანონო ქმედებებზე თავად ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას (FA) აეღო პასუხისმგებლობა. „უეფა მიიჩნევს, რომ ინგლისელი გულშემატკივრების სამართალდარღვევებისთვის FA უნდა დაისაჯოს“, — ამბობს უმთავრესი ევროპული საფეხბურთო ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უილიამ გალარდი. FA-ს წარმომადგენელთა აზრით კი, დაუშვებელია პორტუგალიის პლაჟზე განთავსებულ, უზარმაზარ ტელეეკრანებზე მატჩების ჩვენება, რადგან ეს მასობრივი შეხლა-შემოხლისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

ინგლისელ ფანებს მიმართა და გონიერებისკენ მოუწოდა ალბიონელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა. ფეხბურთის შვედმა სპეციალისტმა გულშემატკივრებს შეახსენა, რომ მათმა არასპორტულმა ქცევამ შეიძლება, დიდი პრობლემები შეუქმნას გუნდს, ხოლო თავად დამნაშავეებს უეჭველად აგებინებენ პასუხს. უკეთეს შემთხვევაში — პორტუგალიიდან გააძევებენ. მაგრამ არც ნაკრების თავკაცის მოწოდებამ გაჭრა: როგორც ცნობილია, ჩემპიონატი დაწყებულიც არ იყო, როცა ქალაქში მოწყობილი ჩხუბის გამო 4 ინგლისელი ფანი დააპატიმრეს.

ახლა რაც შეეხება თავად მოთამაშეებსა და გუნდებს.

ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე, გერმანულმა Bild-მა თავის მკითხველებში სპეციალური გამოკითხვის ჩატარება დაიწყო, რომელიც ცხადია, „ევრო-2004“-ზე მოასპარეზე ყველაზე სექსუალური ფეხბურთელის გამოვლენას ისახავს მიზნად. ალბათ მიხვდით, რომ გამოკითხვაში მხოლოდ Bild-ის მკითხველი მანდილოსნები მიიღებენ მონაწილეობას. თითოეულმა მათგანმა მოთამაშეებს ქულები უნდა დაუწეროს და მცირე კომენტარიც დაურთოს. შედეგები 4 ივლისს შეჯამდება. ხოლო მათ შორის, ვის მიერაც 10 ბალით შეფასებული ფეხბურთელი ყველაზე სექსუალურ მოთამაშედ დასახელდება, Bild-ის მესვეურები მთავარ პრიზს გაათამაშებენ. პრიზის ბედნიერ მფლობელს ფეხბურთელთან შეხვედრა მისსავე სამშობლოში შეეძლება, მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს კი, ბუნებრივია, კონკურსის ორგანიზატორები გაიღებენ.

გერმანელი ქალბატონები უპირატესობას ჯერჯერობით ბუნდესნაკრების ნახევარმცველ სებასტიან კელის ანიჭებენ. მეორე ადგილზე ინგლისელი დევიდ ბიტი იმყოფება, თუმცა იგი „ევრო-2004“-ში ვერ მონაწილეობს. ხუთეულში მოხვდნენ აგრეთვე პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ, დევიდ ბექჰემი და შვედი იუჰან იმალბიუ, ხოლო ათეულში – ლუიშ ფიგუ, ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო დელ პიერო და ფაბიო კანავარო ფიგურირებენ.

სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა კიდევ ერთმა გერმანულმა ჟურნალმა – Focus-მა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ გულშემატკივართა მხოლოდ 24%-ს სჯერა ბუნდესნაკრების წარმატების, ხოლო 39%-ის აზრით, გუნდი ქვეჯგუფიდანაც კი ვერ გააღწევს. აი, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. საოჯახო ტექნიკით მოვაჭრე გერმანული მაღაზიების ქსელს მომხმარებლისთვის შემდეგი პირობა შეუთავაზებია: ეროვნული ნაკრების გამარჯვების შემთხვევაში, ტელევიზორის ყველა მყიდველს ტურნირის შემდეგ, უფასოდ გადაეცემა მეორე აპარატი. ჯერჯერობით, მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა გაბედა გარისკვა.

„ევრო-2004“-ის სტარტამდე ორიოდე დღით ადრე, არცთუ ისე სახარბიელო ფსიქოლოგიური მდგომარეობა იყო შექმნილი ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში. რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გუნდის რწმენა თავად მის მეკარეს იკერ კასილასსაც კი არ გააჩნდა. „რეალის“ გოლკიპერის თქმით, მის პარტნიორებს პორტუგალიაში წარმატების მისაღწევად, ეროვნული სიამაყის გრძნობა სჭირდებათ, რათა დიდ ტურნირებზე ხელმოცარულთა იარლიყი მოიშორონ: „არ შეიძლება, ფავორიტები გვერქვას, რადგან ჯერ არაფერი მოგვიგია. მართალია, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ძირითადად, უსამართლო მსაჯობის გამო დავმარცხდით, მაგრამ ეს დღეს უკვე აღარავის ახსოვს. სამაგიეროდ, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენ კორეელებს ვერ მოვუგეთ...“ აღსანიშნავია ისიც, რომ პორტუგალიაში გამგზავრებამდე ესპანელები ქალაქ კომპოსტელაში წმინდა სანტიაგოს ტაძარს ეწვივნენ და ბრძოლაში წარმატების მიღწევაში დახმარება უფალს შესთხოვეს.

რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებთა დაპირისპირებამდე მეტოქე გუნდის მეკარეთა შესახებ კომენტარი გააკეთა წარსულში ცნობილმა გოლკიპერმა რინატ დასაევმა. საბჭოთა ნაკრების კარის ყოფილი დარაჯის აზრით, არც იკერ კასილასი და არც სანტიაგო კანისარესი მაინცდამაინც კარგი მეკარეები არ არიან. „ვფიქრობ, დღეს კანისარესი კასილასზე ძლიერია. ყოველ შემთხვევაში, მე კარში სწორედ სანტიაგოს დავაყენებდი. როდესაც კანისარესი კარიერას იწყებდა, ესპანეთში ვცხოვრობდი და შემიძლია გითხრათ, რომ ეს მეკარე არ მომწონდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, მან თამაში გააუმჯობესა. დღეს ის ფეხით უფრო კარგად თამაშობს და „მეორე სართულზე“ ბრძოლის დროსაც, შედარებით დამაჯერებლად გამოიყურება. მისგან განსხვავებით, კასილასით თავიდანვე მოვიხიბლე, მაგრამ იკერი დღეს სუსტი მეკარის შთაბეჭდილებას ტოვებს.“

„ევრო-2004“-ის მონაწილენი უკვე გამოთქვამენ უკმაყოფილებას ძლიერი სიცხის გამო. მაგალითად, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე, „სკუადრა აძურას“ თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ დილის ვარჯიში სწორედ მაღალი ტემპერატურის გამო გადადო. რუსეთის ეროვნული ნაკრების ექიმმა, იური ვასილკოვმა კი აუტანელი სიცხის გათვალისწინებით, ცვლილებები შეიტანა გუნდის კვების რაციონში. „კლიმატური ნიუანსების გათვალისწინებას ვცდილობთ, რადგან ეს მოთამაშეთა ორგანიზმზე მოქმედებს. მაღალი სიცხის გამო, ფეხბურთელების კვების რაციონში ტკბილეული შევამცირეთ, სამაგიეროდ, უფრო დიდი რაოდენობით ვაძლევთ მარილებით გამდიდრებულ საჭმელს, რათა ოფლიანობის დროს დაკარგული მინერალების კომპენსირებას შევუწყოთ ხელი. ნამდვილი ომი გამოვუცხადეთ ტკბილ, გაზიან სასმელებს. ჩვეულებრივ წყალს კი, ცხადია, ბიჭები სურვილისამებრ მიირთმევენ. ამას დაუმატეთ სხვადასხვაგვარი კომბინირებული ხსნარი, რომლის მიღებასაც მოთამაშეებს ასევე არ ვუზღუდავთ. ორგანიზმი ხომ თვითონ მიგვითითებს, თუ რა რაოდენობის სითხე გვესაჭიროება“, – ამბობს იური ვასილკოვი.

თუ რუსებმა პორტუგალიაში ტკბილ, უალკოჰოლო სასმელებს გამოუცხადეს ომი, მასპინძლებმა – სექსს. ნუ გაგიკვირდებათ – პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს ხომ სექსის დაუძინებელი მტერი ლუიშ ფელიპე სკოლარი უდგას სათავეში, რომელმაც 2002 წლის მუნდიალის წინ ბრაზილიელთა გუნდს არ გააკარა საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილი ლოველასი და ამავე დროს შეუდარებელი გოლეადორი რომარიო (თუმცა, ეს უკანასკნელი იფიცებოდა და ცრემლსაც ღვრიდა – ოღონდ კორეა-იაპონიაში წამიყვანეთ და მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას ქალებისკენ არც გავიხედავო). ერთი სიტყვით, სკოლარის მეთოდმა ერთხელ უკვე გამოიღო შედეგი და სუპერტემპერამენტიანი ყვითელმაისურიანები მეხუთედ დაეუფლნენ მსოფლიო თასს. ახლა ბრაზილიელი ფეხბურთის სპეციალისტი საკუთარი თამაშის წესებს არანაკლებ ტემპერამენტიან პორტუგალიელებში ამკვიდრებს (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ მან ეს უკვე გააკეთა), რასაც, როგორც ჩანს, მოთამაშეებიც შეეგუვნენ. „ამ შეზღუდვაში უჩვეულო არაფერია. თუ ტურნირის მსვლელობისას სქესობრივი კავშირისგან თავს შევიკავებთ, ვფიქრობ, ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგვადგება. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ფინალამდე მივაღწ-

ლუიშ ფიგუს ყველა მცდელობის მიუხედავად, მასპინძლებს პირველ მაგჩში ხელი მოეცარათ...

ევთ“ – ამბობს მასპინძელთა გუნდის ფორვარდი სიმაო საბროსა. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ პორტუგალიელ ქომაგთა უმრავლესობა ოპტიმისტურადაა განწყობილი. მაგალითად, გულშემატკივართა 31% მიიჩნევს, რომ მათი საყვარელი გუნდი ფინალში ითამაშებს, 28,9%-ის აზრით, შინდისფერმაისურიანები ნახევარფინალში გავლენ, გამოკითხულთა 17% თვლის, რომ „სკოლარი და კომპანია“ მეოთხედფინალამდე მიაღწევენ, ხოლო 15%-ის მოსაზრებით, გუნდი ქვეჯგუფის ბარიერსაც ვერ დაძლევს.

თუ პორტუგალიის ნაკრებისთვის სექსი და ყველაფერი სექსუალური ჩემპიონატში მარცხთან ასოცირდება, ასე ნამდვილად არ ფიქრობენ ინგლისელები, რომელთათვისაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმთავრეს საშიშროებას ისევ და ისევ ფანების მხრიდან მოსალოდნელი აღვირახსნილობა წარმოადგენს. რაც შეეხება სექსს – ეს სვენ-გორან ერიქსონის გუნდისთვის არავის აუკრძალავს. უფრო მეტიც, ბრიტანელი ლამაზმანები ყოველმხრივ ცდილობენ პორტუგალიაში მყოფი ბიჭების მხარდაჭერას. მაგალითად, ალბიონელთა ეროვნული ნაკრების სიმბოლოდ აღიარებული ჯეკი ტერნერი (იგი „მის ბრიტანეთიც“ გახლავთ) საზოგადოების წინაშე წარდგება სპეციალური საცურაო კოსტიუმით, რომელიც მხოლოდ ინგლისური ქინძისთავებითაა დამზადებული. The Sun-ის ცნობით, მისი „შეკერვა“ 10 ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდა, ხოლო უჩვეულო კოსტიუმის დიზაინერი მერი კაკზორი გახლავთ. თავად ჯეკი არ მალავს, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ იგი ტედი შერინგემის საყვარელი იყო. თავისი ექსკლუზიური ბიკინი კი, მას პატრიოტიზმის ერთგვარ გამოვლინებად მიაჩნია. „ინგლისის ნაკრების მატჩების საყურებლად ეს ყველაზე მოსახერხებელი ტანსაცმელია, ამავე დროს, მოდურად და პატრიოტულად გამოიყურები. წინ, „სამეფო ლომებო“!“ – აცხადებს ჯეკი ტერნერი.

ვიქტორიამ სხვებთან ერთად ცხოვრება არ იკადრა

ვიქტორია ადამსმა ინგლისის ეროვნული ნაკრების მოთამაშეთა სხვა მეუღლეების მსგავსად, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება არ ისურვა და ვილა იქირავა. თუმცა, ცოტა ხნით ადრე, იგი თანახმა იყო, რომ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მათთან ერთად ეცხოვრა და ალბიონელთა გუნდისთვის ექმამაგა. ქალბატონებისთვის საგანგებოდ გოლფის მინდორი, სილამაზის სალონები და მასაჟის კაბინეტებიც კი მოამზადეს. მიუხედავად ამისა, ბოლო მომენტში „სპაისგელზის“ ყოფილმა წევრმა მაინც ცალკე ყოფნა მოისურვა, რაც იმით ახსნა, რომ სასტუმროში ბავშვებს ვერავის დაუტოვებდა. როგორც ბექჰემთა ოჯახთან დაახლოებულმა პირმა განაცხადა, სინამდვილეში ვიქტორიას პრესის წარმომადგენლებისგან თავის დაღწევა სურდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორი რეაგირება ჰქონდათ ადამსის საქციელზე ინგლისის გუნდის დანარჩენი მოთამაშეების ცოლებს, თუმცა, ისინი აღფრთოვანებულები ნამდვილად არ იქნებიან. „მაღალი საზოგადოების კლუბი კი არ ჩამოგვიყალიბებია, უბრალოდ, ჩვენი მეუღლეების ერთად მხარდაჭერას ვაპირებდით. მათ ხომ წინ დაძაბული მატჩები ელით. ხოლო ვიქტორია მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს“, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი.



პორტუგალიაში „დაბოლილებს“ არავინ ერჩის

„ევრო-2004“ პორტუგალიაში მყოფ ქომაგებს, საფეხბურთო ბატალიების გარდა, ერთი უჩვეულო სიახლითაც დაამახსოვრდებათ. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი პოლიცია მარიხუანის მომხმარებელთა მიმართ ლიბერალურადაა განწყობილი, თუმცა სამართალდამცავთა ასეთი პოზიცია, ნასვამი ფანებისადმი გულგრილობად არ უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, მთვრალ გულშემატკივრებს სტადიონის ტერიტორიაზე არ შეუშვებენ. მარიხუანის მოყვარულთა მიმართ ლმობიერ დამოკიდებულებას კი, პორტუგალიის ხელისუფლება იმით ხსნის, რომ „დაბოლილი“ ახალგაზრდები, სპირტიანი სასმელებით მთვრალ თანატოლებთან შედარებით გაცილებით ნაკლებად აგრესიულები არიან.

ბექსზე უკვე ნადირობენ

The Sun-ისა და Daily Star-ის ჟურნალისტებს შეიძლება, ინგლისის ნაკრების მწვრთნელებთან და მოთამაშეებთან ურთიერთობა აუკრძალონ. ორიოდე დღის წინ, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ (FA) რედაქტორები საგანგებოდ გააფრთხილა და მათ გუნდის წარმომადგენელთა პირად ცხოვრებაში ჩარევა სასტიკად აუკრძალა. მიუხედავად ამისა, მეორე დღესვე ზემოთ დასახელებულმა გამოცემებმა პირველივე გვერდებზე გამოაქვეყნეს ლისაბონის სასტუმროს აივანზე ქვედა საცვლის ამარა მდგარი ბექჰემის ფოტო. გარდა ამისა, The Sun-მა სურათს ორაზროვანი კომენტარიც დაურთო („დაიჭირე შენი ბურთები“), რაც ნამდვილად არ ესიამოვნებოდა დევიდს. ვარაუდობენ, რომ ეს ფოტო ინგლისურ გამოცემებს პორტუგალიელმა პაპარაციმ მიაწოდა. FA კი, სასამართლოში პრესის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ საქმის აღძვრასაც არ გამორიცხავს.

Daewoo-ს იტალიური სახე

კორეელი ავტომშენებლების ძირითადი მიზანი იმის მიღწევაა, რომ მათი მანქანები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ევროპულებს. აღსანიშნავია, რომ ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორებიცაა: მართვა, კომფორტი, ეკონომიურობა, კორეული პროდუქციის ხარისხი აშკარად უმჯობესდება, მაგრამ ჩამორჩება დიზაინის თვალსაზრისით. ამიტომ კორეელები ამ სფეროში ლიდერების – იტალიელების დახმარებით სარგებლობენ. მაგალითად, Daewoo Lacetti-ს ახალი მოდელის გარეგნული იერი ჯორჯეტო ჯუჯაროს სადიზაინერო ატელიეს – Italdesign-ის შემოქმედების ნაყოფია. Lacetti ძალზე დახვეწილი გარეგნობით გამოირჩევა, განსაკუთრებით თვალში საცემია ძარას დინამიკური მოხაზულობა და მკვეთრად გამოხატული უკანა ფარები. კომპაქტური ავტომანქანის (მისი სიგრძე დაახლოებით 4,30 მ-ა) სალონის ინტერიერი საკმაოდ მიმზიდველი და მყუდროა. ხოლო ამ კლასის კვალობაზე ძალზე შთამბეჭდავი საბორბლე ბაზის წყალობით (2,60 მ), უკანა სავარძლის მგზავრები კომფორტულად იგრძნობენ თავს. საბარგულის მოცულობა 275 ლ-ა, ხოლო როდესაც უკანა სავარძელი დაკეცილია – 1045 ლ. Lacetti საბაზო კომპლექტაციაშიც იქნება აღჭურვილი მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით. მისი ძირითადი ძრავა – 4-ცილინდრიანი, 1,4 ლ მოცულობისა და 95 ცხ.ძ. სიმძლავრისაა. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე – 175 კმ/სთ, ხოლო 110 კმ/სთ-ს 11,6 წმ-ში აღწევს. საწვავის საშუალო ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 7,1 ლ-ა. მომხმარებელს შესთავაზებენ აგრეთვე 1,6 ლ მოცულობის, 109 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავას, რომლის მაქსიმალური სიჩქარე 187 კმ/სთ-ა. Lacetti-ს მინიმალური ფასი ევროპაში 13.550 ევრო იქნება. ■

„ჩემპიონები“ სრულამძრავიანებს შორის

ლაიფციგის წლევანდელი საერთაშორისო ავტოსალონის დროს, საუკეთესო სრულამძრავიანი ავტომანქანები გამოავლინეს. სპორტული ყველგანმავლების კატეგორიაში „ჩემპიონებად“ გამოაცხადეს: Nissan X-Trail (კომპაქტური კლასი), Toyota LandCruiser (ბიზნესკლასი) და Volkswagen Touareg (წარმომადგენლობითი კლასი). სრულამძრავიანი მსუბუქი მანქანების კატეგორიაში საუკეთესოებად აღიარეს: Audi A3 quattro (კომპაქტური კლასი), Subaru Legacy (ბიზნესკლასი) და Audi A8 quattro (წარმომადგენლობითი კლასი). პიკაპების კატეგორიაში Mitsubishi L200 ლიდერობდა. ყველაზე მოწინავე ტექნიკური გადაწყვეტილებისთვის პრიზი კონცერნ BMW-ს მიენიჭა, რომელმაც მოდელებისთვის – X3-ისა და X5-ისთვის, სრული ამძრავის ელექტრონული მართვის სისტემა – xDrive შეიმუშავა. ■

მოხდენილი Smart მელომანებისთვის

სულ მალე ავტობაზარზე გამოჩნდება ორადგილიანი კაბრიოლეტის – Smart Fortwo i-move – მოდელი, რომელიც სპეციალურად მელომანებისთვისაა განკუთვნილი. კომპლექტაციის მთავარი ხიბლი, კომპანია Apple-ის წარმოების მანქანაში დამონტაჟებული მედიაპლეერი iPod 20 გახლავთ. მედიაპლეერი 20 გიგაბაიტამდე მოცულობისაა, რაც დაახლოებით 5 ათასამდე სიმღერასა თუ მუსიკალურ კომპოზიციას შეესაბამება. სისტემაში 4 სტაციონარული დინამიკი შედის, ხმა კი, მაგნიტოლის მეშვეობით რეგულირდება. მედიაპლეერით სარგებლობა მხოლოდ მანქანაში როდია შესაძლებელი: ბლოკი იოლად იხსნება, რათა ბინაში ან ოფისში გადაიტანოთ.

Smart Fortwo i-move აღჭურვილია 61 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი. კომპლექტაციის სხვა ელემენტებს შორის, აღნიშვნის ღირსია Brabus-ის საბორბლე დისკები, ტყავის სავარძლები და ელექტროგამათბობლები. სანამ ეს მოდელი მაისში ავტობაზარზე გამოჩნდებოდა, მწარმოებელმა მასზე უამრავი შეკვეთა მიიღო. უკვე ამ თვიდან, მომხმარებელს აუდიოსისტემას – iPod, მოდელების – Smart Fortwo Coupe, Cabrio, Smart Roadster და Roadster Coupe – როგორც დამატებით ოპციას შესთავაზებენ. ბოლოს დავძენთ, რომ „მუსიკალური“ მანქანის მინიმალური ფასი 17.900 ევროს შეადგენს. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-24)

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

თბილისის ომის დროს მხატვარ ირაკლი იაშვილისაგან ორსულად დარჩენილი გვანცა, მისი ძმის, პარლამენტარ ლაშას თანაშემწედ მუშაობს. გვანცას ირაკლისგან შვილი — პატარა ლუკა ჰყავს. ქალს მოულოდნელად გამოეცხადება აფხაზეთის ომში დაკარგული მისი ყოფილი თანაკლასელი და ფიქტიური ქმარი ლუკა ჩადუნელი, რომელიც აუწყებს, რომ თბილისში მამამისი, მოსკოველი ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი ჩამოდის. ლაშას მასთან სარფიანი ხელშეკრულების გაფორმების იმედი აქვს, მაგრამ ეს საქმე ჯერ ლუკას გატაცების, შემდეგ კი, ლაშას დაჭრის გამო, ჩაიშლება. მომხდარით შეშფოთებული მისი თანამშრომელი ივიკო გვანცას აფრთხილებს — ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმპეში მიგათრევსო. ლაშას პატიოსნების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა... ცოტა ხანში, ის საბოლოოდ რწმუნდება, რომ კანონიერი ქურდების ჩარევის გარეშე შვილს ტყვეობიდან ვერ გამოიხსნის და მოსკოვში დაბრუნებას გადაწყვეტს. ის გვანცას და პატარა ლუკასაც წაიყვანს თან. მოსკოვში ჩასული გვანცა სრულიად მოულოდნელად, წლობით უნახავ მამას გადაეყრება... მიშა ჩოხელი იქ პურის მცხობლად მუშაობს. მოგვიანებით, მიშა მას დედასაც შეახვედრებს, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის კრიზისი გამოვლილი აქვს... ცოტა ხანში გიორგი უკანონო ტყვეობიდან გამოიხსნის ლუკას და შვილის გადარჩენით აღტაცებული, მასა და გვანცას შეუღლებას გადაწყვეტს. გვანცაც დათანხმდება და ლუკას ეტყვის — რაც შეიძლება მალე ვიქორწინოთო. მაგრამ ჯვრისწერის დღეს, შვეიცარიიდან ჩამოსული ირაკლი წამოადგება თავზე და ძველებურად აურევს თავგზას... გვანცა თბილისში გამოიქცევა. აქ მას კიდევ ერთი სიურპრიზი ხვდება: სრულიად მოულოდნელად, თბილისში მისი მხსნელი, თურქი უმარ-ეფენდი ჩამოდის. ის გვანცას რესტორანში დაჰპატიჟებს და გაუმხელს, რომ ლაშა ტრეფიკინგშია გარეული, თან შესთავაზებს — ამ სფეროში მოქმედ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში სამუშაოდ გაგიწევ რეკომენდაციასო.

შინ დაბრუნებულ გვანცას მოსკოვიდან დედა დაურეკავს და ეტყვის — შენი გაქცევის შემდეგ, ლუკამ ცოლი მოიყვანაო...

— რომელი ცოლი, დედა?!. — როგორც იქნა, ხმა ამოიღო გვანცამ. — ხომ არ გაგიჟდი?!.

— მე კი არა, შენ და ლუკა გაგიჟდით! — შეუტია შვილს ანამ. — თანაც — ერთმანეთის მიყოლებით...

— დედა, გეხვეწები, — სასწრაფოდ უკან დაიხია გვანცამ, — ახლა ჩემს სიტყვებს ნუ გამოეკიდები და წესიერად გამაგებინე, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა?

— მაცალი, რომ გაგაგებინო?!

— კარგი, ხმას აღარ ამოვიღებ! მიდი, მომიყევი ყველაფერი!

— მოსაყოლი ბევრი არაფერია... — ამოიოხრა ანამ. — როგორც კი აეროპორტში გაგისტუმრე, მეც ქალაქში გავედი. არ მინდოდა, ლუკას შინ მარტო დავხვედროდი. ერთხანს, ქუჩაში ვიხეტიალე, დათქმულ დროს კი ეკლესიაში მივედი. ცოტა ხანში ლუკაც გამოჩნდა და მაშინვე მომვარდა — გვანცა სადღაა? როცა ვუთხარი, რაც მოხდა, ჯერ გაოგნდა, შემდეგ შენს მეჯვარეს მანქანის გასაღები გამოართვა და...

— რომელ მეჯვარეს? დედა, რეებს იგონებ?.. — კვლავ გააწყვეტინა ანას ლაპარაკი გვანცამ. — მე ხომ მეჯვარე ლამის ბოლო წუთებამდე არ მყავდა?! აღარ გახსოვს, ამის გამო როგორ ვნერვიულობდი?..

— ეგ შენ გეგონა, რომ არ გყავდა, ლუკას კი ეგ საქმეც მოუგვარებია: თავისი ნახევარძმის, ანდრეის მეგობარი გოგონასთვის უთხოვია შენი მეჯვარეობა და თანხმობაც მიუღია...

— მერე მე რატომ არაფერი მითხრა? — ჩვეულებისამებრ გაგულისდა გვანცა. — უნდოდა, რომ მართლაც ბოლო წუთებამდე მენერვიულა, ხომ?!

— სიურპრიზს გიმზადებდა!

— მერე?.. გააგრძელე! მერე რა მოხდა?

— ლუკა მანქანაში ჯერ მარტო ჩავდა, შემდეგ რატომღაც ის გოგოც გვერდით მოისვა და დანარჩენებს დაძრული მანქანიდან გადმოგვძახა — აეროპორტში მივდივარო.

— მე გამომიდგა?

— ჰო. მაგრამ ვეღარ მოგისწრო... ის რომ მანქანით აეროპორტში შევარდნილა, შენი თვითმფრინავი თურმე, უკვე ჰაერში იყო... აეროპორტიდან ლუკა ისევ იმ გოგოსთან ერთად დაბრუნდა, გიორგისთან და ლიდიასთან მიიყვანა და მშვიდად გამოუცხადა: ცოლად ეს ქალი მომყავსო...

— რა-ა?!. — შეიცხადა გვანცამ. — მართლა ის გოგო მოიყვანა?

— მართლა... — ამოიოხრა ანამ. — ისე, უნდა ვაღიარო, რომ მშვენიერი პატარძალი იყო...

— როგორ?!. — მთლად გადაირია გვანცა. — ჯვრისწერასაც დაესწარი?

— აბა, რა უნდა მექნა?!.

— გეხვეწები, აღარ გააგრძელო! — ამოიკვნესა უცბად გვანცამ.

— კარგი, შვილო, — მაშინვე დაეთანხმა ანა. — შენ აღარ მომეშვი, თორემ, ასე დაწვრილებით მოყოლას ნამდვილად არ ვაპირებდი...

— ვინ არის?

— ანდრეის მეგობარი-მეთქი... თურმე, სამი წელია, ლუკა უყვარს, მაგრამ გამხელას ვერ უბედავდა... იქ, აეროპორტში, რა მოხდა, არავინ იცის, მაგრამ ფაქტია — დღეს ის და ლუკა უკვე ცოლ-ქმარი არიან და თაფლობის თვეს იტალიაში ატარებენ... რას გეტყვი, იცი, შვილო? — დასძინა ბოლოს ანამ, მაგრამ გვანცამ აღარ აცალა:

— მეტი რაღა უნდა მითხრა?!. ბოლომდე გამიხეთქე გული და ეგ არის! იმ არამზადამ რაღა ქნა?.. მართლა მოვ-

იდა ჯვრისწერაზე?

— ვინ?.. ირაკლი?.. არა, ჯვრისწერაზე საერთოდ არ გამოჩენილა, მაგრამ გვიან ღამით მე და მამაშენს შინ დაგვადგა თავზე... ლუკას, რა თქმა უნდა, უკვე ეძინა, მაგრამ ოთახში მაინც შეუვარდა და მძინარე ბავშვი გიჟივით დაკოცნა.

— შენც გაგიჟდი, დედა? ბავშვთან როგორ შეუშვი?!.

— თუ სიგიჟეს კიდევ ერთხელ მიხსენებ, ჩემი შვილობიდან საერთოდ წაგშლი, იცოდე! — უყვირა გვანცას წონასწორობიდან გამოსულმა ანამ.

— კარგი, კარგი, დედიკო, — დაუყვავა გვანცამ ანას, — მაპატიე, წამომცდა!.. შენ ის მითხარი, ახლა სად ბრძანდება ვაუბატონი?

— ახლა არ ვიცი, დღეს დილით კი, ის და მამაშენი საქართველოს საელჩოში იყვნენ.

— საელჩოში რაღა დარჩათ?.. რომელიმეს ელჩად ხომ არ ნიშნავენ?..

— ნუ სისინებ! — გააწყვეტინა შვილს ანამ. — ირაკლის ჯერ კიდევ შვეიცარიაში გაუგია, რომ საქართველოს პრეზიდენტს ზვიადისტების შეწყალების თუ შემორიგების თაობაზე რაღაც დოკუმენტი გამოუცია. საელჩოში მას და მამაშენს ეს ამბავი დაუდასტურეს და ისიც უთხრეს — შემორიგებულთა შორის თქვენც ხართო. ასე რომ, ცოტა ხანში, ალბათ, მე და მამაშენი მოსკოვიდან გუდა-ნაბადს სიხარულით ავიკრავთ. უკვე ბავშვსაც ველარ ვაკავებ. სულ „დედა“ აკერია პირზე! უშენოდ დიდხანს რა გაძლებინებს?!.

— არა უშავს, მამა ხომ გამოუჩნდა... ჰოდა, ცოტა ხანს იმან მიხედოს!..

— მიხედავს კიდეც! მაგრამ ირაკლის ჯერჯერობით, ბავშვისთვის საერთოდ არ უთქვამს, რომ მამამისია.

— ეტყოდა და მაგისი აჯობებდა!.. — გაგულისდა გვანცა.

— შენ გელოდება! — გვანცას მუქარას ყური საერთოდ არ ათხოვა ანამ. — როგორც გვანცა გადაწყვეტს, მეც ისე მოვიქცევიო, — მითხრა.

— თუ ასეა, გადაეცი, რომ თვალით აღარასოდეს დამენახვოს!

— გაგიჟდი?!. — შეიცხადა ანამ. — შენ რაც გინდა, ის ქენი, მაგრამ ბავშვს რატომდა უკარგავ მამას?

— ჩემი შვილი ლუკას თვლის თავის მამად.

— ჰო, მაგრამ თავად ლუკას აღარაფერს ეკითხები?.. უკვე ცოლი ჰყავს, მალე საკუთარი შვილიც ეყოლება და შენი ბიჭი საერთოდ აღარ გაახსენდება. ჰო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა?.. ლუკამ გადმოგცა — ძალიან დამავალებ, თუ სასამართლოში განქორწინების განცხადებას შეიტანო!

— მე რატომ უნდა შევიტანო?! — გაკაპასდა გვანცა. — დაბრუნდება საქორწინო მოგზაურობიდან და თავად შეიტანოს!

— ჰო, მაგრამ ლუკა იტალიიდან მოსკოვში დაბრუნდება, განცხადება კი თბილისში გაქვთ შესატანი. თავის დროზე, ხელი ხომ თბილისში მოაწერეთ!

— კარგი, კარგი, რაღაცას მოვიფიქრებ... — საჩქაროდ დაემშვიდობა ანას საბოლოოდ საქციელწამხდარი გვანცა.

მეორე დღეს გვანცა ახალ სამსახურში ზუსტად დათქმულ დროს გამოცხადდა. უმარი უკვე შესასვლელთან ელოდა.

— როგორ ხარ? — ჰკითხა მან. — ხომ არ ნერვიულობ?

— ვნერვიულობ, — მაშინვე გამოუტყდა გვანცა. — თანაც, ისე, თითქოს გამოცდა მქონდეს ჩასაბარებელი.

— დამშვიდდი! აქ ყველას უგამოცდოდ იღებენ, მაგრამ შემდეგ ყოველი დღე გამოცდასავით იქნება. ახლა კი მარტო ანკეტას შეგავსებინებენ და მორჩა!

ანკეტა გვანცას მართლაც შეავსებინეს, თანაც — ყველა ფორმალობის დაცვით.

— თავგადასავლები გყვარებიათ... — გაეღიმა სანდომიან გოგონას, რომელმაც გვანცას ანკეტა ჩაიბარა და სანამ გვანცა რაიმის კითხვას მოასწრებდა, დაუმატა: — ჩვენგან, როგორც წესი, პარლამენტში გადადიან სამუშაოდ, იქიდან აქეთ საკუთარი ნებით გადმოსული კი ჯერ მხოლოდ თქვენ გნახეთ.

— გასაგებია, მაგრამ თავგადასავლები მაინც რა შუშია? — ჩაეძია გვანცა.

— დაიწყებთ ჩვენთან მუშაობას და მალევე მიხვდებით, რომ შუაში კი არა, თავშია! — დაასრულა „გამოსვლა“ გოგონამ და გვანცას ანკეტა საქაღალდეში შეინახა.

გვანცას ახალ სამსახურთან დაკავშირებული ყველა წვრილმანის მოგვარების შემდეგ, უმარმა სასწრაფოდ ბათუმში წასვლა გადაწყვიტა.

— ასე რატომ აჩქარდით? — შეწუხდა გვანცა. — წუხელ ბებიაჩემს ველაპარაკე და ამ საღამოს ოჯახში მინდოდა თქვენი მოპატიჟება...

— სხვა დროს იყოს... — სახეზე აშკარა კმაყოფილება გამოეხატა უმარს. — ამიერიდან საქართველოში და თბილისშიც ხომ საკმაოდ ხშირად ვივლი... ჰო, მართლა! — დაუმატა მან შემდეგ. — ჩემს ქორწილში ჩამოსვლა ხომ არ გადაიფიქრე?

— რა თქმა უნდა, არა!

— მაშინ დროა, გზას გავუდგე, — ხელი დასამშვიდობებლად გაუწოდა უმარმა გვანცას: — შეხვედრამდე!

— შეხვედრამდე! — მაშინვე ხელი შეაგება გვანცამ.

უმარმა გვანცას ხელი თავისი ხელში ცოტა ხანს შეაჩერა, შემდეგ ფრთხილად გადმოაბრუნა და ხელისგულზე ნაზად ეამბორა. გვანცას მთელ სხეულში უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა და ყურებამდე გაწითლდა...

უმარის გასტუმრების შემდეგ, გვანცამ პარლამენტისკენ გასწია.

— სად ხარ, გოგო, ამდენ ხანს? შეფი უკვე კედლებზე დადის! — მისაღებში გვანცას გამოჩენისთანავე ჩაირთო მის მაგიდასთან მოკალათებული ივიკო.

— მართლა?.. — მაინც რამდენი წრე დაარტყა?.. — აგდებულად იკითხა გვანცამ.

— ადგილზეა, — ლაშას კაბინეტის კარზე ანიშნა ივიკომ და სკამი დაუთმო, — შედი და თვითონ ჰკითხე!

— მეტი დარდი არა მაქვს, ხახაში ჩემით ჩავუვარდე! — საკუთარ მაგიდას არხეინად მიუჯდა გვანცა და სკამის საზურგეზე ჩამოკიდებული ხელჩანთა კალთაში ჩაიდო. — ეს გუშინ აქ დავტოვე, ხომ?..

— დატოვე კი არა, დაგრჩა! — გვანცას წინ, სკამზე მოკალათდა ივიკო და თვალი თვალში გაუყარა. — ასე გიჟივით სად გაეკიდა იმ თურქს, რომ ჩანთის წაღებაც დაგავიწყდა?

— რესტორანში, — მშვიდად უპასუხა გვანცამ.

— რა-ა?!..

— რა იყო? ისე გავიკვირდა, თითქოს რესტორანში სიარული აკრძალული მქონდეს!

— მაგას აბა, ვინ ავიკრძალავს? მაგრამ დარწმუნებული ვარ, მე რომ სადმე დამეპატიჟე, უარის სათქმელად ათას მიზეზს მოიგონებდი...

— შენ რომ დაგეპატიჟე, ნამდვილად მოვიგონებდი, — დაეთანხმა გვანცა, — იმიტომ, რომ საკუთარი თავის ქებით ტკბინს გამილაყებდი. უმარ-ეფენდი კი ძირითადად, მისმენდა და თან, სულ თვალებში შემომციცინებდა...

— რას მეუბნები?!. — ტუჩები უკმაყოფილოდ აიბზუა ივიკომ. — როდის აქეთაა, მაგისნაირებმა ჯენტლმენობა ისწავლეს?

— მას შემდეგ, რაც შენნაირებმა ეგ სიტყვა საბოლოოდ დაივიწყეს!..

— მართლა? — ფეხი ფეხზე არხეინად გადაიდო ივიკომ და ის იყო, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ კაბინეტის კარი ხმაურით გაიღო და ლაშამ გამოიხედა:

— გვიკადრე, ქალბატონო?!. — თვალები დაუბრიალა მან გვანცას. — შემოდი ერთი და ამიხსენი, სად დაბრძანდები?

გვანცა ფეხზე უსიტყვოდ წამოდგა. ლაშამ ის კაბინეტში შეუშვა და რაღაცის სათქმელად თუ საკითხავად მომზადებულ ივიკოს კარი ცხვირწინ მიუხურა.

კაბინეტში შესულმა გვანცამ გრძელ სათათბირო მაგიდასთან მიდგმული პირველივე სკამი გამოსწია და კიდეზე ჩამოჯდა.

— ცოტა ახლოს მოიწიე! — ტყავის მაღალზურგიან სავარძელში მოთავსდა

ლაშა. — ნუ გეშინია, არ შეგჭამ! ხომ ხედავ, სავარძელშიც კი ძლივს ვჯდები!

გვანცამ მაშინვე ლაშას გვერდით გადაინაცვლა და გამომწვევად გაუსწორა თვალი.

— ისე მიყურებ, თითქოს, ეს ორი დღე სამსახურს შენ კი არა, მე ვაცდენდე.. — მაშინვე დაიწყო ლაშამ. — სად გაჭყევი იმ გადამთიელს?.. დაგერეკა მაინც!

— ვაპირებდი, მაგრამ მობილური ჩანთაში დამრჩა, ჩანთა კი — მისაღებში, — მშვიდად მიუგო გვანცამ.

— ჩანთის ამბავი გავიგე. შენ ის მითხარი, თავად სად დადიხარ და რას აკეთებ?

— გუშინ მე და უმარ-ეფენდი რესტორანში ვიყავით, დღეს დილით, კი — ჩემს ახალ სამსახურში...

— რომელ ახალ სამსახურში?.. — გააწყვეტინა ლაშამ. — მგონი, ჯერჯერობით, ჩემი თანაშემწეობიდან არ მომიხსნიხარ, თუმცა, ღირსი კი ხარ, ასე მოგექცე!

— მოხსნა აღარ მოგიწევს. განცხადებას დღესვე თავად დაგიწერ და ორშაბათიდან საერთოდ წავალ.

— გავიჟდი?!. — სასწრაფოდ გააწყვეტინა ლაშამ. — სად მიდიხარ?.. რატომ?.. მოხდა რამე?..

— არაფერიც არ მომხდარა, უბრალოდ, ახალი სამსახური ვიშოვე...

— იშოვე თუ იმ გადამთიელმა გაშოვნინა?

— აბა, ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?!.

— შენ წარმოიდგინე, რომ აქვს! — ხმას აუწია ლაშამ. — ამდენი წელი გვერდიდან არ გიშორებდი, ცივ ნიავსაც არ გაკარებდი და ახლა, ერთი ხელის მოსმით, ყველაფერს წყალში მიყრი? ამას ხომ ღალატი ჰქვია და სხვა არაფერი!

— მაგალითს შენგან ვიღებ! — ჯიქურ მიუგო გვანცამ.

— რა თქვი?!. — ხმა ჩაუწყდა ლაშას. — მაინც, როდის გიღალატე?

— როდის და როცა დამარწმუნე, გერმანიაში სასწავლებლად გიშვებო და სინამდვილეში მონობისთვის გამიმეტე! კიდევ მაშინ, როცა გაუთავებლად გაიძახოდი, გიორგი ჩადუნელის ბიზნესი მაინტერესებსო და სინამდვილეში, მისი შვილის გატაცების გეგმას ადგენდი!..

გვანცას ამ სიტყვების შემდეგ, კაბინეტში ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ლაშა სავარძელში ფრთხილად გადაწვა და თვალი ჭერს ისე მოავლო, თითქოს რაღაცას ეძებსო, ბოლოს, ისევ გვანცას მიუბრუნდა:

— არ გეჩვენება, რომ უკვე ძალიან ზედმეტი მოგდის? — კბილებში ბოღმიანად გამოცრა მან. მაგრამ გვანცამ მისი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

— მსგავს ბრალდებებს, სხვათა შორის, დამტკიცება სჭირდება! — განაგრძო ლაშამ. — არ გაგიგონია — თუ ვერ დაიჭერ, ქურდი არ არისო?!.

— მე არც შენს დაჭერას ვაპირებ და არც რაიმის მტკიცებას! — მშვიდად უპასუხა გვანცამ. — უბრალოდ, წასვლის მიზეზი მკითხე და მეც გიპასუხე. დანარჩენი კი, მხოლოდ შენს სინდისზე იყოს!..

— ჩემს სინდისზე, ხომ? — აფეთქდა ლაშა. — იცი, რომ თუ საქმე საქმეზე მიდგა, მთლად სუფთა ვერც შენ გამოხვალ?..

— მე-ე?.. — ალალად გაუკვირდა გვანცას. — მე რა შუაშია ვარ?.. იმას ხომ ვერ დამაბრალებ, თურქეთში თავი მონად თავადვე გაყიდვინაო?!.

— არა! თურქეთს შევეშვათ!.. აი, თბილისში მოულოდნელად ჩამოსული არასასურველი ქმრის გატაცებაში მონაწილეობა კი, სულ თავისუფლად შეგეძლო!

— მე-ე?!. — გაოცებისგან თვალები კინაღამ შუბლზე აუვიდა გვანცას.

— ჰო, შენ!.. არ იცი, რომ როცა დანაშაული ხდება, პირველ რიგში, ეჭვი ოჯახის წევრებზე მიაქვთ? შენ კი, კანონით ლუკას ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ახლო წევრი ხარ...

— შენ კი — ნამდვილი ურჩხული! — ფეხზე წამოხტა გვანცა. — ამაში ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი!

— კარგი, კარგი, ჰო!.. — დანებების ნიშნად, ორივე ხელი ასწია ლაშამ. — რა გოიმივით ავარდი?!. ძალიან გთხოვ, დაჯექი და მომისმინე!

გვანცა მაგიდას მცირეოდენი ყოყმანის შემდეგღა მიუჯდა.

— ეგრე რა! — სავარძელში ისევ არხეინად გადაწვა ლაშა. — მისმინე!.. ღვთის მადლით, როგორც შენ, ისე ლუკა უკვე თავისუფლები ხართ! თანაც, ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა! ასე რომ, მოდი, იცი, ახლა რა ვქნათ?..

— მაინც, რა? — უნდოდ ჰკითხა გვანცამ.

— რა და, როგორც ადრე, ახლაც — შენც — სუ და მეც სუ!

— ალაპარაკებას არც აქამდე ვაპირებდი! — ისევ ფეხზე წამოდგა გვანცა. — სამსახურიდან წასვლის განცხადებას დღესვე დაგიტოვებ, დანარჩენი კი, წელანაც გითხარი, მხოლოდ შენს სინდისზე იყოს!

— იყოს, ბატონო! — სასწრაფოდ დაეთანხმა ლაშა. — როგორმე გავუძლებ!.. ჰო, მართლა! ასე თავქუდმოგლეჯილი რომ გარბიხარ, ახალ ადგილზე ნორმალური ხელფასი მაინც თუ დაგინიშნეს?

— ხელფასიც ნორმალურია და სიტუაციაც! — მოკლედ მოუჭრა გვანცამ.

— ნუ... თუ ასეა, რაღა გაეწყობა! — ხელები მოჩვენებითი სინანულით გაშალა ლაშამ. — მოიცა! — დასძინა მან შემდეგ და სასწრაფოდ მაგიდის უჯრას ეცა. — კინაღამ არ დამავიწყდა?

— რა დაგავიწყდა? — შეკრთა გვანცა.

ლაშამ უჯრიდან ერთმანეთთან პატარა რგოლით შეერთებული ორი გასაღები ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— ეს რა არის? — გაუკვირდა გვანცას.

— ვერ ხედავ, რაც არის? — გასაღებია...

— რისი გასაღებები?

— ირაკლის ბინის... მდგმურები წავიდნენ და გასაღებები მე დამიბრუნეს.

— მერე მე რა?

— შენ ის, რომ აიღე ეს გასაღებები და ირაკლის ბინა ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს! გინდა, ისევ გააქირავე, გინდა...

— არც იფიქრო! — გააწყვეტინა გვანცამ. — მე არც ირაკლის ბინა მჭირდება და აღარც თავად ირაკლი!

— შენ შეიძლება, მართლა აღარ გჭირდებოდეს, მაგრამ შენს შვილს მამა ყოველთვის დასჭირდება! დამიჯერე, აიღე ეს გასაღებები და ბავშვს თავის კუთხეს ნუ დაუკარგავ! რა იცი, მომავალში რა ხდება?..

— არა! — გაჯიუტდა გვანცა. — ირაკლის დაახვედრე!

— ირაკლი საქართველოში ჩამოსვლას აღარ აპირებს, — მშვიდად მიუგო ლაშამ. — გუშინ ველაპარაკე...

— მაშინ ჯანდაბამდე გზა ჰქონია... — ძლივსღა წაიჩურჩულა გვანცამ და ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა.

— რა ფერი გადევს? — ლაშას კაბინეტიდან გამოსვლისთანავე ეცა ივიკო გვანცას. — ძალიან დაგცოფა?

— არც მე დავაკელი! — კბილებში გამოცრა გვანცამ, თან მაგიდას მიუჯდა და განცხადების წერა დაიწყო.

— რას აკეთებ? — ენას აღარ აჩერებდა ივიკო.

— განცხადებას ვწერ.

— რა განცხადებას?

— სამსახურიდან მივდივარ.

— მართლა?!. — გაოცებასთან ერთად, აღტაცებაც ველარაფრით დაფარა ივიკომ. — სად?.. რატომ?..

— შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?.. — განცხადებას ხელი მოაწერა გვანცამ, და შემდეგ, ივიკოს გამომცდელად ახედა — თუმცა, როგორ არა აქვს მნიშვნელობა?!. ლაშა ხომ ხვალვე შენ აგიყვანს თანაშემწედ!

— საიდან მოიტანე?!. — ვითომ იუარა ივიკომ, მაგრამ იმწამსვე დანანებით დასძინა: — იცი, შენს ადგილზე რამდენს უჭირავს თვალი?

— მაშინ ერთმანეთის დაჭმა არ აგცდებათ... — უპასუხა გვანცამ და საკუთარი მაგიდის უჯრების ამოლაგება დაიწყო.

ცოტა ხანში, კაბინეტიდან გამოსული ლაშა წამოადგა თავზე. მან გვანცას საშზადისს ერთხანს დანანებით უცქირა, შემდეგ

ირაკლის ბინის გასაღებები მაგიდაზე ხმაურით დადო და ოთახიდან უსიტყვოდ გავიდა...

ახალ სამსახურს გვანცამ სწრაფად აუღო ალღო და თანამშრომლების კეთილგანწყობაც მალევე დაიმსახურა. განსაკუთრებით კი ის გოგონა დაუმეგობრდა, რომელმაც თავის დროზე, ანკეტა შეავსებინა. გოგონას ფიქრია ერქვა და გვანცას აზრით, საკუთარ სახელს ზედმიწევნით ამართლებდა.

ერთ დილით, ფონდში მისულ გვანცას ფიქრიამ ამბავი დაახვედრა: შენმა ყოფილმა შეფმა დაგირეკა და გთხოვა, შემეხმიანოსო.

— ნეტავ, რატომ გავახსენდი?.. — გაღიზიანდა გვანცა.

— ვერ გეტყვი! — მხრები დამნაშავესავით აიწურა ფიქრიამ. — ჩემთვის მეტი არაფერი დაუბარებია.

— ჯანდაბას მაგის თავი, დავურეკავ... — მაგიდის კუთხეში მდგარი ტელეფონი თავისკენ მიიჩოჩა გვანცამ.

ლაშამ ყურმილი სწრაფად აიღო და გვანცას შეკითხვა შეკითხვაზე დააყარა:

— როგორ ხარ?.. ახალ სამსახურს როგორ შეეწყვე?.. ბავშვი თუ ჩამოიყვანე?..

— სამსახურში ყველაფერი რიგზეა, — მოკლედ მოუჭრა გვანცამ. — ბავშვი და ჩემი მშობლები კი, ორ დღეში ჩამოვლენ.

— მართლა?

— ჰო, რა იყო? რატომ გაგიკვირდა?

— გამიკვირდა კი არა, ძალიან გამიხარდა! გილოცავ! — სასწრაფოდ ხმა დაითაფლა ლაშამ.

— გმადლობ და გისმენ. მითხარი, რამ შეგაწუხა? — საქმეზე გადავიდა გვანცა.

— რა არის, იცი?.. — დაიწყო ლაშამ და თან, ნერვიულად ჩაახველა. — ირაკლის ბინის გასაღები თან ხომ არ გაქვს?..

— შენ წარმოიდგინე, მართლა თან მაქვს — ჩანთიდან საერთოდ არ მომიღია...

— ჰოდა, ძალიან კარგი! — გააწყვეტინა ლაშამ. — უფრო სწორად, ძალიან ცუდი!..

— ვერ გავიგე, მაინც, რომელი — ძალიან კარგი თუ ძალიან ცუდი? — აგდებულად ჰკითხა გვანცამ.

— რა არის, იცი?.. — ისევ შორიდან დაიწყო ლაშამ და შემდეგ, სწრაფად დაუმატა: — მოკლედ, ცოტა ხნის წინ, ირაკლის ქვედა მეზობელმა დამირეკა და მითხრა — თქვენგან წყალი ჩამომდის და სასწრაფოდ მოდითო!..

— მერე ვერ მიხვედი? — დაუფიქრებლად მიახალა გვანცამ.

— ჯერ ერთი, იტალიელი ბიზნესმენები მყავს სტუმრად და აქაურობას წამითაც ვერ დავტოვებ. თან, ბინის გასაღები ხომ შენ გაქვს!..

— მაშინ ივიკო გამოუშვი და გასაღებს გამოვატან, — სასწრაფოდ იპოვა გამოსავალი გვანცამ.

— ივიკო აეროპორტშია, კიდევ ერთ დელეგაციას ხვდება... ასე რომ, შენ მოგიწევს მისვლა.. — შეაპარა ლაშამ.

— მე-ე?!. — შეკრთა გვანცა. — კი, მაგრამ მეზობელს რა ვუთხრა — ვინ ვარ-მეთქი?

— მეზობელს ვინ ჰკითხავს, ვინ ხარ?! თუ აგიყვირდა, უთხარი — ლაშას თანაშემწე ვარ და მხოლოდ ონკანის დაკეტვა მევალება, დანარჩენი კი ლაშასთან გაარკვიეთქო, კარგი?..

— კარგი! — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა გვანცა. — რა გაეწყობა? მივალ და შევაჭმევინებ იმ მეზობელს თავს!..

ნაცნობ გაჩერებაზე ჩამოსული გვანცა ირაკლის სახლს დაფიქრებული მიუახლოვდა, სადარბაზოში შესვლამდე, ფანჯარას ახედა და გაკვირვებული შედგა: ფანჯარა ღია იყო, თხელი ფარდის ბოლო კი, ქარს გარეთ „გამოეტყუებინა“ და აფრიალებდა.

— გადამრევს ეს კაცი! რაზე ფიქრობდა, წყალი მოშვებული და ფანჯარა ღია რომ დატოვა?! ნეტავ, კარი მაინც თუ ჩაკეტა? — ლაშას დაუდევრობის გამო, წონასწორობიდან საბოლოოდ გამოვიდა გვანცა და სადარბაზოს კიბე სულმოუთქმელად აირბინა.

ირაკლის კართან მისულ გვანცას გული უკვე ყელში ჰქონდა მიბჯენილი, ამიტომ წამით შედგა, შემდეგ ერთი ღრმად ჩაისუნთქა, წინასწარ მომზადებული ერთ-ერთი გასაღები საკეტს სწრაფად მოარგო და გადაატრიალა. კარი, ყრუ ხმაურით გაიღო. „მარტო ერთი გასაღებით დაუკეტავს!“ — ლაშას დაუდევრობა კიდევ ერთხელ დააფიქსირა გვანცამ, კარი სწრაფად შეაღო და წამში სამზარეულოშიც გაჩნდა. იქიდან უმალ საბაზანოში გადაინაცვლა, მაგრამ ყველა ონკანი საგულდაგულოდ დაკეტილი დახვდა.

— არა, რა!.. ეს ლაშა ნამდვილად ვერ არის! — გულში საბოლოოდ დაასკვნა გვანცამ და ამბის გასაგებად მეზობელთან დაიპირა ჩასვლა.

როგორც კი შემოსასვლელი კარი გამოაღო, ორპირმა ქარმა დაუბერა და აქამდე გულმოდგინედ გამოკეტილი სასტუმრო ოთახის კარი ოდნავ შეაღო. ხმაურზე გვანცა უკან მიბრუნდა, კარი ცოტა კიდევ შეაღო, ოთახში ქურდულად შეიხედა და მაშინვე გაშეშდა: ის ზუსტად ისე იყო მოწყობილი, როგორც ირაკლის იქ ყოფნის დროს. ყველა ნივთი, წვრილმანებიც კი, თავ-თავის ადგილზე იდო ან კედელზე ეკიდა. ფანჯარასთან მდგარ მოლბერტსაც ისევ ის მორუხო ქსოვილი ჰქონდა ჩამოფარებული...

გვანცა ოთახში მონუსხულივით შედგა და გაოგნებულმა ირგვლივ მიმოიხედა. შემდეგ მოლბერტს მიუახლოვდა, იქვე, სკამზე პალიტრა და დაუდევრად მიმოფანტული, ჯერაც საღებავშეუმშრალი ფუნჯებიც დაინახა...

გვანცამ თვალებს მაინც არ დაუჯერა და ერთ-ერთი ფუნჯი ხელითაც მოსინჯა. ფუნჯი ნამდვილად სველი იყო და თითები თეთრად შეეღება. გვანცამ ხელი იქვე მიგდებულ ჩვარზე შეიწმინდა, როგორც წლების წინ, მოლბერტს ახლაც ქურდულად მიუახლოვდა და მასზე ჩამოფარებული ქსოვილი გვერდზე ფრთხილად გადასწია, თუმცა მერე გამეტებით ჩამოგლიჯა და ნახატს გიჟივით მიაშტერდა:

ჯერაც დაუსრულებელ ტილოზე ირაკლი, პატარა ლუკა და თავად გვანცა იყვნენ გამოსახულნი. ირაკლის მკაცრი სტილის შავი კოსტიუმი ეცვა და ნატიფი ხელის თითები მის წინ მდგარი ლუკასთვის პაწია მხრებზე ფაქიზად დაეწყო. ირაკლის გვერდით რაღაცნაირად უხერხულად მდგარ გვანცას გრძელი თეთრი კაბა ეცვა, ხელში კი ყელყელა წითელი ვარდი ეჭირა.

საბოლოოდ გაოგნებულმა გვანცამ უკან დაიხია და ნახატი ახლა შორიდან შეათვალიერა. შემდეგ ისევ ახლოს მივიდა და ის იყო, ნახატზე საოცარი სიზუსტით გადატანილ პატარა ლუკას ჯიუტ ქოჩორს ხელითაც უნდა შეხებოდა, რომ ზურგს უკან ჯერ ვიღაცის გახშირებული სუნთქვა იგრძნო, შემდეგ კი მამაკაცის დაბალი ხმაც ჩაესმა:

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო — მოლბერტს არ მიეკარო-მეთქი?!.

ნანატრი ხმის გაგონებისთანავე, გვანცა მკვეთრად შემობრუნდა და თავი პირდაპირ ირაკლის გაშლილ მკლავებში ჩარგო...

დასასრული

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა კინოში ოცზე მეტი საინტერესო როლი ითამაშა, ჩვენს მახსოვრობაში ის სამუდამოდ იმ ლამაზმანად დარჩა, რომლის შთამბეჭდავი სახეც ამავე სახელწოდების ფილმში შექმნა. ჯულია რობერტსმა „ლამაზმანში“ საოცრად გულწრფელი და უშუალო თამაშით, მილიონობით მაყურებლის გულის დაპყრობა შეძლო. შესაძლოა, ეს ყოველივე განაპირობა იმან, რომ მან ამ ფილმში განასახიერა საკუთარი თავი — კეთილი და რომანტიკული გოგონა, რომელმაც საბოლოოდ სანუკვარი ოცნება აიხდინა...

ჯულია რობერტსის 10 სიდუდუ

უბედლო ღიმილის მქონე ქველმოქმედი კინომსახიობი

1 **ბოლო წლების განმავლობაში ჯულია ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობ ქალადაა მიჩნეული.** პრესტიჟული ამერიკული ჟურნალების ყდებზე გამუდმებით იბეჭდება მისი ფოტოები. ამერიკაში ვარსკვლავი იმდენად პოპულარულია, რომ ჟურნალისტებთან საუბრისას ჯულიამ გულწრფელად აღიარა, მას ეშინია, მისი პერსონის ასე ხშირად გამოჩენით, თავი არ მოაბეზროს თანამემამულეთ. სამაგიეროდ, რობერტსს შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ ამ ცხოვრებაში მიაღწია ყველაფერს, რის მიღწევაზეც შეიძლება იოცნებოს მსახიობმა.

2 **ჯულიას ყოველთვის დღევანდელივით მშვიდი და დალაგებული ცხოვრება როდი ჰქონდა.** მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო ეპიზოდი ჰოლივუდის მსახიობ კიფერ საზერლენდთან უკანასკნელ მომენტში ჩაშლილ ქორწინებას უკავშირდება, რასაც მოკლე ხანში ყოფილი საქმროს უახლოეს მეგობართან — მსახიობ ჯეისონ პატრიკთან ერთად ირლანდიაში გაქცევა მოჰყვა. სამწუხაროდ, ასეთმა რომანტიკულმა თავგადასავალმა ჯულიას ბედნიერება ვერ მოუტანა. უსიამოვნო ცხოვრებისეული წვრილმანებიდან კი, რობერტსს ყველაზე მწარედ ის „საშინელი ვარცხნილობა“ დაამახსოვრდა, რომელიც მას ფილმის — „კაპიტანი ჰუკი“ გადაღებისას გაუკეთეს და რომელმაც იმდენად დაამახინჯა, რომ მისი ცნობა პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა.

3 **მსახიობი ამბობს, ის, რომ მას გამუდმებით ლამაზმანის მეტსახელით მოიხსენიებენ, სულაც არ აღიზიანებს.** ჟურნალისტების შეკითხვას, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მას ამ უკვე საყოველთაოდ დამკვიდრებული მეტსახელისადმი? ჯულიამ ასეთი პასუხი გასცა: „არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ამ მეტსახელით მიხსენიებდნენ“. შემდეგ კი, ვითომდა განაწყენებულმა დასძინა: „ამ ფაქტისადმი ჩემს მშვიდ დამოკიდებულებაში არაფერია უცნაური, რამეთუ ცხოვრებაში ბევრად უარესი მეტსახელებითაც მომიხსენიებდნენ. ასე რომ, შემიძლია ვთქვა — ყველაფერს შეჩვეული ვარ!“



4 **ამას წინათ, სახელგანთქმულმა ჰოლივუდელმა გულთამპყრობელმა ჯორჯ კლუნიმ განაცხადა,** რომ დიდად აფასებს ჯულიას, როგორც პიროვნებას და როგორც პროფესიონალს. მას მიაჩნია, რომ რობერტსს აქვს რაღაც მაგური მიზიდულობის ძალა, რომლის სიტყვებით გადმოცემაც შეუძლებელია. შემდეგ კი დასძინა: „თანაც ის ხომ უდავოდ ლამაზი, ნიჭიერი და ჭკვიანი ქალია“.

5 **საკუთარი ცხოვრებისეული პრინციპები ჯულიამ მამამისის რჩევის მიხედვით ჩამოაყალიბა.** მიუხედავად იმისა, რომ გოგონა სულ რაღაც ათი წლის იყო, როცა მისტერ რობერტსი გარდაიცვალა, მას მამის სიტყვები ყოველთვის ახსოვდა: „ადამიანმა ყოველთვის თავისი საყვარელი საქმე უნდა აკეთოს; და კიდევ — როცა სათქმელი არაფერი გაქვს, უმჯობესია, პირი მომუწო“. აი, უკვე მრავალი წელია, ჯულია ამ პრინციპებს კეთილსინდისიერად იცავს.

6 **ჯულია ძალზე გულკეთილია. როგორც ამბობენ, მას თავის ფართო, გულკეთილ ღიმილზე უფრო კეთილი გული აქვს.** ეს ფაქტი კი, მხოლოდ მისი თანამემამულეებისთვის როდია ცნობილი. საქმე ის გახლავთ, რომ მსახიობს განსაკუთრებულად უყვარს ბავშვები და ამიტომ უკვე მრავალი წელია, რაც ბავშვთა სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას გაეროს ეგიდით ცდილობს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, მსახიობი გაეროს მისიის წარმომადგენლის სახით იმყოფებოდა ჰაიტიზე, სადაც სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ჰატარა აბორი-

გენების ყოფითი პირობები შეისწავლა, რათა დაედგინა, რა სახის დახმარება უნდა გაეწიათ მათთვის.

7 შეიძლება ითქვას, რომ მსახიობისთვის ქველმოქმედება ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. საქველმოქმედო კონცერტებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობაზე, ის არასოდეს ამბობს უარს. ამერიკულ საბავშვო საავადმყოფოებს მისგან არაერთგზის მიუღიათ მსხვილი თანხის ჩეკის სახით, გულუხვი საჩუქარი. ამას წინათ კი, ინვალიდ ბავშვთა დამხმარე საზოგადოებას რობერტსმა საკუთარი კაბა გადასცა, რომელიც აუქციონზე 25 ათას დოლარად გაიყიდა; საზოგადოების წევრებმა შემოსული თანხით პატარა პაციენტებს წამლები შეუძინეს.

8 როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს, ჯულიამ ოჯახური ბედნიერებაც მოიპოვა. ამბობენ, მსახიობი და მისი ამჟამინდელი მეუღლე, კინოოპერატორი დენი მოდერი, ერთმანეთისთვის სულს არ იშურებენო. ასე რომ არ იყოს, აბა, რითი შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ისინი ყოველთვის ხელიხელჩაკიდებულნი დადიან და გამუდმებით ეალერსებიან ერთმანეთს?!

9 მსახიობი ამბობს, რომ ძალიან უყვარს თავის ძაღლთან ერთად სეირნობა. ამას ის დიდი სიამოვნებით აკეთებს, რამეთუ თავის ოთხფეხა მეგობართან მას საკმაოდ თბილი ურთიერთობა აქვს. შესაძლოა, ლაბრადორი ლუი ჯულიას იმიტომ ეძვირფასება, რომ ის მისი საყვარელი მეუღლის საჩუქარია. სხვათა შორის, რობერტსს მანამდე ძაღლი არასოდეს ჰყოლია. უკანასკნელ ხანს გავრცელდა ხმა, რომ მოსიყვარულე მეუღლეები სულ მალე მშობლები გახდებიან; როგორც ამბობენ, ჯულია ორსულად არის და ტყუპს ელის.

10 გასული წელს, ჯულიამ ნიუ-მექსიკოს შტატში ვეებერთელა რანჩო შეიძინა. ამჟამად მსახიობს რანჩოზე ცხენების მთელი რემა ჰყავს და როგორც ამბობენ, ცხენოსნობის მოყვარული რობერტსი შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ არ ჩავიდეს იქ და არ მიესიყვარულოს თავის საყვარელ ულაყებს. როცა რანჩოზე ერთ-ერთი ვიზიტისას ადგილობრივი სკოლის დირექტორმა მას მცირეოდენი მატერიალური მხარდაჭერა სთხოვა, ჯულიამ სასწავლო დაწესებულების სახელზე მას ორმოცდაათიათასდოლარიანი ჩეკი გამოუწერა. ისიც ხომ ფაქტია – ცოტა ვინმემ თუ იცის მასზე უკეთესად, რომ სასწაულები მხოლოდ ზღაპრებში არ ხდება. ■



პირს ბროსნანი ვეშაპემს იცავს

„კინობონდიანის“ ერთ-ერთმა ვარსკვლავმა პირს ბროსნანმა ამ დღეებში საზოგადოებას წარუდგინა ორ მილიონ დოლარამდე ღირებულების უნიკალური ხომალდი, რომელსაც საფრთხეში მყოფი ვეშაპების გამოსაკვლევად გამოიყენებენ. ბროსნანმა და მისმა მეუღლემ კილი შაი-ბროსნანმა გემს „ვეშაპის სიმღერა“ უწოდეს. აგენტი 007 ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ფონდის (**IFAW**) საპატიო წევრია და უკვე რამდენიმე წელია, ვეშაპების დაცვას მისდევს, ხშირად მართავს საქველმოქმედო აქციებს, ამ მიზნით თანხების შესაგროვებლად. კინოვარსკვლავმა სწორედ აღნიშნული აქციების წყალობით



მოახერხა 21-მეტრიანი ხომალდის შეძენა. **IFAW**-ის პრეზიდენტის ფრედ ორეგანის თქმით, ჰოლივუდის მსახიობის მხარდაჭერა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ორგანიზაციის საქმიანობისთვის. „ვეშაპის სიმღერა“ მათი ფლაგმანი გახდება და იმის ნიმუშად იქცევა, თუ რარიგ აქტიურად იცავენ ზღვის ფაუნას მთელ მსოფლიოში. ახალი გემი ძველ ხომალდს ჩაენაცვლება, რომელმაც 17 წლის განმავლობაში, დედამიწის გარშემო 250 ათას მილზე მეტი გადაცურა, ვეშაპებისა და ზღვის სხვა ბინადართა გამოსაკვლევად, რა თქმა უნდა, მათი დაცვისა და გადარჩენის მიზნით. ■

კაილი მინოუგი ავსტრალიელ „თეთრის ტომარას“ უჩივის

ავსტრალიელი მომღერალი კაილი მინოუგი მწვანე კონტინენტის უმდიდრეს ადამიანს სასამართლოში უჩივის. როგორც კაილი ირწმუნება, ერთ-ერთ ჟურნალში, რომელიც კერი პეკერის მედიაიმპერიაში (Australian Consolidated Press Publishing) ერთიანდება, დაიბეჭდა შიშველი კაილის ფოტო, რომელიც სინამდვილეში, ფოტომონტაჟი იყო: კაილის თავი უბრალოდ დაასვეს სხვის სხეულს. საჩივრის შეტანის შესახებ კაილის ადვოკატმა მაიკლ ბერეტონმა განაცხადა. იურისტის თქმით, ჟურნალის გამომცემლებმა ასევე უკანონოდ გამოიყენეს მომღერლის ფოტო მისი ბიოგრაფიული წიგნიდან – La La La, რაც საავტორო უფლებების დარღვევაა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში კაილიმ პეკერს უკვე მეორედ უჩივლა. აღნიშნული საქმის განხილვა აგვისტოში დაიწყება. ■

კორტნი ლავი ადამიანებზე ნადირობს

სკანდალურად ცნობილ ამერიკელ მომღერალს, კურტ კობეინის ქვრივს კორტნი ლავს კვლავ პრობლემები აქვს. ამჯერად მას ცივი იარაღით განხორციელებულ თავდასხმაში დასდეს ბრალი. პრესიდან უკვე ცნობილი იყო, რომ ჯერ კიდევ 25 აპრილს ლოს-ანჯელესში ერთ-ერთ წვეულებაზე კარგად გამომთვრალი კორტნი უცნობ ქალს დაესხა თავს. სახელის მიუხედავად, მის წინააღმდეგ მაშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამის პარალელურად მიმდინარეობს მეორე საქმის სასამართლო მოსმენა, რომელიც მომღერლის მიერ ნარკოტიკების მოხმარებისა და შენახვის საკითხს განიხილავს. მოკლედ, კობეინის ქვრივი დროს ფუჭად არ კარგავს და სკანდალს სკანდალზე აწყობს. ■

ორლანდო ბლუმი: „მორჩა! ცოლს ვირთავ!“

ახალამობრწყინებული ვარსკვლავი ორლანდო ბლუმი უახლოეს მომავალში ცოლის მოყვანას აპირებს და სავარაუდოდ, ამ ამბით მეტისმეტად დაამწუხრებს უამრავ თაყვანისმცემელს. ორლანდო ბლუმის საცოლე, მისი დიდი ხნის მეგობარი გოგონა – კეიტ ბოსუორტია. მსახიობმა ამ სიახლის შესახებ ფილმის – „სასუფეველი“ – გადამღებ ჯგუფს აცნობა. ფილმის გადაღება სამ კვირაში დასრულდება და სწორედ ამ დროისთვის, ბლუმი და ბოსუორტი მაროკოში ჩავლენ, სადაც ცალ მუხლზე დაჩოქილი კინოვარსკვლავი თავის რჩეულს თითზე საქორწინო ბეჭედს წამოაცვამს... ეს სულაც არ არის ლამაზი სიტყვები – ორლანდო ნამდვილად ჰგავს თავის კინოგმირებს და რეალურ ცხოვრებაშიც რაინდულად იქცევა. მაროკოში დაქორწინებაც რომანტიკოსი უფლისწულის არჩევანს ჰგავს: მას ახსოვდა, თუ როგორ წამოსცდა ერთხელ კეიტს, რომ მისი ნატვრა იყო, დაქორწინების წინადადებით მისთვის რომელიმე ეგზოტიკურ ქვეყანაში მიემართათ. კეიტს ძალიან გაუმართლა – მის გვერდით ნამდვილი რაინდი აღმოჩნდა, რომელიც სავარაუდოა, დაქორწინების შემდეგაც იზრუნებს საყვარელი ცოლის ოცნებების ასრულებაზე. ■

ანჯელინა ჯოლი რუს მავშვს იშვილებს

ანჯელინა ჯოლი მეორე ბავშვის აყვანას აპირებს. 29 წლის ლამაზმანს დღეს იშვიათად ნახავთ პირველი ნაშვილები ბიჭუნას – მედოქსის გარეშე. მედოქსი უკვე 2 წლისაა და როგორც ამბობენ, მას მალე რუსი ძმიკო ეყოლება. ანჯელინა ჯოლის მეგობრის თქმით, „წლის ბოლოს, თუ განსაკუთრებული არაფერი მოხდა, ანჯელინა კიდევ ერთ ბავშვს იშვილებს. ვარსკვლავი ისეთ ბავშვს ეძებს, რომელთანაც განსაკუთრებულ, ლამის სპირიტულ კავშირს შეიგრძნობს...“ ანჯელინას მეგობრები არ აკონკრეტებენ, თუ რატომ მოინდომა მსახიობმა მაინცდამაინც რუსის აყვანა ან რატომ ფიქრობს, რომ „სპირიტული კავშირი“ სწორედ რუს ბავშვთან ექნება. ერთი რამ კი ცხადია: ჯოლის რჩეულს ძალზე გაუმართლებს. ■

ეკა მინდაძე

მშვენიერი ნინი ბადურაშვილი ფონოგრამის გარეშე სიმღერას არ უფრთხის, პირიქით — სიამოვნებს კიდეც. იგი თავს ვარსკვლავად არ თვლის, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს და ორიგინალურ საჩუქრებსაც უძღვნიან. მან რამდენიმე პირად კითხვაზეც გვიპასუხა, თუმცა საუბარი ახალი კლიპით დავიწყეთ და ახალგაზრდა მომღერლის შემოქმედებითი მისწრაფებებით დავინტერესდით.

ნინი ბადურაშვილი იმიტომ შესაბამისი არაა, მაგრამ ერთი სუსტი წერტილი აქვს...

— სიმღერაზე — „ჩუმად მინატრე“ — კლიპის გადაღება სამი დღე მიმდინარეობდა. მისი რეჟისორია ლაშა ცერიაშვილი, ოპერატორი — მამუკა ნოდია. ვმონაწილეობთ მე და მეხანძრეები. გამომდინარე იქიდან, რომ სიმღერა აგრესიულია, კლიპიც აგრესიული გადავიღეთ. მგონი, კარგი გამოვიდა, ვნახოთ, ხალხს როგორ მოეწონება...

— ბავშვობაში ვინ გინდოდა, გამოსულიყავი?

— ბავშვობიდან ძალიან მინდოდა, მომღერალი გამოვსულიყავი.

— მიუხედავად ამისა, სამსახიობოზე ჩააბარე...

— ალბათ იმიტომ, რომ მსახიობის პროფესია სიმღერასთან ახლოსაა.

— ეკა კახიანის შვილობა და იმედა კახიანის შვილიშვილობა შოუ-ბიზნესში გზის გაკაფვისას ხელს გიწყობდა თუ გიშლიდა?

— რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს ნიშნავს გამოჩენილი ოჯახის შვილობა, მაგრამ ეს მხოლოდ თავიდან: მერე, შენ თვითონ უნდა ივარგო, თორემ, მარტო სხვისი სახელით ვერაფერს მიაღწევ.

— მისაღებ გამოცდებზე თუ დაგეხმარა ბატონი იმედას სახელი?

— ბუნებრივია, ხალხს ჰგონია, მისაღებ გამოცდებზე მაღალი ქულები იმიტომ დამიწერეს, რომ იმედა კახიანის შვილიშვილი, ეკა კახიანისა და ერეკლე ბადურაშვილის შვილი ვარ. მაგრამ დამერწმუნეთ იმაში, რომ ნამდვილად მოვინდომე და ყოველგვარი დახმარების გარეშე ჩავბარე კიდეც.

— რა არის შენთვის მთავარი — სიმღერა თუ მსახიობობა?

— პირველ რიგში, ალბათ მომღერალი ვარ.

— ბაბუა როგორ შეხვდა შენს არჩევანს, სამსახიობოზე ჩაგებარებინა?

— დედას და ბებიას ძალიან უნდოდა, რომ სამსახიობოზე ჩამებარებინა. განსაკუთრებით ბებიის დიდი სურვილი იყო, რომ მისი აუხდენელი ოცნება მე განმეხორციელებინა: თურმე, ის სამსახიობო ფაკულტეტის პირველსავე კურსიდან ძალით გამოუყვანია ბაბუას, მაგრამ ჩემთვის მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, მითხრა — თუ გინდა, ჩააბარეო..

— როგორი ურთიერთობა გაქვს ბაბუასთან და რით განსხვავდებით ერთმანეთისგან ერთ ოჯახში მცხოვრები, სამი თაობის მსახიობები?

— ბაბუასთან ძალზე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თუმცა, სულ ჭკუას მარიგებს, სულ მეუბნება: ისე მოიქეცი, როგორც შენს ოჯახს შეეფერებაო. რაც შეეხება განსხვავებას — დედასა და ჩემს შორის — არა, მაგრამ ბაბუასა და ჩემს შორის უდიდესი სხვაობაა. ბაბუა ძველი ყაიდის ადამიანია და ცოტა ძველებურად აზროვნებს, ამიტომ ჩვენც გვიხდება ხოლმე ერთმანეთთან კამათი. მაგალითად, არაერთხელ უთქვამს ჩემთვის — რა გინდა, ამ „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“? იქ ხომ მხოლოდ ნარკომანები დადიანო?!. მე კი ვფიქრობ — ნარკომანები რა, სხვაგან არ დადიან?..

— გარეგნულად ძალიან ჰგავხარ დედას, საინტერესოა, ხასიათიც თუ გაქვთ ერთმანეთის მსგავსი?

— ზოდიაქოთი ორივენი თხის რქა ვართ, ამიტომაც გარეგნული მსგავსების გარდა, ხასიათითაც ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

— რა ჩვევა გაქვს სცენაზე გასვლის წინ?

— სცენაზე გასვლის წინ, ყოველთვის პირჯვარს ვიწერ. გასვლამდე ძალიან ვნერვიულობ ხოლმე, მაგრამ როგორც კი სცენაზე აღმოვჩნდები, ნერვიულობა სრულიად მეხსნება.

— ნინი, მიგაჩნია თუ არა თავი ვარსკვლავად?

— ჩემი აზრით, ვარსკვლავები არიან მაგალითად, ბრედ პიტი, მაიკლ ჯეკსონი და ასე შემდეგ. ჩვენ, მათთან შედარებით, „ნათურები“ ვართ...

— და მაინც, ვიცი, რომ ბევრი თაყვანისმცემელი გყავს და საჩუქრებითაც განებივრებენ...

— რა თქმა უნდა. თაყვანისმცემლების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდი. თითქმის ყოველ მეორე დღეს, ვარდებს მჩუქნიან. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა კი ძალზე ორიგინალური საჩუქარი მომიძღვნა — ბახტრიონზე სპეციალურად ჩემთვის ფეიერვერკი მოაწყო...

— ბავშვობის დროინდელ სიყვარულს ხომ არ გაიხსენებ?

— 5 წლის ასაკში მომწონდა ერთი ბიჭი. იმასაც მოვწონდი, მაგრამ როდესაც დამინახავდა, მაშინვე გარბოდა ხოლმე — ასე გამოხატავდა სიყვარულს.

არაერთხელ უთქვამს ჩემთვის — რა გინდა, ამ „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“? იქ ხომ მხოლოდ ნარკომანები დადიანო?!.

— **თუ გსურს, რომ შენი მომავალი მეუღლე შოუბიზნესის წარმომადგენელი იყოს?**

— არა, ნამდვილად არ მინდა, რომ მომღერალი ან მსახიობი იყოს.

— **შენმა რჩეულმა რომ დაგაყენოს არჩევანის წინაშე — ან მე, ან სცენაო! — როგორ მოიქცევი?**

— არა მგონია, ჩემმა შეყვარებულმა ასეთი არჩევანის წინაშე დამაყენოს, მით უმეტეს, რომ მე ბავშვობიდან ვმღერი და ჩემ გარდა, ოჯახში ორი მსახიობია. მაგრამ თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, წინასწარ ვერ გეტყვი, როგორ მოვიქცევი.

— **ეი. მამაკაცის გულისთვის შეიძლება, ასეთ მსხვერპლზე წახვიდე?**

— გაჩნია: თუ ძალიან მეყვარება და თუ ამის ღირსი და ძალიან მაგარი ვინმე იქნება — მაშინ კი.

— **როგორი უნდა იყოს შენი მომავალი მეუღლე?**

— პირველ რიგში, ერთგული. ის მარტო ჩემი უნდა იყოს. არ მიყვარს მუსუსი ბიჭები. მამაკაცი ყველაფერში ჩახედული უნდა იყოს, მან უნდა იცოდეს კარგიც და ცუდიც, მაგრამ არც ძველი ბიჭი მომწონს, რომელიც მთელ დღეს ქუჩაში დგომაში ატარებს... ვისურვებდი, რომ ჩემი მეუღლე ყოფილიყო ერთგული და საქმიანი ადამიანი, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა.

— **საერთოდ, იოლად გიბნევენ თავგზას?**

— არა, მე იოლად შესაბმელი არა ვარ...

— **რა არის შენი სუსტი წერტილი, რომელიც შეიძლება, მამაკაცმა გამოიყენოს?**

— ჩემი სუსტი წერტილი გარეგნობაა: თუ მამაკაცი გარეგნულად ძალიან მომეწონა, უკვე შებმული ვარ... ■



არა მგონია, ჩემმა შეყვარებულმა ასეთი არჩევანის წინაშე დამაყენოს...

პოპულარობას გამოჯიდებული მომღერლებს უნყრება

კომპოზიტორ იაკობ ბოგოსლოვის მიერ დაწერილი მუსიკა ალბათ ბევრ თანამედროვე მომღერალს მოსწონს, თუმცა, თავად ბატონი იაშა მათ მომღერლებად ვერ აღიქვამს და „პოპულარიზმის სენით“ დაავადებულებს უწოდებს. მისი თქმით, ფონოგრამის იმედზე მყოფთ, ხშირად პირლია მდგომარეობაში ყოფნა უწევთ... კომპოზიტორი პოეტური შთაგონების წყაროს — მუზის არსებობას უარყოფს და ამბობს, რომ შემოქმედისთვის შთაგონების წყაროს, ტკივილი წარმოადგენს.

ლიკა ქაჯაია

— დავიბადე 1931 წელს, ქუთაისში (ბალახვანის უბანში), თეთრ ხიდთან ახლოს და მთელი ბავშვობა რიონის პირას გავატარე. გენიოსი არ ვარ, არც ვტრაბახობ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ გამოჩენილი ხალხი პროვინციაში იბადება და ქალაქში კვდება... 4 წლის წინ გარდამეცვალა მეუღლე, ბაბულია აბულაძე, რომელმაც დამიტოვა სასიამოვნო მოგონებები, 4 ქალიშვილი და 5 შვილიშვილი.

— **ვინ აღმოაჩინა თქვენში მუსიკალური ნიჭი?**

— დედაჩემს, ნინო უშვერიძეს ძალიან უყვარდა მუსიკა და მუსიკალურ სასწავლებელში შემიყვანა. არ ვსწავლობდი და ძალით მამეცადინებდნენ. მუსიკის გაკვეთილზე რომ არ მივიდოდი, პედაგოგი შინ მაკითხავდა და მივყავდი...

— **რატომ გეზარებოდათ მეცადინეობა?**

— ალბათ იმიტომ, რომ ბიჭი ვიყავი: ბიჭებს შრომა ეზარებათ, მუსიკალურ განათლებას კი დიდი შრომის გარეშე ვერ მიიღებ. მე თამაში მერჩივნა. მაგრამ ჩემმა მუსიკალურობამ გაიმარჯვა და დღემდე მას ვემსახურები.

— **დღეს რას ნიშნავს თქვენთვის ის, რასაც ბავშვობაში იძულებით აკეთებდით?**

— ყველაფერს. კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე ამბობდა: პიანინოს რომ ვუყურებ, კუბო მგონიაო, — მაგრამ მიუხედავად ამისა, მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. ასე ვარ მეც...

— **თქვენ მიერ დაწერილმა რომელმა ნაწარმოებმა მოგიტანათ პირველი წარმატება?**

— ეს იყო ჩემი პირველი „ნაწარმოები“, რომელიც „გამისერიოზულა“ კომპოზიტორმა კოტე მელვინეთუხუცესმა — ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი გახლდათ. რაღაც დავჯღაბნე. ეს ამბავი ჩემმა თანატოლებმა ბატონ კოტეს ამცნეს. მან დამიბარა, მომისმინა და შემაქო: ჩემი მოსწავლე უნდა გახდეო. მისი მოწაფეობა კი, სახუმარო საქმე არ იყო... დავიწყე მუსიკის წერა. მერე ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის სიმფონიურ ორკესტრში ვუკრავდი. 1952 წელს კონსერვატორიაში ჩავბარე...

— **„საქართველოს რადიოში“ ხმის რეჟისორად მუშაობდით. როგორ აღმოჩნდით რადიოში?**

— ეს კომპოზიტორ ალექსანდრე მაჭავარიანის დამსახურებაა. მე-4 კურსზე ვსწავლობდი, როცა მან სამსახურში ჩემი მოწყობის თაობაზე, კულტურის სამინისტროში დასვა საკითხი და მიმიღეს კიდეც, რადგან იმ პერიოდში, რადიოს სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც იქნებოდა პროფესიონალი ჩამწერი, კარგად უნდა ყოფილიყო გარკვეული მუსიკაში, პარტიტურაში და პრაქტიკულად ეხელმძღვანელა ჩაწერის პროცესისთვის. რატომღაც მე ამირჩიეს...

— **რამდენი წელი მუშაობდით რადიოში?**

— დაახლოებით 16. მერე სამუშაოდ

ტელევიზიაში გადამიყვანეს, სატელევიზიო ფილმების სტუდიის მუსიკალურ ხელმძღვანელად. იქ გავიცანი რეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელმაც შემდეგ მიმიწვია კინოსტუდია „ქართულ ფილმში", სადაც დღემდე ვმუშაობ.

— თქვენ გაფორმებული გაქვთ 70-მდე მხატვრული და დოკუმენტური ფილმი, ასევე — სპექტაკლები, როგორც დედაქალაქში, ისე პერიფერიულ თეატრებშიც. ალბათ, ბევრ რეჟისორთან მუშაობა ძნელი იქნებოდა, არა?

— რა თქმა უნდა. მუშაობა ადვილია იმ რეჟისორებთან, რომელთაც ესმით მუსიკის ფუნქცია კინოში, ასეთი რეჟისორი კი, ცოტაა ქართულ სინამდვილეში... განსაკუთრებით კარგად დამამახსოვრდა რეჟისორ გენო ხოჯავასთან მუშაობა. ის ინდივიდუალური მიდგომით, ორიგინალობით გამოირჩეოდა. ქართულ კინოში ხშირად იგრძნობა თეატრის გავლენა. გენო ხოჯავას ფილმებში კი, ასეთ გავლენას ვერ ნახავთ. მას კარგად ესმოდა მუსიკის როლი კინოში. მახსოვს, მხატვრულ ფილმს — „მიზანს" იღებდა და მუსიკის დაწერა მთხოვა. როცა მოისმინა სიმღერა — „ვერხვის ფოთოლი", რომელიც სპეციალურად ამ ფილმისთვის დავწერე, გაოგნდა. ამის შემდეგ დამეგობრდით კიდეც... კინემატოგრაფში მუშაობის წლებს რომ ვიხსენებ, ყველაზე მეტად ის დრო მენატრება, როცა ამ საოცარ კაცთან ერთად ვმუშაობდი...

— რას ნიშნავს ხელოვანი ადამიანისათვის მუზა?

— მუზა არის მოგონილი — ის არ არსებობს. მუსიკალური ნაწარმოების შექმნის საფუძველს შენი ტკივილი წარმოადგენს. ვაჟას აქვს ნათქვამი — უწვალებლად არც ერთი დღე არ მაცოცხლაო!.. რაიმე თუ არ გაწუხებს და მთელი ცხოვრება ტაშ-ფანდური თუ გაქვს გამართული, ვერაფერს დაწერ. ასეთ ადამიანებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ. წერდნენ ისინი, ვისაც აწუხებდა იდეები, ჰქონდათ პრობლემები და ამასთანავე, იყვნენ პროფესიონალები.

— არის თუ არა თქვენი რომელიმე მელოდიის მთავარი თემა სიყვარული? მიგიძღვნიათ თუ არა მუსიკა ვინმესთვის?

— სიყვარული — სხვა თემაა, მუსიკის მიძღვნა კი — სხვა. სიმღერას მომღერლებისთვის ვწერ. ვუძღვნი ქართველ ხალხს, ერს; გოგონებსაც, მაგრამ ამას არ „ვახმოვანებ"...

— ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა თქვენი მუსიკა ვინმემ მიისაკუთრა?

— 20 წლის წინ, რეზო ესაძის ფილმისათვის — „წკიპურტები" — დავწერე მეგრული სიმღერა — „ცირა". ამ სიმღერას, ხალხურს მიაკუთვნებენ. რომელიღაც რეჟისორმა გადაიღო ფილმი ლაზებზე, სადაც ასახულია, რომ ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ, ლაზების დედოფალს, სამეფო კარზე სწორედ ამ სიმღერას უმღერდნენო... ჩემთვის ეს დიდი ბედნიერებაა, რადგან აღმოჩნდა: თურმე, ისე ახლოს ვდგავარ ხალხთან, რომ ჩემი ნაწარმოები ხალხური ჰგონიათ..

— თანამედროვე ქართველ მომღერლებზე ან ჯგუფებზე რას იტყვით?

— სად არიან მომღერლები? მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არის ერის „ავარდნა", მოდა, რომელიც დროებითია. ეს მისი სული არ არის. კაცს უნდა, რომ იმღეროს და პოპულარული გახდეს. პოპულარობა კი ავადმყოფობად იქცა... მაგრამ ერთხელაც მოვლენ ჰამლეტ გონაშვილის, ჯანსუღ კახიძის, ნანი ბრეგვაძის, დავით გამრეკელის, ბუბა კიკაბიძის, „ცისფერი ტრიოს" წარმომადგენლების მსგავსი მომღერლები და ისინი დაბრუნებენ ქართულ სულს, რომელიც დღესდღეობით მიმალული და გაბითურებულია...

— თუ დაგიწერიათ მუსიკალური ნაწარმოები შეკვეთით, გარკვეული თანხის საფასურად?

— არა, მე თანხისათვის არაფერს დავწერ. რა ძალა მადგას, მათთვის ვწერო მუსიკა, ვინც არ მომწონს?!. ერთხელ სუფრას ვუსხედით. ლევან ჯაფარიძე (მომღერალი) მოვიდა და როცა მას ჩემზე მიუთითეს — ეს კომპოზიტორი იაკობ ბობოხიძეაო, — ჩემი სიმღერა — „ფიფქები" მიმღერა. ლევანი იმდენად მომეწონა, რომ სიმღერა დავუწერე, „მიზანში" მან შეასრულა „ვერხვის ფოთოლი" და ამის შემდეგ პოპულარული გახდა. ეს არც ჩაწყობის და არც თანხის ან რაიმე მაგდაგვარის გამო არ მომხდარა...

— თუ მაინც იმღერეს თქვენი სიმღერა მათ, ვინც არ მოგწონთ, მაშინ რას იზამთ?

— ავუკრძალავ, სასამართლოში ვუჩივლებ. თუ მომღერლის დონე და საშემსრულებლო მანერა ჩემთვის მიუღებელია, რატომ ვამღერებ?!.



არა, მე თანხისათვის არაფერს დავწერ. რა ძალა მადგას, მათთვის ვწერო მუსიკა, ვინც არ მომწონს?!.

— ყბადაღებულ ფონოგრამაზე რა აზრის ხართ?

— ფონოგრამამ გაანადგურა ქართული მუსიკა, ჩვენი საშემსრულებლო კულტურა. მომღერალმა უნდა იმღეროს და არა ჩანაწერმა! თუ ეს ჩანაწერი გაჩერდა, პირი ღია დარჩებათ: ფილიპ კირკოროვს შეემთხვა ასეთი რამ — ფონოგრამა გაუჩერეს. დაბნეულმა, სიმღერა კი გააგრძელა, მაგრამ ვაი, ასეთ გაგრძელებას!..

— სიმღერების გარემიქსებაზე რას გვეტყვით?

— გერმანელმა მუსიკოსმა ჯეიმს ლასტმა მოცარტის სიმფონია ახალი, თავისებური ინტერპრეტაციით შემოგვთავაზა, მაგრამ იმხელა სიყვარული ჩააქსოვა, რომ ეს არანჟირება ტოლს არ უდებდა საკუთრივ სიმფონიურ შესრულებას... გარემიქსება კარგია, თუ ნიჭიერი ადამიანი აკეთებს ამას, მაგრამ უნიჭომ თუ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, მაშინ საშინელება ხდება. დღესდღეობით კი სცენა უნიჭოებითაა სავსე... მიხარია, როცა ქუჩაში ვიღაც ჩემს „ვერხვებს" ღიღინებს — შეიძლება ცუდად, მაგრამ მაინც... ის თავისთვის მღერის. არ დგას სცენაზე და არ უჭყლეტს ხალხს ტვინს...

— დაბოლოს: დღეს რომ იწყებდეთ მუსიკალურ ასპარეზზე გამოსვლას, მოდას არ აჰყვებოდით? პოპულარობისთვის არ გაირჯებოდით?

— ავყვებოდი კი არა — ამათი შემხედვარე, საერთოდ დავანებებდი მუსიკას თავს...

■

მიხარია, როცა ქუჩაში ვიღაც ჩემს „ვერხვებს" ღიღინებს — შეიძლება ცუდად, მაგრამ მაინც...

„თქვენი ჟურნალით ყველამ შეიტყო, რომ 72 წლის ქალი ისევ ციხეში ვიჯექი“

პატიმარ ქალებს შორის ყველაზე ასაკოვანი ლამარა ხუტაშვილი სულ რამდენიმე კვირის წინ გაათავისუფლეს ციხიდან. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა წერილი — „დედით დაობლებული ბავშვები პატიმარი ბებიის მოლოდინში არიან“ („გზა“, №22), რედაქციაში ბევრმა ადამიანმა დაგვირეკა. ისინი შეშფოთებული იყვნენ 3 პატარა ბავშვის ბედით, რომლებსაც დედა მოუკვდათ, ბებია კი ციხეში იხდიდა სასჯელს.

მირიანის, ლიკასა და რეზიკოს დედა 8 მარტს გარდაიცვალა. ბავშვები მამის ამარა და პატიმარი ბებიის იმედად დარჩნენ... ახლა მათ ბებიის ალერსი უქარვებთ დედის მონატრებით გამოწვეულ სევდას.

გვიან საღამოს, ლამარა ხუტაშვილს შინ ვესტუმრე. ის სამზარეულოში საქმიანობდა. მისი სიძე და ბავშვები ეზოში ისხდნენ.

ლელა ჭანკოტაძე

— რა მოხდა, როგორ დაგაპატიმრეს?

— ჩემი საქმეები წესიერად რომ გამოიძიონ, ყველას დახსნიან სამსახურებიდან. უდანაშაულო, ალალ-მართალი ადამიანი, ციხეში მოვხვდი... ცხინვალში ოქროულობა გავყიდე. ყალბი დოლარები შემომატყუეს. გზაში დამაკავეს. სასამართლოზე თავი ვერაფრით გავიმართლე. გამომძიებელი მემუქრებოდა: თუ დანაშაულს არ აღიარებ, შენს სიძეს და შვილს დავაპატიმრებთ, შვილიშვილებს გაგიმწარებთო... ამიტომაც ვუთხარი გამომძიებელს: რაც გინდათ, დამაბრალეთ, ოღონდ, ჩემს ოჯახს არ შეეხოთ-მეთქი. 5 წელი მომისაჯეს. წელიწადი და შვიდი თვე გავატარე ციხეში. მერე შეწყალებით გამომიშვეს.

ლამარა ხუტაშვილი
ირმასთან ერთად (1982 წ.)

— მეორედ როგორ დაგაკავეს?

— სახლში მომადგნენ. გამჩხრიკეს, ვერაფერი აღმომიჩინეს, მაგრამ იყო პიროვნება, რომელიც ამტკიცებდა — ლამარამ მომცა ყალბი დოლარებიო. შემეძლო, მისი ნათქვამი არ დამედასტურებინა, მაგრამ ერთად გაზრდილები ვიყავით, ერთ უბანში ვცხოვრობდით და ვერ გავიმეტე. თუმცა მან იოლად გამიმეტა.

— მართლა მიეცით ყალბი დოლარები?

— დიახ. ციხეში რომ ვიჯექი, ვფიქრობდი — რომ გავთავისუფლდებოდი, დამალულ ყალბ დოლარებს დავწვავდი, მაგრამ ოჯახი იმდენად უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, ვიფიქრე — გავრისკავ და შვილებს დავეხმარებიმეთქი. ყალბი დოლარები ჩემს ნაცნობს ამიტომაც მივეცი. ის კი დააკვეს. აი, ბედის ირონია! სიდუხჭირემ ასეთი ნაბიჯი გადამადგმევინა. შეწყალების დროს, 3 წელი და ხუთი თვე ხომ მაპატიეს?.. ჰოდა, ახალ სასჯელს დაუმატეს 3 წელი და ხუთი თვე. სულ შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს. ჩემი შვილების წერილები რომ წაგაკითხოთ, ვერ დაიჯერებთ, რამხელა ტკივილს გავუძელით თითოეულმა... მეორე ქალიშვილი მწერდა: დედა, ჩვენ ვინღა ვართ?! არარაობად ვიქეცით შენი დაპატიმრების გამოო!.. ციხეში ერთადერთი ფუნქცია მქონდა — ლოდინი. ყოველი დღე შვილების მოლოდინში გადიოდა. ერთხელაც არ მიფიქრია, რომ ირმას რამე შეემთხვეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ცუდად იყო. როცა მითხრა: ნახე, კბილები სულ დამეფშვნაო, — გულში ჩავიკარი, ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი: ნუ ნერვიულობ, კბილებს, ციხიდან რომ გამოვალ, ორივენი ერთად გავიკეთებთ-მეთქი... იცოდა, ამ დღეს ვერ მოესწრებოდა, მაინც დამეთანხმა. ცუდად რომ იყო, ყველას სთხოვდა: დედაჩემს არ გააგებინოთო. კვდებოდა და მაინც მე მიფრთხილდებოდა, ჩემზე ზრუნავდა. ავადმყოფს სარეცხის გამრეცხავიც არავინ ჰყავდა, მე კი ციხეში უსაქმოდ ვიჯექი. მომაკვდავ შვილს წყალიც ვერ მივაწოდე...

— როდის გაიგეთ, ირმა ავად რომ იყო?

— ციხეში ერთი წლისა და შვიდი თვის განმავლობაში, არც ერთი შვილი არ მოსულა. ბოლოს ირმა მოვიდა. მითხრა: დე, იმიტომ ვერ მოვდიოდი, რომ ოპერაცია გავიკეთეო, — და ნაოპერაციებიც მაჩვენა. მთელ ზურგზე ჰქონდა იარა. თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მეღრიალა. გაცინება შევძელი და ვუთხარი: არა უშავს, მალე მოგირჩება-მეთქი. ეჰ, დედაო, — მითხრა, — მესამე სტადია მაქვს, ონკოლოგიური პაციენტი ვარო... შიში და მღელვარება მაინც არ შევამჩნევინე. — ჩემი ავადმყოფობის საბუთებს მოგიტან, იქნებ, გამოგადგეს და ვადამდე ადრე გაგათავისუფლონო, — დაამატა. ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდა, რომ ტირილით მომეოხებინა გული. გამოვაცილე... რომ წარმოვიდგინე, ვინ უვლიდა მის შვილებს, თვითონ რომ საავადმყოფოში იწვა, ან ნაოპერაციებ გოგოზე ვინ ზრუნავდა, კინაღამ გადავირიე... ოთხ ეგზემპლარად გავამზადე განცხადება, ირმას ავადმყოფობის საბუთები დავურთე თან და ოთხ ადგილას გავაგზავნე. სანამ თქვენს ჟურნალში ჩემ შესახებ არ დაიწერა, ალბათ, საბუთები არც უნახავთ. არადა, ირმას გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მაინც რომ გამოვსულიყავი ციხიდან, ახლა ასე აღარ დავიტანჯებოდი. ერთი კვირა მაინც რომ მომევლო ირმასთვის, ბოლოს მაინც რომ დაელია წყალი ჩემი ხელიდან, ისიც დამშვიდებული წავიდოდა იმ ქვეყნად და მეც ტკივილი შემიმსუბუქებოდა.

— ირმა ბოლოს როდის ნახეთ?

— ბოლოს აგვისტოში ვნახე. შვილებიც მოიყვანა. ბავშვებს ვეფერებოდი. ირმა გვერდით მეჯდა. — მეც მომხედე, მეც მომეფერეო, — მითხრა. წყრომით ვუპასუხე: აქამდე სად ხარ? შენი არაფერი მინდა — მხოლოდ მოდი და დამენახვე-

ირმა შვილებთან ერთად

მეთქი... ადგა და ჩემ წინ ჩაცუცქდა. ასე, ჩაცუცქული მომეხვია. სწორედ ასეთი ჩამრჩა მეხსიერებაში... ვთხოვე: აღარ დაიკარგო-მეთქი. — ბავშვები სკოლაში რომ წავლენ, მერე მოვალო, — შემპირდა. აღარ მოვიდა. ყოველ შაბათ-კვირას ველოდი. არა და არ მოვიდა... ისე მოკვდა, რომ ვეღარ ვნახე...

— ირმას გარდაცვალების ამბავი ვინ შეგატყობინათ?

— ციხეში ყველამ იცოდა, შვილი რომ მომიკვდა, მე კი — არა. სახლში დარეკვა მინდოდა, მაგრამ ტელეფონის ტალონი არავინ მომცა, არა გვაქვსო. თანაც, არ მინდოდა, ოჯახში ეფიქრათ, რომ რამე მჭირდებოდა. ირმას სამი ბავშვი ჰყავდა, როგორ ვეტყოდი — ციხეში ხშირად იარე-მეთქი? — თუმცა, ზოგჯერ მაინც ვბრაზდებოდი — რატომ არ მაკითხავენ-მეთქი?!.. დიდი ხნის მანძილზე არ დამირეკავს ირმასთან, ამიტომაც ვერ გავიგე, ცუდად რომ იყო... დაკრძალვის დღეს, პატიმრები ჩუმ-ჩუმად ტიროდნენ. დილით, უთენია დაიძახა ზედამხედველმა: ხუტაშვილო, შენთან მოვიდნენო. ძალიან გამიკვირდა — ასე ადრე ვინ მომაკითხა-მეთქი?! პაემნების ოთახში ჩემი ვაჟი რომ დავინახე, გულმა რეჩხი მიყო, მივხვდი, რაღაც ცუდი მოხდა. ირმა ავადააო, — მითხრა. ჩავეძიე. თვალზე ცრემლი რომ მოადგა, უგონოდ ჩავიკეცე. ძლივს მომასულიერეს... მერე მითხრეს — ტანსაცმელი გამოიცვალეო. შვილი მომიკვდა, გაპრანჭვის თავი მქონდა?!. გამოვყევი ბადრაგს და წამოვედი, მკვდარი შვილის სანახავად.

— ციხეში იმ დღესვე დაგაბრუნეს?

— როგორც კი დავკრძალეთ, მაშინვე უკან წამიყვანეს. დამიჯერეთ — ასევე პატიმარი ქალი ტიროდა. იქ ხომ თანადგომისა და მხარდაჭერის ფასი ყველაზე უკეთ იციან. თანაც, ყველას თავისი წილი სატკივარი აქვს. ზოგმა არც კი იცის, ციხიდან რომ გათავისუფლდება, სად წავა, რადგან მისმა ქმარმა უკვე სხვა შეირთო; ზოგს ოჯახმა ზურგი აქცია. ისეთი ქალებიც არიან, შვილი რომ დიდი ხნის მკვდარი ჰყავთ, ამის შესახებ კი არაფერი იციან... ერთდროულად 6 ქალი გაგვათავისუფლეს. ამის გამო სიხარული არც მიგრძნია. საკუთარი კუთხე არა მაქვს. ნათესავი მეუბნებოდა: შენმა სიძემ ცოლი რომ შეირთოს, მერე რა გეშველებაო? — რა უნდა მეშველოს? გარეთ ხომ არ გამაგდებენ-მეთქი, — ვუპასუხე. თუმცა, ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია.

— საკუთარი ბინა რატომ არ გაქვთ?

— ბინა გავყიდე. მინდოდა, შვილებისთვის წილი მიმეცა და ყველას ცალ-ცალკე გვეცხოვრა. ეს 1995 წელს მოხდა, მაგრამ დაგვაყაჩაღეს. ფული წაიღეს. ღია ცის ქვეშ დაგვტოვეს. მაშინ აირია ჩემი ცხოვრება, თორემ, რა მინდოდა ცხინვალში?! ან ოქროულობას რატომ გავყიდდი?! ჩვენ მატერიალურად არასდროს გვიჭირდა... ახლა ჩემს ვაჟსაც პრობლემები აქვს... ჩემი გაჭირვების გამო, ყველა შვილი გამიუბედურდა. სამსახური და ხელფასი რომ მქონოდა, ციხეში არ მოვხვდებოდი.

— ახლა რას აპირებთ?

— რა უნდა ვქნა? მე ხომ პატარა გოგო აღარ ვარ, ცხოვრება თავიდან რომ დავიწყო?! სამსახურს სად ვიშოვი, 72 წლის ქალი, თანაც — ნაციხარი ვის რაში სჭირდება?! არადა, ოჯახში საშინელი სიდუხჭირეა. ბავშვების დახმარებას ვიღებთ — თითოეულზე ხუთ ლარს. მაგრამ ოთხი თვეა, ჩემს სიძეს ეს დახმარებაც არ მიუღია. გუშინ ირმას ნივთებში წერილები ვიპოვე. ერთ-ერთ წერილში მწერს: დედა, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავ, მე უკვე ცოცხალი აღარ ვიქნები. თუ შეგიძლია, სასფლაოზე ამოდი და ხმით დამიტირეო. სხვა რაღა დამრჩენია? უნდა ვიტირო და ვიტირო...

— როგორ მოხდა თქვენი გათავისუფლება?

— 3 წელი დამრჩა მოსახდელი. პრეზიდენტის ბრძანებით, ჩემი ასაკის ადამიანი ციხეში აღარ უნდა იყოს, თქვენი ჟურნალით მთელმა საქართველომ შეიტყო, რომ 72 წლის ქალი ისევ ციხეში იჯდა. ცხადია, გამათავისუფლებდნენ... მაგრამ იქნებ, ისევ ციხე მერჩია?! ამ სახლში ტკივილი და უბედურება გამიასკეცდა. ყველა ნივთის შეხებისას თითქოს ირმას ხელის სითბოს ვგრძნობ... მის გადიდებულ სურათს ვესაუბრები ხოლმე — შვილთან ლაპარაკს ხომ მონატრებული ვარ... სურათიდან ირმა ხან მიღიმის, ხან სევდიანი სახით მიყურებს. ნამდვილად ასეა, მართლა — არ მეჩვენება. ალბათ, გამაგიჟებს ეს სურათი. ბავშვების ცოდვითაც მეწვის გული. თითქმის ერთი წელი არ მყავდნენ ნანახი, მაგრამ მაინც ისე შემხვდნენ, როგორც ერთადერთ საყვარელ ადამიანს. ამისათვის ირმამ შეამზადა. ამიტომ იოლად გამიშინაურდნენ. ძალიან უჭირთ უდედობა. ამას წინათ, ლიკამ ტირილით გაიღვიძა: დედა ვნახე, მაგრამ ხმა არ გამცაო... მერე რეზიკო ატირდა: დედა მეც ვნახე, არც მე დამელაპარაკაო... ძლივს დავაწყნარე ბავშვები, მერე ჩემს ბიჭს დავურეკე: მოდი, ბავშვები სასაფლაოზე წამაყვანინე-მეთქი... ირბინეს სასაფლაოზე. ბოლოს ლიკამ თქვა: ვიცი, დედა ცაშია და იქიდან გვიყურებს, ამიტომ აღარ ვიტირებო... ■

ლამარა ხუტაშვილი შვილიშვილებთან ერთად

თვითმკვლელი ჩიტის ლუმელი ქმნა

დიანა გონგლაძე

— რატომ ტირი, პატარავ?

— მეშინია, დედიკო... იქ, იმისი მეშინია...

ბავშვმა ოთახში შემიყვანა. ბელურა შემოფრენილიყო. დამფრთხალი აწყდებოდა ყველა კუთხე-კუნჭულს. მერე კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე შემოსკუპდა და დამშვიდდა.

ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. კარი შიგნიდან ჩავკეტე და იქვე ულონოდ ჩავიკეცე. საშინელი ნოსტალგია მომეძალა. ღმერთო ჩემო, ეს სურათი... კედლიდან დიდრონი შავი თვალები სიყვარულით მიმზერდნენ, ზემოთ კი, ჩარჩოზე ბელურა ივჯდა და სულგანაბული იყურებოდა. ქარს ფანჯრები შემოელო და ოთახში დატრიალებულ ნიავს მთლად გაეყინა დანამული სხეული.

— მეც მეშინია, შვილო. იმის მერე, სულ მეშინია...

ია გონგლაძე

...მაშინ 6 წლის ვიყავი. ოჯახში ახალი ადამიანი გაჩნდა. სულ ერთი ციცქნას, ბროწეულისყვავილისფერი დასთამაშებდა სახეზე. დაიკოს დიანა დავარქვი. ალბათ სხვა სახელი არც მოუხდებოდა. როგორც ქოთანში ჩარგულ ოთახის ყვავილზე, ისე ვზრუნავდი მასზე. ხშირად დავმტვრეულვარ სკოლიდან დაბრუნებისას, რომ დიკუნასთან მალე მივსულიყავი. ისიც, ზუსტად პირველის ნახევარზე, უკვე კართან იყო ატუზული და ზარის ხმას გაფაციცებით ელოდა. მერე ჩამეკონებოდა, მკოცნიდა, მათვალიერებდა, რაღაცებს მებუტბუტებოდა... მერე ფეხიც აიდგა. ახალდაფრთიანებული ბეღურასავით ფრთხიალებდა. როცა დედა ხელს გაუშვებდა, ის შურდულივით ჩემკენ გამოქანდებოდა, მე კი უკან-უკან ვიხევდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი მანძილი გამოევლო...

მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად განსაჯა: დიანას გზა თურმე, სულ მალე უნდა შეწყვეტილიყო. დიკუნამ მოიწყინა. ავად საერთოდ არ ყოფილა, არც სიცხე ჰქონია, ვერც პროფესორებმა გაუგეს რამე. ერთადერთი მიზეზი ჩვენი აფორიაქებისა ის იყო, რომ ბავშვმა უარი თქვა ჭამაზე. ხუთი დღის შემდეგ კი, ყველაფერი დამთავრდა...

სამძიმრის თქმას ვერავინ ახერხებდა. მე ოთახის კუთხეში ვიყავი საცოდავად ატუზული და ჩუმად ვზლუქუნებდი. მერე ვიღაც შემამჩნევდა და გამაძევებდა — წადი, ბავშვებთან ითამაშეო. ვერც ღამე ვიძინებდი, რაღაც საშინელი, ნამდვილი კოშმარები მესიზმრებოდა. ჩემს ბავშვურ გონებას ვერ გაეცნობიერებინა ღვთის მიერ მოვლენილი ამ სასჯელის არსი...

მეორე დღესვე, ჩვენს ბინაში ბელურა შემოფრინდა. ის ხალხის ნაკადს ამოჰყვა მესამე სართულზე და ადამიანივით კარიდან გვეწვია. ყოველგვარი ჟივჟივის გარეშე შემოფრთხიალდა ოთახში, სადაც ჩემი პაწაწინა დაიკო, ხატიდან გადმოსული ანგელოზივით ესვენა მისთვის საგანგებოდ გაკეთებულ პატარა სასახლეში და თავთან დაუჯდა. ის არავის უფრთხოდა, ისე, ადამიანივით ადევნებდა თვალს ყველაფერს... შემდეგ ფარდის საკიდზე შემოსკუპდა. დაიწყებდა დედა ქვითინს და ჩიტიც მაშინვე ჩამოფრინდებოდა — თითქოს ჯვარს სწერდა დიკუნას — და თან საშინლად წიოდა. ჩიტი არ ანებებდა დედას ტირილს და ამგვარად, სასწაულებრივად ახერხებდა მის გამოფხიზლებას, საშინელი სტრესიდან ვამოყვანას...

ასე გრძელდებოდა მთელი ხუთი დღის განმავლობაში, ფანჯრებიც გავაღეთ, მაგრამ ბეღურას გაფრენა არც უცდია. ღამით კი, როცა ოთახი ცარიელდებოდა, ჩიტი სასახლის თავთან დადგმულ ყვავილების თაიგულში იბუდებდა...

ამას ათასვარი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ზოგი რას გაიძახოდა და ზოგი — რას. ბევრი რეინკარნაციაზეც ალაპარაკდა. ფაქტი კი ერთი იყო: ბელურამ დედაჩემი სიკვდილისაგან იხსნა...

იმ საშინელ უკანასკნელ დღეს, ეზოში შევჩერდით და ყველამ დაინახა, როგორ ივჯდა ბელურა სასახლეზე, თავთან... სასაფლაოზე დიდხანს აღარ გაგვაჩერეს... მოგვიანებით კი, ახლობლები ჩვენთან დაბრუნდნენ, მასთან მივიდნენ და აჩქარებით რაღაცას უამბობდნენ. მერე გავიგე — თურმე, ის ჩიტი უცებ, ფრთებდაკეცილი, შურდულივით დაშვებულა ზემოდან და დიკუნას საფლავში ჩაჰყოლია. მეზობელი ამბობდა — მთელი ამ ხნის მანძილზე, ბეღურას არც საკენკი აუკენკავს და არც წყალში ჩაუკრავს ნისკარტიო. მისი ულუფა ხელუხლებლად ჩამოიღეს ფარდის საკიდიდან...

ჩიტისა და დიკუნას ამბავი დღესაც გამოცანად რჩება ბევრისათვის. ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის კი, მთელი ცხოვრება იქნება ეს შიშნარევი ჟრჟოლის მიზეზი... ■

ღაივინყე ყელის ტკივილი!
სტოპანგინი

დადგა ზაფხული, მცხუნვარე მზეს ვერსად ვემალებით, ვცდილობთ რაც შეიძლება ბევრი გამაგრილებელი სასმელი და ნაყინი მივირთვათ. აი პრობლემაც, გვეწყება არასასიამოვნო შეგრძნება ყელის არეში, ტკივილი, რის გამოც გვიჭირს საკვების მიღება, ამ პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმარება პრეპარატი სტოპანგინი ეფექტური საშუალება პირის ღრუსა და საყლაპავის ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ (ანგინა, ტონზილიტი, ფარინგიტი). სტოპანგინს გააჩნია გამოხატული ანტისეპტიკური, ანალგეზიური, სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება. ეთერზეთების ნარევის (ანისული, პიტნა, ევკალიპტი, მიხაკი, სასაფრასა, ფორთოხლის ხის ყვავილი) შემცველობის წყალობით გააჩნია გამოხატული ანტიმიკრობული და ანთებისაწინააღმდეგო მოქმედება. სტოპანგინი მოქმედებს ხანგრძლივად (10-12-საათი).

სტოპანგინის ხსნარმა ფართო გამოყენება ჰპოვა სტომატოლოგიაში: სტომატიტების, აფტოზური სტომატიტების, პაროდონტოზისა და პაროდონტოპათიების მკურნალობისას.

პრეპარატის ორი ფორმა აეროზოლი და ხსნარი არის მოსახერხებელი, როგორც საექიმო მანიპულაციებისას, ასევე სახლის პირობებში მკურნალობისას.

IVAX Pharmaceuticals
ივეაქს ფარმაცევტიკალს

სტოპანგინი ანტიანგინალური საშუალება აერozoli ხსნარ

რატომ უნდა ვიყითხოთ ჟურნალი „რეიტინგი“

პროექტი „მზეზე“

როგორც ჩანს, მალე მოვა ის დრო, როცა საქართველოში ცოდნა ნამდვილად დაფასდება და ბავშვებს სწავლის მეტი მოტივაცია გაუჩნდებათ. სექტემბრიდან მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება ტელეკომპანია „მზისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივი პროექტი – „ეტალონი“, წამოწყება, რომელიც დიდ სიხარულს შეიტანს თითოეული მოზარდის ოჯახში.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან, ჟურნალ „რეიტინგის“ ყოველ ნომერში გამოქვეყნდება კითხვარი, რომელზე პასუხებსაც მოსწავლეები რედაქციაში გამოგზავნიან; სწორი პასუხების ავტორები გადაცემა „ეტალონში“ მოხვდებიან და სტიპენდიის მოპოვებაში შეეცილებიან ერთმანეთს. „ეტალონი“ ყოველკვირეული ინტელექტუალური, შემეცნებით-გასართობი გადაცემაა. მოზარდები სპეციალურად მათთვის შედგენილ კითხვარს (რომელიც 7 აუცილებელი საგნისა და ზოგადი განათლების დონის გათვალისწინებით მზადდება; ამასთან, პრიორიტეტულია საქართველოს ისტორია და ქართული ენა და ლიტერატურა) უპასუხებენ და გამარჯვებულსა და მისი კლასის დამრიგებელს (ერუდირებული მოსწავლის აღზრდისთვის) დაენიშნებათ სტიპენდია – 50-50 ლარი ყოველთვიურად, ერთი წლის განმავლობაში. ყოველ კვირადღეს, თითო ახალი სტიპენდიანტი გამოვლინდება.

ეს სასარგებლო და კეთილშობილური წამოწყება უკვე დალოცა და აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ. პროექტს უამრავი მხარდამჭერი ჰყავს, მათ შორის არიან ცნობილი პოლიტიკოსები, სპორტსმენები, მსახიობები. სწორედ „ეტალონის“ აქტიური მხარდამჭერები ისაუბრებენ ხოლმე აღნიშნული პროექტის



მნიშვნელობაზე და ამასთანავე, საკუთარ სასკოლო თავგადასავლებსაც გაიხსენებენ. ამჯერად, პარლამენტარებს – ლევან ბერძენიშვილსა და ვასილ მაღლაფერიძეს მოვუსმინოთ.

ლევან ბერძენიშვილი:

– როგორც ადამიანი, რომელსაც განათლებასთან შეხება აქვს და როგორც პარლამენტში შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე, ბუნებრივია, მივესალმები ყველა პროექტს, ყველა წამოწყებას, რომელიც განათლების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. განსაკუთრებით ვუჭერ მხარს ყველაფერს, რაც ალტერნატიულ განათლებას ეხება, ვინაიდან სახელმწიფო თავის საზრუნავს მიხედავს, პარლამენტი კანონებს მიიღებს, მაგრამ თუ საზოგადოება არ მოიწადინებს, ბუნებრივია, მისი მცდელობა ცალმხრივი იქნება და სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. რაც შეეხება იმას, რომ ასეთი პროექტი კომერციული სტრუქტურების მიერ ხორციელდება – მართალი გითხრათ, ცოტა გაკვირვებული ვარ: ასეთ რაღაცებს ყველა ქვეყანაში ძირითადად, საჯარო საზოგადოებრივი ტელევიზია აკეთებს, კომერციულები – ნაკლებად, იმიტომ, რომ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის – ეროვნული მასშტაბის პროექტია... ასე რომ, კომერციულ სტრუქტურებში ასეთ წამოწყებას განსაკუთრებით მივესალმები.

— როგორ სწავლობდა მოზარდი ლევან ბერძენიშვილი?

– ჟურნალისტებისთვის უინტერესოდ – საკმაოდ კარგად. ის ფრიადოსანი იყო, პირველიდან ბოლო კლასამდე, ყველა საგანში – ფიზკულტურაშიც, სხვათა შორის; ამ საგანშიც მონდომებული ვიყავი და ამის გამო, ხელიც მოვიტეხე და ფეხიც. მრავალმხრივად განვითარებული მოსწავლე და სტუდენტი გახლდით და ყველაფერში ფრიადი მყავდა. ერთადერთი სამიანი მაქვს მიღებული – პარტისტორიაში *(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია. – ავტ.)* და ისიც გრიშა გამსახურდიამ სტალინის „არასწორად მოხსენიებისთვის“ დამიწერა. სხვათა შორის, შემდეგ შეწუხდა და მეორე გამოცდაზე 5 დამიწერა და ბოლოს, 5 გამომყვა... სტალინი მოვიხსენიე, როგორც დიდი ქართველი, რომელიც არ იმსახურებდა ამხელა სიყვარულს. ეს საბჭოთა დროს, 1972 წლისთვის სრულიად მოულოდნელი პასუხი იყო.

წაშალი „მთაწმინდა“

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა მცენარეთით

ვის: ჯავჯავაძის გაზ. 2/2, ჩაის სასლთან, სგოვაგოლოგიურ პოლიკლინიკაში, ვიღება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, ბიოლოგი ჯაველიძე, ბებაშვილი

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

ამრიგად, 4-იანი საერთოდ არ მიმიღია. ჩვენს ოჯახში, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩემი უფროსი ძმა, მე და ჩემი უმცროსი ძმა – დავითი ოქროს მედალოსნები ვიყავით და ყველგან ფრიადებზე ვსწავლობდით...

ვასილ მაღლაფერიძე:

— რას გვეტყვით მსგავსი პროექტების მნიშვნელობაზე?

– ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან კარგია და ყველანაირად მივესალმები ასეთ წამოწყებას. ეს არის დამოკიდებულება ქვეყნისა და საზოგადოების, ცოდნისა და ნიჭის მიმართ, ეს სწავლის გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

— რას შეცვლის?

– შეცვლის თვით საზოგადოების დამოკიდებულებას – ცოდნის, ნიჭის, ინტელექტის დაფასებას შეუწყობს ხელს. ეს ბავშვებში, ასე ვთქვათ, კარგ ტონად და მოდად დაამკვიდრებს სწავლას და საქართველოში ახალგაზრდების დაბრუნებას შეუწყობს ხელს: ჩვენში ხომ ყოველთვის განსაკუთრებულად ფასობდა განათლება და განათლებული ადამიანები.

— თავად როგორი მოსწავლე იყავით?

– ნორმალურად ვსწავლობდი, ძირითადად – ოთხებსა და ხუთებს ვიღებდი. თუმცა, ჩემს დროს, ისეთი სისტემა იყო, ორს რომ მიიღებდი, მეოთხედის ბოლოს, ოთხსაც ვეღარ დაგიწერდნენ. ჰოდა, როცა ასეთი მარცხი მომსვლია, იმ მეოთხედში სამიც გამომყოლია... პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და ჩემი საკლასო ოთახის ფანჯარას ახლაც სიამოვნებით ვუყურებ ხოლმე პარლამენტის შენობიდან...

— რომელი იყო თქვენთვის ყველაზე პრობლემური საგანი?

– ფიზიკა და ქიმია. თუმცა, ამ საგნების მასწავლებლები ძალიან მიყვარდა. ფიზიკის მასწავლებელი ჩემთვის დღემდე ახლობელი ადამიანია. ჩვენს დროს ისეთი სისტემა იყო, რომ ყველაფერს გვასწავლიდნენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლის პროტესტს – ეს არ მაინტერესებს, ის არ მაინტერესებსო; ვალდებული იყავი, ყველა საგანი გესწავლა. ამაში გარკვეული ლოგიკა არის და უნდა ითქვას, რომ რაც მისწავლია, ყველაფერი გამომადგა...

P.S. ჟურნალ „რეიტინგში“, აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული კითხვარების ნიმუშები უკვე ქვეყნდება. რაც შეეხება „გზას“ – მის ფურცლებზე გამოქვეყნებული ზოგიერთი წერილი „ეტალონის“ კითხვებზე პასუხების მოძებნაში დაგეხმარებათ.

■

სად როგორ უხსნიან ქალს სიყვარულს

ზოგიერთ ქვეყანაში ქალი და მამაკაცი ურთიერთსიმპათიას საკმაოდ ორიგინალურად გამოხატავენ. მაგალითად, ახალი გვინეის მკვიდრი მამაკაცი, საყვარელ გოგონასთან მიდის და მას ლოყაზე ხის ბრტყელი ნაჭრით ეფერება, რომელზეც ვაჟის მიერ დახატული მაგიური ძალის მქონე ორნამენტია გამოსახული.

ავსტრალიელი აბორიგენების დასახლებაში შეყვარებული ვაჟი თავზე ჩილარას – ოპოსუმის ტყავის თავსაკრავს იკეთებს, წელზე კი ნიჟარებისგან დამზადებულ სპეციალურ სამშვენისს, ე.წ. ლონკა-ლონკას იკიდებს. ასე გამოწყობილი ცდილობს, რაც შეიძლება ხშირად მოხვდეს თვალში თავის რჩეულს, რომელსაც სიტყვებით არაფერს ეუბნება, რადგან მის გრძნობებზე მისი „სამკაულები“ მეტყველებს.

კონგოელი შეყვარებული თავის რჩეულს შემწვარ ქათამს უძღვნის და ეუბნება: „ჩემ მიერ არის მოკლული“. თუ გოგონა მის გრძნობას იზიარებს, ყვავილების კონას აჩუქებს და ეუბნება: „ჩემი დარგული და დაკრეფილია“.

აფრიკელი ხალხების უმრავლესობაშიც არ არსებობს სიტყვებით სიყვარულის ახსნის ტრადიცია. აფრიკელი მამაკაცი ქალს ზიარი ჭურჭლიდან კერძის ჭამას შესთავაზებს და თუ ქალიც დათანხმდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს სიყვარულში გამოუტყდნენ.

სამხრეთ აფრიკაში ტობოს ტომის ვაჟი ხის დოლის აკომპანიმენტის თანხლებით დიდხანს ცეკვავს თავისი შეყვარებულის კარავთან. მავაიანების ტომში კი პირველი ნაბიჯი ქალმა უნდა გადადგას. ეს კი ასე გამოიხატება: ქალი მიდის მინდორში, სადაც მისი რჩეული მუშაობს და უსიტყვოდ ეხმარება.

ახალ ზელანდიაში მაორების ტომის შეყვარებული მამაკაცი სიყვარულის ახსნის ნაცვლად გოგონას უსიტყვოდ აწვდის გაკვანძულ

თოკს, თუ მეტოქე გამოუჩნდა, მაშინ ორივე ხელს მოჰკიდებს გოგონას და თავისკენ მოქაჩავს. გამოდის, ვინც გადაქაჩავს, ქალიც უფრო მეტად მას ჰყვარებია.

საჰარის მკვიდრი ტუარეგების ტომის ვაჟები, ქალისთვის სიყვარულის ასახსნელად, საღამოობით, ტომის უხუცესის კოცონთან იკრიბებიან და მღერიან. რიტუალის დროს, ვაჟი თავისი რჩეულის ხელს ხელებში მოიქცევს. თუ ქალი ხელს უკან არ წაიღებს, ე.ი. თანახმაა. კოცნა ტუარეგებში მიღებული არ არის. ალერსის დროს ისინი ერთმანეთს ცხვირებით ეხებიან.

ქალებმა და მამაკაცებმა ერთმანეთის გასაცნობად ყველაზე მარტივ ხერხს გერმანიის პატარა ქალაქ ენკლოსტერლეში მიაგნეს. აქ, ქალაქის მკვიდრთ და ჩამოსულ სტუმრებს შეუძლიათ შეიძინონ სპეციალური სამკერდე ნიშნები, რომლებიც ზედმეტი სიტყვების გარეშე დაეხმარება მეორე ადამიანთან საჭირო კავშირის დამყარებაში. მაგალითად, ვისაც მკერდზე წითელი ნიშანი უკეთია, იგი ადამიანს ეძებს გულითადი საუბრისთვის, მწვანე ნიშნით – პარტნიორს ეძებენ ჭადრაკის სათამაშოდ, ცისფერი ნიშნით – ბანქოს სათამაშოდ. ცალკე ნიშნები არსებობს გაცნობისა და ქორწინების სურვილის გასაცხადებლად.

ჩინეთში, დეხუნის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ტაის ეროვნების წარმომადგენელი ქალი და მამაკაცი ერთმანეთის გასაცნობად დღესასწაულებს ამჯობინებს. თუ ვაჟს გოგონა მოსწონს, მისი კალათიდან ყვავილს იღებს და ეუბნება: „რა ლამაზი ყვავილია, მთელი გულით მიყვარს“ და თუ გოგონა ყვავილს ხელიდან გააგდებინებს, ეს ნიშნავს, რომ ვაჟი მას არ მოსწონს, ხოლო თუ ეტყვის, „მოგწონს და შენთვის დაიტოვე“, ნიშნავს, რომ ვაჟი მასაც მოსწონს.

ასევე საინტერესოდ გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს ესპანეთში. ესტრემადურაში, როცა ვაჟს უნდა გოგონას პაემანი დაუნიშნოს, მტრედივით ღუღუნებს. მურსიელი საქმროები ჭიხვინის მსგავს ბგერებს გამოსცემენ. ხოლო კანტაბრეაში შეყვარებულს ხმამაღალი კივილით ხვდებიან. საღამოს 9 საათისთვის, როდესაც გოგონები თავიანთ შეყვარებულებთან შესახვედრად მიდიან, ისე კივიან, რომ შეიძლება კაცი დაყრუვდეს.

■

როგორ გაწყობაზეც ხართ, ისეთია ყრძის გემოც

დააკვირდით, როცა უგუნებოდ ხართ, ყველაფერი ხელიდან გივარდებათ, გეწვებათ ხორცი, ხახვი, ცომი არ ფუვდება. ბიოენერგოთერაპევტები ირწმუნებიან, რომ უგულოდ მომზადებული საჭმლითაც შესაძლებლია უარყოფითი ემოციების გადაცემა. ალბათ, გქონიათ შემთხვევა, მთელი გული და სული ჩაგიქსოვიათ კერძის მომზადებაში, მაგრამ მისი გასინჯვისას ოჯახის წევრებს ისეთი გამომეტყველება მიულიათ, თითქოს ტყემალი შეეჭამოთ. მსგავსი შემთხვევები თავიდან რომ აიცილოთ, გირჩევთ მაცივრიდან გამოიღოთ ყველა ის პროდუქტი, რომელიც კერძის მომზადებისას უნდა გამოიყენოთ და ზემოდან 1 სანტიმეტრის დაშორებით, გადაატაროთ ხელისგულები ისე, თითქოს ნამცეცებს იშორებთ. გაიღიმეთ და სადილის მომზადების დროს, იფიქრეთ რაღაც კარგზე, იღიღინეთ ან სასიამოვნო თემაზე ისაუბრეთ.

როცა სადილს მოამზადებთ, დაჯექით სკამზე, დახუჭეთ თვალები და ერთი წუთით მოეშვით. მას შემდეგ კი, რაც დაღლილობა გაგივლით, ასევე კარგი გუნება-განწყობილებით და ღიმილით მიართვით სადილი ახლობლებს.

სასურველია ხშირად მოამზადოთ სასარგებლო კერძები, მაგალითად, წვნიანი, რადგან ცნობილია, რომ ვინც ხშირად მიირთმევს წვნიანს, გულღია და მხიარულია. ცხელ წვნიანს კარგად ითვისებს ადამიანის ორგანიზმი, ის ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის პროცესს და აქტიურებს ენდორფინის (ე.წ. „ბედნიერების ჰორმონი“) გამომუშავებას. ასე რომ, თუ თქვენთვის საყვარელი ადამიანი სამსახურიდან შინ უგუნებოდ დაბრუნდა, მიართვით ცხელი, სანელებლებით შეკაზმული წვნიანი. და კიდევ ერთი რჩევა: თუ ყოველდღე საუზმემდე მიირთმევთ მცენარეული ზეთით შეზავებულ, გახეხილ სტაფილოს, მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესდებათ მეხსიერება და ტვინის მუშაობა. ზეთი აადვილებს სტაფილოში შემავალი ყველაზე ძვირფასი ნივთიერების (ბეტა-კაროტინის) ორგანიზმის მიერ შეთვისებას. კარგი იქნება, თუ ახალ სტაფილოს შესთავაზებთ მეულლეს საპასუხისმგებლო თათბირის წინ ან ბავშვებს სკოლაში წასვლისა და გამოცდების წინ.

■

ნელი ბიჩიკაშვილი: დამკვეთს ჯადო ბუმერანგივით უკან დაუბრუნდება

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან გადაეცა მემკვიდრეობით. ქალბატონ ნელის უამრავი ადამიანი ემადლიერება, ხალხი მასთან რაიონებიდან ჩამოდის. როცა რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინვე ნელისთან მიდიან, ბიზნესმენები მისი რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით მან უამრავი ოჯახი გადაარჩინა დანგრევასა და მოსალოდნელ უსიამოვნებას.

— ზოგჯერ ქალები პირადი ბედნიერებისთვის ჯადოს გაკეთებასაც არ თაკილობენ: ვფიქრობ, ეს უცოდინარობით მოსდით. არა მგონია, გააზრებული ჰქონდეთ საკუთარი საქციელი... ერთმა ქალბატონმა ჯერ დაქალს წაართვა ქმარი ჯადოებით, მერე კი ქმარსა და დედამთილს უკეთებდა, რათა დედა-შვილისთვის ერთმანეთი შეეჯავრებინა. დედამთილი მიხვდა, რომ რძალი რაღაცას ეშმაკობდა და ჩემთან მოვიდა. შელოცვებით გავანეიტრალეთ მაგიური ზემოქმედება და რძალს ჯადო ბუმერანგივით უკან დაუბრუნდა. ქმარი აზრზე რომ მოვიდა, მეუღლე სახლიდან გააგდო და პირველ ცოლს, თავისი შვილების დედას შეურიგდა. მოგვიანებით, ჯადოს დამკვეთი ხელმეორედ გათხოვდა, მაგრამ საქმე ცუდად წაუვიდა.

— რა დაემართა?

— ლოთმა და ეჭვიანმა ქმარმა დანით აკუწა... სამწუხაროდ, ზოგიერთები წინასწარ ვერ ივჯერებენ ხოლმე ჩემს ნათქვამს, მაგრამ მერე, როცა ხვდებიან, ათას ბოდიშს მიხდიან... ამას წინათ, ერთ ქალბატონს ვუთხარი — ოჯახზე ჯადოა გაკეთებული და ქმარს გაუფრთხილდი, სიკვდილს ვხედავ-მეთქი. გამლანძღა — რას მიედ-მოედებიო? — და ფული უკან წაიღო. 2 დღის შემდეგ დამირეკა აღრიალებულმა და პატიება მთხოვა: ჩემი მეუღლე ავარიაში მოყვა და გარდაიცვალაო. დასაფლავების შემდეგ მოვიდა შეშინებული — შეგვილოცე, ბავშვებს არაფერი დაემართოთო.

— მსგავსი სხვა შემთხვევებიც გქონიათ?

— დიახ! ერთ ქალბატონს ვუმარჩიელე — ქმარი დაგიბრუნდება-მეთქი. სასაცილოდ არ ეყო: 28 წლის წინ, მისი მეუღლე ვალების გამო საქართველოდან გაიქცა და დაიკარგა; მას შემდეგ თვალით აღარ უნახავს. მაგრამ როცა აუხდა ჩემი ნათქვამი, გახარებულმა დამირეკა: მაშინ ვერ დავიჯერე, რომ ისევ ერთად ვიქნებოდითო.

— სად იყო მისი მეუღლე წლების განმავლობაში?

— რუსეთში გაქცეულა და დაოჯახებულა. მაგრამ ცოლი მოჰკვდომია და საქართველოში დაბრუნებულა. საქმე უკვე დახურული იყო, ასე რომ, საფრთხე აღარ ელოდა და სამშობლოში დაბრუნება გაბედა. შვილებს მამა მკვდარი ეგონათ, დედა ბავშვებს სიმართლეს უმალავდა. ქალმა მიიღო ქმარი, რადგანაც იცოდა, რომ გამოუვალი მდგომარეობის გამო გადაიხვეწა.

დარეკეთ და ჩაწერეთ წინასწარ! მისამართი: წერეთლის გამზ. №12 (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), II სადარბაზო, II სართული, ბინა №24; საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72; 8(93)30.65.51, 8(99)20.37.64.

უსაფრთხო დასვენება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

აგარაკზე წასვლისას ყველაფერს ვერ გაითვალისწინებთ, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის კარგი იქნება, თუ თან წაიღებთ პატარა აფთიაქს, რომელშიც იოდი, ბრილიანტის მწვანე, კალიუმის პერმანგანატი, სტერილური გადასახვევი საშუალებები და ზოგიერთი აუცილებელი პრეპარატი (ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი, ანტიჰისტამინური და სხვა) გექნებათ.

ახლა კი, რამდენიმე კონკრეტული რჩევა კონკრეტული უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად.

თვალში უცხო სხეულის ჩავარდნისას სტერილური ხელსახოცის ბოლოთი ეცადეთ, ფრთხილად მოიშოროთ იგი, შემდეგ ჩაის ნაყენით გამოირეცხეთ. თუ თან გექნებათ ალბუციდის ხსნარი, თვალში ორი-სამი წვეთი ჩაიწვეთეთ. თუ უცხო სხეული ღრმად შეიჭრება ქსოვილში, თვალი გადაიხვიეთ და სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

თუ ***ყურში კოღო*** ან ქინქლა შეგიფრინდათ, ყურის ნიჟარა ზემოთკენ აქაჩეთ და ჩაის კოვზით ჩაისხით ჩაის თბილი ნაყენი. თუ პირველი პროცედურა უშედეგო აღმოჩნდა, გაიმეორეთ. ნუ დაიწყებთ ყურის ქექვას მყარი ნივთით, თუნდაც ასანთით — ასე რაიმეს დაიზიანებთ.

კოღოს, ქინქლის ან კრაზანის ***ნაკბენი თუ გექავებათ,*** იმ ადგილას შეიზილეთ დასრესილი პიტნა, თავშავა, მრავალძარღვა, კრაზანა ან დაიდეთ ლიმონის ნაჭერი, ან ნიშადურის სპირტში დასველებული ბამბა. თუ ქავილი და შეშუპება არ ჩაცხრება, გაიკეთეთ სოდიანი წყლის კომპრესი და მიიღეთ ანტიჰისტამინური საშუალება.

აგარაკზე წასულებს ბევრ უსიამოვნებას უქმნის ხოლმე ნაწლავური მოშლილობები, რომლებიც ინფექციური ან არაინფექციური წარმოშობის შეიძლება იყოს. სოფლის რძის პროდუქტებზე გადასვლისას ზოგიერთ ადამიანს კუჭი ეშლება. ასეთ დროს უნდა შეზღუდოთ რძის მოხმარება ან განაზავოთ იგი ოპტიმალურ ცხიმიანობამდე. მცენარეული უჯრედისის ჭარბად მიღება ფაღარათთან ერთად მუცლის შებერვასაც იწვევს. ამიტომ აქაც ზომიერებაა საჭირო. ასეთი მოშლილობისგან თავის დასაღწევად დღეში 3-4-ჯერ უნდა მიიღოთ კრაზანის, კულმუხოს და კამის თესლის ნაყენი — ერთ მიღებაზე 1/2 ჭიქა.

თუ მოგემატათ ტემპერატურა, დაგეწყოთ სისუსტე, პირის სიმშრალე, მუცლის ტკივილი და ფაღარათი (მწვანე, ქაფიანი, მყრალი სუნის მქონე განავლით) ეს უკვე სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მოითხოვს. ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას. გართულება შეიძლება საკმაოდ მძიმე აღმოჩნდეს.

აგარაკზე ხშირია ***მოწამვლა***: სოკოთი, კონსერვით, რძის პროდუქტით, ***ვადაგასული*** წამლებით. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს მოწამვლის სავარაუდო მიზეზი მაინც, რადგან მოწამვლის კლინიკურ სურათს ჰგავს აპენდიციტი, კუჭის წყლული და მუცლის ღრუს სხვა დაავადებები, რომელთა დროს დახმარების აღმოჩენის ტაქტიკა განსხვავებულია. თუ აშკარაა კავშირი მიღებულ საკვებთან, მაშინ ეცადეთ, გამოიწვიოთ ღებინება, შემდეგ ამოირეცხეთ კუჭი 2 ლიტრამდე გრილი წყლით. თბილი წყალი არ გამოიყენოთ, რადგან იგი აძლიერებს შხამების შეწოვას. ამორეცხვა ხდება მანამ, ვიდრე მორიგი ღებინებისას მხოლოდ სუფთა წყალი არ ამოვა კუჭიდან. ფაღარათს პირველ ეტაპზე ნუ შეეწინააღმდეგებით, რადგან მისი მეშვეობით ორგანიზმი ტოქსინებისგან თავისუფლდება. ორგანიზმის წყალმარილოვანი ბალანსის შესანარჩუნებლად უნდა სვათ დღეში 3 ლიტრამდე გაზგასული მინერალური და ჩვეულებრივი სასმელი წყალი. თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, დროულად უნდა მიმართოთ ექიმს.

გულის იშემიური დაავადებისა და ხშირი კრიზით მიმდინარე ***ჰიპერტონიის*** მქონე ავადმყოფებმა, განსაკუთრებით მათ, ვინც ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა გადაიტანა, ფიზიკური დატვირთვა საკუთარ მდგომარეობას უნდა შეუფარდონ. მუშაობის დაწყებამდე მიიღეთ ნიტროგლიცერინის რიგგარეშე აბი და დააკვირდით გულის მდგომარეობას. თუ მაინც დაგეწყოთ ტკივილი, ქოშინი და გაძლიერდა გულისცემა, ნუ დაელოდებით მორიგ სიგნალს, შეწყვიტეთ მუშაობა და დაისვენეთ.

დაუშვებელია ***მზეზე დიდხანს ყოფნა,*** განსაკუთრებით მათთვის, ვინც ორმოცს გადააბიჯა. მოერიდეთ პირდაპირ სხივებს. გარუჯვისთვის საუკეთესო გამოსავალი ჩამავალი მზეა. ლუდი, სპირტიანი სასმელი და მეტისმეტი დანაყრება გარუჯვის დროს, მიზანშეწონილი არ არის. ნამზეური უკუნაჩვენებია მათთვის, ვინც გადაიტანა ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, თავის ტრავმა, გულის ინფარქტი ან გულის ოპერაცია. აგრეთვე, ვისაც აქვს ჰიპერტონია, ჭარბი წონა, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ანემია, გლაუკომა, ეპილეფსია, სახსრების დაავადებები გამწვავების ფაზაში, მზის ალერგია.

სახსრების დაავადების, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩვეულებრივი თიხა, ტორფი, ჭაობის ხავსი, მარილი, მდინარის სუფთა ქვიშა. ხავსი და ტორფი დააქუცმაცეთ, თიხა გახსენით თბილ წყალში არაჟნის სისქემდე, შეათბეთ წყლის ორთქლზე 36-42 გრადუსამდე და დაიდეთ წრიულად ან „კვერის“ სახით მტკივან სახსარზე. მის ქვეშ დაიფინეთ პიტნის ან კრაზანის ფოთლები, ზევიდან შემოიხვიეთ ცელოფანი და შალის ქსოვილი. თიხის ფენის სისქე 2 სმ უნდა იყოს, პროცედურის ხანგრძლივობა — 20-30 წუთი. მკურნალობის კურსი — 10-15 დღეა. პროცედურის შემდეგ, სახსარი თბილი წყლით ჩამოიბანეთ, ისევ დაიდეთ ბალახების კომპრესი და დილამდე შეიხვიეთ. ტორფსა და ხავსს მოხმარების სხვაგვარი წესი აქვს — მათი გათბობა ცეცხლის ალზე არ შეიძლება, რადგან ასე დაკარგავს სამკურნალო თვისებებს.

სახსრის დაავადებების გამწვავებისას შეიძლება, გამოიყენოთ მარწყვის, ჟოლოს, ვაშლის, ალუბლის, ქლიავის კომპრესები. ეს მცენარეები შეიცავს სალიცილის მჟავას და აქვს ანტიანთებითი მოქმედება. მცენარეული კომპრესის ხანგრძლივობა ნახევარი საათი უნდა იყოს.

სასიამოვნო დასვენებას გისურვებთ!

■

გამოიყენეთ ზეთი მგზავრობისას

მოგზაურობისას ადამიანი სხვადასხვა სახის ტრანსპორტით სარგებლობს. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობა კი, მხოლოდ მისთვის მახასიათებელ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე.

მაგალითად, ზღვაში მოგზაურობისას ბევრ მგზავრს ზღვის დაავადება უვითარდება, რაც ვესტიბულარულ აპარატზე რყევის ზემოქმედების შედეგია. ამ სიტუაციაში დაგეხმარებათ კოჭას ზეთის ორთქლის შესუნთქვა. ამისთვის საკმარისია, ცხვირსახოცზე დააწვეთოთ 2-3 წვეთი კოჭას ზეთი, მიიტანოთ ცხვირთან და რამდენიმე წუთის განმავლობაში ღრმად შეისუნთქოთ.

ავტოტრანსპორტით სარგებლობისას ვითარდება ე.წ. საგზაო ნისტაგმის სინდრომი. იგი იმასთანაა დაკავშირებული, რომ შთაბეჭდილებების სწრაფი ცვალებადობა ზემოქმედებს თავის ტვინზე, იწვევს თავბრუსხვევას, ღებინებას, გულისრევას. ამ ნიშნების გაჩენისას კუჭის შესავლის შესაბამის არეში, მკერდის ძვლის ქვემოთ, უნდა შეიზილოთ 3 წვეთი კოჭას ზეთის, 4 წვეთი პიტნის ზეთისა და 1 წვეთი ლიმონის ზეთის ნარევი. ეს ინგრედიენტები წინასწარ ერთმანეთში აურიეთ და გახსენით 1 ჩ/კ მზესუმზირის ზეთში.

თუ სალონის ჰაერი გამონაბოლქვი აირებითაა დაბინძურებული, კარგია ევკალიპტის ზეთის შესუნთქვა (მისი 2-3 წვეთი ცხვისახოცზე უნდა დააწვეთოთ). ბავშვებისთვის მგზავრობისას რეკომენდებულია შაქრის ნატეხზე დაწვეთებული 2-3 წვეთი პიტნის ზეთის ყნოსვა. ჰაერის გასაწმენდად ავტომობილში ან თვითმფრინავში კარგია ლავანდა, რომლის ზეთით სავსე ჭურჭელი უნდა დატოვოთ თავახდილი – ორთქლი სწრაფად გავრცელდება სალონში.

ევკალიპტის, გრეიპფრუტის, ლიმონის ეთერზეთებს გამომაფხიზლებელი, გამამხნევებელი ეფექტი აქვს და განსაკუთრებით საჭიროა ავტომობილით ხანგრძლივი მგზავრობისას. ეს ზეთები ოთახის ჰაერის გასაწმენდადაც გამოიყენება.

მატარებლით, თვითმფრინავით და გემით მგზავრობისას მრავალ ადამიანთან გვიხდება ურთიერთობა. მათ შორის შეიძლება, სხვადასხვა დაავადების მქონენიც იყვნენ: ზოგი აცემინებს, ზოგი ახველებს, ვიღაც გაცივებულია. დასნებოვნება რომ ავიცილოთ თავიდან, რეკომენდებულია ანტიბაქტერიული და ანტივირუსული მოქმედების მქონე ეთერზეთების გამოყენება. ამ მხრივ საუკეთესოა რეჰანის, ბეგქონდარას, როზმარინის, ჩაის ხის ეთერზეთები. პროფილაქტიკისთვის დროდადრო შეგიძლიათ, ერთ-ერთი მათგანის არომატი შეისუნთქოთ. ■

დავლიოთ თუ არა?

ბევრ ადამიანს ჩვევად აქვს, ყოველი ჭამის დროს ან მის შემდეგ სხვადასხვა სასმლის – ჩაის, ყავის, კომპოტის, წვენების სმა. მათ არ იციან, თუ რამხელა ზიანს აყენებენ ამით საკუთარ ორგანიზმს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი სისტემატურად მიირთმევენ ტკბილ გაზიან სასმელებს.

როგორც კი საჭმელი კუჭში ხვდება, მაშინვე იწყება მისი გადამუშავებისთვის აუცილებელი, საკვების მომნელებელი წვენების ინტენსიური გამოყოფა. თუ ყოველ ლუკმას, სითხეს მიაყოლებთ, ამით განაზავებთ საჭმლის მომნელებელ წვენს და მნიშვნელოვნად შეამცირებთ მის კონცენტრაციას. ამის შედეგად, გადამუშავების პროცესი ძნელდება, რაც საკვების მომნელებელი მთელი სისტემის გადაძაბვას იწვევს.

მეორე მხრივ, კუჭის მჟავე შიგთავსი სითხესთან ერთად ნაწლავის გარკვეულ ნაწილებში აღწევს. ამის შედეგად თორმეტგოჯა და წვრილ ნაწლავებში იქმნება მჟავე გარემო ტუტეს ნაცვლად, ეს კი იწვევს ისეთ არასასურველ პროცესებს, როგორებიცაა: დუღილი, ლპობა, მიკროფლორის შეცვლა. ამის გამო ვითარდება გასტრიტები (კუჭის ლორწოვანის ანთება), პერიდუოდენიტები (თორმეტგოჯას ანთება), წყლულები და სხვა დაავადებები.

ეს რომ თავიდან აიცილოთ, ნებისმიერი სითხე უნდა მიიღოთ ან ჭამამდე 10-15 წუთით ადრე, ან ჭამიდან 1,5-2 საათის შემდეგ. ჭამის დამთავრებისას დასაშვებია 2-3 ყლუპი სუფთა წყლის პირში გამოვლება. ჭამის დროს სმა კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

ძალიან მნიშვნელოვანია საჭმლის კარგად დაღეჭვა. საკვები მანამდე უნდა ღეჭოთ, ვიდრე თავის სპეციფიკურ გემოს არ დაკარგავს. ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევს, რაც მართებული არ არის, რადგან მხოლოდ საგულდაგულოდ დაღეჭვისას გამოიყოფა ნერწყვის საკმაო რაოდენობა. იგი მშვენივრად ენაცვლება წყალს და სმის მოთხოვნილება ჭამის დროს ადამიანს აღარ ექნება. თანაც, ნერწყვით გაჯერებული ლუკმა გაცილებით იოლი მოსანელებელია.

ბევრი ადამიანი ისე მიეჩვია ჭამის დროს სითხის მიღებას, რომ სადილად არ ჯდება „კოკა-კოლისა“ თუ „ცივი ჩაის“ ბოთლის გარეშე. ამ ჩვევაზე სასწრაფოდ უნდა თქვათ უარი. ეს ძნელი სულაც არ არის. მთავარია, განეწყოთ და თავი შეიკავოთ ერთი თვე მაინც – ორგანიზმი აღარ მოგთხოვთ სითხეს სადილობისას. ■

კვირის (21-27 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: თქვენმა კეთილშობილებამ და სულგრძელობამ შეიძლება ზიანი მოგაყენოთ. ნუ მოდუნდებით და ნუ მოიწყენთ. შემდეგი კვირიდან პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში ბევრ ახალ ნაცნობს შეიძენთ. გაერკვიეთ სამსახურებრივ პრობლემებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაგირთულდებათ. შაბათ-კვირას მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: თავი შეიკავეთ სერიოზული, საქმიანი მოლაპარაკებისაგან. უმჯობესია, ეს შემდეგი კვირისთვის გადადოთ. გამოიჩინეთ მოთმინება – ამით მხოლოდ მოიგებთ.

მამაკაცი: თქვენთვის ჩვეულებრივი კვირა მოდის, არანაირი სიახლე არ გელით. ერთფეროვნებას თავადვე უნდა დააღწიოთ თავი, რადგან სხვებთან ურთიერთობა გაგაღიზიანებთ.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: ნუ ენდობით შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს, თუ გინდათ, რომ აუტკივარი თავი არ აიტკივოთ. უქმე დღეები მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. არ გაასესხოთ ფული.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში დაძაბულ გარემოში ცხოვრება მოგიწევთ. თქვენ გარშემო რატომღაც ყველა ღელავს და ასეთ საზოგადოებაში ადგილის პოვნა გაგიჭირდებათ. სამაგიეროდ, ხალისიანი და სიახლეებით სავსე იქნება კვირის მეორე ნახევარი.

ბიჭი – 22/VI-22/VII

ქალი: ფინანსური პრობლემების მოგვარებაში ძლიერი სქესის წარმომადგენლების დახმარების იმედი გქონდეთ. ისინი ამ კვირაში განსაკუთრებით ყურადღებიანი იქნებიან თქვენ მიმართ. ისარგებლეთ მათი კეთილგანწყობით და დრო სასიამოვნო გარემოში გაატარეთ.

მამაკაცი: ამ კვირაში, ურთიერთგამომრიცხავ წინადადებებს მიიღებთ. ყურადღებით მოუსმინეთ ყველას, ვინც თქვენთან იდეებით დახუნძლული მოვა, მაგრამ უმჯობესია, თუ პირველ რიგში ოჯახურ პრობლემებს მიხედავთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: შესაძლოა, გაგიჩნდეთ სურვილი, შეხვდეთ და ესაუბროთ ადამიანებს, რომელთა მოსაზრებები ადრე არ გაინტერესებდათ; დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა. ეს განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

მამაკაცი: თქვენ გარშემო კონფლიქტური სიტუაცია იქმნება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მოხერხებული ადამიანები წყლიდანაც კი მშრალად ამოდიან. იფიქრეთ იმაზე, რომ დროულად მოაგვაროთ ფინანსური პრობლემები.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: კვირის მეორე ნახევარში, ძველ ნაცნობთან მოულოდნელი შეხვედრა მოგცემთ შანსს, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. კარგი იქნება, თუ თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეს კვირის მეორე ნახევრისთვის დაგეგმავთ.

მამაკაცი: დაძაბული კვირა გექნებათ, მაგრამ სულ მალე მდგომარეობა გამოსწორდება და მეგობრების დახმარებით ფინანსური მდგომარეობაც გაგიუმჯობესდებათ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ნუ შეეცილებით სხვებს ინიციატივის გამოჩენაში, ნუ გამომჟღავნებთ მსუბუქი ფლირტის და აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, წაგებული დარჩებით.

მამაკაცი: შესაძლოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ. შეეცადეთ, კარგად გაერკვეთ საკუთარ გრძნობებში. მათ, ვისაც მეუღლე არ ჰყავთ, ვურჩევთ, გადადგან გაბედული ნაბიჯები ოჯახის შესაქმნელად.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: არსებული ვითარება დაგარწმუნებთ იმაში, რომ ადამიანებზე არა მხოლოდ ზეგავლენის მოხდენა, არამედ მათი მართვაც შეგიძლიათ. კვირის დამლევს თაყვანისმცემლების გარემოცვაში აღმოჩნდებით.

მამაკაცი: მომგებიან, საქმიან წინადადებას მიიღებთ. ისარგებლეთ გამოცდილი ადამიანების რჩევით. ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან შეხვედრებს პარასკევს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ნუ დაკარგავთ დროს ურთიერთობების გარკვევაზე. ეცადეთ, იყოთ დამთმობი – სიჯიუტემ შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოთ. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან სტუმრობისთვის გამონახავთ დროს.

მამაკაცი: გამორიცხული არ არის, რომ გეგმის შეცვლა მოგიხდეთ, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. კვირის ბოლოს, თქვენს მოსაზრებებს მეტი გულისყურით მოისმენენ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: დროა, შეანელოთ ტემპი და შეამციროთ საქმიანი შეხვედრების რაოდენობა. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებს და იოცნებეთ ბედნიერ მომავალზე.

მამაკაცი: საქმიანობაში აჩქარებას არ გირჩევთ. შეეცადეთ, ეს კვირა ინფორმაციის შეგროვებას დაუთმოთ: რაც უფრო მეტი გეცოდინებათ სავარაუდო პარტნიორების შესახებ, მით უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: წარმატება გელით – როგორც სამსახურსა თუ შემოქმედებით საქმიანობაში, ასევე პირად ცხოვრებაში. შეეცადეთ ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. თუ ამას ვერ შეძლებთ, ნულარ გაიმეორებთ მაინც.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარს თუ ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმობთ, მეორე ნახევარში საზოგადოებრივ საქმიანობაზე გადაერთეთ. დამატებითი შემოსავლის მიღების მოულოდნელი შანსი გაგიჩნდებათ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: წარმატებას მოგიტანთ კვირის დასაწყისში დაწყებული საქმიანი მოლაპარაკება. ასე რომ, გამოიჩინეთ გაბედულება, თავშეკავება კი – მხოლოდ ძვირად ღირებული ნივთის შეძენისას.

მამაკაცი: საუკეთესო დროა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად. კვირის ბოლოს მოგეცემათ შანსი, გამოავლინოთ თქვენი დიპლომატიური შესაძლებლობები.

„ევრო 2004“-ის სპონსორი	ბერძნული ანბანის მეორე ასო	ბ	ა	ლია შიდა-ეზო ლათინურ ქვეყნებში	კაპულეტის მტერი	ქ	ა	რ	ვ	ა	ს	ლ	ა
ი	კ	ე	ტ	ნ	ო	მ	ვაჭრების სასტუმრო ძველად	ა	ლ	რ	ო	ი	კარგად მორბენალი ცხენი
მიმართვა გათხოვილი ქალისადმი გერმანიაში	ა	ტ	ნ	ა	კ	ე	ნ	ტ	ა	გ	ო	ნ	ი
ფ	რ	ა	უ	ველური მსხალი	მდინარე იტალიაში	აშშ-ის სამხედრო სამინისტრო	ერთერთი ბითლზი	ს	ქალაქი ტაჯმაჰალით	ა	ნ	ი	თმის ბუნებრივი საღებავი
ევროპის კუნძულოვანი სახელმწ.	ლ	პინოჩეტის ხროვა	ხ	ზოლას რომანი	ა	რიმპერატორი	მეგ ...	რ					
ი	ს	ლ	ა	ნ	დ	ი	ა						
ქარის ძალის საზომი სკალა	ბ	ო	ფ	ო	რ	ტ	ი						
მუშაობის ერთეული	ე	მ	ა	ლ	ი	ინის ანტიპოდი	ა						
გოლიათი	რ	მინანქარი	სახელმწ. აფრიკაში	ნ	დაპირისპირების აღმნიშვნ. წინსართი	ა	ფრანგი მსახიობი ... ჟირარდო	ნ					
მეფე, უნაყოფო შრომის სიმბოლო	გ	ი	გ	ა	ნ	ტ	ი						
ს	ი	ზ	ი	ფ	ე	შეადგინა რამაზ ალანიამ							



მწვერვალი კავკასიონზე	ბალზაკის ნაწარმოები	ს	რუსეთის ტელევიზის წამყვანი ... კანდელაკი	ი	მ	ძმარში ჩადებული ღორის ფეხები	ებრაელთა სამლოცველო	ს
	თ	ე	თ	ნ	უ	ლ	დ	ი
მ	ა	რ	ი	ა	ჟ	ი	ხალხი ჩინეთში	ნ
ერთი ფერის პაპა და ქალი ბანქოში	ნ	ა	ნ	დ	უ	ხელოვნური ვანილი	ვ	ა
სამხრეთ-ამერიკელი სირაქლემა		ფ	ა	სპორტის თხრილი ორ-ორ პრძოლაში	ჟ	ქართველი ტენორი ... ალიბეგაშვილი	ა	გ
პროგრამირების ერთ-ერთი ენა	ს	ი	გერმანული კოსმეტიკური სერია	კ	ი	ა	ნ	ო
კ	ა	ტ	ი	ო	ფორტეს საპირისპირო	იაპონური თეატრი	ი	გ
ქ	ა	რ	ვ	ა	ს	ლ	ა	
ვაჭრების სასტუმრო ძველად	ა	ლ	რ	ო	ი	კარგად მორბენალი ცხენი		
ე	ნ	ტ	ა	გ	ო	ნ	ი	
ერთერთი ბითლზი	ს	ქალაქი ტაჯმაჰალით	ა	ნ	ი	თმის ბუნებრივი საღებავი		

ფაქიზული აღამიანების ამოწურავი ფაქიზანმქვაქები

მობოდიშება

ცნობილმა გერმანელმა მსახიობმა უნცელმანმა ერთ ხარბსა და გაუმაძღარ ვაჭარს „ბებერი წუწურაქი“ უწოდა, მან კი სასამართლოში უჩივლა. სასამართლოს განაჩენით მსახიობს ვაჭრისათვის მოწმეების თანდასწრებით ბოდიში უნდა მოეხადა.

ვაჭარმა ამ ცერემონიისათვის უკლებლივ მოიწვია ყველა ნაცნობი და მეგობარი, რომ ენახათ, როგორ მოუბოდიშებდა სახელგანთქმული მსახიობი.

მაგრამ მსახიობი ხალხით სავსე სასტუმრო დარბაზში კი არ შევიდა, არამედ ღია კარში თავი შეყო და იკითხა:

— თუ შეიძლება მითხარით, ბატონი მაიერი აქ ცხოვრობს?

— არა, თქვენ შეგეშალათ, ბატონი მაიერი ერთი სართულით მაღლაა, — მიუგო მასპინძელმა.

— მაშინ, გთხოვთ მომიტევოთ, — უთხრა მსახიობმა და გამოტრიალდა...

აკრძალული თემა

ფრანგ კომპოზიტორს, დანიელ ფრანსუა ობერს, 40-ზე მეტი ოპერის ავტორს, რომელთაგან „ფენელა“ და „ფრადიავოლო“ 1853 და 1897 წლებში თბილისშიც დაიდგა, არ უყვარდა, როცა მისი თანდასწრებით სიკვდილზე ლაპარაკობდნენ. ერთმა მისმა მეგობარმა, რომელმაც ეს ამბავი იცოდა, ხუმრობით შენიშნა:

— მაინც ოდესმე დარეკავს შენი საათი!

— არა უშავს, ყურადღებას არ მივაქცევ, — მშვიდად მიუგო ობერმა.

კურიოზი

სახელოვანი გერმანელი კომპოზიტორი რობერტ შუმანი ერთხელ თავის მეუღლეს, გამოჩენილ პიანისტს საკონცერტო მოგზაურობაში თან ახლდა.

სამეფო კარზე ჩატარებული კონცერტის შემდეგ, ხელმწიფემ შეაქო ხელოვანი ქალი და მერე, მის ქმარს შეეკითხა:

— ბატონო შუმან, თქვენც მუსიკოსი ხართ?

ანეკდოტები

***

ორი დაქალი ერთმანეთს შეხვდა:

— ნანა, შენზე ამბობენ, გათხოვდაო?

— დიახთ...

— მერე, უკეთაა საქმე?

— უკეთ არა, მარა... უფრო ხშირად...

***

— მამი... სად მიფრინავს წერო იმას მერე, რაც ბავშვს მაიყვანს ხოლმე? — არ ასვენებს მიტოს პატარა ფირუზა...

— სად... სად... და... უკან... შარვალში იმალება!..

***

— მაპატიეთ, მაგრამ... არასდროს ვაძლევ ფულს, ვინც ქუჩაში მათხოვრობს, — დამტვრეული ქართულით უხსნის მაილსი რუსთაველზე მათხოვარს.

— რა პრობლემაა?.. კაფეში შევიდეთ...

***

ძველი ქირურგი ბანკეტზე ახალბედას სადღეგრძელოში მოძღვრავს:

— არ დაგავიწყდეს, შვილო, ჩვენ, ექიმებს, ამქვეყნად ბევრი მტერი გვყავს...

რეპლიკა სუფრის ბოლოდან:

— უფრო მეტი კი იმ ქვეყნად!.. ექიმო...

***

თვითმფრინავი აეროპორტში დაეშვა. მგზავრები ტრაპზე ჩამოდიან. ერთს შარვალი ჩასძვრა:

— ფუი... ჯანდაბა ამათ... შეიკარით ქამარი, გაიხსენით ქამარი... გამიჭირეს საქმე!..

***

რესტორანში გვარიანი ქეიფის შემდეგ ძმაკაცები დილით „პახმელიაზე“ გამოსასვლელად შეიკრიბნენ. ანზორა ჰყვება:

— დილით გევიღვიძე... რაცხა ფეხები მტკივა... ვხედავ, ხალიჩაზე ვწევარ... აი ხალიჩა კიდო კედელზე არ კიდია?..

***

ნათელმხილველთან:

— ქალბატონო დალი, თქვენს ავგაროზებს მართლა მოაქვს ვინმესთვის სარგებლობა?

— რა თქმა უნდა... ცოტა ხნის წინ აგე... ჩემს შვილს მანქანა ვუყიდე!..

***

პრაქტიკანტი ექიმის ჩანაწერიდან:

„სამი პაციენტი მივიღე. პირველს ფაღარათი სჭირდა, სასაქმებელი მივეცი, ჯერ დერეფანში გაიქცა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და მშვიდად გაუყვა გზას. ალბათ უშველა... მეორე ყავარჯნებით, ფეხის მოტეხილობით მოვიდა. იმასაც სასაქმებელი მივეცი. თავიდან ჯერ ყავარჯნებით გაუყვა დერეფანს, შემდეგ ყავარჯნები გადაყარა და ასკინკილით გაიქცა, ალბათ უშველა... მესამეს ძლიერ ახველებდა. იმასაც სასაქმებელი მივეცი. ნაღდად უშველა. აგერ, კუთხეში დგას და დახველების ეშინია...“

***

მიხო და მარო გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში მოხვდნენ.

— მიხო... ხედამ, აქ რა კარქია...

— დედაკაცოო... ჩვენ აქ ხუთი წლის წინაც მოვხვდებოდით... შენ რომ ხშირად არ შაგეწუხებინე...

***

ფსიქიატრიულში შეშფოთებული გურული მივიდა.

— რაცხა მიშველე, ძამა...

— რაშია საქმე?

— რაია და... ორი დღეია მეჩვენება, რომე ცოლი აზრიანად მელაპარიკება...

ცოტა მამაკაცებისთვის ვინ ხართ თქვენ: გენერალი, კაპიტანი თუ რიგითი?

ეს ტესტი დაგეხმარებათ გაარკვიოთ, რამდენად ხართ მიდრეკილი მბრძანებლობისაკენ თუ მორჩილებისაკენ.

ქვემოთ მოცემული პასუხებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი, თქვენთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი.

1) მეგობრობა თქვენთვის არის:
ა) თანამშრომლობა;
ბ) მხარდაჭერა;
გ) ალტრუიზმი.

2) თქვენი აზრით, ნამდვილი მხატვარი (მსახიობი) უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს:
ა) ნიჭიერი;
ბ) გამბედავი;
გ) მომზადებული.

3) თქვენ წვეულებაზე ხშირად თავს გრძნობთ:
ა) „მამლაყინწად“;
ბ) „დედლად“;
გ) „წიწილად“.

4. გეომეტრიული ფიგურა რომ ყოფილიყავით, რომელი ფორმის ფიგურად ყოფნას ამჯობინებდით?
ა) ცილინდრის;
ბ) სფეროს;
გ) კუბის.

5) ვთქვათ, მოგეწონათ ქალი, ასეთ დროს თქვენ:
ა) თავადვე დგამთ პირველ ნაბიჯს;
ბ) ქალბატონის მიერ გადმოდგმულ პირველ ნაბიჯს ელით;
გ) წვრილმანი ჟესტებით ცდილობთ მისი ყურადღების მიპყრობას.

6) როდესაც მოულოდნელად წინააღმდეგობას აწყდებით (არა მარტო საჭესთან ჯდომისას), თქვენ:
ა) ამუხრუჭებთ;
ბ) სიჩქარეს უმატებთ;
გ) იბნევით.

7) სახალხოდ სტუდიაში გამოსვლისას, თქვენ გრძნობთ, რომ:
ა) ყველანი გისმენენ;
ბ) გაკრიტიკებენ;
გ) ცბუნდებით.

8) თქვენი აზრით, ექსპედიციაში წასვლა უმჯობესია:
ა) ფიზიკურად ძლიერ ამხანაგებთან ერთად;
ბ) ჭკვიან ამხანაგებთან ერთად;
გ) გამოცდილ ამხანაგებთან ერთად.

9) გამოტყდით, თქვენი აზრით, კონკია იყო:
ა) უბედური გოგონა;
ბ) ცბიერი კარიერისტი;
გ) წუწუნა.

10) როგორ განსაზღვრავდით საკუთარ ცხოვრებას? როგორც:
ა) ჭადრაკის პარტიას;
ბ) კრივის მატჩს;
გ) „პოკერის“ თამაშს.

დაანგარიშეთ ქულები:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ა.	3	3	3	1	3	3	3	3	1	2
ბ.	2	2	2	3	2	2	2	2	3	1
გ.	1	1	1	2	1	1	1	1	2	3

ტესტის პასუხები

თუკი 16 ქულაზე მეტი ვერ მოაგროვეთ, მაშინ საზოგადოებაში თქვენ უბრალო *რიგითის* ადგილი გიჭირავთ. აღიარეთ, რომ მეტისმეტად დიდ პატივს სცემთ სხვებს, ყოველთვის ითვალისწინებთ ახლობლების აზრებს და სურვილებს, ამიტომ არც მბრძანებლობის უნარი გაქვთ და არც კონკურენტუნარიანობით გამოირჩევით. დაფიქრდით, იქნებ, თქვენ მიერ ძალაუფლებასა და სხვებზე გავლენაზე უარის თქმის მიღმა, შიში ან იმედგაცრუება იმალება? ვიდრე რაიმე დასკვნას გამოიტანდეთ, კარგად გააანალიზეთ, თქვენ მიერ უფროსობის მცდელობამ რამდენჯერ განიცადა კრახი. თუკი ლიდერობის გარეშეც შესანიშნავად გრძნობთ თავს, მაშინ მნიშვნელოვანი მოვლენებისგან ცოტა შორს დაიჭირეთ თავი; არსებითად, ეს არცთუ ისე ცუდია — ასე ხომ იოლია სიმშვიდის შენარჩუნება.

თუკი 17-23 ქულა მოაგროვეთ, თქვენ საზოგადოების თვალში *უმცროსი ოფიცერი* ბრძანდებით. უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებით: დაახლოებით ისეთში, როგორშიც გრდემლსა და ურის შორის მოქცეული რკინის ნაჭერი. ცოტათი მეთაური ხართ, ცოტათი — ჯარისკაცი... სამსახურში გადაწყვეტილების მიღება გიჭირთ. სხვების თვალში აღიარების მოპოვება, თქვენთვის საკმაოდ რთული საქმეა, რადგან თქვენ მიერ მოშველიებული არგუმენტები ფრიად რაციონალურია და მხოლოდ პირად გამოცდილებას ეფყარება.

თუკი 24 ან მეტი ქულა მოაგროვეთ, უნდა გითხრათ, რომ საზოგადოების თვალში თქვენ *გენერლის* სტატუსით სარგებლობთ. ინიციატივას ბავშვობიდანვე ავლენდით და ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდით საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასაკის მატებასთან ერთად, თანდათან იზრდებოდა თქვენი გავლენა სხვა ადამიანებზე, ეს კი, განსაკუთრებით რთულ სიტუაციებში ვლინდებოდა. თუკი თქვენ პატივმოყვარეობითაც გამოირჩევით და არც რთული სამუშაო გაშინებთ, ამან შესაძლოა ძალზე მაღალი მწვერვალები დაგაპყრობინოთ; თუკი არა, მაშინ დაკმაყოფილდით იმით, რომ თქვენ მიგიჩნევენ შესანიშნავ მეგობრად და მრჩევლად, ხოლო წვეულებებზე ყურადღების ცენტრში ექცევით.

მუსიკოსებმა „ინტერნაციონალის“ შესრულებაზე უარი განაცხადეს

ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის, ქალაქ კასელის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის კონცერტი, რომელიც ქარხანა „ფოლკსვაგენისთვის“ გაიმართა, კინაღამ სკანდალით დამთავრდა.

ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა მანამ, სანამ პროფკავშირების ხელმძღვანელობამ კონცერტის დასკვნით ნაწილში კომუნისტური ჰიმნის – „ინტერნაციონალის“ შესრულება არ მოითხოვა. ორკესტრანტებს გამომეტყველება დაეძაბათ და პროტესტის ნიშნად ინსტრუმენტები ყველამ ერთდროულად დააწყო. როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ორკესტრი დასავლეთ გერმანიაში მოღვაწეობს, ყველა მუსიკოსი გდრ-ში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ყოფილა დაბადებული და გაზრდილი. ამიტომაც ნებისმიერი „გამოძახილი“ კომუნისტური წარსულიდან მათში საშინელი პროტესტის გრძნობას იწვევს.

„ჩვენ სულ ბოლო მომენტში შევიტყვეთ, თუ რას ითხოვდა მსმენელი ჩვენგან და რა თქმა უნდა, უარი ვთქვით. გადაწყვეტილების შეცვლას ვერავინ გვაიძულებდა, თუნდაც სამსახურიდან გათავისუფლებით დაგვმუქრებოდნენ“, – თქვა ორკესტრის ერთ-ერთმა წევრმა. კომპრომისს მხოლოდ მაშინ მიაღწიეს, როცა მუსიკოსები საფრანგეთის ნაციონალური ჰიმნის – „მარსელიოზას“ შესრულებაზე დათანხმდნენ. ■

Fucking _ ეს ავსტრიული სოფელია

ავსტრიის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრნი სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან: საქმე ისაა, რომ ტურისტები გამუდმებით იპარავენ და სუვენირის სახით მიაქვთ საგზაო ნიშანი, რომელსაც მათი სოფლის, ცოტა არ იყოს, უცნაური სახელი – Fucking აწერია.

მიუხედავად ამისა, ამაყ ავსტრიელებს თავიანთი სოფლის სახელის შეცვლა არ სურთ. რამდენიმე დღის წინ ამ მიყრუებული სოფლის 150 მცხოვრები პრობლემის გადასაჭრელად მერიაში შეიკრიბა.

სოფლის მამასახლისმა განაცხადა, რომ სოფლის სახელწოდება მისი დამაარსებლის – ვინმე მისტერ ფაკის სახელისგან წარმოიშვა, რომელიც იმ მხარეში დაახლოებით 100 წლის წინ დასახლდა. 1945 წლამდე – ვიდრე იქ ინგლისელი ჯარისკაცები არ შევიდნენ, სოფლის მცხოვრებლებმა არაფერი იცოდნენ ამ სახელის ინგლისური მნიშვნელობის შესახებ. მამასახლისმა დასძინა: „მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ყველა ჩვენგანმა იცის, თუ რას ნიშნავს ინგლისურად Fucking, ამით არაფერი იცვლება. დაე, გაგრძელონ ტრაფარეტის მოპარვა – Fucking ავსტრიული სოფელია და მას სახელს არასოდეს შევუცვლით.“ ■

ჯორჯ ბუში სადამ ჰუსეინის პისტოლეტს თეთრ სახლში ინახავს

სადამ ჰუსეინის შეპყრობის დროს ამოღებული პისტოლეტი, თეთრ სახლში, ჯორჯ ბუშის კაბინეტში ინახება. იარაღი ამერიკის პრეზიდენტს ჯარისკაცებმა გადასცეს, რომლებიც ჰუსეინის დაჭერის ოპერაციაში მონაწილეობდნენ. ამბობენ, რომ ამერიკის პრეზიდენტი პისტოლეტს ძალიან უფრთხილდება, მას სხვა რელიკვიებთან ერთად ინახავს და მხოლოდ რჩეულთ უჩვენებს ხოლმე.

თეთრი სახლის წარმომადგენლები ამ ინფორმაციის ირგვლივ არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. ■

„მფრინავი ტუალეტი“ მანქანას დაეცა

გერმანელი ქალბატონი საავადმყოფოში შოკურ მდგომარეობაში მიიყვანეს მას შემდეგ, რაც მის ავტომობილს „მფრინავი ტუალეტი“ შეეჯახა.

ქალაქ ჰამბურგ-ხოელუფტის გარეუბანში საშინელი გრიგალი ამოვარდა. შტორმული ქარის ტალღამ ჰაერში აიტაცა მოძრავი ტუალეტის კაბინა და ადგილობრივი ტრასის მიმართულებით წაიღო, სადაც ავტომობილების მჭიდრო კოლონა მიედინებოდა. ტუალეტის კაბინამ ცოტა ხანს „იფრინა“ და ბოლოს ავტომობილს შეასკდა, რომელსაც 32 წლის ქალბატონი მართავდა.

ადგილობრივი ექიმები ამტკიცებენ, რომ მძღოლის შოკური მდგომარეობა მხოლოდ მოულოდნელი შეჯახებით როდია გამოწვეული. საქმე ისაა, რომ წინასწარი მონაცემების მიხედვით, მის ავტომანქანას არანაკლებ 5.000 ევროს ზარალი აქვს მიყენებული. ■

ფოტოკუჩიოზები



ეკლესია

გამოვიდა ივნისის ნომერი

b 30/22

ივნისი, 2004

ფასი 80 თეთრი

ეპოქა

მართლმადიდებლური ჟურნალი

ივნისის თემა:
არ იპარო

დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი: ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი ვარ

ვის მივმართოთ – ფსიქიატრს, მოძღვარს თუ ორივეს ერთად?

დედებო, აბორტს ნუ გაიკეთებთ!

საქართველოს მუნიზმიც დამუშავება?

ჟურნალში საჩუქარია:
დაუჯდომელი წმიდისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინო ქართველთ განმანათლებელისა

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ